რუდოლფ შტაინერი

ბუნებისმეტყველების წარმოქმნა და განვითარება მსოფლიო ისტორიაში

რუდოლფ შტაინერი

ბუნებისმეტყველების წარმოქმნის მომენტი და მისი შემდგომი განვითარება მსოფლიო ისტორიაში

დორნახში წაკითხული 9 ლექცია,
1922 წლის 24-28 სექტემბერი და
1923 წლის 1-6 იანვარი

GA 326

თბილისი-2016

RUDOLF STEINER

Der Entstehungsmoment der Naturwissenschaft in der Weltgeschichte und ihre seitherige Entwickelung

Neun Vorträge, gehalten in Dornach
vom 24. bis 28. Dezember 1922 und
vom 1. bis 6. Januar 1923

GA 326

RUDOLF STEINER VERLAG
DORNACH/SCHWEIZ
1977

მკითხველის წინაშეა რუდოლფ შტაინერის თხზულებათა სრული კრებულის GA 326 ტომის პირველი ქართული გამოცემა. ცხრა ლექციისაგან შემდგარი კურსი ეხება მსოფლიო ისტორიაში ბუნებისმეტყველების წარმოქმნის მომენტს, მის ჩამოყალიბებასა და განვითარებას XX საუკუნემდე, ამ გზის სირთულეებსა და მისი გადალახვის მეთოდებს ანთროპოსოფიული სულისმეცნიერების მეშვეობით.

კურსის ბოლოს კაცობრიობის წინაშე დაყენებულია კონკრეტული ამოცანები ბუნებისმეტყველების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.

მთარგმნელი: **ა. კვარაცხელია**
მთ. რედაქტორი: **ლ. მესხია**
რედაქტორი: **ხ. ნაჭყებია**

Übersetzt ins Georgisch von: **A. Kvaratskhelia**
Redaktion: **L. Mesxia, X. Natskhebia**

ასოციაცია „კოგიტო“

თარგმანი შესრულებულია 1977 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

Assoziation „Cogito“

GA 326

გარეკანზე: მარგარიტა საბაშნიკოვას ნახატი:
მთავარანგელოზი ურიელი

შინაარსი

გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა. 8

პირველი მოხსენება
დორნახი, 1922 წ. 24 დეკემბერი 10
კურსის თემა და საშობაო აზრები. თანამედროვე ბუნებისმეტყველება: მისი ცხოვრება გასაგებია მისივე ჩამოყალიბებიდან; ის ინახავს ჩანასახს ახალი სულიერი ცხოვრებისთვის. ნიკოლაუს კუზანელი და მისი „docta ignorantia“. მაისტერ ეკხარტი: „არა“ და „მეები“ (Icht). თომა აქვინელისა და სკოტ ერიგენის შეხედულებები ბუნებაზე. ბუნებისმეტყველების წარმოქმნა ემთხვევა კუზანელისა და კოპერნიკს შორის პერიოდს.

მეორე მოხსენება
დორნახი, 1922 წ 25 დეკემბერი. 25
ისტორიის სიმპტომური განხილვა. პნევმატოლოგიური ფაზა: ერთიანობა. უძველესი სულიერი ჭვრეტა, უკვე არგანცდილ ტრადიციამდე ჩაფერფლილი. მისტიკური ფაზა: სამშვინველი – სხეული, ლოგოსის მატარებელი – ძალთა კავშირი. მისტერიათა მოწაფეები ქრისტეშობამდე დაახლოებით 700 წელს. მაისტერ ეკხარტი და ნიკოლაუს კუზანელი. დემოკრიტე. მისი წარმოდგენა სივრცესა და ატომზე. მათემატიკური ფაზა: სუბიექტი – ობიექტი, სამშვინველი, როგორც იდეების ჭურჭელი, სხეული, როგორც გაწელილი სხეული. ჰობსი, ბეკონ ფონ ვერულამელი, ლოკი. კოპერნიკის პლანეტარული სისტემა.

მესამე მოხსენება
დორნახი, 1922 წლის 26 დეკემბერი 41
მათემატიკა ამოღებულია მოძრაობის ჩვენი სისტემიდან. სისხლის ფარული განცდა. მისტიკა და მათემატიკა. სამკუთხედი, ოთხკუთხედი. კოორდინატთა სისტემა, გადატანილი ადამიანიდან აბსტრაქტულად ქცეულ სივრცეში. შედეგად, ადამიანი თავად ამოაგდებს საკუთარ თავს კოსმოსიდან. კარტეზიუსი, სპინოზა. უძველესი განცდების ჩაქრობა

შესაძლებლად აქცევს სამყაროს კოპერნიკისეულ ხატს და ჰარვეის მიერ სისხლის მიმოქცევის აღმოჩენას.

მეოთხე მოხსენება

დორნახი, 1922 წ. 27 დეკემბერი 57

რიცხობრივის გამოცალკევება ადამიანური განცდისგან. ჯორდანო ბრუნო სამყაროს ძველ და ახალ ხატებს შორის. ნიუტონის მათემატიკისა და ასტრონომიის წყალობით ადამიანი წყდება ღმერთს. ამავდროულად: სივრცე, როგორც ღმერთის გრძნობის ცენტრალური ორგანო. კარტეზიუსი, სპინოზა. ნიუტონის მოწინააღმდეგეები: ბერკლი და გოეთე. ბერკლის ბრძოლა უმცირესი სიდიდეების გამოთვლის წინააღმდეგ. ის მაინც გამართლებულია. ატომისტიკა შეესაბამება მკვდარს ბუნებაში, უწყვეტობა – ცოცხალს. მეცნიერება მკვდარზე უნდა მოსულიყო, მაგრამ მან კვლავ უნდა გამოიწვიოს სულის პოვნა ბუნებაში. არშემდგარი დისკუსია ატომისტიკაზე.

მეხუთე მოხსენება

დორნახი, 1922 წ. 28 დეკემბერი 76

ეჭვები სამყაროსადმი ცნებების მისადაგებისას. ჯონ ლოკის მოძღვრება გრძნობათა ორმაგ გამოვლენაზე. კანტის „საგანი თავისთავად“. რიხარდ ვაალე: ტვინში არაფერია, რაც არაა ნერვებში. ვაისმანი: ერთუჯრედიანი ორგანიზმების უკვდავება. სპინოზას ხარისხიანი მათემატიკა მის „ეთიკაში“. ანრი პუანკარე პრობლემაზე „ატომისტიკა-უწყვეტობა“. შლაიდენისა და შვანის უჯრედის თეორია. ბუნებისმეტყველებაში სიცხადის მოთხოვნილების არარსებობა.

მეექვსე მოხსენება

დორნახი, 1923 წ. 1 იანვარი 91

თეორიულ-შემეცნებითად და სულისმეცნიერულად დროულადაა დაყენებული ლოკის პრობლემა. ხატოვანების განცდის ორი სახე გრძნობათა პირველადი და მეორადი ნიშნებისთვის. ადამიანსა და ცხოველს შორის განსხვავებასთან დაკავშირებული ეჭვები. ადამიანი: ცხოველთა რიგის უმაღლესი და საბოლოო წერტილი. აუცილებელია განსხვავების მხოლოდ ანატომიური ნიშნები. ამ ტენდენცი-

ის წინააღმდეგ გოეთეს პროტესტი მიმდევრების გარეშე რჩება. წარმატებისთვის ბუნების კვლევას ესაჭიროება ადამიანის სულიერ-მშვინვიერი არსების გაგება.

მეშვიდე მოხსნება
დორნახი, 1923 წ. 2 იანვარი 102
ადამიანსა და სამყაროს შორის შემეცნების ხიდის არარსებობა. შინაგანი განცდები გამოყოფილია ადამიანისგან. ადამიანის მიერ წონის განცდა. ძველ დროებში მან იცოდა: სინათლე მასში არის სიმძიმის საპირისპირო ძალა. გალილეის კანონი ვარდნასა და ინერციაზე. შესაბამისი განცდები ადამიანში. არისტოტელესადმი მტრობა. კოპერნიკი და კეპლერი. ნიუტონი. გრავიტაციის ცნების წარმოქმნა. ქიმიის წარმოქმნა. გალენი: ოთხი ელემენტი და ოთხი წვენი. ქიმია, როგორც მეცნიერება ფიზიკის დონემდე ჯერ ვერ მივიდა. ატომისტიკა. ფარდობითობის თეორია. მოძრაობა და სიმშვიდე, არ არიან თანაგანცდაში, ერთმანეთთან მიმართებით პირობითი რჩებიან.

მერვე მოხსენება
დორნახი, 1923 წ. 3 იანვარი 122
სულიერი სამყაროს ახალი მიმართება ფიზიკურ სამყაროსთან ხსნის ახალ გზას მთლიანად გაცნობიერებული სულიერი შემეცნებისკენ. სკოტ ერიგენი. არისტოტელე. გალენის მოძღვრება წვენებზე და სოკრატემდელი ფილოსოფოსების შეხედულებები. თალესი, ჰერაკლიტე. ფიზიკიდან და ქიმიიდან ამოგდებულია ადამიანი, ფსიქოლოგიიდან და პნევმატოლოგიიდან – სამყარო. ბეკონ ვერულამელი. ჯონ ლოკი. სამშვინველის განცდა სუნთქვით იოგაში, „მე“-ს განცდა სითბოში. ადამიანის საკუთარ თავთან მიმართების შეცვლა უკავშირდება თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარებას. პარაცელსი, ვან ჰელმონტი, იაკობ ბიომე. ქიმიის წარმოქმნა XVII საუკუნიდან; ფოლადის (Stahls) სასიცოცხლო ძალა. დე ლა მეტრიე: ადამიანი არის მანქანა. ბეკონი. ჰობსი. ადამიანს უნდა დაეკარგა საკუთარი თავი, როგორც ელემენტარულ არსებას, რომ მოეპოვებინა თავისი თავი, როგორც თავისუფალ არსებას.

მეცხრე ლექცია
დორნახი, 1923 წ. 6 იანვარი 143
კურსის შინაარსის მიმოხილვა, პროგრამა მომავლისთვის. ბუნებისმეტყველება, სულისმეცნიერება, ერთი მთლიანის ნაწილები მომავალში. სიკვდილის შემეცნების მნიშვნელობა ბუნებაში, როგორც არსებულის საბოლოო მდგომარეობა (გვამი). საწყისი მდგომარეობა, სატურნი ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ქვედა ადამიანის ფიზიკურ-ეთერულ სხეულში. ამოცანა: ხედვაში მყოფობის ძიება. ამოცანები საბუნებისმეტყველო მეცნიერულად ორიენტირებულისთვის: ანთროპოსოფიული ფიზიკისა და ქიმიის დამუშავება; ადამიანის მოძრაობის მექანიკის შესწავლა; ქიმიური პროცესების წარმოქმნის ძიება ადამიანის წვენების წრებრუნვაში. ფიზიოლოგია: ორნაირი მეცნიერება, საჭიროა გაიყოს რეალურ ქიმიად და რეალურ ფსიქოლოგიად. თერაპიასა და პათოლოგიასთან კავშირები. ავადმყოფობისა და განკურნების პროცესების არსი. არსების ჩანასახი ინდივიდუალიზებულ ეთიკასა და მორალში. ტექნიკა. ტკივილით აღსავსე მოწოდება სულისკენ და ამოსავალი წერტილი მასზე პასუხის ძიებისთვის. ნიკოლაუს კუზანელი და მაისტერ ეკხარტი: არარასგან წარმოიქმნება „მე“. ხილულისგან მორალური იმპულსების ამოღება. თავისუფლების ფილოსოფია.

შენიშვნები 164

შემოთავაზებულ კურსს განსაკუთრებული ადგილი უკავია რუდოლფ შტაინერის შემოქმედებაში. ის წარმოიქმნა, როგორც წინარე სოციალური საბუნებისმეტყველო მეცნიერული კურსების დაგვირგვინება და მჭიდროდ უკავშირდება აქ გადმოცემულ პრობლემებს, წამოყენებული კვლევის ამოცანებს და მიმართულია ბუნებისმეტყველების, როგორც ასეთის, ღრმად პრინციპულ და ზოგადსაკაცობრიო განხილვაზე.

1923 წლის ახალი წლის ღამეს დაიწვა გოეთეანუმი. ეს იყო ხის შენობა, რომელიც შენდებოდა ათი წლის განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული უამრავი ხელოვანის მონაწილეობით; მისი ყოველი ზედაპირი და თითოეული კუთხე გაფორმებული და დამუშავებული იყო, შეიძლება ითქვას, მხატვრულად. შენობა დააპროექტა რუდოლფ შტაინერმა დაწყებული მთავარი მონახაზიდან, დამთავრებული წვრილმან დეტალებამდე. მთელი იმ წლების განმავლობაში იგი თავად ხელმძღვანელობდა სამშენებლო სამუშაოებს. პირველი იანვრიდან გოეთეანუმის მოღვაწეობა იძულებით ისევ გადავიდა ე. წ. სადურგლოში, იმ დამხმარე ნაგებობაში, რომელსაც მანამდე შენობის მშენებლობისთვის და ანთროპოსოფიული მუშაობისთვის იყენებდნენ. თავად ამ მუშაობისთვის რუდოლფ შტაინერი არ უშვებდა არანაირ შესვენებას: პირველი იანვრის დღის მეორე ნახევარში, ღამის ხანძრის შემდეგ, შესრულდა პიესა სამ მეფეზე, როგორც ეს იყო გათვალისწინებული აღნიშნული კურსისთვის. რუდოლფ შტაინერმა დაიწყო მოკლე მიმართვით, სადაც მან ბევრ სხვა რამესთან ერთად თქვა შემდეგი: „უდიდეს მწუხარებას შეუძლია დადუმდეს იმაზე, რასაც ის გრძნობს. . . . ერთ ღამეში განადგურდა ქმნილება, რომელიც ათი წლის განმავლობაში აღიმართა ჩვენი მოძრაობით შთაგონებული უამრავი მეგობრის თავგანწირული სიყვარულითა და ერთგულებით. ცხადია, სწორედ დღეს უსიტყვო მწუხარებაში უნდა იგრძნობოდეს, თუ რამდენად უსაზღვრო სიყვარული და ზრუნვა ჩაიდო ამ შრომაში. . . . რამდენადაც ჩვენ ამოვდივართ იმ გრძნობიდან, რომ ყოველივე ჩვენ მი-

ერ ამ მოძრაობის ფარგლებში განხორციელებული კაცობრიობის თანამედროვე ცივილიზაციის შიგნით წარმოადგენს აუცილებლობას, ამიტომ გვსურს ჩაფიქრებულის შეძლებისდაგვარად გაგრძელება ჯერ კიდევ შემორჩენილის ფარგლებში და თუნდაც ამ საათს, როცა გარეთ ჯერ კიდევ ანთია ალი, რომელიც ჩვენში აღიბეჭდება ასეთი ძლიერი ტკივილით, გვინდა შევასრულოთ ის პიესა, რომელიც გათვალისწინებული იყო ამ კურსის დასასრულს და იმედი გვაქვს ჩვენი კურსის მონაწილეების. ასევე დღეს საღამოს 8 საათზე მე აქ, სადურგლო სახელოსნოში, წავიკითხავ უკვე დანიშნულ მოხსენებას“.

აღნიშნული კურსი განკუთვნილი იყო ანთროპოსოფიული საზოგადოების წევრთათვის, მაგრამ ამავე დროს მოწვეული იყვნენ სხვა დაინტერესებული პიროვნებებიც. ამის წყალობით ამ ლექციებს ჰქონდა ღია ხასიათი. მოცემული კურსის მეექვსე ლექციის წინ მთლიანად დაიფერფლა გოეთეანუმის შენობა, სადაც ლექციები ტარდებოდა; ეს კურსის მსმენელებისთვის ღრმად ტრაგიკული განცდის წყაროდ იქცა.

პირველი ლექცია

დორნახი, 1923 წლის 24 დეკემბერი

ჩემო ღრმად პატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ და ძვირფასო მეგობრებო! შობის ამ დღეს თქვენ აქ შეიკრიბეთ სხვადასხვა ადგილიდან, რომ იმუშაოთ გოეთეანუმში და განავრცოთ სულისმეცნიერების სფეროში ჩადებული. ჩვენი განხილვების დასაწყისში მსურს, გულითადად მოგილოცოთ შობა, განსაკუთრებით საზღვარგარეთიდან ჩამოსულ მეგობრებს და ჩვენი საქმით დაინტერესებულებს. უამრავი საქმით ჩემი გადატვირთვის გამო ის, რისი შემოთავაზებაც შემიძლია სწორედ ამჟამინდელ მომენტში, შეიძლება იყოს მხოლოდ იმპულსები ამა თუ იმ მიმართულებით. ასეთი იმპულსების გვერდით, რომლებიც შეიძლება გაჟღერდეს ჩემს სხვა ლექციებშიც, ცხადია, ასევე შესაძლებელია გამოვლინდეს გოეთეანუმში მყოფი პიროვნებების თანაზიარი გრძნობები და აზრები. ამდენად, მე იმედი მაქვს, რომ ის მეგობრები, რომლებიც მუდმივად ან, უკიდურეს შემთხვევაში, დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან აქ გოეთეანუმში და ხანგრძლივად არიან მასთან დაკავშირებულნი, გულითადად მიეგებებიან მათ, ვინც საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა. ვინაიდან ამ ჰარმონიულ ერთობლივ მუშაობაში, ერთობლივ აზროვნებაში და ერთობლივ გრძნობაში განვითარდება კიდეც ის, რაც უნდა იყოს გოეთეანუმის მთელი მუშაობის სამშვინველი, მისი სული და გული, ასევე შემეცნება, სულიერი ქსოვისა და სამყაროს ყოფიერების წინათგრძნობა, და ზემოქმედება, გამომდინარე ამ სულიერი ქსოვიდან და სამყაროს ყოფიერებიდან. და რაც მეტია რეალობა იმისა, რაც იდეალის სახით უნდა გვინათებდეს წინ, რომ წარმოქმნას ანთროპოსოფიული მსოფლმხედველობისადმი ინტერესის მქონე ცალკეული პირების ერთობლივი მოძრაობა, ასევე ჭეშმარიტად შეთანხმებული საზოგადოებრივი მოქმედება და ურთიერთქმედება, მით უფრო რეალურად გამოვლინდება ის, რაც აქ უნდა გამომჟღავნდეს.

ღრმად პატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ, ამ იმედების განხორციელების გათვალისწინებით მე გულითადად მივესალმები ყველას, ვინც ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან და მათ, ვინც დიდი ხანია დაკავშირებულია გოეთეანუმთან.

ის, რისი გადმოცემაც მსურს ამ ლექციებში ცალკეული იმპულსების სახით, ჯერჯერობით არ არის დაკავშირებული, როგორც ჩანს, შობასა და შობის შეგრძნებაზე აზრებთან; მაგრამ მიმაჩნია, რომ შინაგანად ეს მაინც დაკავშირებულია. მოდით, შევეცადოთ იმ ყველაფრის შიგნით, რაც გოეთეანუმიდან გამომდინარე უნდა გამომუშავდეს, მაინც ვისწრაფოთ გარკვეული აღორძინებისკენ, სულიერი შემეცნებისკენ, სულისადმი მიძღვნილი მგრძნობელობისკენ, სულისგან წამოწეული სწრაფვისკენ. ესეც, თუნდაც უფრო გვიანდელ ანასახში, წარმოადგენს გარკვეული თვალსაზრისით ზეგრძნობად-სულიერის შობას და რეალურად არის შობაზე აზრის სიმბოლო, შობა იმ სულიერი არსებისა, რომელმაც დედამიწაზე გამოიწვია კაცობრიობის მთელი განვითარების ახალი განაყოფიერება. ამიტომაც, მე ვისურვებდი ამ განხილვების გადმოცემას ისე, რომ ის შეიმოსოს საშობაო განხილვების განწყობითა და ხასიათით.

ამ მოხსენების თემა თუ ეხება განვითარების სწორედ იმ მომენტს, როცა აზროვნების საბუნებისმეტყველო მეთოდი გამოვლინდა კაცობრიობის თანამედროვე განვითარებაში, მაშინ ეს არ ეწინააღმდეგება განზრახვას, რომელიც ახლა გამოვთქვი, ვინაიდან, ვინც გაიხსენებს იმას, რაც მე უკვე გადმოვეცი მრავალი წლის წინ *ჩემს წიგნში**: „მისტიკა, თანამედროვე სულიერი ცხოვრების გარიჟრაჟზე და მისი მიმართება წარმოდგენის საბუნებისმეტყველო მეთოდთან“, მას შეუძლია თქვას, რომ ჩემთვის ფასეულია ის, რასაც დავარქმევდი *ახალი სულიერების** ჩანასახოვანი ცხოვრების ჭვრეტას წარმოდგენის საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდის გარსში. ჩემი მოსაზრება გამომდინარეობს იმ თვალსაზრისის ობიექტური განხილვიდან, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერული გზა, რომლითაც მოძრაობდა ახალი კაცობრიობა, თუ მას სწორად იგებენ, ის არაა მცდარი, მეტიც – სწორია და რომ ის, მისი სწორად განხილვისას, თავის თავში ატარებს ახალი სულიერი შემეცნებისა და ახალი სულიერი ნებელობითი მოღვაწეობის ჩანასახს. ამ თვალსაზრისით მსურს, მე წავიკითხო ეს მოხსენებები. მათში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუღერდეს მტრობა ბუნებისმეტყველებისადმი; მათ მიზანს და ამოსავალ წერტილს წარმოადგენს განზრახვა, ვიპოვით სულიერ

ცხოვრებაში ჩანასახი, რომელიც ახალი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდით კვლევაში ძევს. მე ამაზე არაერთხელ მისაუბრია სხვადასხვა თვალსაზრისით. და ჩემ მიერ წაკითხული ცალკეული ლექციები *საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების** ცალკეულ სფეროზე ასევე დეტალურად აჩვენებს გზას, რომლის დახასიათებაც მსურს უფრო ვრცლად სწორედ ამ ლექციების მეშვეობით.

ვისაც სურს ახალი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერული კვლევის ნამდვილი აზრის გაგება, რომელიც ხორციელდება აზროვნების ადამიანური მეთოდის მიღმა არსებულის დახმარებით, ის უნდა მიბრუნდეს უკან რამდენიმე ასწლეულით. ვინაიდან იოლად შეიძლება ვერ გააცნობიერო საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენის შინაგანი არსი, თუ მის წვდომას მხოლოდ უშუალოდ თანამედროვეობიდან ესწრაფვი. საბუნებისმეტყველო მეცნიერული კვლევის რეალურ არსს გაიგებ მხოლოდ მაშინ, როცა აკვირდები მის ჩამოყალიბებას რამდენიმე ასწლეულის გავლით. ჩვენ თუ ვისწრაფით ასეთი დაკვირვებისკენ, მაშინ მივალთ დროის იმ მომენტამდე, რომელიც არაერთხელ დავახასიათე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი კაცობრიობის მთელ ახალ განვითარებაში; ჩვენ გადავალთ XIV და XV საუკუნეებში, იმ პერიოდში, როცა იმ აზროვნების პირველი გახსნის წყალობით, რომელშიც ვიმყოფებით დღეს მთლიანად, იხშობა სრულიად სხვა სახის ადამიანური წარმოდგენა, რომელიც ჯერ კიდევ ქმედითი იყო შუა საუკუნეების განმავლობაში. უკან, წარსულის გადახედვისას, ამ ახალი დროის გარიჟრაჟზე, ჩვენ ვხვდებით პიროვნებას, რომელშიც გარკვეულწილად დავინახავთ ყველაფერს, რაც წარმოადგენს გადასვლას აზროვნების ადრინდელი მეთოდიდან უფრო გვიანდელისკენ, იმ გარიჟრაჟზე, როცა ჯერ კიდევ ბევრი რამ ცოცხლობდა მოგონებებით ადრინდელზე, წინარეზე, ჩვენ ვხვდებით *ნიკოლაუს კუზანელს*,* რომელიც იყო, ერთი მხრივ, ეკლესიის უდიდესი მოღვაწე, მეორე მხრივ, თავისი დროის უდიდესი მოაზროვნე. ამ კარდინალს ნიკოლაუს კუზანელს, რომელიც დაიბადა 1401 წელს დასავლეთ გერმანიაში მებადურისა და მევენახის ოჯახში, ხოლო გარდაიცვალა 1464 წელს, როგორც *ეკლესიის დევნილ მოღვაწეს**, როგორც ჩანს, თა-

ვად საკუთარი თავის კარგად კი ესმოდა, მაგრამ მომდევნო დამკვირვებლის გაგებისთვის, გარკვეული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სირთულეები შექმნა.

ამდენად, მომავალმა კარდინალმა ნიკოლაუს კუზანელმა თავისი პირველი აღზრდა მიიღო იმ საზოგადოებაში, რომელსაც ერქვა „*თანაზიარად ცხოვრების ძმები*“. აქ მიიღო მან თავისი პირველი საბავშვო წარმოდგენები და შთაბეჭდილებები. ეს საბავშვო შთაბეჭდილებები თავისებურია. უდავოა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობისას ნიკოლაუსში ცხოვრობდა რაღაც ადამიანური პატივმოყვარეობიდან, რომელიც შერბილდა უდავოდ გენიალური უნარით, განეხილა ის, რაც სინამდვილეში გარდაუვალი იყო სოციალურ ცხოვრებაში, ანუ ნიკოლაუს კუზანელის სოციალურ თანამედროვეობაში. „თანაზიარად ცხოვრების ძმები“ იყო რაღაც საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ხასიათის სიღრმიდან გამომდინარე, უკმაყოფილონი იყვნენ, როგორც ეკლესიის ინსტიტუტების, ისე იმით, რაც მაშინ ეკლესიაში მეტ-ნაკლებ ოპოზიციაში იდგა თავად მასთან მიმართებაში, ისინი ასევე უკმაყოფილონი იყვნენ, როგორც ბერობით, ისე ორდენის არსით.

„თანაზიარად ცხოვრების ძმები“ იყვნენ გარკვეულწილად, მისტიკური რევოლუციონერები. რასაც ისინი საკუთარ იდეალად განიხილავდნენ, ამ ყველაფრის მიღწევა, არსებითად, სურდათ მხოლოდ მშვიდობიანი და ადამიანურ ძმობაში განხორციელებული ცხოვრების გაცნობიერების მეშვეობით. მათ არ სურდათ ძალაუფლებაზე დაფუძნებული ბატონობა, რომელსაც იმ დროს ადგილი ჰქონდა და რასაც გარეგნული ეკლესია სინამდვილეში არაჯანსაღი ფორმით ახორციელებდა. მათ ასევე არ სურდათ გაუცხოებულიყვნენ სამყაროსგან, ბერების მსგავსად. ისინი გულმოდგინედ იცავდნენ გარეგნულ სისუფთავეს, თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ თითოეულ მათგანს საიმედოდ და ბეჯითად შეესრულებინა თავისი მოვალეობა გარე სამყაროში, საფუძვლიანად იმ პროფესიაში, რომელსაც ის ეკუთვნოდა. მათ არ სურდათ ცხოვრებიდან გასვლა, მათ მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ცხოვრებაში, რომელიც რეალურ მუშაობას ეძღვნებოდა, საკუთარ სამშვინველებში ჩაღრმავებულიყვნენ, რათა ცხოვრების გარეგნულ სინამდვილესთან ერთად, რომელსაც ისინი

მიიჩნევდნენ ცხოვრებისეული გამოცდილებით აღსავსედ, მოეძებნათ რელიგიურ-სულიერი შეგრძნების სიღრმე და შინაგანი ცხოვრება. ამდენად, ეს საზოგადოება ადამიანურ თვისებებს აყალიბებდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ატმოსფეროს, რომელშიც უნდა ეცხოვრა განსაზღვრულ ღვთაებრივ გულითადობასა და სულიერ სიღრმეს. ნიკოლაუს კუზანელი ამ საზოგადოებაში იზრდებოდა ჰოლანდიის ქალაქ დევენტორში. ამ საზოგადოების სხვა წევრების უმრავლესობა უპირატესად იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვიწრო შეზღუდულ წრეში ახორციელებდნენ თავიანთ მოვალეობებს და, გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, წყნარ ოთახებში ეძიებდნენ თავის გზას ღმერთისა და სულიერი სამყაროსკენ.

თავისი ბუნებით ნიკოლაუსს მიდრეკილება ჰქონდა, ყოფილიყო ადამიანებს შორის და სოციალური ცხოვრება მოეწყო საკუთარი შემეცნების ძალისა და საკუთარი ნების მეშვეობით, რომელიც მომდინარეობდა შემეცნებიდან. ამდენად, შინაგანმა სწრაფვამ ძმური ცხოვრების მშვინვიერებისკენ, ნიკოლაუსში, რომელიც იყო კუესიდან, მალევე აღძრა ლტოლვა გასულიყო სამყაროში უფრო ძლიერად. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო იმით, რომ ის სწავლობდა სამართალმცოდნეობას. ამასთან, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს, XV საუკუნის პირველ ნახევარში, ცალკეულ მეცნიერებებს გაცილებით მეტი შეხების წერტილები ჰქონდათ, ვიდრე ეს ხდებოდა მოგვიანებით და მით უმეტეს, როგორც ეს ხდება ჩვენს დროში. ასე ეწეოდა ნიკოლაუს კუზანელი იურიდიულ პრაქტიკას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თუმცა, სწორედ მისი ცხოვრების პერიოდში, სოციალურ ცხოვრებაში ყველა სფეროში გავრცელდა ქაოსი. ამიტომ მას მობეზრდა იურიდიული პრაქტიკა და ის შეიმოსა კათოლიკური ეკლესიის მღვდლის სამოსით. იგი ყოველთვის იყო ისეთი, როგორიც შესაბამისად ხდებოდა. ასევე მოხდა ახლაც, როცა იგი მთლიანად იქცა მაშინდელი ეკლესიის მღვდლად, ის გავლენას ახდენდა სხვადასხვა სულიერ დაწესებულებაზე, რომელსაც მას აბარებდნენ, მაგრამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მან *ბაზელის კრებაზე**. მან საკუთარი თავი დააყენა *უმცირესობის სათავეში**, რომელიც, არსებითად, ისწრაფოდა, ბოლოს და ბოლოს, პაპის ტახტის აბ-

სოლუტური ძალაუფლების შენარჩუნებისკენ. უმრავლესობა, რომელიც ძირითადად შედგებოდა დასავლეთის ეპისკოპოსებისა და კარდინალებისაგან, ისწრაფოდა, მე ვიტყოდი, საეკლესიო მმართველობის უფრო დემოკრატიული ფორმისკენ. პაპი უნდა დაქვემდებარებოდა კრებას. ამას, ცხადია, მიჰყავდა კრების განხეთქილებისკენ. ნიკოლაუს კუზანელის მიმდევრებს კრების ადგილი გადააქვთ სამხრეთში; სხვები რჩებიან ბაზელში და *ხდებიან პაპის მოწინააღმდეგენი**. მაგრამ ნიკოლაუსი მტკიცედ აგრძელებს პაპობის აბსოლუტურობის დაცვას. საკმარისი გაგების მიუხედავად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რანაირი შეგრძნებები უბიძგებდნენ ამისკენ ნიკოლაუს კუზანელს, ასევე წარმოვიდგინოთ, როგორ უთხრა მან თავის თავს: „ის, რაც დღეს შეიძლება მოდიოდეს რაღაც უმრავლესობისაგან, შესაძლებელია იქცეს მხოლოდ გარკვეულ დონეზე ნატიფი სახის საერთო ქაოსად, რომელიც ჩვენ უკვე გვაქვს“. მას სურდა, რომ ყოფილიყო მტკიცე ხელი, რომელსაც ხელეწიფება ორგანიზაციისა და წესრიგის დამყარება. ცხადია, ამ მტკიცე ხელის ქმედება უნდა განმსჭვალულიყო გაგებით, მაგრამ მაინც, მას სურდა ეს მტკიცე ხელი. მოგვიანებით, როცა გაემგზავრა შუა ევროპაში, ის ასევე ასაბუთებდა ამ მოთხოვნას და გამოდიოდა *პაპის ეკლესიის** დამკვიდრების იდეით. ასე იქცა სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, თვისთავად ცხადად, რომ იგი დაინიშნა კარდინალად მაშინდელი პაპის ეკლესიის მიერ.

ზემოთ უკვე გითხარით, რაც მართლაც გასაოცარია, რომ ნიკოლაუსს, ალბათ, ძალიან კარგად ესმოდა საკუთარი თავის, მაგრამ შემდეგ ამ პიროვნების გაგების დროს დამკვირვებელს წარმოექმნება სირთულეები. ჩვენთვის ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება, როცა ახლა ვხედავთ, როგორ უვლიან გვერდს ყველგან აბსოლუტური პაპობის ამ დამცველს და მასში ვპოულობთ, – ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენ უშუალოდ მივიღებთ სიტყვებს, რომლებიც მე ვთქვი, მაგ., *იმ დროს თურქულ შემოჭრასთან** დაკავშირებით, – ფანატიკურ დამცველს დასავლეთ ევროპის ამ ქრისტიანობისა, რომელიც შეფერილია სწორედ პაპის ძალაუფლებით. ერთი მხრივ, ეს იყო აღფრთოვანებული სიტყვები, რომლებიც ნიკოლაუს კუზანელმა, მაშინ უკვე, სა-

ვარაუდოდ, საიდუმლოდ *დანიშნულმა კარდინალმა**, თქვა წარმართებთან მიმართებაში, – მგზნებარე სიტყვები, რომლითაც იგი დაჟინებით მოუწოდებდა ევროპულ ცივილიზაციას, შეექმნათ ერთიანი ფრონტი იმის წინააღმდეგ, რაც თურქების სახით გადმოვიდა აზიიდან. აქ ჩვენ კვლავ და კვლავ გვაოცებს, როცა, მეორე მხრივ, ვეცნობით *ნიკოლაუს კუზანელის ერთ თხზულებას**, რომელიც წარმოიქმნა, სავარაუდოდ, თურქების წინააღმდეგ მის მიერ წარმოებული ფანატიკური ბრძოლების შუა პერიოდში, ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: როგორ ქადაგებს ნიკოლაუს კუზანელი მგზნებარედ მოსალოდნელი თურქული საშიშროების წინააღმდეგ და აღანთებს სამშვინველებს, გაეშურონ ევროპული ცივილიზაციის გადასარჩენად, რათა დაიცვან ევროპა თურქული საშიშროებისაგან. შემდეგ ის ჯდება საწერ მაგიდასთან და წერს თხზულებას იმაზე, როგორ შეიძლება აღიზარდონ ქრისტიანები და იუდეველები, წარმართები და მუსულმანები, თუ მათი სწორად გესმის, მშვიდობიანი ურთიერთობისთვის, საყოველთაო ზოგადსაკაცობრიო ღმერთის თაყვანისცემისა და შემეცნებისთვის, რომ ქრისტიანებში, იუდეველებში, მუსულმანებსა და წარმართებში, არსებითად, ცხოვრობს რაღაც საერთო, რომლის მხოლოდ გაგებაა საჭირო, რომ დამკვიდრდეს მშვიდობა ადამიანებს შორის. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, როგორ იღვრება ამ პიროვნების წყნარ ოთახში სრული მშვიდობისმოყვარე განწყობა ყველა რელიგიასა და კონფესიასთან დაკავშირებით, ამავე დროს ჩვენ ვხედავთ და გვესმის, როგორ მოუწოდებს ის ბრძოლისკენ, როცა საჯაროდ წარმოთქვამს ყველაზე ფანატიკურ სიტყვებს.

ეს არის მოვლენები, რომლებიც ართულებენ ისეთი პიროვნების გაგებას, როგორიცაა ნიკოლაუს კუზანელი. მის გაგებას შეძლებს მხოლოდ ის, ვინც ნამდვილად გონივრულად ჩაიხედავს იმ დროში. ამ პიროვნებას უფრო იოლად გაიგებ, თუ მას განიხილავ, გამომდინარე მისი ეპოქის მთელი შინაგანი სულიერი განვითარების მსვლელობიდან. ჩვენ კი არ გავაკრიტიკებთ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გვსურს, ერთი მხრივ, განვიხილოთ ეს გარეგნულად ბობოქარი მოღვაწეობით შეპყრობილი მამაკაცი, რომელიც მოქმედებდა, შესაძლოა ისე, როგორც მე აღვწერე, მეორე

მხრივ კი, განვიხილოთ, რა ცხოვრობდა მის სამშვინველში და ორივე ეს მხარე გვერდიგვერდ დავაყენოთ.

ნიკოლაუს კუზანელის სამშვინველში მომხდარს ყველაზე უკეთ დავაკვირდებით, როცა შევისწავლით განწყობას, რომელშიც ის იმყოფება, როცა დაბრუნდა ერთი *მისიიდან*, რომელიც განახორციელა პაპობის (Papsttums) დავალებით *კონსტანტინოპოლში**, სადაც მას უნდა ემოქმედა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების შერიგებისთვის. როცა იგი გემით ბრუნდებოდა, მას ვარსკვლავიერ ცაზე შეხედვისას მოუვიდა უმთავრესი აზრი, მეტიც, შეიძლება ითქვას, მოუვიდა ძირითადი გრძნობა იმ თხზულებისა, რომელიც შემდეგ 1440 წელს გამოაქვეყნა სახელწოდებით: „De docta ignorantia“*: – განათლებული უცოდინრობა. როგორი განწყობა განიცდის თავის თავს ამ „De docta ighorantia“-ში?. როგორც ჩანს, კარდინალი ნიკოლაუს კუზანელი დიდი ხნიდან აღიქვამდა საკუთარ სამშვინველში იმ ყველაფერს, რაც შუა საუკუნეების განმავლობაში სულის შემეცნებისკენ ბიძგის მიმცემი იყო. კარდინალი ნიკოლაუს კუზანელი, როგორც ჩანს, გარკვეული იყო იმ ყველაფერში, რაც გამომუშავდა შუა საუკუნეებში აღორძინებული პლატონიზმით, ასევე აღორძინებული არისტოტელიზმით. კარდინალი ნიკოლაუს კუზანელი, ცხადია, სიღრმისეულად იცნობდა ყველაფერს, რაც გამოითქვა, მაგ., თომა აქვინელის მიერ სულიერ სამყაროებზე სწორედ ისე, თითქოს ადამიანური ცნებებისთვის ყველაზე ბუნებრივი იყო, ამაღლებულიყო გრძნობადი შემეცნებიდან სულიერი შემეცნებისკენ. კარდინალი ნიკოლაუს კუზანელი დაკავშირებული იყო იმ ყველაფერთან, რაც წარმოადგენდა შუა საუკუნეების თეოლოგიას, იმის ძირითად ცოდნას, რაც იმ დროს მისაწვდომი იყო ადამიანისთვის მათემატიკურ შემეცნებებში. ნიკოლაუსი ძალიან კარგი მათემატიკოსი იყო, ასე რომ, მისი სამშვინველის სტრუქტურა შედგებოდა, ერთი მხრივ, სწრაფვისგან, ძირითადი თეოლოგიური ცნებების დახმარებით ამაღლებულიყო იმ სულიერ სამყაროში, რომელიც ადამიანს ეხსნება, როგორც ღვთაებრივი; მეორე მხრივ კი, ამ სამშვინველში ცხოვრობდა ყოველივე ის, რაც წარმოიქმნება ადამიანში აზროვნების შინაგან დისციპლინაში, აზროვნების შინაგან სიმკაც-

რეში და ასევე აზროვნების შინაგან საიმედოობაში, როცა იგი ეფლობა მათემატიკურ სფეროში.

ამდენად, ნიკოლაუსი იყო, ერთი მხრივ, ღრმა და, მეორე მხრივ, საიმედო მოაზროვნე. როცა იგი კონსტანტინოპოლიდან უახლოვდებოდა დასავლეთ ევროპას, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ, მას ვარსკვლავიერ ცაზე შეხედვისას გაეხსნა ის, რაც მანამდე მიედინებოდა დამახასიათებელი გაორებით, ის, რაც მანამდე მის სამშვინველში ცხოვრობდა განწყობის სახით და რაც გამოიხატა შემდეგში. ღმერთისკენ ამ მოგზაურობით მან განიცადა რაღაც, რაც ცნებებისა და იდეების ადამიანური ცოდნის მიღმა ძევს. მან საკუთარ თავს უთხრა: ცნებებისა და იდეების ჩვენეული ცოდნით შეგვიძლია აქ, დედამიწაზე ცხოვრება, ამ ცნებებისა და იდეების მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ჩვენივე ცნობიერებით გამოვიმუშავოთ ის, რაც ჩვენს გარემოცვაშია ბუნების სამეფოში. მაგრამ ეს ცნებები ხდება სულ უფრო პარალიზებული, როცა გვსურს, მზერა მივაპყროთ იმას, რაც გვეხსნება, როგორც ღვთაებრივი. ის, რაც სრულიად სხვა თვალსაზრისიდან გამომდინარე *იხსნება სქოლასტიკაში**, როგორც უფსკრული ადამიანურ შემეცნებასა და გამოცხადებას შორის, ნიკოლაუსისთვის იქცა უშინაგანეს მშვინვიერ განწყობად, გულითად პიროვნულ გარემოებად. იგი საკუთარ სამშვინველში ძალიან ხშირად ახორციელებდა ამ მიმოხილვას და აზრობრივად მიყვებოდა გზას, როგორც ეხება აზრი თავიდან იმას, რაც ჩვენს გარემოცვაშია ბუნების სამეფოებში, როგორც ცდილობს შემდეგ აზრი ამაღლებას ბუნების ამ სამეფოდან ღვთაებრივი აზრებისკენ, როგორც ხდება ის აქ სულ უფრო ნატიფი და თხელი, ხოლო ბოლოს მთლიანად გაიბნევა არარაში და უკვე იცი: მხოლოდ ახლა ამ არარას მიღმა, რომელშიც ის, როგორც აზრი გაიბნა, იმყოფება ღვთაება. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი გულითად სიყვარულში, რომელსაც იგი ავითარებს ამ აზრობრივი ცხოვრებისგან მოშორებით, გაივლის ნათებაში გზას, ამ აზრების გზას და შეუძლია მისი გაგრძელება კიდევ უფრო შორს, როცა სიყვარული იქნება უპირატესი აზრებზე, მაშინ ეს სიყვარული შეიძლება განეფინოს იმ სფეროში, სადაც არაა განფენილი აზრობრივი ცოდნა. ასე მიუთითა სამშვინველის ერთმა კითხვამ ნიკოლაუს კუზანელს საკუთარ ღვთაებრივ

სფეროზე, როგორც იმაზე, რის წინაშეც ადამიანური აზრი სუსტდება, რომლის წინაშეც ადამიანური ცოდნა განეფინება არარაში: docta ignorantia – განათლებული უცოდინარობა. თუ განათლებულობა, თუკი ცოდნა, – ასე ეუბნებოდა ნიკოლაუს კუზანელი საკუთარ თავს, – უკეთილშობილესი აზრით იძენს საკუთარი თავისგან განდგომის ფორმას იმ მომენტში, როცა ის ესწრაფვის სულს, მაშინ ეს ცოდნა ხდება საუკეთესო რამ და მაშინ წარმოქმნება ეს docta ignorantia. სწორედ ამ განწყობიდან გამომდინარე გამოაქვეყნა ნიკოლაუს კუზანელმა 1440 წელს თავისი „Docta ignorantia“.

ახლა ცოტა ხნით დავტოვოთ ნიკოლაუს კუზანელი და შევისწავლოთ მისი ერთ-ერთი წინამორბედი, შუა საუკუნეების მისტიკოსი. მე ის აღვწერე საკუთარ წიგნში მისტიკაზე, რამდენადაც სულისმეცნიერებისთვის სწორედ ის არის მნიშვნელოვანი. შევიდეთ *მაისტერ ეკხარტის** ოთახში. აქ ჩვენ წინაშეა ადამიანი, რომელიც გარეგნულმა ეკლესიამ ერეტიკოსად შერაცხა. მაისტერ ეკხარტის თხზულებები შეიძლება წაიკითხო სხვადასხვანაირად და დატკბე მისი ამ მისტიკის გულწრფელობით. მაგრამ კიდევ უფრო სიღრმისეულად ჩასწვდები, თუ მრავალჯერ გადაკითხვით, მიხვალ მაისტერ ეკხარტის ძირითად განწყობასთან. სამშვინველის ამ განწყობას მე ასე დავახასიათებდი: ჯერ კიდევ ნიკოლაუს კუზანელამდე განიმსჭვალა მაისტერ ეკხარტი იმით, რასაც ეძებს შუა საუკუნეების ქრისტიანული თეოლოგია, როგორც აღმასვლას ღვთაებისკენ, სულიერ სამყაროში. მაისტერ ეკხარტის თხზულებების შესწავლისას მრავალ ცვლილებას შორის ჩვენ შეგვიძლია კვლავ გამოვავლინოთ ტომიზმის ცვლილებები. და მაინც, როცა თეოლოგიური აზროვნებიდან გამომდინარე მაისტერის ეს სამშვინველი ეძლევა აღმაფრენას ნამდვილ სულიერ სამყაროში, რომელთანაც კავშირსაც ეს სამშვინველი გრძნობს, მაშინ ეს სამშვინველი ყოველთვის მიდის იქამდე, რომ საკუთარ თავს უთხრას: მთელი ამ აზროვნებით, მთელი ამ თეოლოგიით მე არ მივეახლები იმას, რასაც წარმოადგენს ჩემი სიღრმისეული არსი, ღვთაებრივი ნაპერწკალი ჩემს ამ არსში. ეს აზროვნება, თეოლოგია და იდეები მე მაძლევენ რაღაცას აქ, რაღაცას იქ – ყველგან ამა თუ იმ რაღაცას. მაგრამ არაფერი მთელი ამ რაღაციდან არ წარმოადგენს რაიმეს, იმის

მსგავსს, რასაც წარმოადგენს ღვთაებრივ-სულიერი ნაპერწკალი ჩემს საკუთარ სამშვინველში. ასე ვარ მე ამოგდებული იმ ყველაფრისგან, რაც ჩემს სამშვინველს აზრებით აღავსებს; უპირველეს ყოვლისა, რაც ჩემს სამშვინველს აღავსებს ასევე გრძნობებითა და მოგონებებით მთელი სამყაროსეული ცოდნიდან, რომელიც მე შემიძლია აღვიქვა უმაღლეს დონემდე. ასე ვარ მე ამოგდებული ამ ყველაფრისგან, როცა მსურს საკუთარი თავისებურების უღრმესი არსის ძიება. ასევე, მე ვიმყოფები არარაში, როცა მსურს მისი ძიება. მე ვეძიებდი და ვეძიებდი. მე ის გავიარე, ეს გზა, რომელსაც მოაქვს ჩემთვის იდეები, მოაქვს ჩემთვის სამყაროდან მოპოვებული შეგრძნებები და ამ გზაზე, რომელზეც მე ბევრი რამ ვიპოვე, მე ვეძიებდი საკუთარ „მე“-ს. „მე“-სკენ მიმავალ გზაზე, სანამ ვიპოვიდი ამ „მე“-ს, რომლის საძიებლადაც ყველაფერი წარმმართავდა ბუნების სამეფოებისკენ, მე აღმოვჩნდი „არარაში“.

ასე გრძნობდა მაისტერ ეკხარტი „მე“-ს ძიებისას საკუთარ თავს არარაში ჩავარდნილს და შუა საუკუნეების ამ მისტიკოსის სიტყვები, რომელიც ძალზე ღრმად იჭრება გულსა და სამშვინველში, ჟღერს სწორედ ამ გრძნობიდან გამომდინარე. ის ასეთია: *მე ვეფლობი ღვთაების ამ არარაში** და ვარ მარადიული ამ არარას მეშვეობით, „მე“-ს ამ უარყოფის მეშვეობით. მე ვეფლობი ღვთაების არარაში და ვხდები ამ არარაში რაღაც მე (Icht), რაღაც „მე“ (Ich). მე ღვთაების ამ უარყოფიდან (Nicht) მარადისობაში უნდა მივიღო „მე“. ამ მისტიკოსთან ჩვენ წინაშე შეუმჩნევლად გამოდის მძლავრი სიტყვა. და მაინც, ამ მისტიკოსის გულის სიღრმეში, როცა მას სურდა, სამყაროს ძიებიდან გამომდინარე, მისულიყო „მე“-ს ძიებამდე, გაჟღერდა ეს სწრაფვა უარყოფისკენ, რომ „მე“ ეპოვა უარყოფაში, რატომ? დიახ, ადრინდელ დროებს თუ მივუბრუნდებით, ვნახავთ, რომ ადრინდელი დროების ყველა შემეცნებაში სამშვინველის შინაგანი ჭვრეტისას ცოცხლობდა შესაძლებლობა იმისა, რომ ამ შინაგანი ჭვრეტისკენ შიგნიდან ასხივებდა სული. ეს იყო ჯერ კიდევ უძველესი პნევმატოლოგიის მემკვიდრეობა, რომელზეც აქ კიდევ გვექნება საუბარი. როდესაც, მაგალითად, *თომა აქვინელი** ჭვრეტდა სამშვინველში, მაშინ იგი ამ სამშვინველში პოულობდა ცოცხალსა და ქმედით სული-

ერს. თომა აქვინელი ეძებდა არა თავად სამშვინველში, არამედ იმაში, რაც, სულიერი სახით ცოცხლობს და მოქმედებს სამშვინველში, ასევე ეძებდნენ მისი წინამორბედები საკუთარ „მე“-ს. სამშვინველის მეშვეობით ისინი უყურებდნენ სულს და სულში პოულობდნენ ამ „მე“-ს, როგორც ღმერთის მიერ ბოძებულ საკუთარ „მე“-ს. ისინი ამბობდნენ, ყოველ შემთხვევაში, მათ ყოველთვის შეეძლოთ ეს ეთქვათ, თუნდაც ბოლომდე არც დაესრულებინათ, რომ: მე ვიჭრები საკუთარი სამშვინველის შინაგანში, ვჭვრეტ სულს და სულში ვპოულობ „მე“-ს. თუმცა კაცობრიობის განვითარებაში მოხდა ისე, რომ მან თავისუფლების სამეფოსკენ წინსვლის გზაზე დაკარგა იმის უნარი, რომ შინაგანი ჭვრეტისას ეპოვა სული.

და მაინც, იოანეს სკოტ ერიგენი ისე არ იტყოდა, როგორც მაისტერ ეკხარტი. იოანეს სკოტ ერიგენი ამბობდა: მე ვიხედები ჩემს შინაგანში. როცა მოვიარე გზები, რომლებიც წარმმართავდნენ გარე სამყაროს სამეფოების გავლით, მე საკუთარ შინაგანში, საკუთარ სამშვინველში გავხსენი სული, ამის წყალობით კი სამშვინველში – ცოცხალი და მოქმედი „მე“. მე ვღრმავდები ღვთაებაში, როგორც სული და ვპოულობ „მე“-ს. უბრალოდ ადამიანთა ბედისწერა იყო ისეთი, რომ იგივე გზა, რომლის გავლაც კაცობრიობისთვის ადრინდელ ასწლეულებში ჯერ კიდევ შეიძლებოდა, ახლა უკვე სწორედ მაისტერ ეკხარტის დროისთვის შეუძლებელი იყო. იმავე გზით სიარულისას, რა გზითაც მიდიოდა იოანეს სკოტ ერიგენი, ან თვით იმ გზით, რომლითაც მიდიოდა თომა აქვინელი, მაისტერ ეკრახტი ღრმავდება არა ღმერთის სულში, არამედ ღრმავდება ღვთაების უარყოფაში და მან ამ უარყოფიდან უნდა მოიპოვოს „მე“. მაგრამ ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ შინაგანი ჭვრეტისას კაცობრიობამ დაკარგა პერსპექტივა სულის მიმართულებით. საკუთარი ღრმა გულითადობიდან გამომდინარე მაისტერ ეკრახტი სულს იძენს უარყოფიდან. მისი მიმდევარი, ნიკოლაუს კუზანელი კი სრულიად გარკვევით აღიარებს: ყოველივე, რაც ჩვენ წარგვმართავდა აზრებისა და იდეების გზაზე ადრინდელი ძიებების დროს, სუსტდება, ნადგურდება, როცა გინდა სულიერ სფეროში შესვლა. სამშვინველმა დაკარგა შესაძლებლობა, საკუთარ შინაგანში

მოიპოვოს სულიერი სფერო. და ნიკოლაუს კუზანელი საკუთარ თავს ეუბნება: თუ მე აღვიქვამ ყველაფერს, რისი მოცემაც თეოლოგიას შეუძლია, მაშინ მე შევდივარ ადამიანური აზროვნების ამ არარაში და უნდა შევუერთდე იმას, რაც ცოცხლობს ამ არარაში, რომ ჯერ შევძლო ამ docta ignorantia-ში სულის განცდა. – ასეთ შემთხვევაში ხომ შეუძლებელია ამ ცოდნის, ამ შემეცნების გამოთქმა. მაშინ ადამიანმა უნდა დაკარგოს მეტყველების ნიჭი, თუ მან მიაღწია წერტილს, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, docta ignorantia-ს მეშვეობით მიეცემა სულიერის განცდის უნარი.

ამდენად, ნიკოლაუს კუზანელი არის ის, ვინც შუა საუკუნეების თეოლოგიას თავის საკუთარ პირად განვითარებაში შეიგრძნობდა მისი დასრულების დროს და უახლოვდებოდა docta ignorantia-ს. ის ერთდროულად არის მტკიცე მათემატიკოსიც. იგი თავის თავში აღიქვამდა აზროვნების შინაგან სიმკაცრეს, რომელიც მოვიდა მათემატიკაში განსწავლით. მე ვიტყოდი, რომ მაშინ, როცა მას გაეხსნა ეს docta ignorantia, მან ამ შინაგანიდან მორიდებულად გამოიყენა ის, რაც მიიღო საკუთარ სამშვინველში, როგორც ამგვარი მათემატიკური საიმედოობა. ყოველგვარი მათემატიკური სიმბოლოებისა და ფორმულების ფრთხილი სიმბოლიზაციით იგი შეეცადა, მიახლოებოდა სფეროს, რომელშიც იგი შეჰყავთ მისი docta ignorantia-ს მეშვეობით. მაგრამ ის ყოველთვის აცნობიერებს: ეს არის სიმბოლოები, რომელთაც მაწვდის მათემატიკა. ამ მათემატიკას მე დავეუფლე საკუთარ სამშვინველში. ის ჩემთვის დარჩა, როგორც უკანასკნელი უძველესი ცოდნიდან. მის საიმედოობაში ეჭვს ვერ შევიტან ისევე, როგორც თეოლოგიის საიმედოობაში, ვინაიდან მე განვიცდი მათემატიკის საიმედოობას, მათემატიკის საკუთარ თავში აღქმით. – მაგრამ ამავდროულად სხვა ტვირთი, რომელიც მისთვის გამოვლინდა თეოლოგიის უბადრუკობიდან (Nullität), მასში იმდენად მძიმე გახდა, რომ მას ეშინოდა, მათემატიკური სიმბოლოები გამოეყენებინა სხვაგვარად, ვიდრე სიმბოლოებად docta ignorantia-ს სფეროში. ამით სრულდება ადამიანური აზროვნების მოღვაწეობის ეპოქა. ნიკოლაუს კუზანელი თავის შინაგან მშვინვიერ განწყობაში მათემატიკოსია, თითქმის ისეთივე, როგორც მოგვიანე-

ბით კარტეზიუსი, მაგრამ მას არ ეყო სიმამაცე მათემატიკური საიმედოობით მოეცვა ის, რაც მისთვის ხასიათდებოდა ისე, როგორც მან გამოხატა ეს თავის docta ignorantia-ში. გარკვეულწილად მან შეიგრძნო, როგორ სცილდება სულიერი სფერო კაცობრიობას, როგორ ქრება ის სულ უფრო მეტად შორეთში, რომ მისი მიღწევა შეუძლებელია ადამიანური ცოდნით, როგორც აუცილებელია, ყველაზე ღრმა აზრით გახდე არმცოდნე, რომ სიყვარულში გამთლიანდე ამ სულიერ სფეროსთან.

ეს განწყობა მომდინარეობს იქიდან, რისი ამოკითხვაც შეიძლება ნიკოლაუს კუზანელის მიერ 1440 წელს გამოქვეყნებული „Docta ignorantia"-დან. დასავლური ცივილიზაციის კაცობრიობა გარკვეულ დონემდე ისე ვითარდებოდა, რომ ოდესღაც მას სჯეროდა: უახლოეს პესპექტივაში მის წინაშე იქნება სულიერი სფერო. შემდეგ ეს სულიერი სფერო სულ უფრო შორდებოდა მის დამკვირვებელ და განმხილველ ადამიანს და საბოლოოდ გაქრა. და docta ignorantia 1440 წელს არის აშკარა აღიარება იმისა, რომ შემეცნების იმდროინდელი ჩვეულებრივი ადამიანური მზერა უკვე არ ადის იმ პერსპექტიულ შორეთში, რომელშიც ადამიანისგან გადავიდა სულიერი სფერო. საიმედო მეცნიერება, მათემატიკა ბედავს სიმბოლური ფორმულებით მოეკიდოს მხოლოდ იმას, რასაც შინაგანად მშვინვიერად უკვე ვეღარ ხედავს. ახლა ეს ხდება ისე, თითქოსდა ეს სულიერი სფერო, პერსპექტივაში სულ უფრო მოცილებით, გაქრებოდა უშუალოდ ევროპული ცივილიზაციისგან, მაგრამ მოგვიანებით დაბრუნდებოდა სხვა სფეროში, რომელსაც ევროპული ცივილიზაცია ახლა თავისი მიდრეკილებებით, დაკვირვებებით გრძნობადი სამყაროს სფეროში იტაცებს. და ის, რაც 1440 წელს ნიკოლაუს კუზანელმა მორიდებით, სიმბოლურად გააკეთა მათემატიკის დახმარებით სულიერ სფეროსთან მიმართებაში, რომელიც მისგან ქრებოდა, *ნიკოლაუს კოპერნიკმა** მათემატიკური აზროვნება, მათემატიკური ცოდნა გაბედულად და დაჟინებით გამოიყენა გარეგნული გრძნობადი სამყაროს მიმართ. იმ დროს, როცა 1440 წელს „Docta ignorantia" გამოვიდა აღიარებით, რომ სულიერ სფეროს უკვე ვერ დაინახავ თვით საიმედო აზროვნებითაც, 1543 წელს გამოდის ნიკოლაუს კოპერნიკის ნაშრომი „ციურ სხეულთა

მოძრაობაზე“ („De revolutionibus orbium coelestium“), სადაც კატეგორიული სითამამით სამყარო წარმოდგენილია ისე, რომ ეს უნდა გამოვლინდეს საიმედო მათემატიკაში.

წარმოვიდგინოთ, სულიერი სფერო იმდენად დაშორებულია ადამიანური შემეცნებისგან, რომ თვით მათემატიკასაც შეუძლია მასთან მიახლოება მობურტყუნე სიმბოლოებში, – ასე ამბობდა ამას 1440 წელს ნიკოლაუს კუზანელი; წარმოვიდგინოთ მათემატიკა ისეთი ძლიერი და საიმედო, რომ შეიძლება გრძნობადის გადალახვა და მეცნიერულად შემეცნებით გრძნობადი სამყარო მიიყვანო მათემატიკურ ფორმულებში გამოხატვამდე – ასე საუბრობდა 1543 წელს ნიკოლაუს კოპერნიკი ევროპულ ცივილიზაციაზე. მათ შორის ძევს ერთი ასწლეული. ამ ასწლეულში იშვა დასავლეთ ევროპული მეცნიერება. მანამდე ის იმყოფებოდა ე. წ. ემბრიონულ მდგომარეობაში. ვისაც სურს, გაიგოს, რამ გამოიწვია ამ დასავლეთ ევროპული მეცნიერების დაბადება, მან გონივრულად უნდა მიმართოს საკუთარი მზერა იმ ასწლეულზე, რომელიც ძევს „docta ignorantia“-სა და „De revolutionibus orbium coelestium“-ს შორის. როგორი განაყოფიერება ხდება აქ ადამიანური მშვინვიერი ცხოვრებისთვის, როგორ თვითაღკვეთას უნდა მიეცეს ადამიანური მშვინვიერი ცხოვრება, ამის სწავლა აუცილებელია, თუ გსურს, გაიგო ჯერ კიდევ დღესაც ბუნებისმეტყველების აზრი. საჭიროა ასე შორს მიბრუნება. და თუ გსურს, დღეს მაინც სწორად იმყოფებოდე საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზრთა წყობის შიგნით და თუკი გსურს სწორად ხედვა, რისი მიღწევაც საკაცობრიო ბუნებისმეტყველებას შეუძლია და როგორ შეუძლია ბუნებისმეტყველებიდან აყვავება ახალ სულიერ ცხოვრებას, მაშინ დაწყება აუცილებელია იქ და მხოლოდ ოდნავდა გადავხედოთ უკან ემბრიონულ მდგომარეობას, რომელიც, ცხადია, წინ უძღოდა ნიკოლაუს კუზანელს.

ამაზე, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, მე ხვალ ვისაუბრებ.

მეორე ლექცია
დორნახი, 1922 წლის 25 დეკემბერი

ამ მოხსენებების საფუძველში ჩადებულ ისტორიულ მიმოხილვას მე დავარქმევდი სიმპტომურს, ანუ უნდა შევეცადოთ ასეთი განხილვის მეშვეობით კაცობრიობის განვითარების ამ ნაკადიდან გამოვლენილის დახმარებით გარკვეულწილად დავახასიათოთ ტალღები, რომლებიც სიმპტომებია, ის, რაც ხდება კაცობრიობის განვითარების სიღრმეში. არსებითად, ეს უნდა განხორციელდეს ყოველი ჭეშმარიტი ისტორიული განხილვის დროს იმ უბრალო მიზეზით, რომ მოვლენები, პროცესების ჯამი, რომლებიც სინამდვილეში დროის თითოეულ მომენტში ძევს კაცობრიობის განვითარების სიღრმეში, იმდენად მრავალფეროვანია, ისე ინტენსიური, რომ მხოლოდ ზედაპირულად მიანიშნებენ იმაზე, რაც რეალურად ხდება, ანუ ყოველთვის შეიძლება მხოლოდ მინიშნება იმაზე, რაც სიღრმეში ძევს.

ეს ვახსენე იმ უბრალო მიზეზით, რომ გუშინ, აზროვნებისა და კვლევის საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდის დაბადების დახასიათებისას, მე აღვწერე ორი პიროვნება – მაისტერ ეკრახტი და ნიკოლაუს კუზანელი. თუ აქ აღვწერთ ასეთ პიროვნებებს, ეს ხდება იმ მიზეზით, რომ იმას, რასაც შეიძლება ისტორიულად დავაკვირდეთ, სამშვინველსა თუ ასეთი პიროვნებების ყველა ქცევაში, ამას განვიხილავ, როგორც სიმპტომს იმისა, რაც ხდება კაცობრიობის საყოველთაო ჩამოყალიბების სიღრმეებში. ვინაიდან ყოველთვის, მე ვიტყოდი, არსებობს მხოლოდ ზედაპირზე ამოწეული რამდენიმე სურათ-ხატი, რომლებიც შეიძლება მოიხელთო იმის წყალობით, რომ ჭვრეტ ერთ ან მეორე ადამიანურ სამშვინველს. შემდეგ კი ამის წყალობით ახასიათებ დროის ცალკეული ნაკადის ძირითად არსს. სწორედ ეს იგულისხმებოდა, როცა გუშინ დავახასიათე ნიკოლაუს კუზანელი, რომ ამეხსნა, როგორ ვლინდება მის სამშვინველში სიმპტომურად ყოველივე ის, რაც არსებითად, თამაშდებოდა კაცობრიობის სულიერ განვითარებაში XV საუკუნის პირველ ნახევარში, საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდით განხილვისკენ გაღწევით. უუნარობა, მიხვიდე სულიერი სამყაროს აღქმამდე

მთელი იმ ცოდნის მეშვეობით, რომელიც გარკვეულ დონემდე შეიძლება მოაგროვო სამშვინველში იმის წყალობით, რომ ცალმხრივად ეყრდნობი მანამდე თეოლოგიურ საფუძველზე წარმოშობილ შემეცნებას, ან საიმედო მათემატიკური მეთოდით განხილვის მეშვეობით ვერ შეძლო მიიყვანო სულიერი სამყაროს აღქმამდე ისე, რომ ცნებებისა და იდეების მთელი ადამიანური შემეცნებით არ შეჩერდე ამ სულიერი სამყაროს წინაშე და მხოლოდ შეძლო ამ სულიერ სამყაროსთან მიმართებაში დაწერო „Docta ignorantia“, – ეს არის ის, რაც ნიკოლაუს კუზანელში ასეთი გრანდიოზული სახით ვლინდება. ამით მან, გარკვეულწილად, დაასრულა სამყაროს შემეცნების ის სახე, რომელიც კაცობრიობაში წარმოიშვა ნიკოლაუს კუზანელამდე. მე შემეძლო მიმეთითებინა იმაზე, რომ მსგავსი მშვინვიერი განწყობა უკვე არსებობდა მაისტერ ეკხარტში, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა შუა საუკუნეების შემეცნებას, რომელიც თეოლოგიზირებული (theologisierenden) იყო და მას სურდა ამ თეოლოგიზირებული შემეცნებით ჩაეხედა საკუთარ ადამიანურ სამშვინველში, რათა მასში ეპოვა გზა სამყაროს ღვთაებრივ-სულიერი საფუძვლებისკენ. და მაისტერ ეკხარტი მიდის რაღაც მშვინვიერ განწყობამდე, რომელიც გუშინ აღვნიშნე მისი ერთი თეზისიდან. მან თქვა და მსგავსი რამ არაერთხელ გაუმეორებია: მე ვეფლობი ღვთაების არარაში და უარყოფიდან მარადისობაში წარმოიქმნება „მე“. უძველესი შემეცნებით იგი საკუთარ თავს გრძნობდა მიახლოებულს უარყოფასთან და ამ უარყოფიდან, ანუ უძველესი ცოდნის ყველა დამაჯერებელი ძალის დაშრეტიდან, ერთი, მე ვიტყოდი, უძველესი გამონათქვამის წყალობით, მას უნდა გამოეტანა სამშვინველიდან საკუთარი „მე“-ს უტყუარობა, მტკიცე რწმენა.

ამ მოვლენების უფრო დეტალური განხილვისას იგებ, რომ ისევე, როგორც მაისტერ ეკხარტი მიუთითებდა უძველეს მშვინვიერ შემეცნებაზე, რომელმაც კაცობრიობის განვითარებაში მოაღწია ეკხარტამდე, რომელიც ჯერ კიდევ აძლევდა რაღაცას ადამიანს და რომელზეც მას შეეძლო ეთქვა: „ეს ჩემში ცოცხლობს; ეს ჩემში სახეზეა ღვთაებრივი, ეს არის რაღაც“. – მაგრამ ახლა ეპოქის ღრმა მოაზროვნეები მიუახლოვდნენ აღიარებას: თუ მე მოვიძიებ ამ რაღაცას

აქ, მოვიძიებ იქ, მაშინ „არარას“ ნებისმიერი ასეთი შემეცნება არასაკმარისია იმისათვის, რომ იპოვო მტკიცე რწმენა, უტყუარობა საკუთარ არსებობასთან მიმართებით. მე უნდა წავიდე რაღაციდან არარასკენ, რათა არარადან გარკვეული ზომით ავაღორძინო საკუთარ თავში „მე“ ცნობიერება სწორედ რაღაც უძველესი გამონათქვამით.

ახლა მე ვისურვებდი, ამ ორი პიროვნებისთვის დამეპირისპირებინა სხვა პიროვნება, რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდა. იგი ტიპურია თავისი ეპოქისთვის დაახლოებით ისე, როგორც XV საუკუნის დასაწყისისთვის ტიპურია ნიკოლაუს კუზანელი, რომელიც ეყრდნობოდა მაისტერ ეკხარტს. ჩვენ ვისარგებლებთ უძველეს წარსულში ამ მიბრუნებით, რათა უკეთ გავიგოთ ის, რაც შემდეგ XV საუკუნეში ამოტივტივდა ადამიანური მშვინვიერი ცხოვრების საფუძვლებიდან შემეცნებისკენ სწრაფვაში. ცხადია, ისტორიის არც ერთი სახელმძღვანელო არ საუბრობს პიროვნებაზე, რომელზეც დღეს ვისაუბრებ, ვინაიდან ისტორიკოსები ასეთ საკითხებში ვერ მიდიან ქრისტეშობამდე VIII საუკუნემდე. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ უწყება იმაზე, რაც ახასიათებს ბუნებისმეტყველების ნამდვილ უძველეს გამონათქვამს, თუ სულისმეცნიერების მეშვეობით, წმინდა სულიერი დაკვირვების მეშვეობით დავბრუნდებით წარსულში კიდევ უფრო შორს, ვიდრე ამის საშუალებას გვაძლევს გარეგნული ისტორიული დოკუმენტები. როგორც ზემოთ ითქვა, ეს პიროვნება შეიძლება გამოვავლინოთ მხოლოდ სულიერი ჭვრეტით ორი ათასი წლით ადრე იმ ეპოქამდე, რომლის დასაწყისიც, ეს გუშინ უკვე აღვნიშნე, ემთხვევა XV საუკუნის პირველ ნახევარს. ქრისტიანობამდელ ცხოვრებაში არსებობდა მავანი პიროვნება, რომელიც მიიღეს ერთ-ერთ სამხრეთ ევროპულ ე. წ. მისტერიალურ სკოლაში, როცა ყოველივე ის, რისი თქმაც მისტერიის ამ მასწავლებლებს შეეძლოთ თავისი მოწაფეებისთვის, შედიოდა წესების ამ სულიერ-კოსმიურ კრებულში; ეს იყო სულიერ-კოსმიური ჭეშმარიტებები, ჭეშმარიტებები სულიერ არსებებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ კოსმოსში. ჩემ მიერ აქ ნაგულისხმევი პიროვნება მაშინ უკვე ისმენდა მისტერიის მასწავლებლებისგან სიბრძნეს, რომელიც ჯერ კიდევ

მეტ-ნაკლებად ტრადიციულს წარმოადგენდა და იყო კაცობრიობის გაცილებით უფრო ადრინდელი ჭვრეტების აღდგენა, აღდგენა იმისა, რასაც ჭვრეტდნენ უფრო ადრინდელი შემმეცნებელი ბრძენნი, როცა ისინი კვლავ და კვლავ მიაპყრობდნენ ნათელმხილველურ მზერას გარეთ, სამყაროს სივრცეებში და როცა სამყაროს ამ სივრცეებიდან, და ეს ნამდვილად ასე იყო, მათ ესაუბრებოდა ვარსკვლავების მოძრაობები, ვარსკვლავების კონსტელაციები, გარდა ამისა, ესაუბრებოდა სამყაროს შორეთის უამრავი სხვა პროცესი. ამ ძველ ბრძენთათვის სამყარო არ იყო ის მანქანა ან მანქანის მსგავსი წარმონაქმნი, რომელიც არსებობს დღევანდელი ადამიანებისთვის, როცა ისინი იხედებიან სამყაროს სივრცეში, მაგრამ მათთვის სამყაროს შორეთი იყო ისეთი რამ, რაშიც ეს ბრძენნი შედიოდნენ, როგორც რაღაც მთლიანად ცოცხალში, ყველაფრის განმსჭვალავ, ყველაფრის გამსულიერებელ არსებაში, რომელიც მათთან საუბრობდა კოსმიური ენით. ისინი საკუთარ თავს გრძნობდნენ თავად სულის სამყაროსეული ყოფიერების შიგნით, ასევე გრძნობდნენ, რომ სამყაროსთვის შეეძლოთ სამყაროს გამოცანების აღმნიშვნელი კითხვების დასმაც, ამასთან მათ სივრცეებიდან პასუხობდნენ მოვლენები. ეს იგრძნობოდა, როგორც ის, რასაც ჩვენ ძალზე სუსტად და აბსტრაქტულად ჩვენს ენაზე ვუწოდებთ სულს. სინამდვილეში სულს შეიგრძნობდნენ, როგორც ყველგან არსებულს, ამავე დროს ყველგან აღქმადს. იმზირებოდნენ სამყაროს შორეთში, რომელშიც საკუთარი მშვინვიერი მზერით უკვე ბერძნებიც ვერაფერს ხედავდნენ და რაც თვით ბერძნებისთვისაც რაღაც არარად იქცა. რასაც ბერძნები უწოდებდნენ არარას, უძველესი ბრძენებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ *ატლანტიდის შემდგომ** პერიოდს, იყო სრული შინაარსით აღსავსე რაღაც, ოღონდ მათ უწოდებდნენ იმ სიტყვებს, რომლებიც მაშინ იყო მიღებული და რომელთაც მხოლოდ ჩვენს ენაზე უწოდეს შესუსტებული და აბსტრაქტული სიტყვა „სული“. ამდენად, მოგვიანებით ამ უცნობ, მოგვიანებით დაფარულ ამ ღმერთს უწოდებდნენ სულს, როცა იგი ჯერ კიდევ ცნობილი იყო. იმ უძველესი დროებისთვის ეს იყო პირველი.

მეორე იყო ის, როცა ადამიანი, თავად საკუთარ თავში ჩაღრმავებისას, საკუთარ სამშვინველს ხედავდა მშვინვიერი მზერით, რომელიც სულიერი მზერით შიგნით იყო მიმართული. ამ სამშვინველს ის აღიქვამდა, როგორც სულისგან წარმოშობილს, მოგვიანებით უცნობ ღმერთად ქცეულს; თავის საკუთარ სამშვინველს კი, ეს ძველი ბრძენი, მასთან ერთად მთელი კაცობრიობაც, შეიგრძნობდა ისე, რომ შეეძლოთ სახელი დაერქმიათ, რომელიც იმ დროს, ამ ჭვრეტიდან გამომდინარე, შეიძლებოდა ადამიანური მშვინვიერი არსებისთვის, – ჩვენს ენაზე, – დაერქმიათ სულიერი მოციქული ან უბრალოდ მოციქული. ასე რომ, თუ გსურს სქემატურად გამოსახო ის, რაც ამ უძველესი დროებისთვის ითვლებოდა ჭვრეტად, შეიძლება ითქვას: სული, რომლის გარდა სხვა არაფერი არსებობს, იმ დროს ითვლებოდა მთელი სამყაროს ყოვლისმომცველად და ეს შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ „რაღაცაში“. და სულს, რომელიც აღიქმებოდა უშუალოდ საკუთარი თავის პირველ გეშტალტში, კვლავ ეძებდნენ ადამიანურ სამშვინველში და მას პოულობდნენ, როცა ეს ადამიანური სამშვინველი თავად ცნობდა საკუთარ თავს, როგორც ამ სულის მოციქულს. ასე რომ, შეიძლება ითქვას: სამშვინველი განიხილებოდა როგორც მოციქული.

სული: *პირველი გეშტალტი*		სული
სამშვინველი: *მოციქული*	|	|
სხეული: *ანასახი*	სამშვინველი	- სხეულებრივი სამყარო
	მოციქული	- *ანასახი*

მესამეს სახით თავის გარშემო ჰქონდათ გარეგნული ბუნება იმასთან ერთად, რასაც დღეს ვუწოდებთ ყოფიერებას, სხეულებრივ ყოფიერებას (Körperwesen). მე ვამბობდი, რომ სულის გარდა არაფერი მოგვეცა, ვინაიდან სული ჩანს ყველგან, იგი შეცნობადია თავის პირველ გეშტალტში უშუალო ჭვრეტის მეშვეობით. ის შეცნობადია ადამიანურ სამშვინველში, რომელიც თავის საკუთარ ცხოვრებაში გარდაქმნიდა ცხოვრებას მისგან. მაგრამ ის შეცნობადია იმაშიც, რასაც დღეს ვუწოდებთ ბუნებას, სხეულებრივ სამყაროს. და ეს სხეულებრივი სამყარო განიხილება, როგორც სულის ანასახი.

ამდენად, იმ ძველ დროებში არ ჰქონდათ ის წარმოდგენები სხეულებრივ სამყაროზე, რომელიც აქვთ დღეს. როცა მაინც ჩაიხედავდნენ რომელიმე ბუნებრივ წარმონაქმნში, მაშინ თითოეულ მათგანში ხედავდნენ სულის ანასახს, რამდენადაც ყველგან სწორედ სულის ჭვრეტა შეეძლოთ. სულის ის ანასახი, რომელიც ყველაზე ახლოს იყო, გახლდათ ადამიანის სხეული, ადამიანის ტანი, ეს იყო ბუნების ნაწილი. ვინაიდან ყველა ბუნებრივი წარმონაქმნი იყო სულის ანასახი, ამიტომ ეს ადამიანური სხეულიც ასევე იყო სულის ანასახი. ამიტომ, როდესაც ეს უძველესი ადამიანი გადახედავდა საკუთარ თავს, იგი თავის თავს იგებდა, როგორც სამგვარ არსებას. ჯერ ერთი, სული მასში ცხოვრობდა თავის პირველ ხატში, როგორც საკუთარ სახლში. ადამიანი საკუთარ თავს შეიმეცნებდა სულის სახით. მეორე მხრივ, ადამიანი თავის თავში გრძნობდა სამყაროს, როგორც ამ სულის მოციქულს და ამ მიმართებაში, როგორც მშვინვიერ არსებას. მესამე მდგომარეობით ადამიანი თავის თავს გრძნობდა როგორც სხეულს და ამ სხეულის მეშვეობით – როგორც *სულის ანასახს**. ასე რომ, შეგვიძლია, ვთქვათ: მაშინ ადამიანი თავად შეხედავს საკუთარ თავს, იგი ცნობს საკუთარ თავს თავისი არსების სამგვარობაში სულის, სამშვინველისა და სხეულის თანახმად; სულის მიხედვით – როგორც მისი პირველი ხატი, სამშვინველის მიხედვით, როგორც ღმერთის მოციქული, სხეულის მიხედვით, როგორც ანასახი.

ადამიანების ამ უძველეს სიბრძნეში არ იყო არანაირი წინააღმდეგობა სხეულსა და სამშვინველს შორის, ასევე ბუნებასა და სულს შორის, ვინაიდან იცოდნენ: სული ადამიანში არსებობს თავის პირველ ხატში; იმაში, რასაც წარმოადგენს სამშვინველი, სხვა არაფერია, გარდა გავრცელებული უწყება სულისა; სხეული არის სულის ანასახი. ასევე არ გრძნობდნენ არანაირ ანტაგონიზმს ადამიანსა და ბუნების გარშემო მდებარეს შორის, ვინაიდან თავის თავში, საკუთარ სხეულში ატარებდნენ სულის ანასახს და თითოეულ სხეულში გარედან ხედავდნენ სულის ანასახს. არსებითად, ასე შეიგრძნობდნენ სხეულს, როგორც ყველა ბუნებრივი სხეულის მონათესავეს. შინაგან ნათესაობას იგებდნენ მაშინ, როცა იყურებოდნენ სხეულებრივ სამყა-

როში და იხედებოდნენ ადამიანის სხეულში. ბუნებას არ შეიგრძნობდნენ, როგორც რაღაც სხვას. ადამიანი საკუთარ თავს გრძნობდა, როგორც ერთიანობას, ცალკერძას (ein Monon) მთელ დანარჩენ სამყაროსთან. იგი ამას გრძნობდა იმის წყალობით, რომ შეეძლო აღექვა სწორედ პირველი ხატი სულისა, რომ მას ესაუბრებოდნენ სამყაროს სივრცეები და მათი ამ საუბრის შედეგი იყო ის, რომ მას, არსებითად, არ შეეძლო, მოეცა რაიმენაირი ბუნებისმეტყველება. ისევე, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია დავაფუძნოთ რაიმენაირი მეცნიერება გარეგნულ ბუნებაზე იქიდან, რაც ცოცხლობს ჩვენს მეხსიერებაში; ასევე არ შეეძლო კაცობრიობის უძველეს წარმომადგენელსაც დაეფუძნებინა გარეგნული ბუნებისმეტყველება, ვინაიდან იგი თავის თავში ჩახედვისას, ხედავდა სულის ხატს და გარეგნულ ბუნებაში ჩახედვით ის თავის მხრივ სცნობდა სულის ამ ხატს. არ არსებობდა წინააღმდეგობა ადამიანის სახით საკუთარ თავსა და ბუნებას შორის, რამდენადაც სამშვინველი და სხეული ერთმანეთს შეესაბამებოდა ისე, რომ სხეული, მე ვიტყოდი, იყო მხოლოდ გარსი, ანასახი, სულიერი პირველხატის მხატვრული ანასახი, ხოლო სამშვინველი – შუამავალი მოციქული ორივეს შორის. ყველაფერი იყო მჭიდრო ერთიანობაში. რაღაც გაცნობიერებაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა, ვინაიდან აცნობიერებ იმას, რასაც ატარებ თავად საკუთარ თავში, განიცდი უშუალოდ, მაგრამ ვერ აცნობიერებ.

ასეთ სიბრძნეს განიცდიდნენ უშუალოდ კაცობრიობის უძველეს მისტერიებში ჯერ კიდევ ბერძნულ-ლათინურ პერიოდამდე. ასეთი სიბრძნის შესახებ სმენოდა ჩემ მიერ ზემოხსენებულ პიროვნებას. ის ისმენდა ასეთ სიბრძნეს და ხედავდა, რომ სინამდვილეში მისი მისტერიის მასწავლებლებს ჰქონდათ ის, რაზეც მათ საუბარი შეეძლოთ, არსებითად, მხოლოდ ტრადიციის სახით უძველესი დროიდან. მას უკვე აღარ ესმოდა თავდაპირველი შემეცნება, გამოვლენილი კოსმიური საიდუმლოებების მოსმენისაგან. ეს პიროვნება ახორციელებდა შორეულ მოგზაურობებს, იგი ეწვია სხვა მისტერიებს და ყველგან, ქრისტიანობამდე ამ VIII საუკუნეში, მან, არსებითად, გაიგო მხოლოდ მსგავსი რამ. ყველგან არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ უძველესი

სიბრძნის ტრადიცია. მოწაფეები მას იღებდნენ მასწავლებ-ლებისაგან შესწავლისთვის. თავად მასწავლებლებს უკვე აღარ შეეძლოთ ჭვრეტა, ყოველ შემთხვევაში, უძველესი დროების გამოცოცხლება.

ჩემ მიერ ნაგულისხმევ პიროვნებას, გამომდინარე ადამიანური ბუნების სიღრმიდან, ჰქონდა უდიდესი სწრაფვა საიმედოობისკენ, ცოდნისკენ. უწყებებიდან მას ესმოდა, რომ ოდესღაც ნამდვილად შეეძლოთ სფეროთა ჰარმონიის მოსმენა, რომ სფეროთა ამ ჰარმონიიდან ჟღერდა ლოგოსი, რომელიც ყველა საგნის სულიერი პირველხატის იდენტური იყო. მაგრამ მას მხოლოდ თქმულებები ესმოდა. ზუსტად ისე, როგორც დაახლოებით ორი ათასი წლის შემდეგ, მაისტერ ეკხარტი, თავის წყნარ ოთახში, თავისი ეპოქის ტრადიციებიდან ეუფლებოდა და ეძიებდა სამშვინველის შინაგან ძალასა და „მე“-ს და მივიდა გამონათქვამამდე: მე ვეფლობი ღვთაების არარაში და მარადიულ უარყოფაში განვიცდი „მე“-ს, – იმ წარსული მისტერიების ის უძველესი განმარტოებული მოწაფე თავის თავს ასე ეუბნებოდა: *მე მივაყურადებ** მდუმარე სამყაროს და ამ მდუმარებიდან მოვიპოვებ ლოგოსის მატარებელ სამშვინველს. მე მიყვარს ლოგოსი, ვინაიდან ლოგოსი მაუწყებს უცნობ ღმერთზე.

ეს იყო უძველესი გამონათქვამი, მაისტერ ეკხარტის პარალელური გამონათქვამი. როგორც მაისტერ ეკხარტი ეფლობოდა საკუთარი სამშვინველის ძალებით ღვთაების უარყოფაში, რომელზეც მას ესაუბრებოდა შუა საუკუნეების თეოლოგია, როგორც მოიპოვა მან ამ უარყოფიდან „მე“, ასევე ის უძველესი ბრძენი აყურადებდა მდუმარე სამყაროს, რამდენადაც მას უკვე აღარ ესმოდა ის, რაზეც ესაუბრებოდა ტრადიციული სიბრძნე. მას შეეძლო ესმინა მხოლოდ მდუმარე სამყაროსთვის. და ისევე, როგორც ადრე იძენდა სულით გაჟღენთილი სამშვინველი უძველეს სიბრძნეს, იგი იძენდა მდუმარე სამყაროდან ლოგოსის მატარებელ სამშვინველს. მას კი უყვარდა ლოგოსი, რომელიც უკვე აღარ იყო თავად უძველესი დროის ღვთაება, არამედ ჯერ კიდევ მარტოოდენ უძველესი დროების ღვთაების ხატი. სხვა სიტყვებით, იმ დროებში ღმერთი უკვე გაქრა სამშვინველიდან და ისევე, როგორც მოგვია-

ნებით მაისტერ ეკხარტი იძულებული იყო, ეძია „მე“ უარ-ყოფილ სამყაროში, ასევე საჭირო იყო სამშვინველის ძიე-ბა უსულო სამყაროში.

უძველეს დროებში სამშვინველები, გარკვეულწილად, ფლობდნენ შინაგან სიმტკიცეს, რომელიც მათ ესაჭიროე-ბოდათ, რათა საკუთარი თავისთვის ეთქვათ: სულის შინა-გან აღქმაში, რომელიც არსებობს ჩემში, მე თავად ვარ ღვთაებრივი. მაგრამ ახლა სული უკვე აღარ ცხოვრობდა მასში უშუალო ჭვრეტისთვის, ახლა სამშვინველი უკვე ვე-ღარ გრძნობდა თავის თავს სულის მოციქულად. ვინაიდან, ვინმეს მოციქული რომ იყო, საჭიროა ამის ცოდნა. ახლა სამშვინველი თავს გრძნობდა ლოგოსის მატარებლად, სუ-ლის ხატის მატარებლად, თუნდაც სულის ეს ხატი მასში ყოფილიყო მთლიანად ცოცხალი, თუნდაც სულის ეს ხატი გამოვლენილიყო ღმერთისადმი სიყვარულში, რომელიც სამშვინველში ჯერ კიდევ თავს გრძნობდა მოციქულად, სამშვინველში თავს გრძნობდა ღვთაებრივი სულის ხატის მატარებლად. ამდენად, შეიძლება ითქვას, თუ კვლავ სქე-მატურად გამოვხატავთ, რომ ახლა წარმოიქმნებოდა ადა-მიანების სხვა ცოდნა, როცა ადამიანი უყურებდა საკუთარ შინაგანს: სამშვინველი – მატარებელი. სამშვინველი გარ-დაიქმნა მოციქულიდან მატარებლად:

სამშვინველი: *მატარებელი*

|

სხეული (Leib): *ძალა*

იმასთან დაკავშირებით, რომ ჭვრეტისგან, გარკვეულწი-ლად, დაკარგეს ოდესღაც ცოცხალი სული, უკვე სხეუ-ლიც აღარ იყო ამ სულის ანასახი. მისი, როგორც ანასა-ხის შესაცნობად, საჭირო იყო პირველხატის შეცნობა. ამ უფრო გვიანდელი ჭვრეტისთვის სხეული იქცა რაღაც სხვად. ის იქცა იმად, რასაც მე დავარქმევდი ძალას. ახლა შემოვიდა ძალის ცნება. სხეული წარმოუდგენიათ ძალოვა-ნი კავშირის სახით, უკვე არა ხატის, რომელიც თავის თავში ატარებს ანასახის არსს, უკვე არა ანასახის, არა-მედ ძალის სახით, რომელიც თავის თავში არ ატარებს იმის არსს, რისგანაც ის მომდინარეობს და ეს იქცა ადა-მიანის სხეულად. სწორედ ადამიანის სხეულის შესაბამი-სად უნდა წარმოედგინათ ყველგან ბუნებაში ძალები. ად-

რე თუ ბუნება იყო სულის ანასახი ყველგან, ახლა ის იქ-
ცა სულისგან გადმოდვრილ ძალად. ამავე დროს ბუნება
ადამიანისთვის მეტ-ნაკლებად გაუცხოვდა. მე ვიტყოდი:
სამშვინველმა რაღაცა დაკარგა, ვინაიდან მას უკვე არა
აქვს თავის თავში სულის უშუალოდ გაცნობიერების
უნარი. უხეშად რომ გამოვხატო, მე ვიტყოდი: სამშვინვე-
ლი უფრო ნატიფი გახდა თავის თავში; სხეული, გარეგ-
ნული სხეულებრივი სამყარო უფრო გამყარდა. ადრე მას
ჯერ კიდევ გააჩნდა ანასახთან სულიერი მსგავსება. ძა-
ლოვანი კავშირი უფრო მტკიცეა, ვიდრე ხატი, რომლის
სულიერი შინაარსის განხილვაც აუცილებელია. კიდევ
ერთხელ უხეშად გამოვხატავ, მაგრამ უნდა ვთქვა: სხეუ-
ლებრივი სამყარო უფრო გამკვრივდა, მაშინ, როცა სამ-
შვინველი ნატიფი გახდა. ეს იყო ის, რაც გადავიდა იმ
ადამიანების ცნობიერებაში, რომელთაგანაც პირველებს
განეკუთვნებოდა სწორედ ის უძველესი ბრძენი, რომელიც
აყურადებდა მდუმარე სამყაროს და სამყაროს ამ მდუმა-
რებიდან იღებდა ცნობიერებას, რომ მისი სამშვინველი
იყო, სულ მცირე, ლოგოსის მატარებელი.

ახლა კი უფრო ნატიფად ქცეულ სამშვინველსა და
სხეულებრივი სამყაროს უფრო გამკვრივებულ ჩამოყალი-
ბებას შორის გაჩნდა დაპირისპირებულობა, რომელიც ად-
რე არ არსებობდა. ადრე ყველაფერში ხედავდნენ სულის
ერთიანობას. ახლა წარმოიქმნა დაპირისპირებულობა სხე-
ულსა და სამშვინველს შორის, ადამიანსა და ბუნებას შო-
რის, ამიტომ გაჩნდა უფსკრული სხეულსა და სამშვინ-
ველს შორის, რომელიც ადრე საერთოდ არ არსებობდა,
სანამ ის უძველესი ბრძენი, რომელზეც დღეს ვისაუბრე,
იტყოდა, რომ ადამიანმაც ასევე იგრძნო საკუთარი თავი
ბუნების მიერ შეზღუდულად, რასაც უძველეს დროში ასე-
ვე ვერ გრძნობდნენ. ეს დაპირისპირებულობა, არსებითად
რომ ვთქვათ, წარმოქმნის მთელი აზროვნების არსობრივ
შინაარსს იმ პერიოდში ჩემ მიერ ხსენებულ უძველეს
ბრძენსა და ნიკოლაუს კუზანელს შორის.

აქ კაცობრიობა ცდილობს, ჩასწვდეს კავშირს, ერთი
მხრივ, სამშვინველსა და სხეულს შორის, იმ სამშვინველს,
რომლის სულიერი რეალობაც არ არსებობს, და სულს
შორის, რომელიც გამკვრივდა, გარდაიქმნა ძალაში, ძალო-

ვან კავშირში. კაცობრიობა კი ისწრაფვის ადამიანსა და ბუნებას შორის მიმართებების აღქმისკენ. ბუნება ყველგან წარმოადგენს ძალას.

ერთიანობა

სხეული *სამშვინველი*

ადამიანი *ბუნება*

წარმოდგენა იმაზე, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ ბუნების კანონებს, იმ ეპოქაში, იქ, სადაც არის მისი განსაკუთრებით დამახასიათებელი პერიოდი, არსებითად, არ არსებობდა. აზრობრივად აღარ საუბრობდნენ ბუნების კანონებზე, ყველგან შეიგრძნობდნენ ბუნების ძალებს. ამ ყველაფრისგან განიცდიდნენ ბუნების ძალებს. თავის თავში ჩახედვისას კი გრძნობდნენ არა სამშვინველს, რომელიც თავის თავში ატარებს, როგორც მოგვიანებით, დაჩლუნგებულ სურვილს, თითქმის ასეთივე დაჩლუნგებულ მგრძნობელობასა და აბსტრაქტულ აზროვნებას, მაგრამ გრძნობდნენ სამშვინველს, რომელიც თავის თავში ატარებს ცოცხალ ლოგოსს, რომელზეც ნამდვილად იცოდნენ, რომ ის არ არის მკვდარი, რომ ის წარმოადგენს ღმერთის ღვთაებრივ ცოცხალ ანასახს.

აუცილებელია, საკუთარი თავის დაყენება შეგეძლოს ამ დაპირისპირებულობის ადგილზე, რომელიც თვით XI-XII საუკუნეებამდე მთელი სიმწვავით არსებობდა და იყო სრულიად სხვა, ვიდრე ის წინააღმდეგობები, დაპირისპირებები, რომელთაც დღეს კაცობრიობა გრძნობს. თუ არ შეგიძლია ცოცხალი ცნობიერებით საკუთარი თავი დააყენო კაცობრიობის ამ უძველესი ეპოქის ასეთი სრულიად სხვა სახის დაპირისპირების ადგილზე, მაშინ ხდება ის, რაც მოსდის ყველა ისტორიულ თხზულებას ფილოსოფიაზე, როცა ძველ ბერძენ *დემოკრიტეს** ქრისტიანობამდე V საუკუნიდან აღწერენ ისე, თითქოს ის იყო ატომისტი თანამედროვე აზრით, ვინაიდან იგი ვარაუდობდა ატომს. თუ სიტყვები მიანიშნებენ რაღაც უმნიშვნელოდ ხილულ მსგავსებაზე, ასეთ შემთხვევაში მსგავსება ჯერ კიდევ არ არსებობს. თანამედროვე ატომისტსა და დემოკრიტეს შორის უზარმაზარი სხვაობაა, რამდენადაც დემოკრიტე, ზოგადად, საუბრობდა, გამომდინარე ადამიანისა და ბუნების, სამშვინველისა და სხეულის იმ დაპირისპირებულობიდან,

რომელიც მე უკვე დავახასიათე, ასე რომ, მისი ატომები უდავოდ ჯერ კიდევ ძალოვანი კავშირებია და ასეთი ძალოვანი კავშირების სახით იგი მათ უპირისპირებს სივრცეს რაღაც სახით, როგორი სახითაც თანამედროვე ატომისტებს არ შეუძლიათ თავისი ატომები დაუპირისპირონ სივრცეს. როგორ იტყვიან თანამედროვე ატომისტები იმას, რაც დემოკრიტემ თქვა: ყოფიერება უკვე აღარ არის არარა, სისავსე უკვე არაა სიცარიელე. ანუ, დემოკრიტე მიიჩნევდა, რომ ცარიელ სივრცეს აქვს რაღაც ნათესაობა ატომებით სავსე სივრცესთან. ამას აქვს რაღაც აზრი მხოლოდ ცნობიერების ფარგლებში, რომელმაც ზოგადად ჯერ კიდევ არ იცის თანამედროვე ცნება სხეულისა, შესაბამისად, არც შეუძლია ილაპარაკოს ამ სხეულის ატომებზე, მაგრამ თავისთავად ცხადია, საუბრობს ძალოვან წერტილებზე, რომლებსაც, ამავე დროს, აქვთ ნათესაობა იმასთან, რაც ადამიანის გარეთ არსებობს. თანამედროვე ატომისტს არ შეუძლია სიცარიელე გააიგივოს სისავსესთან. ვინაიდან, თუ დემოკრიტეს წარმოედგინა ისე, როგორც დღეს საუბრობენ სიცარიელეზე, მაშინ იგი ვერ შეძლებდა მის გათანაბრებას ყოფიერებასთან. მას შეუძლია ამის გათანაბრება იმიტომ, რომ ამ სიცარიელის შიგნით იგი ეძიებს იმას, რაც სამშვინველის მატარებელია, სამშვინველს, რომელიც არის ლოგოსის მატარებელი. დაე, მან წარმოიდგინოს ეს ლოგოსი რაღაც სახის აუცილებლობად, მაგრამ ეს არის ბერძნული აუცილებლობა, არა ჩვენი დღევანდელი ბუნებრივი აუცილებლობა. საქმეც სწორედ ის არის, რომ აუცილებელია, სწორად ჩავიხედოთ უძველესი დროების წარმოდგენებისა და შეგრძნებების ნიუანსებში, თუ გვსურს, გავიგოთ, რაც დღეს არის.

ახლა დგება გუშინ ჩემ მიერ დახასიათებული დრო, დრო მაისტერ ეკხარტისა, დრო ნიკოლაუს კუზანელისა, ის დრო, როცა დაიკარგა სამშვინველში მცხოვრები ლოგოსის აღქმა. მაისტერ ეკხარტი და კუზანელი პოულობდნენ არარას და ამ უარყოფიდან უნდა ეძიათ „მე“, მაშინ, როცა უძველეს მაისტერს, რომელიც აყურადებდა სამყაროს, შეეძლო წუხილი მხოლოდ მდუმარებაზე. ამით ზოგადად მხოლოდ იწყება ადამიანური აზროვნების ახალი პერიოდი. ახლა უკვე სამშვინველს აღარ აქვს თავის თავში

ცოცხალი ლოგოსი, ახლა მას თავის თავში აქვს იდეები და ცნებები; როცა ის იხედება თავის თავში, მას აქვს წარმოდგენები, რასაც ბოლოს და ბოლოს მიჰყავს აბსტრაქციებისკენ. ახლა ის უფრო ნატიფი გახდა. იწყება ადამიანური ჭვრეტის მესამე ფაზა. ოდესღაც, პირველ ფაზაში სამშვინველი თავის თავში განიცდიდა სულის წინარე ხატს. ის წარმოადგენდა სულის მოციქულს. მეორე ფაზა: სამშვინველი თავის თავში განიცდის ღვთის ცოცხალ ხატს ლოგოსში – ის ხდება ლოგოსის მატარებელი.

ახლა კი, მესამე ფაზაში, ის გარკვეულ დონეზე ხდება იდეებისა და ცნებების საცავი, რომლებიც, მართალია, ვლინდება მათემატიკის საიმედოობაში, მაგრამ ისინი მაინც წარმოადგენენ სწორედ ცნებებსა და იდეებს. ისინი, შეიძლება ითქვას, შიგნით საკუთარ თავს ძალზე დახვეწილად გრძნობენ. თავის მხრივ ძლიერდება სხეულებრივი სამყაროს სიმტკიცე. წარმოიქმნება მესამე მეთოდი, როგორადაც გრძნობს ადამიანი საკუთარ თავს. მას ჯერ კიდევ არ შეუძლია მთლიანად უარი თქვას საკუთარ მშვინვიერზე, მაგრამ გრძნობს ამ მშვინვიერს, როგორც იდეალურის საცავს და ის ახლა უკვე ვერ გრძნობს სხეულს მხოლოდ, როგორც ძალას, არამედ – როგორც განფენილ სხეულს.

სამშვინველი: იდეალური

|

სხეული (Leib): განფენილი სხეული, ტანი (Körper)

სხეული კიდევ უფრო გამყარდა. შეხედულებაში ის გარდაიქმნა იმად, რასაც ამიერიდან მთლიანად უარყოფს სული. აქ ჩვენ გვეგებება მხოლოდ სხეული, რომელზეც საუბრობდნენ ჰობსი, *ბეკონი**, საუბრობდა ლოკი, ამდენად აქ ჩვენ გვეგებება მხოლოდ სხეული, რომელიც ყველაზე მეტად გამყარდა და რომელთანაც ადამიანის სამშვინველი მეტად უკვე ვეღარ გრძნობს ნათესაობას, მხოლოდ რაღაც აბსტრაქტულ მიმართებას, რომელიც სულ უფრო მეტად ფორმირდება ადამიანური შეხედულებების განვითარებაში.

სამშვინველისა და სხეულის, ადამიანისა და ბუნების ადრინდელი კონკრეტული დაპირისპირებულობის ადგილზე ახლა შემოდის სხვა დაპირისპირებულობა, რომელიც სულ უფრო მეტად და მეტად მიდის აბსტრაქციისკენ. ის, რაც ადრე თავის თავში ჯერ კიდევ კონკრეტული ჩანდა,

ვინაიდან საკუთარ თავში შეიგრძნობდა ლოგოსის ღვთაებრივ ხატს, რაც თანდათანობით გადაიქცა იდეალურის ჭურჭლად, თავის თავს ამკვიდრებს სუბიექტად და საკუთარ თავს უპირისპირებს იმას, რასთანაც სრულებითაც არ გრძნობს ნათესაობას, როგორც ობიექტთან – მაშინ, როცა ძველ სულიერ დროში იგი ყველაფერს გრძნობდა მონათესავედ.

სამშვინველისა და სხეულის, ადამიანისა და ბუნების ადრინდელი ადამიანური დაპირისპირებულობა სულ უფრო მეტად და მეტად იქცა თეორიულ-შემეცნებით დაპირისპირებულობად ადამიანში არსებულ სუბიექტსა და იმ ობიექტს შორის, რომელიც გარეთ იმყოფება. ბუნება იქცა შემეცნების ობიექტად. არაფერია გასაოცარი, რომ საკუთარი აუცილებლობიდან გამომდინარე შემეცნება ისწრაფვის ობიექტურისკენ.

სამშვინველი (სხეული, Leib)

სუბიექტი *ობიექტი*

მაინც რა არის ობიექტური? ეს ობიექტური უკვე არაა ის, რაც იყო ბერძენისთვის ბუნება, ეს ობიექტური წარმოადგენს გარეგნულ სხეულებრიობას, რომელშიც სულიერს უკვე ვეღარ ხედავენ. ეს არის ბუნება, რომელიც უსულო გახდა, რომლის გაგებაც შეიძლება გარედან, სუბიექტიდან. რამდენადაც თავიდან ადამიანმა საკუთარი არსებიდან გამომდინარე დაკარგა კავშირი ბუნებასთან, ამიტომ იგი ბუნებისმეტყველებას ეძებდა გარედან. აქ ჩვენ კვლავ ვიმყოფებით იმ წერტილში, რომლითაც გუშინ შევძელი დამესრულებინა, როცა ვთქვი, რომ კუზანელი უმზერდა იმას, რაც მისთვის უნდა ყოფილიყო ღვთაებრივი სამყარო და ამბობდა: როცა წერ ღვთებრივ სამყაროზე, ჯერ უნდა შეჩერდე შემეცნებით, საჭიროა ჩაწერო რაღაც „Docta ignorantia“. მას მხოლოდ სურდა, მის მიერ მათემატიკიდან აღქმულით ფრთხილად შეენარჩუნებინა სიმბოლოებში რაღაც იქიდან, რაც მას წარმოუდგებოდა სულიერად. მაგრამ იგი აცნობიერებდა, რომ შეუძლებელია მათემატიკურ სიმბოლოებში სულიერის შენარჩუნება.

მე უკვე ვთქვი, რომ 1440 წელს გამოვიდა „Docta ignorantia“, ხოლო დაახლოებით 100 წლის შემდეგ, 1543 წელს, – „ De revolutionibus orbium coelestium“. ანუ, დაახლო-

ებით ერთი საუკუნის შემდეგ კოპერნიკი მათემატიკური სულისკვეთების დახმარებით, გარკვეულწილად, ეუფლება სხვას, გარეგნულ მხარეს იმისა, რისი წვდომაც ოდესღაც მთლიანად ვერ შეძლო ნიკოლაუს კუზანელმა – არც სიმბოლურად, არც მათემატიკის დახმარებით. დღეს ჩვენ ვხედავთ, ფაქტობრივად როგორ ხდება შესაძლებელი ამ მათემატიკური სულისკვეთების გამოყენება ბუნებასთან მიმართებით *იმ მომენტში**, როცა ბუნება უსხლტება ადამიანს უშუალო განცდიდან. ამის დადასტურება შეიძლება თვით ენის ისტორიით, ვინაიდან „ბუნება“ („Natur“) მიუთითებს კიდევ რაღაცაზე, რაც ენათესავება „დაბადებულს“, მაშინ, როცა ის, რაც დღეს განვიხილეთ ბუნების სახით, არის მხოლოდ სხეულებრივი სამყარო, რომელიც თავის მხრივ შეიცავს თავის თავში მხოლოდ მკვდარს, – ცხადია, მე ვგულისხმობ ადამიანური ჭვრეტისთვის, ვინაიდან დღეს ბუნება, თავისთავად ცხადია, ჯერ კიდევ შეიცავს სიცოცხლეს და სულს, მაგრამ ადამიანური ჭვრეტისთვის ის იქცა მკვდრად და მისი წვდომისთვის ჯერჯერობით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მივიღოთ საიმედო ცნებითი ცოდნა – მათემატიკური.

ამდენად, ჩვენ წინაშეა კაცობრიობის განვითარება, რომელიც მიმდინარეობს შინაგანი კანონზომიერებით: პირველი ეპოქა, როცა ადამიანი ხედავდა ღმერთს და სამყაროს, მაგრამ ღმერთს სამყაროში, სამყაროს კი ღმერთში – ერთიანს; მეორე ეპოქა, როცა ადამიანი ქმედებაში ხედავდა სამშვინველსა და სხეულს, ადამიანსა და ბუნებას, სამშვინველს, როგორც ცოცხალი ლოგოსის მატარებელს, როგორც იმის მატარებელს, რაც არ წარმოიქმნება და არ ქრება, ბუნებას კი, როგორც იმას, რაც წარმოიქმნება და კვდება; მესამე ფაზა, როცა ადამიანი წინ წავიდა აბსტრაქტული დაპირისპირებულობისკენ: სუბიექტი, რომელსაც წარმოადგენს თავად იგი და ობიექტი, რომელსაც წარმოადგენს გარე სამყარო. ობიექტი არის ყველაზე მყარი, რომლის ცნებებით გაშუქებასაც უკვე საერთოდ აღარ ცდილობ, რომელიც ადამიანისთვის უცხოდ აღიქმება და მას იკვლევენ გარედან მათემატიკის მეშვეობით; ის არ ფლობს შინაგანში, როგორც ასეთში, შეჭრის

ტალანტს, ამიტომ კუზანელიც სიმბოლურად მიაკუთვნებდა მას შინაგანს, თანაც ძალზე მორიდებულად.

ასე უნდა წარმოვიდგინოთ კაცობრიობის უძველესი მიღწევებიდან გამომდინარე სწრაფვა ბუნებისმეტყველების განვითარებისკენ. ერთხელაც ადამიანებისთვის უნდა დამდგარიყო ეპოქა, როცა უნდა წარმოქმნილიყო ბუნებისმეტყველება. გარდა ამისა, ის უნდა გამხდარიყო ისეთი, როგორსაც წარმოადგენს კიდეც. ჩვენც სწორედ ამას ვხედავთ, როცა მკაფიოდ განვიხილავთ ფაზებს, რომლებიც დავახასიათე კაცობრიობის სულიერ განვითარებაში, როცა ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ, როგორ მიდის პირველი ფაზა ქრისტიანობამდელი VIII საუკუნის იმ უძველეს სამხრეთელ ბრძენამდე, რომელიც დღეს დავახასიათე, ხოლო მეორე ფაზა – მისგან დაწყებული ნიკოლაუს კუზანელამდე. მესამე ფაზა – ეს არის ის, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. პირველი ფაზა წარმოადგენს პნევმატოლოგიურს, მიმართულს სულისკენ მის პირველხატში; მეორე – არის მისტიკური, თუ სიტყვა მისტიკურს ავიღებთ ყველაზე ფართო გაგებით; მესამე არის – მათემატიკური. ამდენად, – თუ ავიღებთ ნამდვილ დამახასიათებელ ნიშნებს, – პირველ ფაზას ვითვლით უძველეს სამხრეთელ ბრძენამდე; თვით ამ ბრძენის დრომდე პერიოდი განეკუთვნება უძველეს პნევმატოლოგიას. აქედან მოყოლებული მაისტერ ეკხარტამდე და ნიკოლაუს კუზანელამდე პერიოდს ჩვენ მივაკუთვნებთ მაგიურ მისტიკას. კარდინალ ნიკოლაუს კუზანელიდან დაწყებული თვით ჩვენს დრომდე და შემდგომ პერიოდსაც, ჩვენ მივაკუთვნებთ მათემატიზირებულ ბუნებისმეტყველებას.

ხვალ ჩვენს შემდგომ განხილვებს სწორედ ამაზე დავაფუძნებთ.

მესამე მოხსენება
დორნახი, 1992 წლის 26 დეკემბერი

ბოლო ორ განხილვაში შევეცადე, მომენიშნა მომენტი, როცა კაცობრიობის ახალი განვითარების შიგნით წარმოიქმნა ისეთი საბუნებისმეტყველო შეხედულება და საბუნებისმეტყველო აზროვნება, როგორიც დღეს არსებობს. გუშინ მე მივუთითე იმაზე, რომ ამ საბუნებისმეტყველო აზროვნების მთელი ხასიათი დამოკიდებულია ისეთ მეთოდზე, როცა კაცობრიობის განვითარების მსვლელობაში თანდათანობით იყენებდნენ მათემატიკას, მათემატიკურ აზროვნებას გარეგნულ სამყაროსეულ სინამდვილესთან კავშირში. სინამდვილეში ახალი დროის მეცნიერული განვითარებისთვის ძალზე ბევრი რამის განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ მოხდა ასევე ადამიანური მსოფლმხედველობის გარდატეხა, – მე ვიტყოდი თითქმის რევოლუცია, – საკუთრივ მათემატიკურ აზროვნებასთან მიმართებაში. ახლანდელ დროში მიდრეკილები არიან, გარკვეულწილად, მიიჩნიონ რაღაც აბსოლუტურად ავტორიტეტულად ის მეთოდი, როგორადაც თავად აზროვნებენ ახლანდელ დროში და საერთოდ არ მიაქციონ ყურადღება იმას, რომ საგნები და მოვლენები შეიცვალა. დღეს მათემატიკაში გააჩნიათ განსაზღვრული პოზიცია და თავის მხრივ გარკვეული შეხედულება მათემატიკურისა და სამყაროს რეალობის მიმართებაზე. ფიქრობენ, რომ ეს არის თითქოსდა ერთხელ მოცემული, მართებული მიმართება. ამაზე უდავოდ კამათობენ, მაგრამ შიგნით გარკვეულ საზღვრებში ამას განიხილავენ, როგორც მართებულ მიმართებას და არ ფიქრობენ იმაზე, რომ სინამდვილეში თავად მათემატიკის გამო კაცობრიობა არც ისე შორეულ წარსულში სხვაგვარად განიცდიდა. საკმარისია თუნდაც ერთხელ კიდევ საკმარისად გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ იმ მომენტიდან, რასაც მე ვუწოდე ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვეობის სულიერ ცხოვრებაში, ანუ, რომელშიც კუზანელმა მოგვცა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი განმარტება სამყაროსი, მალევე ამ მომენტიდან არა მარტო კოპერნიკმა მოინდომა თავისი მათემატიკურად ორიენტირებული აზროვნებით მზის სისტემის მოძრაობის ახსნა ისეთი მა-

თემატიკური აზროვნებით, როგორც აზროვნებენ მათემატიკაში, რასაც მიჩვეული ვართ დღეს, არამედ ასევე ფილოსოფოსებმაც, – დეკარტე, *სპინოზა**, – მთელი ფიზიკური და სულიერი სამყაროს გამოხატვისას ამ მათემატიკური აზროვნების გამოყენების მეთოდში დაინახეს, ყველაზე ფართო სახით, შეიძლება ითქვას თავისი იდეალი.

ფილოსოფოსმა სპინოზამ განსაკუთრებულად ფასეულადაც კი ჩათვალა, თავის წიგნში „ეთიკა“, ძირითადი ფილოსოფიური დებულებები და მოთხოვნები გადმოეცა ისე, რომ თავისი დასკვნის მეთოდი, – უფრო გვიანდელი კანონი გამოეყვანა უფრო ადრინდელისგან, – საბოლოოდ მაინც განეხორციელებინა მათემატიკის მსგავსად, თუმცა ამ წიგნში მათემატიკური ფორმულები და გამოთვლები განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს. თანდათანობით თანამედროვეებს თავისთავად ცხადად წარმოედგინათ, რომ მათემატიკაში თავად ატარებ თავის თავში ნიმუშს შინაგანი თავდაჯერებულობის მიღებისთვის, და რომ, თუ მოახერხებ, სამყაროს მონახაზი გამოხატო აზრების მეშვეობით ისე, რომ ეს აზრები გაიყოფა ერთმანეთთან ძალზე ნატიფ სტრუქტურაში, მათემატიკური აზრებისა და გეომეტრიული სისტემების მსგავსად, მაშინ სწორედ ამის წყალობით აღწევ რაღაცას, რაც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. მაგრამ განსაკუთრებული მეთოდი, რომლითაც იღებენ მათემატიკას და მათემატიკის მიმართებას სინამდვილესთან, შეიძლება სრულად გავიგოთ, თუ ესწრაფვი საბუნებისმეტყველო აზროვნების ხასიათის მართებულად წვდომას. იმ დროს მათემატიკა თანდათანობით იქცა იმად, რასაც შეიძლება ეწოდოს თავის თავში თვითკმარი შინაგანი ინტელექტი უფრო ადრინდელთან მიმართებაში, რასაც ამის შემდეგ დავახასიათებ.

მაინც შეიძლება ითქვას, რომ მათემატიკა დეკარტეს (კარტეზიუსის), ასევე კოპერნიკის დროისთვის, შეიძლება, დავახასიათოთ დაახლოებით ისევე, როგორც დღეს. ავიღოთ, მაგალითად, თანამედროვე მათემატიკოსი, რომელიც წარმოიდგენს გეომეტრიას და წარმოდგენების გეომეტრიული სამყაროს ფარგლებში ეძებს კიდეც თავის ანალიტიკურ ფორმულებს ამა თუ იმ ფიზიკური პროცესების წვდომისთვის. ეს მათემატიკოსი, როგორც გეომეტრი, ევკლიდეს გეომეტრიის გაგებისას, უპირველეს ყოვლისა, ამოდის სამ-

განზომილებიანი სივრციდან ან საერთოდ განზომილებიანი სივრციდან, როცა სურს, ასევე გაითვალისწინოს *არაევკლიდური გეომეტრია** და სამგანზომილებიან სივრცეში იგი განასხვავებს სამ ერთმანეთის პერპენდიკულარულ, მაგრამ დანარჩენში ერთგვაროვან მიმართულებას. მე ვიტყოდი, ეს არის თვითკმარი განათლება, რომელიც წარმოჩნდება ცნობიერების წინაშე უბრალოდ ისე, როგორც ზემოთ აღვწერე, ბევრი კითხვის დასმის გარეშე: საიდან მოვიდა ეს სტრუქტურა, საერთოდ საიდან მოდის მთელი ეს გეომეტრიული წარმოდგენები? ეს გამოიწვია ფორმალობამ, რომელმაც ახალ დროში თანდათანობით დაუშვა ფსიქოლოგიური აზრი, ადამიანი ბუნებრივად ჩაფლობილიყო არა იმ მშვინვიერ სიღრმეებში, ზოგადად არა იმ შინაგან სიღრმეებში, რომელთაგანაც მომდინარეობს, მაგალითად, გეომეტრიული აზროვნების საფუძვლები. ადამიანი უბრალოდ იღებს ჩვეულებრივ ცნობიერებას და მას აღავსებს მოფიქრებული, მაგრამ არა განცდილი მათემატიკით. ავიღოთ სპეციალური შემთხვევა მოფიქრებული, არა განცდილი, სამი ურთიერთპერპენდიკულარული განზომილებით ევკლიდეს სივრციდან. მაგრამ ადამიანი ვერასდროს მივიდოდა ევკლიდეს სივრცის იმ სამ ურთიერთპერპენდიკულარულ განზომილებასთან, თუ ის საკუთარ თავში ვერ შეძლებდა სამგვარი ორიენტირების განცდას.

ერთი ორიენტაცია, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავში განიცდის, არის წინ და უკან. საკმარისია, დავფიქრდეთ იმაზე, რომ განხილვის თანამედროვე ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მეთოდში, – ამასთან, მე ვსაუბრობ მხოლოდ ადამიანზე, არა ცხოველზე, რომლის განხილვაც ამასთან დაკავშირებით არაა საჭირო, – ადამიანისთვის, ვთქვათ, მაგალითად, საკვების მიღება, გამოყოფა, ასევე ორგანიზმის სხვა პროცესები მიმდინარეობს წინ-უკან მიმართულებით და რომ ადამიანის შინაგანში სრულიად განსაზღვრული პროცესების ეს ორიენტაცია განსხვავდება იმისგან, როცა, ვთქვათ, ვასრულებ რაიმეს საკუთარი მარჯვენა ხელით, ამასთან ერთად სიმეტრიულად ვასრულებ რადაცას საკუთარი მარცხენა ხელით. აქ პროცესები ორიენტირებულია მარჯვნივ და მარცხნივ. და ბოლოს, საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ, არსებითად, როგორ

შეეზრდება სხვა ორიენტაციასთან მიმართებით ადამიანი მას მხოლოდ საკუთარი მიწიერი ყოფიერების პერიოდში: თავიდან იგი დახოხავს და მხოლოდ თანდათანობით სწორდება ისე, რომ ორიენტაცია თავად მასში მიმდინარეობს ზევიდან ქვევით ან ქვევიდან ზევით.

დღევანდელი მდგომარეობით ადამიანის ამ სამ ორიენტაციას გარეგნულად იღებ სწორად, ცხადია, როცა განიცდი არა შინაგანად, არამედ, როცა გარეგნულად განიხილავ იმას, თუ რას წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმში პროცესები, რომლებიც თამაშდება, არსებითად წინ-უკან, ან ისეთები, რომლებიც ხდება მარჯვნიდან მარცხნივ ან მარცხნიდან მარჯვნივ, ანდა ისეთები, რომლებიც ხორციელდება ზევიდან ქვევით. სულიერი ჭვრეტისას თუ შევძლებთ მივუბრუნდეთ ადრინდელ ეპოქებს, მაშინ გავიგებთ, რომ ეს სამი ორიენტაცია უძველესი ადამიანის შეგრძნებისთვის, უძველესი ადამიანის განცდისთვის შინაგანი განცდა იქნებოდა. როგორც ჩვენ დღეს შინაგანი განცდების სახით, მე ვიტყოდი, ვაღიარებთ ჯერაც გარკვეულ დონეზე აზრების, ემოციების დაუფლებას, ასე ჰქონდა უძველეს დროში ადამიანს შესაბამისი შინაგანი განცდა, მაგალითად, წინიდან-უკან. მისთვის ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული, ვთქვათ, გემოვნების შეფერხების უქონლობა, რომელიც ინტენსიურად ვითარდება წინ პირის ღრუში უკუმიმართულებით. ხარისხობრივი, რომელიც შიგნით დნება ისე, რომ გემოს ძლიერად გრძნობდნენ წინ ენაზე, შემდეგ კი მას სულ უფრო სუსტად შეიგრძნობდნენ, მაშინ, როცა ის უკან იხევდა ორიენტირებისას წინიდან უკან და ბოლოს, მთლიანად იკარგებოდა – ოდესღაც ეს განცდა შინაგანი ადამიანური განცდისთვის იყო სრულიად რეალური, კონკრეტული. ხარისხობრივის ასეთ განცდასთან ერთად აკვირდებოდნენ ორიენტირებას წინიდან უკან. ახლა ადამიანი უკვე არ იმყოფება იმდენად შიგნით, როგორც იყო ოდესღაც. ამიტომ, ჩემ მიერ ზემოთ დახასიათებული ამგვარი განცდები მას დღეს უკვე აღარ აქვს. დღეს ადამიანს ასევე არა აქვს ცოცხალი შეგრძნება თვალის ღერძის რეგულირებისა, რათა დააფიქსიროს რომელიმე წერტილი მარჯვენა თვალის ღერძის მარცხენაზე გადაგდების გზით. დღეს ადამიანს ასევე არა აქვს სრული კონკრეტული შეგრძნება იმისა, რაც მისთვის, როგორც

ადამიანისთვის წარმოიქმნება, როცა იგი მარჯვნივ-მარ-
ცხნივ ორიენტირებისას აკავშირებს, ვთქვათ, მარჯვენა ხე-
ლის მტევანს მარცხენა ხელის მტევანთან. მით უმეტეს ისე-
თი შეგრძნება, რომელზეც შეგიძლია თქვა: თავში ჩემი მეშ-
ვეობით ანათებს აზრი, ის ურტყამს, ორიენტირებს რა ზევი-
დან ქვევით გულის მიმართულებით, – ასეთი შეგრძნება,
ასეთი განცდა ადამიანისთვის დაიკარგა სწორედ სამყაროს
გულითად განცდასთან ერთად. ადამიანი, უპირველეს ყოვ-
ლისა, თავის თავში განიცდიდა სამ ვერტიკალურად მიმარ-
თულ სივრცობრივ თანმიმდევრულ ორიენტაციას. სწორედ
ეს სამი სივრცობრივი მიმართულება, მარჯვენა-მარცხენით,
წინიდან-უკან და ზევით-ქვევით, წარმოადგენს სივრცის სამ-
განზომილებიანი სქემის საფუძველს. ეს სქემა არის მხო-
ლოდ აბსტრაქცია ამ თქვენი ზემოთ დახასიათებული უშუ-
ალო განცდისა. ამდენად, რისი თქმა შეგვიძლია ჩვენ, რო-
ცა ჩავიხედავთ უძველესი დროის გეომეტრიაში, მათემატი-
კის ამ ნაწილში? ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრინდე-
ლი ეპოქის ადამიანს მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა იმასთან
დაკავშირებით, რისი თქმაც მას შეეძლო: ჩემი ადამიანუ-
რობის მეშვეობით ჩემს საკუთარ ცხოვრებაში მე მეხსნება
მათემატიკური, გეომეტრიული და ამდენად, საკუთარი ზე-
ვით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ, წინიდან-უკანის გაგრძე-
ლებით მე საკუთარი თავიდან მოვიცავ სამყაროს.

აუცილებელია, ერთხელაც შევიგრძნოთ, რა არის უდი-
დესი განსხვავება ადამიანურ განცდასთან დაკავშირებულ
ამ მათემატიკურ შეგრძნებასა და ანალიტიკური გეომეტრი-
ის შიშველ, მოსაწყენ მათემატიკურ სივრცობრივ სქემას
შორის, რომელიც სადღაც რომელიღაც სივრცეში სვამს
წერტილს, მოიპოვებს კოორდინატთა სისტემის სამ ღერძს
და იღებს გამოგონილ სივრცობრივ სქემას, როცა გაემიჯ-
ნება ყველანაირ განცდას. თუმცა ეს გამოგონილი სივ-
რცობრივი სქემა ადამიანმა თავიდან მოიპოვა საკუთარი ში-
ნაგანი ცხოვრებიდან. ასე რომ, უფრო გვიანდელი მათემა-
ტიკური განხილვის მეთოდი, რომელიც შემდეგ აიღო ბუნე-
ბისმეტყველებამ, თუ სურთ მისი სწორად გაგება საკუთარი
სურათ-ხატების თვითკმარ გაშუქებაში, ფაქტობრივად აუცი-
ლებელია გამოვიყვანოთ ადრინდელ დროში განცდილი მა-
თემატიკიდან. უძველესი დროის მათემატიკა კი სრულიად

სხვა რამ იყო. ის, რაც ოდესღაც არსებობდა, მე ვიტყოდი, რაღაც შინაგან სამგანზომილებიან სიზმრისეულ განცდაში და რომლის აბსტრაჰირებაც შემდგომში ხდებოდა, დღეს მთლიანად არაცნობიერში არსებობს. სინამდვილეში, დღესაც ადამიანთან ჯერ კიდევ ისე ხდება, რომ ის მათემატიკას მოიპოვებს თავის საკუთარ შინაგან სამგანზომილებიანობაში. მაგრამ სივრცობრივი სქემის ეს მოპოვება იმისგან, რასაც ადამიანი განიცდის შინაგანი ორიენტირებისას, მთლიანად არაცნობიერად ხდება. ამაზე ცნობიერებაში არაფერი ამოტივტივდება. ცნობიერებაში ამოტივტივდება, მაგალითად, მზა სივრცობრივი სქემა, როგორც ზოგადად საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი მათემატიკური წარმონაქმნი, სტრუქტურა. მაგ., მე მაქვს სივრცობრივი სქემა. ასეთივე წარმატებით შემეძლო, მომეყვანა რომელიმე სხვა მათემატიკური კატეგორია, ასევე მათემატიკური კატეგორიები ალგებრიდან, ანალიზიდან, არითმეტიკიდან. ისინი სხვა არაფერია, თუ არა სქემა, რომელიც აყვანილია აბსტრაქციაში უშუალო ადამიანური განცდიდან.

მიაქციეთ ყურადღება, თუ დაუბრუნდები მეთოდებს, როგორითაც ადამიანები აზროვნებდნენ მათემატიკურზე, ანუ დაბრუნდები დაახლოებით რამდენიმე ასწლეულის წინ XV-XVII საუკუნეებამდე, მაშინ აღმოაჩენ, რომ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, რიცხვებში მაინც ჯერ კიდევ ჰქონდათ შეგრძნებების გამოძახილი. მათ ხომ რიცხვებისთვის სახელების პოვნაც კი არ შეეძლოთ თვით იმ დრომდე, როცა რიცხვები იქცა იმ აბსტრაქციად, როგორსაც ისინი წარმოადგენენ დღეს. სახელები რიცხვებისთვის ხშირად ძალზე დამახასიათებელია. წარმოიდგინეთ მხოლოდ სიტყვა „Zwei“ (ორი), რომელიც ჯერ კიდევ მკაფიოდ გამოხატავს რაღაც კონკრეტულ პროცესს: „entzweien“ (წაჩხუბება), ეს ხომ ასევე უკავშირდება სიტყვის „Zweifeln“ (ეჭვიანობა). მაგრამ ეს არაა გარეგნულის მიბაძვა, როცა რიცხვი ორი აიხსნება სიტყვით წაჩხუბება, მაგრამ ფაქტობრივად ეს შინაგანში წარმოადგენს სქემად გადაქცეულ განცდას, რომელიც მოპოვებულია შინაგანიდან, ისევე, როგორც სამგანზომილებიანი სივრცის აბსტრაქცია არის მოპოვებული შინაგანიდან.

ახლა ბრუნდები რაღაც დროში, რომელიც თავის სრულ სულიერ გამოცოცხლებაში არსებობდა, მაგალითად, ჯერ

კიდევ ქრისტეს შემდგომ პირველ ასწლეულში და რომლის სულიერი თავისებურებაც შეიძლება დავინახოთ უკვე იქიდან, რომ მათემატიკას, მათემატიკურ შემეცნებას (Mathesis) მისტიკასთან განიხილავდნენ თითქმის, როგორც ერთიანს. მათემატიკა, მათემატიკური შემეცნება, მისტიკა არსებითად ერთია, თუნდაც მხოლოდ გარკვეულ მიმართებაში. ქრისტეს შემდგომ I საუკუნეში მისტიკოსისთვის ნამდვილი მისტიკაა ის, რაც შიგნით განიცდება უფრო მეტად მშვინვიერად, მათემატიკა კი არის ის მისტიკა, რომელსაც განიცდიან თავით უფრო მეტად გარეგნულად, მაგალითად, გეომეტრია *სხეულის წინ-უკან*,* მარჯვნივ-მარცხნივ, ზევით-ქვევით ორიენტირებით. შეიძლება ითქვას, ნამდვილი მისტიკა არის მშვინვიერი მისტიკა, ხოლო მათემატიკა, მათემატიკური შემეცნება წარმოადგენს სხეულებრივ მისტიკას. ნამდვილი მისტიკა განიცდება შიგნით მხოლოდ იმაში, რასაც ძალზე ხშირად უწოდებენ მისტიკას, ხოლო მათემატიკურ შემეცნებას, სხვა მისტიკას განიცდიან სხეულებრივის შინაგანი განცდის მიღებით, როცა ჯერ კიდევ არ არიან მოკლებულნი ამ შინაგან განცდას.

სინამდვილეში სრულიად სხვა სახეს წარმოადგენს თვით ხასიათი იმისა, ჯერ კიდევ როგორ გრძნობდნენ მათემატიკას ან მათემატიკურ მეთოდს *დეკარტ** (კარტეზიუსი) და სპინოზა. საკმარისია, ერთხელაც ჩაუღრმავდე ამ მოაზროვნეებს, – თუმცა არა ისე გარეგნულად, როგორც ამას აკეთებენ დღეს, როცა უძველეს მოაზროვნეებთან მუდმივად ცდილობენ, იპოვონ თანამედროვე, ჩვენ თავში ჩატენილი ცნებები, თუმცა ამავე დროს თავდადებით ეყრდნობიან საკუთარ თავს, და აღმოაჩენ, რომ ჯერ კიდევ თავად სპინოზასაც ჰქონდა რაღაც მისტიკური შეგრძნებებიდან, როცა ეძლეოდა მათემატიკურ მეთოდებს. და ბოლოს, სპინოზას ფილოსოფია მისტიკისაგან, არსებითად, სხვა არაფრით განსხვავდება, თუ არა იმით, რომ მაისტერ ეკხარტისა და *იოანე ტაულერის** მსგავსი მისტიკოსები ცდილობდნენ, თავიანთი სამყაროესული გამოცანები უფრო მეტად გრძნობების საფუძველზე განეცადათ, მაშინ, როცა სპინოზა მათ კონსტრუირებას ახდენდა, მაგრამ ისევე შინაგანად, მეთოდურ-მათემატიკურ ხაზებში, რომლებიც წარმოადგენენ სწორედ არა სწორ გეომეტრიულ ხაზებს, არამედ შინაგანად განიცდებიან მათემატიკური მე-

თოდით. მაისტერ ეკხარტის მისტიკური მეთოდების განცდაში მშვინვიერ მდგომარეობასა თუ მშვინვიერ განწყობასთან და სპინოზას მათემატიკურ მეთოდებთან მიმართებაში, არსებითად, არაა არანაირი განსხვავება. და ის, ვინც ხედავს რაღაც სხვაობას, მას, არსებითად, არ ესმის, როგორ განიცადა ნამდვილად მათემატიკურ-მისტიკურად სპინოზამ, მაგ., თავისი „ეთიკა“. აქ ამ ფილოსოფოსებთან ჯერ კიდევ არსებობს გამოძახილი იმ დროებიდან, როცა მათემატიკას, მათემატიკურ შემეცნებასა და მისტიკას შეიგრძნობდნენ, როგორც სამშვინველის ერთნაირ განცდას.

ჩემო პატივცემულო მსმენელებო და ძვირფასო მეგობრებო, შესაძლოა, გაგახსენდეთ, როგორ შევეცადე მე ჩემს წიგნში „*სამშვინველის გამოცანები*“*, კვლავ მეპოვა ადამიანური ორგანიზაცია თანამედროვე აზროვნების შესაბამისი მეთოდით. აქ საჭირო‍ა მივუთითო ამის შესახებ ზემოაღნიშნულ წიგნში „სამშვინველის გამოცანები“. იქ ადამიანური ორგანიზაცია, – ამაში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ ფიზიკურ ორგანიზაციას, – დავყავი ნერვულ-გრძნობად სისტემად, რიტმულ სისტემად და ნივთიერებათა ცვლისა და კიდურების სისტემად. აქ არ მჭირდება განსაკუთრებული მითითება იმაზე, რომ ამით ზედაპირულად იგულისხმება ადამიანის ისეთი დაყოფა, როგორც ეს არის *კარიკატურულად* გამოხატული *საუნივერსიტეტო მხრიდან**, როცა ცალკეული წევრები დაყენებულია გვერდიგვერდ სივრცეში. ჩემს წიგნში, „სამშვინველის გამოცანები“, გადმოცემულიდან თქვენთვის ნათელია, რომ ეს წევრები ერთმანეთს მსჭვალავს, რომ ნერვული სისტემა, თუმცა მას თავის სისტემას უწოდებენ, სწორედ აუცილებლად მხოლოდ მთავართან დაკავშირებით არის ლოკალიზებული ზედა ნაწილში, თავში, და რომ, ის განფენილია მთელ ადამიანზე, რომ ეს სამი სისტემა ერთმანეთში შედის, რომ, ცხადია, საშუალო ადამიანის, მკერდის ადამიანის სუნთქვისა და სისხლის რიტმი განფენილია ზევით თავის ორგანიზაციაში და ა. შ. ამდენად, დანაწევრება ფუნქციურია, ის არაა ლოკალური. თუმცა, ადამიანის დანახვას მაინც სწავლობ, თუ გაქვს შინაგანი გაგება ამ დანაწევრებისთვის.

დღეს კი ეს დანაწევრება წარმოვიდგინოთ გარკვეული მიზნით. თავიდან განვიხილოთ ადამიანური ორგანიზაციის

მესამე წევრი, ნივთიერებათა ცვლისა და კიდურების ადამიანი. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება შეგვიძლია მივმართოთ იმაზე, რა არის თვალში საცემი ადამიანის არსების ამ წევრში. შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ ადამიანი, რამდენადაც ის წარმოადგენს გრძნობად ადამიანს, მიწიერ ყოფიერებაში საკუთარ გარეგნულ ცხოვრებას ახორციელებს იმის წყალობით, რომ მის კიდურებში მცხოვრებს ის უშუალოდ აკავშირებს შინაგან განცდებთან, რომლებიც ცალ-ცალკე დავახასიათე, კერძოდ – ორიენტირების შინაგანი განცდა სივრცის სამი მიმართულებით. ადამიანის კიდურების სისტემა, გარკვეულწილად, ერთვება მის გარეგნულ მოძრაობებში, სამყაროში მისი ორიენტირებით იმაში, რაც წარმოადგენს შინაგან ორიენტაციას ხსენებული სამი მიმართულებით. სიარულისას ჩვენ განსაზღვრული სახით ვრთავთ საკუთარ თავს ზევითასა და ქვედას განცდაში. ბევრწილად, საკუთარი ხელებით ან მტევნებით რაიმე მოძრაობის განხორციელებისას, ჩვენ საკუთარ თავს ვრთავთ მარჯვნივ-მარცხნივ ორიენტირებაში. თვით საკუთარი საუბრითაც, რამდენადაც საუბარი ადამიანში წარმოადგენს ჰაეროვანის მოძრაობას, ჩვენ ვრთავთ მიმართულებას წინიდან-უკან, უკნიდან-წინ. სამყაროში გადაადგილებისას ჩვენ საკუთარ შინაგან ორიენტაციას ვაყენებთ გარეგნულ სამყაროში.

ახლა განვიხილოთ რეალური პროცესი მხოლოდ ილუზიაზე დაფუძნებულ ერთ გარკვეულ მათემატიკურ შემთხვევასთან დაკავშირებით. ეს რაღაც სავსეა ილუზიით, რაღაც,



რაც წმინდა აზრობრივ სქემაში მიმდინარეობს, როცა მე სადმე სამყაროში ვპოულობ რაღაც სივრცობრივ პროცესს და შემდეგ, როგორც მათემატიკოს-ანალიტიკოსი წინ მივიწევ ამ სივრცობრივ პროცესში იმდენად შორს, რომ ვხატავ კოორდინატთა სისტემის ჩვეულებრივ სამ კოორდინატს ან მათ უბრალოდ ვიაზრებ და ახლა ჩავ-

რთავ რომელიმე გარეგნულ პროცესს, რომელიც სივრცეში ხდება, დეკარტეს (კარტეზიუსის) ამ აბსოლუტურად კონსტრუირებულ სივრცობრივ სქემაში. ეს ხომ მხოლოდ ისაა, რაც, მე ვიტყოდი, თამაშდება აქ ზემოთ ადამიანის ნერვულ-გრძნობადი სისტემის მეშვეობით აზრობრივ-სქემატურის სფეროში. სივრცეში ასეთ პროცესთან ადამიანის რაღაც კავშირამდე ვერ მიხვიდოდი, თუ საფუძველში არ იქნებოდა ჩადებული ის, რასაც ახორციელებ საკუთარი კიდურებით, ამასთან ახორციელებ ასევე მთელი შენი ადამიანობით, რათა დააყენო საკუთარი თავი მთელ სამყაროში შინაგანი ორიენტაციის ზევით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ, წინ-უკან, შესაბამისად. წინ სიარულისას მე ვიცი, რომ ერთი მხრიდან საკუთარ თავს ვაყენებ ზევით და ქვევით, რათა დავრჩე ვერტიკალურ მდგომარეობაში. მე ასევე ვიცი, რომ საკუთარი მოძრაობის მიმართულებით საკუთარ თავს ვაყენებ წინ და უკან მიმართულებით, ხოლო ცურვისას ხელების გამოყენებით ორიენტაციას ვიღებ სამყაროს შიგნით მარჯვნივ-მარცხნივის დახმარებით. მე საერთოდ არა მაქვს ის, რაც საგნების საფუძველში ძევს, როცა ვიყენებ კარტეზიუსის სივრცობრივ სქემას, კოორდინატთა ღერძების აბსტრაქტულ სისტემას. ის, რაც თამაშდება ადამიანის კიდურების სისტემასა და სამყაროს შორის, რაც მას ზოგადად აძლევს რეალობის შთაბეჭდილებას, როცა ის შეხებაშია სივრცობრივ საგნებთან, ეს მე მაქვს მხოლოდ მაშინ, როცა ვეუბნები საკუთარ თავს, რომ იქ ზევით თავის ნერვულ სისტემაში წარმოიქმნება ილუზიაზე დაფუძნებული ხატი რაღაცის, რომელიც თამაშდება ღრმა ქვეცნობიერში, სწორედ იქ, სადაც ადამიანი საერთოდ არ შედის თავისი ჩვეულებრივი ცნობიერებით. ამდენად, მთელი მათემატიკა, გეომეტრია მოპოვებულია ჩვენი მოძრაობის სისტემიდან. ჩვენ არ გვექნებოდა გეომეტრია, თუ სამყაროში საკუთარ თავს არ დავაყენებდით შინაგან ორიენტირებასთან შესაბამისობაში. ქვეცნობიერში გათამაშებულის წამოწევით სინამდვილეში ჩვენ ვგეომეტრიკოსობთ (geometrisieren) ზევით, აზრობრივ სქემაზე დაფუძნებულ ილუზიაში. ამიტომაც გვეჩვენება ეს რაღაც აბსტრაქტულად დამოუკიდებლად. ახლა ეს არის ის, რაც შემოვიდა ახალ დროში. იმ დროს, რომელშიც მათემატიკურ შემეცნებას, მათემატიკას მისტიკოსე-

ბი ჯერ კიდევ ახლოს შეიგრძნობდნენ, მაშინ საგნებისადმი მათემატიკური მიმართებაც ჯერ კიდევ რაღაც ადამიანური იყო. ბოლოს და ბოლოს რა ადამიანური არსებობს შიგნით, როცა ნულოვან წერტილს, რომელიც მხოლოდ აზრობრივად დავაყენე სადღაც სივრცეში, ვკვეთ სამი შვეული მიმართულებით და ამ სივრცობრივ სქემას დავამთხვევ რაღაც პროცესს, რომელსაც რეალურ სივრცეში აღვიქვამ? ეს ხომ სრულიად უცხოა ადამიანისთვის, ეს ხომ რაღაც სრულიად არაადამიანურია. ეს არაადამიანური, რომელიც ახალ დროში შევიდა აზრთა მათემატიკურ წყობაში, ოდესღაც იყო ადამიანური. მაინც როდის იყო ეს ადამიანური?

ამდენად, მე თქვენ მიგითითეთ უშუალოდ გარეგნულ დროზე, მაგრამ ამისგან საჭირო იყო კიდევ მისი შინაგანის დახასიათება. როდის იყო ეს ადამიანური? ეს ადამიანური იყო მაშინ, როცა ადამიანი თავისი მოძრაობის, თავისი მდებარეობის, თავისი შინაგანი ორიენტაციის მიღმა სივრცეში შინაგანად ჯერ კიდევ განიცდიდა არა მხოლოდ: „შენ მიდიხარ წინ და მოძრაობ, განიცდი საკუთარ წონასწორობას ზევით და ქვევით, და სავარაუდოდ წარმოქმნი სხვა წონასწორობას მარცხენა-მარჯვენით“, არამედ, როგორც ადამიანი ჯერ კიდევ გრძნობდი, რომ თითოეული ასეთი სიარულისას, თითოეულ ასეთ გეომეტრიაში შიგნით მუშაობს სისხლი. როცა მე წინ მივდივარ, ყოველთვის სახეზეა სისხლის მიმოქცევა. მაინც რა არსებობდა სისხლის მოქმედების მიღმა, როცა მე, ვიყავი რა ბავშვი, ჰორიზონტალური მდგომარეობიდან ვდგებოდი ვერტიკალურ მდგომარეობაში? ადამიანის მოძრაობის მიღმა და მოძრაობის მეშვეობით სამყაროს განცდის მიღმა, რომელიც შესაძლოა იყოს შინაგანი განცდაც და ოდესღაც იყო კიდეც ის, ამის მიღმა დგას სისხლის განცდა. ვინაიდან ყველაზე უმნიშვნელოსა და ყველაზე დიდ მოძრაობაში, რომელსაც განვიცდი, როცა თავად ვახორციელებ მათ, ცხადია, ძევს სისხლის განცდა, რომელიც მასთან არის დაკავშირებული. დღეს ჩვენ სწორედ სისხლს განვიხილავთ, როგორც იმას, რაც წარმოგვიდგება, როცა თავს გავიტეხავთ და გამოედინება წითელი წვენი, ან როცა მსგავსი სახით გარეგნულად ვრწმუნდებით სისხლის ყოფიერებაში. მაგრამ დრო, როცა მათემატიკა, მათემატიკური შემეცნება ჯერ კიდევ დაკავშირებული იყო

მისტიკასთან, როცა მოძრაობის განცდა შიგნით, თუნდაც სიზმრისეული, დაკავშირებული იყო სისხლის განცდასთან – ეს დრო სისხლს განიცდიდა შიგნით. ანუ, ადამიანი ხდებოდა რაღაც სხვა, როცა იგი აკვირდებოდა, როგორ მიედინებოდა მისი სისხლძარღვების მეშვეობით სისხლი ფილტვებში, იმასთან შედარებით, როცა სისხლი მიედინება თავის სისხლძარღვების მეშვეობით. ის გრძნობდა სისხლის მოძრაობას მუხლის აწევისას, ტერფის აწევისას და შინაგანად გრძნობდა თავის თავს, განიცდიდა საკუთარ თავს საკუთარ სისხლში. როდესაც მე მაღლა ვწევ ფეხს, სისხლი იძენს სხვა ელფერს, ვიდრე მისი მიწაზე დადგმისას. როდესაც მე სულელურად ვზივარ და უქნარასავით მძინავს, სისხლს აქვს სხვა ელფერი, ვიდრე მაშინ, როცა თავში აზრები მიტრიალებს. მთლიანი ადამიანი ასე შეიძლება შინაგანად იქცეს ფორმად, იქცეს ფორმად სხვადასხვა ელფერით, თუ მოძრაობის განცდის მიღმა მას აქვს სისხლის განცდა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიხართ; თქვენ გაერთეთ უფრო სწრაფად სიარულით და იწყებთ სირბილს; საკუთარ თავს ამჩნევთ სურვილს იტრიალოთ, მრავალფეროვანი სახით იცეკვოთ და წარმოიდგინეთ, რომ მოგიწიათ, – ოღონდ არა თქვენი თანამედროვე აბსტრაქტული ცნობიერებით, არამედ შინაგანი განცდით, – საკუთარი თავის დაყენება სივრცეში ყველა სამი მიმართულებით – თავიდან სრულიად ნელი მეთოდით, შემდეგ წარმოგექმნებოდათ უფრო მეტი სისწრაფე, გექნებოდათ სირბილი, ტრიალი, ცეკვა, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის გექნებოდათ შესატყვისი განცდა სისხლისა. თავიდან წარმოგექმნებოდათ ის შინაგანი ელფერი, რომელიც, ცხადია, თქვენ შეგიძლიათ განიცადოთ, ყოველთვის მხოლოდ შეგრძნებით, ნელი სიარულისას. სირბილისას, ტრიალისას, ცეკვისას ეს ყოველ ჯერზე იქნებოდა სხვაგვარი, ისე, რომ თუ მოისურვებდით შინაგანიდან სწორად დაგეხატათ მოძრაობის საკუთარი განცდა, თქვენ მოგიწევდათ, სავარაუდოდ, დაგეხატათ შემდეგი (იხ. ნახ 1, თეორი ხაზი). მაგრამ ახლა თითოეული მდგომარეობისთვის, რომელშიც თქვენ იყავით ამ მოძრაობის განცდის დროს, თქვენ დახატავდით სისხლის შინაგან განცდას (წითელი, ლურჯი, ყვითელი).



ნახ. 1.

weis – თეთრი, gelb – ყვითელი, blau – ლურჯი; rot – წითელი.

პირველი განცდა, ესაა მოძრაობის განცდა, რაზეც თქვენ იტყოდით, რომ განიცდით მას ერთობლივად გარე სივრცესთან, რამდენადაც თქვენ განუწყვეტლივ მიდიხართ საკუთარი ადგილიდან. მეორე განცდა, რომელიც მე აღ-ნიშნე ფერებით, არის დროის რაღაც განცდა, შინაგანი ინ-ტენსიური განცდების გარკვეული თანმიმდევრობა.

მართლაც, თუ თქვენ ახლა შეძლებთ, ოსტატობა გამო-ავლინოთ, ირბინოთ სამკუთხედზე, მაშინ ასევე შეძლებთ მიიღოთ შინაგანი განცდა, როგორც სისხლის განცდა.

ნახ. 2 ნახ. 3

თუ თქვენ დარბიხართ ოთხკუთხედზე, მაშინ მიიღებთ სისხლის სხვა განცდას. ის, რაც გარეგნულად წარმოადგენს რიცხობრივს, გარეგნულ გეომეტრიულს, შინაგანად სისხლის განცდაში წარმოადგენს ინტენსიურად ხარისხობრივს.

ეს საოცარია, ძალზე გასაოცარი, როცა ხვდები, რომ უძველესი მათემატიკა სამკუთხედსა და ოთხკუთხედზე სრულიად სხვაგვარად საუბრობს. როდესაც შიგნით ხედავდნენ სხვადასხვა სახის საიდუმლოს, მაშინ ეს არაა რაღაც იდუმალი, რომელსაც აღწერენ თანამედროვე ბუნდოვანი მისტიკოსები, არამედ ეს არის ის, რაც მავანმა შესაძლოა დაახლოებით განიცადა სისხლის შიგნით სამკუთხედის შემთხვევაში, თუ იგი შემოურბენდა ამ სამკუთხედს, ასევე, რაც შეეძლო მავანს განეცადა სისხლის შიგნით, თუ ის შემოურბენდა ოთხკუთხედს. და ეს მთლიანად არის სისხლის ის განცდა, რომელსაც ძალა აქვს პენტაგრამაში! თქვენ ხედავთ, რომ სისხლში მთელი გეომეტრია თვისებრივად ხდება შინაგანი განცდა. ჩვენ ვბრუნდებით იმ დროში, რომელსაც ჭეშმარიტად შეეძლო ეთქვა: „*სისხლი არის სრულიად განსაკუთრებული წვენი**. რამდენადაც ეს წვენი განიცდება შიგნით, ამიტომ ის იწოვს ყველა გეომეტრიულ წარმონაქმნს და გარდაქმნის მათ ინტენსიურ შინაგან განცდაში. ამის წყალობით კი ადამიანი თავად ცნობს საკუთარ თავს. ის იგებს, რას ნიშნავს სამკუთხედის და ოთხკუთხედის განცდა, რას ნიშნავს პენტაგრამის განცდა და ეცნობა გეომეტრიის პროექციას სისხლზე და საკუთარ განცდაზე; ოდესღაც ეს იყო მისტიკა. მათემატიკა, მათემატიკური შემეცნება არა მარტო ახლოს იყო მისტიკასთან, არამედ ისინი ზოგადად იყო მოძრაობის გარეგნული მხარე, კიდურების მხარე შინაგანი განცდისთვის, სისხლის განცდისთვის. მთელი მათემატიკა უძველესი დროის მისტიკოსისთვის სივრცობრივი წარმონაქმნების ჯამიდან გარდაიქმნებოდა იმაში, რაც განიცდება სისხლში, რიტმულ შინაგან განცდაში, მაგრამ ძლიერ შინაგან, რიტმულ შინაგან განცდაში.

შეიძლება ითქვას, რომ ოდესღაც ადამიანს ჰქონდა შემეცნება, რომელსაც ის განიცდიდა, რომლის დროსაც ის მთლიანად იყო მყოფადში და სწორედ იმ მომენტში, რომელიც უკვე დავახასიათე, მან დაკარგა სამყაროსთან ეს თა-

ვისი მყოფობა, სამყაროს საიდუმლოებების დროს ეს მყოფობა. მან ამოზიდა მათემატიკა საკუთარი შინაგანიდან. მას უკვე აღარ ჰქონდა მოძრაობის განცდა, მაგრამ მათემატიკურად აყალიბებდა გარედან მოძრაობების კავშირს. იგი მეტად აღარ განიცდიდა სისხლს. ამის შედეგად სისხლი თავის სისტემებში მისთვის საერთოდ რაღაც სრულიად უცხოდ იქცა, ამასთან სისხლის განცდის დროს იგი თავად იქცა საკუთარი თავისთვის უცხოდ. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი იშორებს მათემატიკას საკუთარი სხეულიდან და ის იქცევა აბსტრაქტულად. მათემატიკა უკვე აღარ მიდის შინაგანის მიმართულებით. ადამიანი კარგავს სისხლის განცდის გაგებას. ერთხელაც ეს წარმოიდგინეთ, როგორც სამშვინველის განწყობა, რომელიც ოდესღაც წარმოიქმნა. წარმოიდგინეთ, რომ სამშვინველი ადრე განწყობილი იყო სხვაგვარად, ვიდრე მოგვიანებით, რომ ადრე ის ეძებდა კავშირს სისხლის განცდასა და მოძრაობის განცდას შორის, ხოლო ამის შემდეგ მთლიანად გამოიყო ერთი, მათემატიკური და გეომეტრიული განცდა, ხოლო სისხლის განცდას უკვე აღარ მიაკუთვნებდნენ საკუთრივ მოძრაობას, ეს დაიკარგა. წარმოიდგინეთ ეს ნამდვილად, როგორც ისტორია, როგორც განწყობა, შემოსული კაცობრიობის განვითარებაში. დიახ, ადრე მცხოვრები ადამიანი, როგორც მათემატიკოსი, ამავე დროს მისტიკოსიც იყო, რომელიც მთელ თავის ადამიანურ არსებას აყენებდა სამყაროში, რომელსაც თავისი საკუთარი მოძრავი არსება უნდა გაეთანაბრებინა კოსმოსთან. იგი, როგორც ადამიანი კოსმოსს ზომავდა. ის ცხოვრობდა ასტრონომიაში. თანამედროვე ადამიანი კოსმოსში სვამს კოორდინატთა ღერძების სისტემას და თავად საკუთარ თავს კი მოაცილებს. უძველესი ადამიანი ყოველი გეომეტრიული ფიგურით შეიგრძნობდა სისხლის რაღაც განცდას. თანამედროვე ადამიანს არა აქვს სისხლის არანაირი განცდა, მან დაკარგა კავშირი საკუთარ გულთან, რომელშიც ცენტრირებულია (zentriert) სისხლის განცდა. განა ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ დაახლოებით VII, VIII საუკუნეებში, როცა ჯერ კიდევ არსებობდა განწყობა მოძრაობის განცდით, როგორც მათემატიკური განცდა და სისხლის განცდით, როგორც მისტიკური განცდა, რომ მაშინ ვინმე დააფუძნებდა კოპერნიკისეულ ასტრონომიას, უბ-

რალოდ დააყენებდა მას სამყაროში კოორდინატთა ღერძების რაღაც სისტემით, გამოყოფდა ადამიანისგან? არა, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა კაცობრიობის განვითარებაში შემოვიდა სამშვინველის ეს განსაკუთრებული განწყობა. ამის შემდეგ ძალიან მალე შესაძლებელი გახდა რაღაც სრულიად სხვა რამ. სისხლის შინაგანი განცდა დაიკარგა. ახლა მომწიფდა დრო ადამიანის ფიზიკურ სხეულში სისხლის მოძრაობის გარეგნულ ფიზიოლოგიურ-ანატომიურად აღძვრისთვის. ამდენად, თქვენ გაქვთ გარდატეხის მომენტი კაცობრიობის განვითარებაში, ერთი მხრივ, კოპერნიკის ასტრონომია და, მეორე მხრივ, ბეგონისა და ჰობსის თანამედროვის *ვილიამ ჰარვეის** მიერ სისხლის მიმოქცევის აღმოჩენა, რამდენადაც აბსტრაქტული მათემატიკით სამყაროს იმ ჭვრეტას უკვე აღარ შეუძლია ძველი პტოლომეოსისეული თეორიის მოცემა. ისინი, არსებითად, დაკავშირებულია ადამიანთან და მის მიერ განცდილ მათემატიკასთან. ახლა განიცდიან კოორდინატთა ღერძების სისტემის ნებისმიერ ნულოვან წერტილში გამოვლენასთან განცალკევებას. ახლა უკვე აღარ გააჩნიათ სისხლის ფიზიკური ცირკულაცია ცენტრში გულით.

ასე დააყენა ბუნებისმეტყველებამ თავისი თავი კაცობრიობის მთელ განვითარებაში, მის გაცნობიერებულ და გაუცნობიერებელ პროცესებში და მხოლოდ ასე, გამომდინარე რეალური ადამიანურიდან, ესმით, არსებითად რა მოხდა და რა უნდა არსებობდეს აქ ახალ დროში, რომ საერთოდ შეიძლებოდეს ჩვენთვის წარმოიქმნას დღეს ასეთი თავისთავად ცხადი ბუნებისმეტყველება, რომ თითოეულს თავში მოუვიდეს, ჩაატაროს დაახლოებით ისეთი კვლევები, როგორიც ჩაატარა ჰარვეიმ სისხლის მომოქცევის აღმოჩენისთვის.

ამ თემას, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, მე გავაგრძელებ ხვალ.

მეოთხე მოხსენება
დორნახი, 1922 წლის 27 დეკემბერი

გუშინ მე შევეცადე, მეჩვენებინა, ჯერ კიდევ როგორ იყო უძველესი ადამიანური შეხედულება, რომლისგანაც წარმოიშვა კიდეც თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერული შეხედულება, დაკავშირებული ხარისხობრივთან, და ასევე, მე ვიტყოდი, ფიგურალურ მათემატიკასთან, რამდენადაც ის წარმოადგენს გეომეტრიას, ამავე დროს როგორ დააკავშირა მან რაოდენობრივი ხარისხობრივთან. ასე რომ, შეიძლება გადავხედოთ მსოფლმხედველობას, რომლის განცდაც იყო, ვთქვათ, არა მარტო სამკუთხედი ან რომელიმე სხვა გეომეტრიულ წარმონაქმნი, – სულერთია ამ გეომეტრიული წარმონაქმნის ქვეშ გულისხმობ თუ არა სხეულის რაიმე მიჯნას ან სხეულის მოძრაობის ტრაექტორიის ფორმას – არამედ, ასევე ხედავ ისეთ გეომეტრიული წარმონაქმნს ან თუნდაც არითმეტიკულ წარმონაქმნს, რომელიც შინაგანად დაკავშირებულია რაღაც ინტენსიურად ხარისხობრივად განცდილთან, მაგალითად, სამკუთხედი, ან ოთხკუთხედი, გამომდინარე გარკვეული განცდიდან.

ეს შეხედულება თავიდან შეიძლებოდა გარდაქმნილიყო სხვაში, რამდენადაც დაიკარგა ცნობიერება იმისა, რომ მთელ რაოდენობრივს, ანუ ასევე მთელ მათემატიკურს, ადამიანი თავდაპირველად მაინც განიცდიდა უშუალოდ სამყაროსთან კავშირში, როცა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს რაოდენობრივი გამოეყოთ ადამიანურად განცდილისგან. ჩვენ ხომ ზუსტად შეგვიძლია დავაფიქსიროთ ეს გამოყოფა სწორედ მაშინ, როცა თითოეული სივრცობრივი აღქმა, როგორც რაღაც, რის შიგნითაც იმყოფება თავად ადამიანი, დღეს ჩვეულებრივ იცვლება სქემატურ სივრცობრივ აღქმად, როცა ნებისმიერი ადგილიდან ირჩევენ ამოსავალ წერტილს, რომლის გავლითაც უბრალოდ ავლებენ კოორდინატთა ღერძებს. იმ ფორმაში, რომელშიც მათემატიკური აქვთ დღეს და სურთ, უშუალოდ მისი მეშვეობით დაეუფლონ ე. წ. ბუნებრივ მოვლენებს, ეს მათემატიკური წარმოიქმნა არც ისე დიდი ხნის წინ, მას შემდეგ, რაც ის გამოყვეს ადამიანურისგან. თუ მე ვისურვებდი ამის გამოსახვას უფრო ხატოვნად, მაშინ უნდა მეთქვა: უძველეს დროებში

ადამიანი განიცდიდა მათემატიკურს, როგორც რაღაცას, რასაც იგი თავის თავში განიცდიდა თავის ღმერთებთან ერთად ან თავის ღმერთთან ერთად, რომლის წყალობითაც ღმერთს სამყარო მოჰყავდა წესრიგში და არ უნდა გაჰკვირვებოდათ, რომ სამყაროს ნამდვილად პოულობდნენ ამ წესრიგში. სამაგიეროდ, მთლიანად თვითნებური სივრცობრივი სქემის ან სხვა მათემატიკურის მიმართება ბუნების მოვლენებთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი იდენტიფიცირება არსებითად შეიძლება ბუნების ამ ე. წ. მოვლენებთან, ეს მიმართება აბსტრაქტულ-მათემატიკურისა ბუნების მოვლენებთან არის რაღაც, რაც არ შეიძლება რაღაცნაირად ზუსტად შეუერთდეს ადამიანურ განცდებს და ამიტომაც, შეიძლება ითქვას, შეუმჩნეველია, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში კონსტატაცია შეიძლება. ამიტომ სინამდვილეში ეს არ შეიძლება იყოს შემეცნების საგანი. არსებითად, აღმოჩნდება, რომ ბუნების მოვლენებთან დაკავშირებით მათემატიკის ასეთ გამოყენებაზე ყოველთვის შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ ის, რასაც ბუნების მოვლენებზე მოიგონებენ მარტოოდენ მათემატიკურად, შემდგომში გამოუსადეგარი ხდება. მაგრამ თუ რატომ არის ეს ასე, ამას წარმოდგენათა ამ სამყაროს შიგნით უკვე ვეღარ იპოვი.

ახლა აზრობრივად მივუბრუნდეთ შეხედულებების იმ სამყაროს, რაზეც ამ დღეებში ვისაუბრე, სადაც მთელი სხეულებრივი ითვლებოდა სულიერის ანასახად. მაშინ უყურებდნენ სხეულს და სხეულში პოულობდნენ სულიერის ანასახს. შემდეგ უყურებდნენ უკან თავად საკუთარ თავს, იმას, რასაც შენი საკუთარი სხეულებრივი კონსტიტუციის მეშვეობით პოულობ კავშირში საკუთარ ღვთაებრივთან, როგორც *მათემატიკურს**. ზუსტად ისევე, როგორც რომელიმე მხატვრის ხელოვნების ნაწარმოებში პოულობ მისი იდეების ანასახს, როცა ამავე დროს არაფერია გამოუცნობი, ასევე აღმოაჩენ სხეულებშიც მათემატიკურ ანასახს იმისა, რაც განიცადე საკუთარ ღვთაებრივთან ერთად, რამდენადაც ეს სხეულებიც ხომ გარეთ ბუნებაში წარმოადგენენ ღვთაებრივ-სულიერის ანასახს. ამდენად, იმ დროს, როცა ადამიანი გამოყოფს მათემატიკას და შემდეგ მას მაინც მიაკუთვნებს რაღაც სხეულებრიობას, რომელიც უკვე არ წარ-

მოადგენს სულის ანასახს, მთელს შეხედულებაში აუცილებლობის ძალით რაღაც აგნოსტიკური შევიდა.

განვიხილოთ საკითხი რაიმე კონკრეტულის, პირველი მოვლენის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვხვდებით აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდის დაბადების შემდეგ, გავაანალიზოთ საკითხი კოპერნიკის სისტემაზე. დღეს და საერთოდ ამ მოხსენებებში მე არ დავიწყებ პტოლომეოსის უძველესი სისტემის ან კოპერნიკის სისტემის დაცვას. აქ, უპირველეს ყოვლისა, გადმოვცემ რა მხოლოდ ისტორიულად, მე არ გამოვდივარ არც ერთის და არც მეორის მხარეს, არამედ საქმე მაქვს მხოლოდ ფაქტებთან, რომ კოპერნიკის სისტემამ შეცვალა პტოლომეოსის სისტემა. ამდენად, დღეს ჩემი ნათქვამიდან არავინ გააკეთოს დასკვნა, თითქოს მე მინდოდა გამოვსულიყავი ძველი პტოლომეოსის სისტემის მხარეზე კოპერნიკის სისტემის საწინააღმდეგოდ. ისტორიულ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით საჭიროა, ითქვას შემდეგი. გადავინაცვლოთ უკან იმ დროში, როცა ადამიანი განიცდიდა საკუთარ ორიენტაციას სივრცეში – ზევით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ, წინ-უკან. მას შეეძლო ისინი განეცადა მხოლოდ დედამიწასთან კავშირში. მას შეეძლო, მაგალითად, ზევით და ქვევით საკუთარ თავში განეცადა მხოლოდ სიმძიმის ძალის მიმართულებასთან კავშირში. იგი მარჯვენა-მარცხენას, წინ-უკანას განიცდიდა დედამიწის მხარეებთან კავშირში, რომელზეც არსებითად ორიენტირებულია თავად დედამიწა. ის ასევე განიცდიდა ამ ორიენტაციას დედამიწასთან ერთად, როცა საკუთარ თავს გრძნობდა მყარად მდგომს დედამიწაზე. ანუ ადამიანი არა მარტო საკუთარი აზრების მხრივ იყო რაღაც, რაც იწყება მის თავთან და მთავრდება მისი ფეხის ძირთან, არამედ ადამიანი თავის თავს განიცდიდა, როგორც რაღაცას, რომელსაც გაივლის სიმძიმის ძალა, რომელმაც რაღაც უნდა გაუკეთოს მის არსებას, მაგრამ რომელიც არ მთავრდება ფეხის ძირთან, ასე რომ, როცა საკუთარ თავს გრძნობდა სიმძიმის ძალის ყოფიერების შიგნით, იგი შეიგრძნობდა საკუთარ მთლიანობას დედამიწასთან. ამის წყალობით მისი კონკრეტული განცდისთვის მოცემული იყო ამოსავალი წერტილი მისივე მთლიანი კოსმიური განხილვისთვის დედამიწის დახმარებით. სწორედ ამით იყო გამართლებული

მისთვის პტოლომეოსის მსოფლიო სისტემის აგებულება. მხოლოდ იმ მომენტში, როცა ადამიანმა მათემატიკური აგებულება გამოყო საკუთარი თავისგან, მას მიეცა შესაძლებლობა, ასევე გამოეყო ასტრონომიული სისტემა დედამიწისგან და დაფუძნებინა სისტემა, რომელსაც თავისი ცენტრი აქვს მზეზე. თავიდან ადამიანს საკუთარ თავში უნდა დაეკარგა უძველესი განცდა, რომ დაეშვა სისტემის ცენტრი დედამიწის გარეთ. ამდენად, კოპერნიკის სისტემის აღმოცენება უშინაგანესიდან დაკავშირებულია ცივილიზებული კაცობრიობის მშვინვიერ განწყობებში მომხდარ გარდაქმნებთან. თანამედროვე საბუნებისმეტყველო აზროვნების წარმოქმნა სრულებითაც არ შეიძლება ამოიგლიჯოს ადამიანის მშვინვიერი განწყობიდან და სულიერი მდგომარეობიდან, არამედ საჭიროა განვიხილოთ – მათთან კავშირში.

ეს ხომ ძალზე ბუნებრივია, რომ ასეთი მოვლენების გაჟღერებისას, ისინი აბსურდული ჩანს უპირველეს ყოვლისა თანამედროვეთათვის, რომელთაც ბუნებაზე თანამედროვე შეხედულებების გაცილებით უფრო მეტად სჯერათ, ვიდრე ოდესღაც სჯეროდათ რელიგიის მიმდევრებს თავიანთი დოგმების. მაგრამ აზროვნების საბუნებისმეტყველო მეთოდის სწორად შეფასებისთვის, – სწორედ ამის წყალობით, როგორც ამ მოხსენებების მსვლელობისას დავინახავთ, ის უფრო ღირებული ხდება სამყაროსთვის, ვიდრე ეს ჰგონიათ აგნოსტიკოსებს, – ის საჭიროა მოვიპოვოთ ადამიანური მშვინვიერი განწყობის ერთიანობისა და საკუთრივ მისი განვითარებისაგან.

ამდენად, ოდესღაც მოცემულ იქნა კოპერნიკის ეს მსოფლმხედველობა, კოსმოსური ცენტრის ეს გადატანა დედამიწიდან მზეზე. ამით სინამდვილეში მოცემული იყო *ჯორდანო ბრუნოს** მთელი აზრობრივი კოსმოსური წყობა; ის დაიბადა 1548 წელს და 1600 წელს რომში კოცონზე დაწვეს. ჯორდანო ბრუნო ჩნდება, შეიძლება ითქვას, როგორც ბუნებაზე სწორედ იმ თანამედროვე შეხედულების განმადიდებელი, რომელიც განეკუთვნება კოპერნიკს. საჭიროა მთლიანად განიმსჭვალო ამ სახით სამყაროს წარმოქმნის აუცილებლობის გაგებით, რომ საერთოდ იგრძნო რაღაც მთელი მეთოდიდან, განსაკუთრებით სტილის, ტონის მიხედვით, როგორითაც საუბრობდა და წერდა ჯორდანო

ბრუნო. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ საკუთარ თხზულებებში იგი საუბრობდა, გარკვეული თვალსაზრისით, სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ახლის მომხრეები და ასევე ძველის მიმდევრები, აქამდე მიღებული გადმოცემის საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდით. შეიძლება ითქვას, ჯორდანო ბრუნო, არსებითად, სულაც არ საუბრობდა სამყაროზე მათემატიკურად, არამედ უფრო – ლირიკულად. რაღაც მუსიკალური შეიძლება ვიპოვოთ იმ მეთოდში, რომლითაც თავისი გატაცებისას ჯორდანო ბრუნო მოსავდა სიტყვებით ბუნებაზე შეხედულების თანამედროვე მეთოდს. რატომ არის ეს ასე? ეს ხდება იმ მიზეზით, რომ ჯორდანო ბრუნო სინამდვილეში მთელი თავისი არსებით განფესვილი იყო უშუალოდ სამყაროს უძველეს შეგრძნებაში, ხოლო თავისი გარეგნული განსჯით ამბობდა: რამდენადაც ახლა კაცობრიობის განვითარებაში წარმოიქმნენ ეს მოვლენები, ჩვენ საერთოდ არ შეგვიძლია სხვაგვარად, თუ არა, კოპერნიკის შეხედულების აღიარება. მას კარგად ესმოდა აუცილებლობა, რომელიც მიეცა კაცობრიობას დროში განვითარების მეშვეობით. მაგრამ, მე ვიტყოდი, სამყაროს ეს კოპერნიკისეული ხატი მასთან მოვიდა არა როგორც მის მიერ გამომუშავებული, არამედ როგორც, რაღაც, რაც მას მიეცა, რაც მან მიიჩნია თანამედროვეებისთვის შესაფერისად. სწორედ იმიტომ, რომ თავისი შინაგანი არსით იგი მიეკუთვნებოდა სამყაროს უძველეს შეგრძნებებს, მას არც შეეძლო სხვა რამე, გარდა იმისა, რაც მას უნდა შეეცნო, რაც უნდა ეღიარებინა შემეცნების სახით, რათა შინაგანად განეცადა. ეს შინაგანი განცდა მას ჯერ კიდევ გააჩნდა. ამ შინაგანი განცდის მეცნიერული ფორმირება მას ჯერ არ შეეძლო. ამდენად, ის აკვირდებოდა კოპერნიკისეული სისტემის აზრთა მსვლელობას, რომელიც მან ასე გასაოცრად წარმოადგინა, არა ისე, როგორც აკვირდებოდნენ კოპერნიკი, გალილეი ან კეპლერი ანდა სხვები, ან თუნდაც ნიუტონი, არამედ ისე, რომ ცდილობდა, ახლა ეს ასევე განეცადა ძველი სახით, როცა თავად განიცდი საკუთარ თავში მთელ კოსმოსს. მაგრამ მათემატიკა ძველი მეთოდით კოსმოსის განცდისთვის ამავდროულად უნდა იყოს მისტიკა, როგორც გუშინ გადმოვეცი, ასევე უნდა იყოს შინაგანი განცდა. ის არ შეიძლება იყოს ასეთი ჯორდანო ბრუნოსთვის. ამის დრო წავიდა. ამ-

დენად, თანაგანცდა, არსებითად, ვერ იქცა შემმეცნებელ თანაგანცდად, ის იქცა პოეტურ თანაგანცდად ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნახევრად პოეტურ განცდად. სწორედ ეს ანიჭებს ჯორდანოს თხზულებებს თავისებურ სტილს. ატომიზმი არის კიდევ რაღაც მონადოლოგია, ატომი მასთან ჯერ კიდევ წარმოადგენს რაღაც ცოცხალს. კოსმოსური კანონების ჯამს ჯერ კიდევ გააჩნია რაღაც მშვინვიერი, მაგრამ არა იმიტომ, რომ უძველესი მისტიკოსის სულში მას ნამდვილად ადამიანურად სიღრმისეულად წვრილმანებამდე შეეძლებოდა განეცადა მშვინვიერი ან კოსმოსის მათემატიკური კანონზომიერება განეცადა, როგორც სულის ინტენცია, არამედ იმიტომ, რომ იგი პოეტურად ამაღლდა, რათა იმით, რაც გარეგნულად იქცა და ერთხელაც შეიძლებოდა მოცემული ყოფილიყო მხოლოდ გარეგნულად, აღფრთოვანებულიყო და აღტაცებაში განედიდებინა მეცნიერულის მსგავსად. ჯორდანო ბრუნოს პიროვნებაში ნამდვილად არის რაღაც ქვაკუთხედის მსგავსი ორივე მსოფლმხედველობისთვის თანამედროვეობისა, რომელიც შედის XV საუკუნეში, და იმისა, რაზეც ადამიანს დღეს ოდნავ თუ აქვს რაიმე ცნება და რომელშიც ადამიანი ჯერ კიდევ განსაზღვრული სახით განიცდიდა ყველაფერს, რომელიც წარმოადგენს კოსმოსურს, ასე რომ, მას ჯერაც არ გააჩნდა რაიმე განსხვავება თავის თავში სუბიექტსა და გარეთ კოსმოსურ ობიექტს შორის, რომ ორივე სინამდვილეში ჯერ კიდევ ერთდებოდა და ადამიანი ჯერ არსებობდა სამ სივრცობრივ განზომილებაში, როცა თავისი საკუთარი ორიენტაციიდან საკუთარ სხეულში გამოყოფდა – ზევით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ, წინ-უკანას.

კოპერნიკთან ეს ჯერჯერობით ასტრონომიული იყო, რომლის წვდომაც მას უკვე სურდა ცალკე გააზრებული მათემატიკურის დახმარებით. *ნიუტონთან** მათემატიკა თავს იჩენს უკვე სრულიად თავისთავად – ახლა აქ ვგულისხმობ არა ცალკეულ მათემატიკურ წარმოებულს, არამედ ზოგადად მათემატიკურ აზროვნებას, თუმცა ადამიანური განცდისგან განცალკევებით. არსებითად ნიუტონი, – ალბათ, უმთავრესად საჭიროა ყოველთვის რადიკალური მომენტების აღწერა, საჭიროა ბევრი რამ ითქვას იმის საწინააღმდეგოდ, რასაც აღვწერ, ასე ვთქვათ, გარდამტეხ მომენტებში (Eckrinkten), მაგრამ

ეს საქმეს არ ცვლის, – არის დაახლოებით პირველი, ვინც შეუდგა ბუნებრივი მოვლენების განხილვას აზროვნების გაუცხოებული მათემატიკური მეთოდის მეშვეობით. ამის წყალობით ნიუტონი, როგორც კოპერნიკის რადაც სახის მიმდევარი, გადაიქცა აზროვნების თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეთოდის ნამდვილ დამფუძნებლად.

ახლა საინტერესოა, ნიუტონისა და მის შემდგომ დროში, როგორ არის დაკავებული ცივილიზებული კაცობრიობა იმით, რომ გაუმკლავდეს გაუგონარ გარდატეხას, რომელიც მოხდა მშვინვიერ განწყობაში შეხედულებათა ძველი მათემატიკურ-მისტიკური მეთოდიდან შეხედულების ახალი მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო მეთოდისკენ გადასვლისას. სინამდვილეში მოაზროვნეებმა ძალზე ძნელად შეძლეს ამ უდიდეს გარდატეხასთან გამკლავება. ეს განსაკუთრებით ცხადია, როცა აკვირდები იმ დეტალებს, იმ ამოცანებს, რომლებთანაც იბრძვის ესა თუ ის პიროვნება. ავიღოთ ნიუტონი, როცა იგი ასახავს ბუნების საკუთარ სისტემას იმ სისტემის მეშვეობით, რომელიც ცდილობს, ბუნება მოიყვანოს კავშირში მათემატიკასთან, რომელიც გამოყოფილია ადამიანისგან და ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ის გულისხმობს, მაგალითად, დროს, ადგილს, სივრცეს, მოძრაობას. ბუნების ფილოსოფიის საკუთარ პრინციპებში ის ამბობს: ადგილის, დროის, სივრცის, მოძრაობის ახსნას *მე არ ვთვლი საჭიროდ,** ვინაიდან ისინი, არსებითად, ყველა ადამიანისთვის ცნობილია. ნებისმიერმა ადამიანმა იცის, რა არის დრო, სივრცე, ადგილი და მოძრაობა და ამდენად, სამყაროს მათემატიკური ახსნის ფარგლებში მე გამოვიყენებ სივრცის, დროის, ადგილისა და მოძრაობის სწორედ ისეთ ცნებებს, როგორსაც ვიღებ შეხედულების ტრივიალურ-პოპულარული მეთოდიდან. ყოველთვის არ ხდება ისე, რომ ადამიანები თავიანთი ცნობიერებით მთლიანად მოიცავენ იმას, რასაც ისინი გამოთქვამენ. თვით ცხოვრებაშიც იშვიათად ხდება, რომ ადამიანი თავისი ცნობიერებით ნამდვილად იჭრება იმ ყველაფერში, რასაც წარმოთქვამს. თუმცა, უდიდეს მოაზროვნეებში ეს არ ხდება. შეიძლება ითქვას, ნიუტონმა იცის, რატომ იღებს იგი გარდატეხის წერტილად ადგილს, დროს, სივრცესა და მოძრაობას და არანაირად არ ხსნის, არ იძლევა რაიმე განსაზღვრებებს, მაშინ, როცა ყველა მომდევნო დასკვნის შემდეგ, ცხადია, მიდის ყველაფრის ახსნამდე,

ყველაფრის განსაზღვრამდე. რატომ არის ეს ასე? ეს ხდება იმ მიზეზით, რომ ადგილთან, დროსთან, მოძრაობასა და სივრცესთან მიმართებაში არანაირი გონივრულობა, არანაირი აზროვნება არ გვეხმარება. ვინაიდან ადგილზე, დროზე, სივრცესა და მოძრაობაზე რაიმენაირი განსჯის მეშვეობით ვერ გახდები უფრო გონიერი, ვიდრე დასაწყისში, როცა ამ ცნებებს, ამ წარმოდგენებს აღიქვამ ჩვეულებრივ ცხოვრებაში. წარმოდგენები სწორედ ისეთია, რომ მათ განიცდი საკუთარი უშუალო, მე ვიტყოდი, ჩვეულებრივი ადამიანურობის მეშვეობით და საჭიროა ისინი შეინარჩუნო ისეთები, როგორსაც მათ იღებ. ნიუტონის ერთი მიმდევარი, რომელიც, ცხადია, უფრო მეტად ქმედითი იყო ფილოსოფიის სფეროში, მაგრამ წარმოადგენდა სწორედ მნიშვნელოვნად ნიშანდობლივს ბრძოლის იმ პერიოდისთვის, როცა წარმოიქმნა აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდი, სწორედ ნიუტონის ამ მიმდევრისთვის, *ბერკლისთვის**, ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო. გარდა ამისა, იგი უკმაყოფილო იყო ნიუტონით, ამის შესახებ ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, მაგრამ მისთვის განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ის, რომ ნიუტონი საფუძვლად იღებს ამ ცნებებს, მათი ახსნის გარეშე, როცა ის ამბობს: მე ამოვდივარ ადგილიდან, დროიდან, სივრციდან და მოძრაობიდან და მათ არ განვსაზღვრავ, თუმცა მათ საფუძველში მე ვდებ საკუთარ მათემატიკურ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ განხილვებს. *ბერკლიმ თქვა**: აუცილებელია ამის ასე გაკეთება. საჭიროა ავიღოთ ეს ცნებები, როგორც ის ესმით ყველაზე უბრალო ადამიანებს, ვინაიდან აქ ისინი ყოველთვის ნათელია. სწორედ ადგილზე, დროზე, მოძრაობასა და სივრცეზე ცნებები გაურკვეველი რჩება არა განცდების მიღმა, არამედ ისინი გაურკვეველი ხდება მეტაფიზიკოსისა და ფიზიკოსის თავში. თუ აღმოაჩენ ამ ოთხ ცნებას ცხოვრებაში, მაშინ ისინი გასაგებია, – ასე ფიქრობს ბერკლი, – თუ კი მათ აღმოაჩენ მეტაფიზიკოსებისა და ფილოსოფოსების თავებში, ისინი ყოველთვის გაუგებარია.

უკვე ისე ხდება, რომ დაფიქრებას ამ ცნებებზე, რომლებიც სურთ იყოს მხოლოდ განცდილი, უკვე აღარაფერი შველის. და მაინც, მართებთ ეს იგრძნონ. ამიტომ ნიუტონი მხოლოდ მაშინ იწყებს მათემატიკით ჟონგლიორობას, როცა მას ეს ცნებები სჭირდება სამყაროს ასახსნელად. ამით

სრულებითაც არ მსურს რაიმე უსიამოვნოს თქმა, მაგრამ მინდა, უბრალოდ დავახასიათო, ვთქვათ, ნიუტონის ცოცხალი შესაძლებლობები. ამ ცნებათაგან, რომელთაც ასე იყენებს ნიუტონი, ერთ-ერთია სივრცე. თავიდან ის ნამდვილად მანიპულირებს სივრცით ისე, როგორც, – აქ გამოვიყენებთ ობივატელურ გამოთქმას, – სწორედ რიგით ადამიანებს წარმოუდგენიათ სივრცე. ამის შიგნით რაღაც ჯერ კიდევ ძევს განცდილისაგან, ვინაიდან წარმოიდგინო კარტეზიუსის მათემატიკური სივრცე, თუ თავად არ შეგყავს საკუთარი თავი შეცდომაში ილუზიებით, ეს არის სწორედ აზროვნებით შეტანა რაღაც სახის წრებრუნვისა, რაღაც სახის რეტი, ვინაიდან ეს არის ის სივრცე, რომელსაც აქვს თავისი ცენტრი, თავისი კოორდინატების საწყისი პუნქტი ნებისმიერ ადგილას და აქვს რაღაც გაურკვეველი. შეიძლება, მაგალითად, რაიმეს გამორჩენის გარეშე გონებამახვილურად, სპეკულაცია იმაზე, უსასრულოა თუ არა ეს სივრცე, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ადამიანურთან დაკავშირებული ჩვეულებრივი შეგრძნება სივრცისა, უკვე რეალურად აღარ ზრუნავს სასრულსა თუ უსასრულობაზე. უბრალოდ ამით არ ინტერესდება. ამასთან, ეს ასევე ძალზე უინტერესოა მხოლოდ ერთი ცოცხალი მსოფლმხედველობისთვის, თითქოს შეიძლება თუ არა, სივრცე წარმოვიდგინოთ სასრული ან უსასრულო. ასე რომ, შეიძლება ითქვას: ნიუტონი იღებს ჩვეულებრივ სივრცეს ისეთს, როგორსაც პოულობს. მაგრამ აქ ის იწყებს მათემატიზირებას. თუმცა, მის ეპოქაში აზროვნების განსაკუთრებული თავისებურებიდან მას აქვს გამოყოფილი მათემატიკა, გარდა ამისა, გამოყოფილი გეომეტრია და სივრცობრივი ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების განმსჭვალვით იგი მათ მსჭვალავს რაღაც გამოყოფილი მათემატიკით. ამის წყალობით იგი მთლიანად აშორებს თავად ბუნებრივ პროცესებს ადამიანს. სინამდვილეში ნიუტონის ამ ფიზიკაში პირველად ვხვდებით, არსებითად, ადამიანისგან მთლიანად მოწყვეტილ წარმოდგენებს ბუნებაზე, საკმარისია, მხოლოდ მივუბრუნდეთ ადრინდელ დროებს და აღმოვაჩინეთ, რომ ბუნებაზე წარმოდგენები არსად ისე არაა მოწყვეტილი ადამიანისგან, როგორც არის ისინი მოწყვეტილი ნიუტონის ფიზიკაში.

ჩვენ თუ ყურადღებას მივაპყრობთ ერთ მოაზროვნეს, – ამ ადამიანებს ვერც კი დავარქმევთ მოაზროვნეებს, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ გაცილებით უფრო ცოცხალი შინაგანი ცხოვრება, ვიდრე აზრთა შიშველი ცხოვრება, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, თანამედროვე გამოთქმის გამოყენებით, რომ ყურადღებას მივაპყრობთ ქრისტეს შემდგომ IV-V საუკუნეების ერთ მოაზროვნეს, – მაშინ აღმოვაჩენთ, მისი შეხედულება ნამდვილად ასეთია: მე ვცხოვრობ, მე განვიცდი სივრცეს საკუთარ ღმერთთან ერთად. მე მივმართავ საკუთარ თავს სივრცეში საკუთარი ზევით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ და წინ-უკანას მიხედვით, მაგრამ მე ამ სივრცეში ვცხოვრობ საკუთარ ღმერთთან ერთად. იგი მონიშნავს მიმართულებებს, მე კი განვიცდი ამ მიმართულებებს. ასე იყო ეს ქრისტეს შემდგომ III-IV სს. ასეთ მოაზროვნესთან, ასევე რამდენადმე მოგვიანებითაც, – სხვაგვარი ის გახდა მხოლოდ XIV საუკუნეში, – ადამიანი, რომელიც გეომეტრიულად ფიქრობდა სივრცეზე, არსებითად, არა მარტო აღნიშნავდა სამკუთხედს, არამედ აცნობიერებდა: შენ ხაზავ, როგორც ადამიანი, მაგრამ შენში ცხოვრობს ღმერთი, რომელიც ასევე ხაზავს. – შესაბამისად, ის ხაზავდა თავისივე განცდილ ხარისხობრივს და ამავდროულად ხარისხობრივს, გადატანილს მასში ღმერთისგან, ასე რომ, ყველგან გარეთ, როცა ჭვრეტდნენ მათემატიკას, ჭვრეტდნენ ღმერთის ინტენციებს (ზრახვებს).

ახლა მათემატიკა გამოყოფილია. დაავიწყდათ, რომ მათემატიკა, არსებითად, შენარჩუნებულია, როგორც ღმერთის მიერ ინსპირირებული. სივრცობრივ განხილვაში ნიუტონიც მთლიანად ასეთი გამოყოფილი სახით იყენებს მათემატიკას. როცა იგი აღწერს მათემატიკური ბუნებისმეტყველების საკუთარ პრინციპებს, ის უბრალოდ შეუდგება ამას და იყენებს ამ გამოყოფილ მათემატიკას, ანუ ადგენს სივრცეს, რომელსაც არ განსაზღვრავს იმიტომ, რომ ამის შესახებ გააჩნია ბუნდოვანი განცდა: თუ დაიწყებს სივრცის განსაზღვრას, მაშინ ამისგან არაფერი გამოვა. ამდენად, ის იღებს სივრცის ჩვეულებრივ ცნებას, მაგრამ ამუშავებს მას გამოყოფილი მათემატიკით, ამოგლეჯს მას შინაგანი განცდიდან. ასე საუბრობს იგი ბუნების პრინციპებზე. მოგვიანებით ნიუტონთან ეს რამდენადმე გაღრმავდა. ეს საინტერესოა. აქ იგი, – ამას

კარგად დაინახავთ, თუ გაეცნობით ნიუტონის თხზულებებს, – მე ვიტყოდი, ცუდად ხდება იმ შემთხვევაში, როცა აკვირდება სივრცის თავისივე საკუთარ განხილვას. მოგვიანებით მას არანაირად არ შეუძლია აიტანოს ადამიანისგან ამოგლეჯილი სივრცე, სულისთვის სრულიად უცხო ეს სივრცე. აქ იგი ახდენს დეფინიციას: სივრცე არის *ღვთაებათა გრძნობის ორგანო** (Sensorium). ეს არის უაღრესად საინტერესო ფაქტი, რომ იმ ადამიანმა, რომელმაც ახალი ბუნებისმეტყველების დასაწყისში ჯერ მთლიანად გამოყო სივრცე ადამიანისგან, მთლიანად მოახდინა მისი მათემატიზირება, შემდეგ ეს სივრცე მაინც განსაზღვრა, როგორც ღმერთის გრძნობის ორგანო, ანუ, როგორც რაღაც სახის ტვინის აღმქმელი ორგანო ღმერთისა. ნიუტონმა გამოაცალკევა ბუნება სივრცეში და ადამიანში, რომელიც განიცდის სივრცეს, მაგრამ დაეუფლა შინაგანი სიმძიმე, როცა განიხილავდა უკვე ადამიანისგან გამოცალკევებულ სივრცეს, რომელსაც ადრე ადამიანი განიცდიდა ღმერთთან ერთად, ამიტომ ახლა მას შეეძლო, საკუთარი თავისთვის ეთქვა: იმას, რასაც სივრცეში განიცდის ჩემი ადამიანური გრძნობის ორგანოები, ამას მე განვიცდი ჩემს ღმერთთან ერთად; ამდენად, ნიუტონმა იგრძნო შინაგანი სიმძიმე, როცა მან სივრცე გამოაცალკევა ადამიანური გრძნობის ორგანოებისგან. ამით მან თავად გამოაცალკევა საკუთარი თავი ღვთაებრივ-სულიერი ყოფიერების სისავსისაგან. ახლა სივრცე არსებობდა მათემატიკასთან ერთად გარედან. მოგვიანებით კი ის საუბრობს ამაზე, როგორც ღმერთის გრძნობის ორგანოზე. თუმცა თავიდან მან მთლიანობა განაცალკევა. ამის წყალობით ის გახდა არასულიერი და არაღვთიური. მაგრამ ნიუტონში ჯერ კიდევ ძალზე ძლიერია შეგრძნება, რომ მას მაინც არ შეუძლია სივრცე დატოვოს ღმერთის გარეშე და ამდენად იგი მას კვლავ გააღმერთებს.

ასე მოწყდა ადამიანი მეცნიერულად საკუთარ ღმერთს, რითაც მოწყდა სულს და მაინც გარეგნულად ეს სული კვლავ დაუშვა. რაც ამის წყალობით მოხდა, ის ხსნის, რომ, მაგალითად, რატომ არ შეეძლო *გოეთეს* მსგავს პიროვნებას *ნიუტონთან ერთად წინსვლა**, არსებითად, არც ერთი პუნქტით. მის ფერთა თეორიაში ეს მხოლოდ ვლინდება განსაკუთრებით დამახასიათებელ კითხვაში. გოეთეს მთელ

არსებას ეწინააღმდეგება მთლიანად ეს მეთოდი – ჯერ სულიერის ამოგდება ადამიანისგან, მისი გამოყოფა ადამიანისგან თავიდან. გოეთეს თავიდანვე ჰქონდა გრძნობა იმისა, რომ ადამიანმა საჭიროა განიცადოს ყველაფერი, თვით ისიც, რაც მასში არის კოსმოსური, რომ სამი განზომილებისთვის თავად კოსმოსური, გარკვეულწილად, წარმოადგენს მხოლოდ განცდის გაგრძელებას ადამიანის შინაგანში. ამდენად, გოეთე იყო ნიუტონის დიდი მოწინააღმდეგე.

ნიუტონის შემდგომ მცხოვრები ბერკლი, რომელიც მთლიანად მიეკუთვნებოდა ჯერ კიდევ ამ ბრძოლის პერიოდს, რომელიც გაჩაღდა აზროვნების საბუნებისმეტყველო მეთოდის დაწყების გარშემო, მე ვიტყოდი, კმაყოფილი იყო იმით, რომ ნიუტონმა მიიღო ტრივიალური შეხედულება ადგილზე, სივრცეზე, დროსა და მოძრაობაზე, მაგრამ დანარჩენში ის არ ეთანხმებოდა არც მთელ ამომავალ ბუნებისმეტყველებას, არც, უპირველეს ყოვლისა, ბუნების მოვლენების ახსნას. ვინაიდან, მას ამასთან დაკავშირებით მკაფიოდ ესმოდა, რომ სინამდვილეში ხომ საერთოდ შეუძლებელია ისეთი ბუნების განცდა, რომელიც მთლიანად გამოყოფილია ადამიანისგან. შეცდომაა, თუ ფიქრობ, რომ მას განიცდი. – ამიტომაც ბერკლიმ დაუშვა, რომ სხეული, რომელიც ძევს გარეთ გრძნობათა აღქმების საფუძველში, სინამდვილეში საერთოდ არ არსებობს, მაგრამ რეალობა მსჭვალავს სულიერად და რომ სამყარო, როგორადაც ის წარმოჩნდება ჩვენ წინაშე, მაშინაც, როცა ის ვლინდება ჩვენ წინაშე სხეულებრივად, არის მხოლოდ რაღაც საყოველთაო სულიერის გამოცხადება. ბერკლისთან ეს მოვლენები ვლინდება მტკიცების ფორმით, ვინაიდან მას, არსებითად, უკვე არაფერი აქვს უძველესი მისტიკიდან და კიდევ უფრო ნაკლები – უძველესი პნევმატოლოგიიდან. სინამდვილეში მას არა აქვს არანაირი საფუძველი, ამტკიცოს ეს საყოველთაო სულიერება. იგი ადასტურებს მას, უფრო გამომდინარე თავისი რელიგიის დოგმიდან, მაგრამ ის მხოლოდ ადასტურებს მას და თანაც ისეთი ძალით, რომ მთელი სხეულებრივი მისთვის იქცევა სულიერის თავისებურ გამოცხადებად. ასე რომ, მას არა აქვს შესაძლებლობა, თქვას: მე აღვიქვამ სადღაც რაღაც ფერს და ამ ფერის მიღმა არის მოქანავე მოძრაობა, რომელსაც ვერ აღვიქვამ, – როგორც ამას აკეთებს კანონიერად ბუნების თანამედროვე ჭვრეტა, მაგრამ ბერ-

კლიმ საკუთარ თავს უთხრა: მე არ შემიძლია მივიღო ჰიპოთეზად რაიმე, რასაც აქვს მხოლოდ რაღაც სხეულებრივი თვისება, როგორც მოქანავე მატერიას. მე სულიერად უნდა განვიცადო ფიზიკური სამყაროს მოვლენათა საფუძველში არსებული, ასე რომ, ფერის აღქმის მიღმა, როგორც ფერის ამ აღქმის პირველმიზეზი არსებობს მხოლოდ სულიერი, რომელსაც მე უბრალოდ აღვიქვამ საკუთარ თავში, თუ საკუთარ თავს ვაცნობიერებ, როგორც სული. – ბერკლი უეჭველად წარმოადგენს სპირიტუალისტს, როგორც იყენებენ ამ სიტყვას გერმანულ ფილოსოფიაში. ასე რომ, სინამდვილეში ბერკლი, მე ვიტყოდი, დოგმატური საფუძვლიდან გამომდინარე, მართალია, მაგრამ განსაზღვრული უფლებით გამოდის უამრავი საპირისპირო აზრით ბუნების ისეთი დაშვების წინააღმდეგ, რომელზეც შეიძლება მათემატიზირება მათემატიკის დახმარებით, რომელიც ამოგლეჯილია უშუალო განცდიდან. არსებითად, მთელი კოსმოსის, როგორც სულიერის განხილვით, იგი მათემატიკასაც განიხილავს, როგორც ისეთ რამეს, რაც ფორმირდება, იქმნება კოსმოსის სულთან ერთად, ასე რომ, სინამდვილეში განიცდი კოსმოსის სულის ზრახვებს, რამდენადაც ისინი ფორმირებულია მათემატიკურად, თუმცა ისე, რომ გარეგნული სახით მათმატიკურს სხეულებრიობაზე ვერ გამოიყენებ.

ამ თვალსაზრისით ბერკლი ასევე ეწინააღმდეგება იმას, რაც ნიუტონისთვის და ამავდროულად *ლაიბნიცისთვის** იქცა მათემატიკურად: დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლები. გთხოვთ, ამ საკითხშიც არასწორად ნუ გამიგებთ. დღევანდელი მოხსენება ამ ციკლის ფარგლებში შეიძლება ისე იყოს ფორმირებული, რომ თანამედროვეობის შეხედულებათა შიგნით ყოფნისას, ის შეიძლება სხვადასხვა პუნქტით შეიცავდეს სუსტ ადგილებს. მაგრამ მომდევნო ლექციების წყალობით ეს სუსტი ადგილები გაქრება იმისთვის, ვინც მიუკერძოებელი იქნება. მაგრამ მე მსურდა, სწორედ დღეს საკმაოდ რადიკალურად წარმომედგინა თემა, რომელსაც განვიხილავთ.

*ბერკლი ხდება მოწინააღმდეგ** უსასრულოდ მცირე სიდიდეების გამოთვლისა, რამდენადაც ის მაშინ ცნობილი იყო. უეჭველია, ის არის მოწინააღმდეგე იმისა, რაც აქ წარმოადგენს განუცდელს და ამ მიმართებაში ბერკლის აქვს საგნე-

ბისთვის ზოგჯერ გაცილებით უფრო დახვეწილი ალღო, ვიდრე აზრები, რომლებიც მას საკმაოდ ნატიფი ჰქონდა. მისი გრძნობები, მისი შეგრძნებები უფრო ნატიფია, ვიდრე მისი აზრები. ის გრძნობს, როგორ მიჰყავს უსასრულოდ მცირეს გამოთვლის მეთოდს აზრობრივად აღქმადი სიდიდეებისკენ, როგორიცაა სწორედ დიფერენციალებში, რომლებიც გარკვეულ განსაზღვრულობას მხოლოდ წარმოებულებში აღწევენ, დიფერენციალები, რომლებიც, არსებითად, შედგენილი უნდა იყოს ისეთი სახით, რომ ისინი გარკვეულ დონეზე ყოველთვის უსხლტება აზროვნებას, რომ აზროვნება არ ერევა მათ სრულ დასაბუთებაში. ბერკლისთვის ეს არის რაღაც, რომლითაც ის ამავდროულად წყდება რეალობას, ვინაიდან ის მისდევს ყოველივეს, განცდილს შემეცნებაში, ამიტომ მას არ შეუძლია საშუალება მისცეს მათემატიკურ წარმოდგენებს გასხლტნენ დიფერენციალების გაურკვევლობაში.

არსებითად, ჩვენ რას ვაკეთებთ, როცა ვეძებთ, ვთქვათ, ბუნების მოვლენებისთვის დიფერენციალურ განტოლებებს? ამით ყველგან მივუთითებთ იმაზე, რა ქრება ჩვენგან განცდილის მიღმა. ცხადია, მე მესმის, რომ პატივცემული მსმენელების უმრავლესობას, ამის დახასიათებისას, არ შეუძლია მთლიანად მისდიოს აზრს, მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე არ შემიძლია აქ დავახასიათო უსასრულოდ მცირე გამოთვლის მთელი ბუნება. და მაინც, მე ვისურვებდი, თქვენი ყურადღება მიმეპყრო კონკრეტულ რამეზე, ვინაიდან სწორედ ამას მივყავართ თანამედროვე ბუნებისმეტყველების დაბადების განხილვისკენ.

ეს თანამედროვე ბუნებისმეტყველება, ბუნების მოვლენების დაუფლების გზას გაივლის მათემატიკის დახმარებით, მაგრამ უკვე არა შინაგანად განცდილი მათემატიკის დახმარებით, არამედ ადამიანისგან გამოყოფილი მათემატიკის დახმარებით და სწორედ ამ თავის გამოყოფილ მათემატიკურ თვალსაზრისზე გადასვლით, ადამიანისგან ამოგლეჯილი თავისი ცნებებით მიდის იმისკენ, რომ განიხილოს მარტოოდენ მკვდარი; განცდისგან მათემატიკის გამომიჯვნით, ის შეიძლება გამოიყენო მხოლოდ მკვდართან მიმართებაში. ამდენად, განცდისგან ამოგლეჯის შემდეგ შეუძლებელია მათემატიკა მიუსადაგოთ რაიმეს, გარდა მკვდრისა და სწორედ განხილვის მათემატიკური მეთოდის მეშვეობით მიუთი-

თებს თანამედროვე ბუნებისმეტყველება მხოლოდ მკვდარზე. მაგრამ სამყაროში მკვდარი ვლინდება ატომებად დაშლილში, ლპობადში, მიკროსკოპულად უმცირეს ნაწილებში ან უხეშად რომ ვთქვათ, ვლინდება მტვრად ქცევისას. სწორედ ამ გზას ირჩევს აზროვნების თანამედროვე საბუნებისმეტყველო სახე. მათემატიკის განცდიდან ამოგლეჯილით ის მოიცავს კოსმოსში განფენილს, ატომებად ლპობადს. დროის ამ მომენტიდან დგება შესაძლებლობა, დიფერენციალებად დაიშალოს თავად მათამატიკური, ასე რომ, დიფერენციალური განტოლების თითოეული სახით, თითოეული დიფერენციალური განხილვით, თუნდაც გსურდეს ამით ყველაზე ცოცხალი წარმონაქმნის განმსჭვალვა, წარმოდგენაში კვლავ ცოცხალს კლავ. დიფერენცირება ნიშნავს მოკვლას, ხოლო ინტეგრირება ნიშნავს მოქსოვო მკვდარი ერთ სქემაში, კვლავ გააერთიანო დიფერენციალები ერთ მთლიანობაში. ამის შედეგად ისინი არ ცოცხლდებიან, თუ ისინი თავიდან მოკლეს, რის შედეგადაც მიიღებ მხოლოდ მკვდარ ნიშანს – სხვას არაფერს ცოცხალს.

დაახლოებით ასე წარმოუდგა ბერკლის მთელი პერსპექტივა იმისა, რაც აქ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო უსასრულოდ მცირეს გამოკვლევის მეშვეობით. მას რომ კონკრეტულად და მკაფიოდ გამოეთქვა, მაშინ, სავარაუდოდ, იტყოდა: მისი დიფერენცირებით თავიდან თქვენ კლავთ სამყაროს, შემდეგ თქვენს დიფერენციალებს კვლავ აერთიანებთ ინტეგრალებში, მაგრამ უკვე ვერანაირ სამყაროს ვეღარ იღებთ, არამედ მხოლოდ რაღაც ნაძერწ სამყაროს, სამყაროს რაღაც ილუზიას. ყოველი ინტეგრალი თავის შინაარსთან მიმართებაში, არსებითად, არის ილუზია, – ეს ბერკლიმ უკვე იგრძნო, – ასე რომ, დიფერენცირება სინამდვილეში ნიშნავს კვდომას, ხოლო ინტეგრირება – ძვლებისა და მტვრის შეკრებას, რომ კვლავ შეერთდეს მკვდარი არსების ძველი ფორმები, რომელთა წყალობითაც, მართალია, ისინი არ ცოცხლდებიან, მაგრამ უბრალოდ წარმოადგენენ მხოლოდ მკვდარ სქემებს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეგრძნება ბერკლისთან დროის შესატყვისი არ იყო. ანუ ეს მიდგომა, შეიძლება ითქვას, სრულიად უტყუარი იყო, ვინაიდან აზრთა ხატი, რომელიც ასე გამოდის წინა პლანზე, უნდა გამოვლენილიყო და ის, ვინც შესაძლოა, ფიქრობდა, რომ თითქოს არ უნდა გამოვლენილი-

ყო არანაირი გამოთვლა უსასრულოდ მცირესი, ის, ცხადია, იქნებოდა არა მეცნიერულად მოაზროვნე, არამედ სულელი. მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე ნათელი უნდა იყოს, რომ მთელი ამ მსოფლიო ნაკადების ამოსავალ წერტილში მისაწვდომია რაღაც ისეთი, როგორიცაა ბერკლის შეგრძნება. მას მოიცავდა შიში იმის წინაშე, რასაც იგი შეიგრძნობდა უსასრულოდ მცირეს შემოსვლით ბუნების განხილვაში, რომელიც უკვე აღარ იყო იმის განხილვა, რაც ითვლებოდა ბუნებად, რაც დაკავშირებულია დაბადების ჩამოყალიბებასთან, მაგრამ იმის განხილვასთან, რაც ბუნებაში ყოველთვის კვდება.

ადრე ხომ ამას არასდროს განიხილავდნენ, ეს საერთოდ უინტერესო იყო. ადრე განიხილავდნენ წარმოქმნადს, აღმავალს; ახლა განიხილავენ ჭკნობადს და, ბოლოს, მტვრად ქცეულს. ახლა ისწრაფვიან ატომიზმის ჭვრეტისკენ. ადრე ისინი ისწრაფოდნენ უწყვეტობისკენ არსებებში. რამდენადაც ცოცხალ სამყაროში, რომელიც მოგვეცა თავიდან, ცხადია, შეუძლებელია არ იყოს კვდომა, ვინაიდან ცოცხალი უნდა მოკვდეს, ამიტომ საჭიროა ჩვენს სამყაროში ვიპოვოთ მკვდარიც და ასევე ჩავწვდეთ მკვდარს. ეს ნიშნავს, რომ უნდა გაჩნდეს მეცნიერება მკვდარზე. ის უკვე იყო აუცილებელი. და ეპოქა, რომელზეც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, წარმოადგენს სწორედ ეპოქას, რომელშიც კაცობრიობა მომწიფდა ამ მკვდრის განხილვისთვის. მხოლოდ აუცილებელია, წარმოვიდგინოთ, როგორ მოქმედებს ეს იმ ადამიანის მთელ შეგრძნებებზე, ვინც, ბერკლის მსგავსად, ჯერ კიდევ მთლიანად ცხოვრობდა მოხუცებში (Alten).

ამდენად, დღეს ჩვენ უდავოდ ვიმყოფებით ჯერ კიდევ იმ შედეგების შიგნით, რაც მაშინ დაიბადა. ჩვენ განვიცადეთ სწორედ ტრიუმფი იმ საბუნებისმეტყველო მუშაობისა, რომლის წინაშეც ბერკლის მსგავსად ყველა შეძრწუნდებოდა შიშისგან. ჩვენ განვიცადეთ ტრიუმფი; ჩვენ განვიცდიდით ნიუტონისეული წარმოდგენების საყოველთაო გაბატონებას სანამ თანამედროვე *ფარდობითობის თეორიაში** ნიუტონის ეს წარმოდგენები რამდენადმე არ გარდაიქმნა. იმ დროს ნიუტონის ამ წარმოდგენების წინააღმდეგ გოეთეს რეაქცია, არსებითად, არ გამოვლენილა, და, იმის სწორად გასაგებად, რაც აქ ხდებოდა, საჭიროა, ამავე დროს, მიბრუნება ამოსავალი მომენტებისკენ და შევნიშნოთ, მაინც როგორი ელდა ეცემოდათ სუ-

ლებს, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდათ ადრინდელის ცოცხალი განცდა, ან ჯერაც როგორ ინარჩუნებდნენ სხვაგვარ შეგრძნებებს ადრინდელის მსგავსად?

ჯორდანო ბრუნოს აშფოთებდა, რომ ახლა მკვდარი ნამდვილად უნდა განეხილათ, როგორც მკვდარი – განეხილათ განხილვის წმინდა მათემატიკური მეთოდის დახმარებით. თავიდან ნიუტონი წინ მიიწევდა წმინდა მათემატიკურად. ამიტომაც მას, მე ვიტყოდი, შეექმნა სირთულე და მხოლოდ მაშინ, როცა მან გარეგნული მათემატიკის დახმარებით მთლიანად ამოგლიჯა ადამიანისგან სივრცე, ეს სივრცე აქცია ღვთის გრძნობათა ცენტრალურ ორგანოდ. ბერკლი უარყოფს განხილვის ყველა მეთოდს, რომელიც აქ წარმოიქმნება და ამით, როგორც რადიკალური სული, ამავე დროს უარყოფს უსასრულოდ მცირეს მთელ ტენდენციას.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით იმის შიგნით, რის აღწერასაც ესწრაფოდა ჯორდანო ბრუნო მხოლოდ პოეტიზირებით, რაც თვით ნიუტონისთვის იქცა რამდენადმე უხერხულად, ხოლო ბერკლი მთლიანად უარყოფდა. ჩვენ თუ ვაზროვნებთ თანამედროვე ბუნებისმეტყველების სულისკვეთებით, მაშინ განა შესაძლოა სერიოზულად მოვეკიდოთ ნიუტონის ნათქვამს, რომ სივრცე არის ღვთაებათა გრძნობის ორგანო? დღეს ყოველთვის ხდება დაშვება, მოაზროვნეებს, რომელთაც მიაწერენ ამას თუ იმას, განიხილავენ სწორედ, როგორც უდიდეს მოაზროვნეებს, მაგრამ თუ მათ რაღაც არ გამოსდით, მაშინ თავს გრძნობენ მათზე გაუგონრად ამაღლებულებად და ფიქრობენ: რას ვიზამთ, მოცემულ მომენტში, ის იყო, ალბათ, ჯერ კიდევ არც ისე ჭკვიანი, როგორც თავად მე. ასე აკეთებენ ისინიც, ვინც *ლესინგს** თვლის უჩვეულოდ გენიალურ პიროვნებად, მაგრამ ამის შემდეგ გარკვეული შემწყნარებლობით განიხილავენ იმას, რომ იგი თავისი ცხოვრების ბოლოს მივიდა რწმენამდე – ადამიანის განმეორებით მიწიერ ცხოვრებაზე.

სწორედ იმიტომ, რომ თანამედროვეობაში საერთოდ არ შეგვიძლია სხვა რამე, გარდა იმისა, რომ განვმარტოთ და ავხსნათ წარმოდგენების მეშვეობით, რომლებიც აქ წარმოიქმნა, ამიტომ საჭიროა მივუბრუნდეთ საკუთარ ამოსავალ წერტილს. ვინაიდან, სინამდვილეში საქმე ის არის, რომ ამჟამად მათემატიკის ადამიანისგან მოწყვეტით და ამ მათემა-

ტიკის მეშვეობით ბუნების წვდომით, რომ მთელი ბუნება გამოყოფილია ადამიანისაგან, საუბარია იმაზე, რომ ჩვენ კვლავ გავუმკლავდეთ იმას, რომ საკუთარი თავი ვიპოვოთ ამ ბუნებაში, რაღაც სახით ვიპოვოთ. ვინაიდან ჩვენ ვერ მივალთ სულიერის უდავო წვდომამდე უფრო ადრე, სანამ ბუნებაში არ ვიპოვით სულს. ისევე, როგორც თავისთავად ცხადია, რომ ცოცხალი ადამიანი, როგორც ფიზიკური მიწიერი ადამიანი ერთხელაც მოკვდება, ასევე თავისთავად ცხადი იყო, რომ ერთხელაც კაცობრიობის განვითარებაში ცოცხლის ადრინდელი განხილვებიდან უნდა ამოზიდულიყო მკვდრის განხილვა. ამიტომ გარკვეული მოვლენები, რომელთა შეცნობაც შეიძლება მხოლოდ მკვდარ სხეულში, შეუძლებელია შეიმეცნოს იმან, ვისაც არ სურს მკვდარი სხეულის კვლევა, არამედ შეიმეცნებს მხოლოდ ის, ვინც მას იკვლევს. შესაბამისად, გარკვეული სამყაროსეული საიდუმლოები შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანებს ხელეწიფებათ სერიოზულად მიიღონ ახალი დროის აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდები.

ნება მომეცით, დასასრულს მოვიყვანო ერთი ნახევრად *პირადული შენიშვნა**. იმ საფუძველზე, რომ ახალი დროის განხილვის ეს საბუნებისმეტყველო მეთოდი საჭიროა მივიღოთ სერიოზულად, მე არასდროს ვყოფილვარ აზროვნების ასეთი სახის მოწინააღმდეგე, არამედ მას განვიხილავდი, როგორც ისეთ რამეს, რაც აუცილებლობაა ჩვენს დროში. მე ხშირად უნდა მესაუბრა სწორედ ამა თუ იმ მეცნიერის ან ე. წ. მეცნიერის მუშაობაზე, რომელთაგანაც მართებული განხილვისას შეიძლება გამოვლინდეს ის, რისი გამოვლენაც შეიძლება იმის წყალობით, რომ მკვდარს ეკიდები ცრურწმენებისგან თავისუფლად. მაშინ ასეთი სახით ნაპოვნს მცდარად განმარტავდნენ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ასეთი მცდარი განმარტებების წინააღმდეგ მე ხშირად გამოვდიოდი. სწორედ ასეთი ხელსაყრელი შემთხვევით მინდა ვისარგებლო და გადაჭრით ხაზი გავუსვა, რომ მე სრულებითაც არ მინდა არასწორად გამიგოთ და ჩამთვალოთ რომელიმე საბუნებისმეტყველო მეცნიერული მიმართულების მოწინააღმდეგედ, ვინაიდან ამას შევიგრძნობდი ანთროპოსოფიული მისწრაფებისთვის ზიანის მომტანად, თუ არასწორი ანტაგონიზმი წარმოიქმნებოდა იმას

შორის, რასაც ეძებს სულიერ გზაზე ანთროპოსოფია და რაც აუცილებლობით უნდა ეძიოს თავის სფეროში ბუნებისმეტყველებამ, გამომდინარე ახალი დროის სულიდან, თუ შეიძლება აქ გამოვიყენო სიტყვა სული.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მე ამას ორაზროვნად არ ვახსენებ, ვინაიდან ჩვენი ანთროპოსოფიული მოძრაობის შიგნით უსიტყვოდ უნდა დამკვიდრდეს ჯანსაღი დისკუსია ანთროპოსოფიასა და ბუნებისმეტყველებაზე. ყველაფერი, რაც ამ მიმართებით მცდარი გზით მიდის, შესაძლოა მხოლოდ დიდი ზიანის მომტანი იყოს ანთროპოსოფიისთვის. ამას, არსებითად, საჭიროა გავექცეთ. მე იძულებული ვარ, ეს ვახსენო, რადგან ბოლო დროს, როგორც ამ მოხსენებების მომზადებისას დავინახე, დისკუსია ატომისტიკასთან დაკავშირებით ანთროპოსოფიულ ჟურნალში („Drei“) ჩიხში შევიდა, საიდანაც კვლავ საჭიროა გამოსვლა. ვინაიდან ჩვენ წინ ვერ წავალთ, თუ ასეთი სახით წარვმართავთ ამ მოვლენებს ჩიხისკენ. ამიტომ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მე ვისურვებდი, საერთოდ არ დამემალა ეს, არამედ სრულიად გარკვევით მეთქვა, რომ პოლემიკა იმაზე, რაზეც მე ატომისტიკასთან დაკავშირებით „Drei“-ში უნდა გავიგო, როგორც რაღაც, რითაც შეფერილია ანთროპოსოფიისა და ბუნებისმეტყველების მთელი მიმართება, კალაპოტიდან ამოგვაგდებს. ჩემი ამოცანაა, ანთროპოსოფიას შევუნარჩუნო სიცოცხლე და ყოველთვის, როცა თავად მეც იძულებული ვარ ვიყო მარტო, მე უნდა გამოვიდე ანთროპოსოფიაში ასევე ამ ცხოვრებისთვის და არა იმისთვის, რომ კალაპოტიდან ამოგვაგდონ. ამიტომ მეც ვერ ვიქნები ჩუმად, როცა თავს მახვევენ მსგავს მახვილგონივრულ შენიშვნებს და შევეცდები, სწორედ ამ მოხსენებებით, ცხოვრებაში შევიტანო ის, რაც კვლავ ქმნის კალაპოტიდან ამოგდების საფრთხეს, კერძოდ განხილვები ანთროპოსოფიასა და აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერულ მეთოდზე.

ამაზე ხვალ ვისაუბრებთ.

მეხუთე ლექცია
დორნახი, 1922 წლის 28 დეკემბერი

ადამიანური იდეების, განსაკუთრებით მათემატიკური იდეების გამომიჯვნა უშუალოდ ადამიანური განცდისგან, როგორც ადრე ვაჩვენეთ, აღმოჩნდა ყველაზე ნიშანდობლივი იმ სულიერი განვითარებისთვის, რომლისგანაც გამოვიდა ახალი დროის აზროვნების საბუნებისმეტყველო მეთოდი. მოდით, კიდევ ერთხელ დავაყენოთ სამშვინველის მზერის წინაშე, როგორ ხდებოდა ეს.

ჩვენ გადავხედეთ წარსულში ძველ დროებს, როცა ადამიანი განსაზღვრული სახით სამყაროსთან ერთად იმეცნებდა იმას, რისი მოგვარებაც მასთან ერთად შეეძლო, როცა ადამიანი შინაგანად განიცდიდა საკუთარ სამგვარ შინაგან ორიენტაციას ზევით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ, წინ-უკან, როცა ამ ორიენტაციას განიცდიდა არა ისე, რომ ამას მიაწერდა მხოლოდ თავის თავს, არამედ ის თავს გრძნობდა ერთიანი სამყაროს შიგნით, ასე რომ, მისი წინ-უკან ამავდროულად იყო სივრცის – პირველი, ზევით-ქვევით – მეორე და მარჯვნივ-მარცხნივ – მესამე განზომილება. იგი სამყაროსთან ერთიანობაში განიცდიდა იმას, რასაც ცნობიერებაში წარმოიდგენდა. ამიტომ მის არსებაში არც იყო რაიმე არადამაჯერებლური, როცა მას მართებდა, სამყაროსთან მიმართებაში გამოეყენებინა საკუთარი ცნებები და იდეები. ეს არადამაჯერებლობა გაჩნდა სწორედ მხოლოდ თანამედროვე ცივილიზაციასთან დაკავშირებით და ჩვენ ვხედავთ, ამ არადამაჯერებლობას შორის როგორ ვითარდება ბუნებისმეტყველება. საჭიროა მხოლოდ მყისიერად გავერკვეთ ამ ფაქტში.

ცალკეული კონკრეტული მაგალითების მეშვეობით ვნახოთ იმ დროს არსებული. ავიღოთ ისეთი მოაზროვნე, როგორიცაა *ჯონ ლოკი**, რომელიც ცხოვრობდა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე და რომელმაც თავის თხზულებებში საბუნებისმეტყველო შეხედულებებთან დაკავშირებით წარმოადგინა ის, რისი თქმაც შეეძლო თავისი დროის თანამედროვე მოაზროვნეს სამყაროზე. *ჯონ ლოკი ორ ნაწილად ყოფს** ყოველივე იმას, რასაც ადამიანი თავის გარემოცვაში აღიქვამს. იგი სხეულის ნიშნებს ყოფს ე. წ. პირველად

და მეორად ნიშნებად. პირველადი ნიშნებია, რომლებსაც იგი ვერაფერს მიაკუთვნებს, გარდა თავად საგნებისა და მოვლენებისა, ანუ ფორმა, მოძრაობა, განლაგება (Lage). მეორად ნიშნებზე მას ჰქონდა მოსაზრება, რომ გარედან ისინი, არსებითად, არ მიეკუთვნებიან სხეულებრივ მოვლენებს, არამედ წარმოადგენენ მხოლოდ ამ სხეულებრივი მოვლენების ზემოქმედებას ადამიანზე. საგნების ამ ნიშნებს განეკუთვნება, მაგ., ფერი, ბგერა, სითბო, როგორც აღქმადი სითბო, სითბოს განცდა. ჯონ ლოკი ამბობს: როდესაც მე მესმის ბგერა, ჩემში არსებობს მოლივლივე ჰაერი. მე შემიძლია ჰაერში ეს მოძრაობები, რომლებიც მოდის სხეულის მიერ აგულიანებული ბგერიდან და ვრცელდება თვით ჩემს ყურამდე და ჩემი წყალობით შეიძლება წარმოვადგინო რაღაც სახით აღწერილი. ფორმა, რომელსაც ტალღები, როგორც ითქვა, მოქანავე ჰაერში იძენენ, მე შემიძლია წარმოვიდგინო სივრცობრივი ფიგურების მეშვეობით, შემიძლია წარმოვისახო ისინი საკუთარ თავში მათი დინებით დროში, ანუ როგორც მოძრაობა. ის, რაც ხდება აქ სივრცეში, რაც საგნებში წარმოადგენს ფორმას, მოძრაობას, ადგილის შერჩევას – ეს მყარად არსებობს სამყაროში. თუმცა ყოველივე, რაც არსებობს სამყაროში და რაც განეკუთვნება პირველად მიზეზებს – ეს არის უტყვი, ეს არის უხმო. ბგერის თვისება, მეორადი ნიშანი წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ჰაეროვანი ტალღა ურტყამს ჩემს ყურს და წარმოადგენს იმ თავისებურ შინაგან განცდას, რომელსაც ვატარებ საკუთარ თავში სწორედ როგორც ბგერას. ასე ხდება ფერთანაც, რომელსაც ახლა უბრალოდ ურევენ სინათლეში. აქ, სამყაროში უნდა არსებობდეს რაღაც, რაც გარკვეული სახით არის სხეულებრივი, რასაც როგორღაც აქვს ფორმა და მოძრაობა და რაც ჩემზე ახორციელებს რაღაც ზემოქმედებას ჩემივე თვალების მეშვეობით, შემდეგ კი ხდება სინათლის განცდა ან სხვაგვარად ფერის განცდა. ზუსტად ასე არსებობს ეს სხვა საგნებთანაც, რომლებიც წარმოჩნდება ჩვენი გრძნობების წინაშე. მთელი სხეულებრივი სამყაროს განხილვა აუცილებელია ისე, რომ მასში განვასხვაოთ პირველადი თვისებები, რომლებიც ობიექტურია და მეორადი თვისებები, რომლებიც სუბიექტურია, –

ზემოქმედებები ადამიანს წარმოუდგება მეორად თვისებებად. ამდენად, თუ რადიკალურად გამოვხატავთ, შეიძლება ითქვას: ჯონ ლოკის თვალსაზრისით სამყარო არსებობს გარეთ, ადამიანის გარეთ და ეს არის ფორმა, განლაგება, მოძრაობა, ხოლო ყოველივე ის, რაც წარმოადგენს გრძნობათა სამყაროს შინაარსს, სინამდვილეში როგორღაც არსებობს ადამიანში, ეს არსებითად, ქსოვს ადამიანის არსების შიგნით. ფერის ჭეშმარიტი შინაარსი, როგორც ადამიანური განცდა, გარეთ არსად არ არსებობს, არამედ ქსოვს ჩემში; ასევე სითბოს განცდის რეალური შინაარსი ან სიცივის განცდა არსად გარეთ არ არსებობს, არამედ ასევე ქსოვს ჩემში.

უძველეს დროებში, როცა სამყაროსთან ერთიანობაში განიცდიდნენ იმას, რაც იქცა შემეცნების შინაარსად, შეუძლებელი იყო ამ შეხედულების არსებობა, ვინაიდან განიცდიდნენ, როგორც უკვე წარმოვადგინე, სხეულის საკუთარი ორიენტაციის მონაწილეობას და მის ჩასმას საკუთარ მოძრაობაში – შიგნით განიცდიდნენ მათემატიკურ შინაარსს. მაგრამ მას განიცდიდნენ სამყაროსთან ერთად. ანუ, საკუთარ განცდაშიც ჰქონდათ ამავდროულად მიზეზი, რომლითაც აღიქვამდნენ მდებარეობას, ადგილსა და მოძრაობას, როგორც ობიექტურს. სამყაროსთან ერთობლივი ცხოვრება ასევე ჰქონდათ ფერისთვის, ხმისთვის და ა. შ., მაგრამ ადამიანური შინაგანი ცხოვრების მხოლოდ სხვა ნაწილისთვის. ადამიანის საკუთარი მოძრაობის განცდიდან როგორც მიდიოდნენ მოძრაობის წარმოდგენისკენ, ასე მიდიოდნენ ფერის წარმოდგენისკენ, როცა სისხლის საკუთარ ორგანიზაციაში იღებდნენ შესაბამის შინაგან განცდას და ეს შინაგანი განცდა დაჰყავდათ იქამდე, რაც სამყაროში არის სითბო, ფერი, ხმა და ა.შ. მართალია, ადრინდელ დროებში განლაგებას, ადგილს, მოძრაობას, დროის დინებას კი განასხვავებდნენ ფერისგან, ბგერისგან, სითბოს განცდისგან, მაგრამ მათ განასხვავებდნენ, როგორც განცდის განსხვავებულ სახეებს, რომლებიც ობიექტურ სამყაროში განიცდებიან ყოფიერების სხვადასხვა სახესთან ერთად. ახლა, საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ეპოქაში, მივიდნენ იქამდე, რომ უკვე აღარ აქვთ ადგილმდებარეობის განსაზღვრება, მოძრაობა, განლაგება, ფორ-

მა და ა. შ., როგორც თვითგანცდა, არამედ ეს არსებობს მხოლოდ გარეთ, როგორც რაღაც მოფიქრებული, რომლის იდენტიფიკაციასაც ახდენდნენ იმასთან, რაც იყო გარეთ. რამდენადაც, რაღაც ზარბაზნის ფორმის წარმოდგენით, მაინც არც ისე კარგია თქმა: არსებითად, ზარბაზნის ეს ფორმა როგორღაც არსებობს გარეთ, – ამიტომ აქ იდენტიფიცირება ხდებოდა მხოლოდ გარეთ. ზარბაზნის ფორმას მიაკუთვნებდნენ ობიექტურს. ვინაიდან არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, უშუალოდ დაეთანხმო, რომ, როცა იარაღის ტყვია სადღაც მიფრინავს, ის სინამდვილეში მიფრინავს საკუთარ ტვინში, ამიტომ მოფიქრებულ მოძრაობას აიგივებდნენ სწორედ ობიექტურთან.

ის, რასაც ხედავდნენ იარაღის მფრინავ ტყვიაში, ფერადოვან ციალში, რომლის წყალობითაც ამას ხედავდნენ, შეფერადებულს და აღიქვამდნენ, ეს შეჰქონდათ საკუთარ ადამიანურ არსებაში, ვინაიდან სხვაგვარად არ ჰქონდათ ადგილი, საითაც ამის გადატანა შეიძლებოდა. როგორ განიცდება ეს საგნებთან ერთად, უკვე არ იცოდნენ, შესაბამისად, ეს შეჰქონდათ ადამიანურ არსებაში. სინამდვილეში ამას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ, სანამ საბუნებისმეტყველო მეცნიერული ეპოქის სულისკვეთებით მოაზროვნე ადამიანები იქამდე არ მივიდნენ, რომ ეს წარმოდგენები შეუძლებელი იყო. ვინაიდან, მაინც რა მოხდა აქ? მეორადი თვისებები: ხმა, ფერი, სითბოს განცდა – თავის მხრივ სამყაროში, მე ვიტყოდი, უბრალოდ კანონგარეშე იქცნენ და ცნობიერებისთვის ისინი ადამიანში უნდა დამალულიყვნენ. ხოლო იმაზე, როგორ ბინადრობენ ისინი აქ შიგნით, საერთოდ შეწყვიტეს რაიმე წარმოდგენის შექმნა თავის თავში. განცდა, თვითგანცდა უკვე არ არსებობდა. კავშირი გარე სამყაროსთან უკვე ვერ ხერხდებოდა, ვინაიდან მას უკვე აღარ განიცდიდნენ. ასე შეიტანეს ეს განცდები საკუთარი არსების შინაგანში. აქ კი ისინი ცნობიერებისთვის დაიფარა, ასე ვთქვათ, ადამიანის შინაგანში. ასე წარმოიდგენდნენ ნახევრად ცნობიერად, – ნახევრად მკაფიოდ, ნახევრად არამკაფიოდ, – რომ, ვთქვათ, გარედან სივრცეში არსებობს რაღაც მოძრაობა ეთერისა, რომლის ასახვაც შესაძლებელია სწორედ ფორმის, მოძრაობის მეშვეობით, რომელიც ზემოქმედებას ახდენს თვალზე და იქი-

დან – მხედველობით ნერვზე. აქ ეს როგორღაც შედის თავის ტვინში. ახლა კი შინაგანში, უპირველეს ყოვლისა, თავის ტვინში ეძებენ იმას, რაც აქ, პირველადი თვისებების რაღაც ზემოქმედების სახით უნდა განიცადო, როგორც მეორადი თვისება. ამას იყენებდნენ დიდი ხნის განმავლობაში, სანამ ცალკეულმა ადამიანებმა გარკვეული გაბედულებით არ მიუთითეს ამ წარმოდგენის უცნაურობაზე და ავსტრიელმა ფილოსოფოსმა *რიჰარდ ვაალემ** თავის „აზროვნების მექანიზმებში“ დაწერა სინამდვილეში რაღაც ძალზე დამაჯერებელი, თუმცა ის სრულებითაც არ მისულა იქამდე, რომ მთლიანად ესარგებლა თავისი საკუთარი თეზისით: „Nihil est in cerebro, quod non est in nervis“ – „არაფერია ტვინში, რაც არ არის ნერვში“. ამდენად, ნერვები, ცხადია, შეიძლება მოვიძიოთ, – ჩვენი საშუალებებით მართალია დღეს ეს ჯერ კიდევ შეუძლებელია, – ყველა მიმართულებით და ყველა მხრიდან და თუ ნერვებში ვერ ვიპოვით ტონს, ფერს და სითბოს განცდას, მაშასადამე, ისინი არ არსებობენ თავის ტვინშიც. ახლა კი, არსებითად, საჭიროა ვაღიაროთ, რომ ისინი საერთოდ ქრებიან შემეცნებისთვის. იკვლევენ ადამიანის კავშირს სამყაროსთან. ობიექტურის სახით ინარჩუნებენ ფორმას, მდებარეობას, ადგილს, დროს და ა. შ.; ტონი, სითბოს განცდა, ფერი ქრება, *ისინი ამოვარდება**.

ბოლოს და ბოლოს XVIII საუკუნეში ამან გამოიწვია ის, რომ *კანტმა თქვა** - საგნების სივრცობრივ და დროით თვისებებს არ შეუძლიათ არსებობა როგორღაც ადამიანის გარეშე გარეთ. რამდენადაც ადამიანის მიმართება სამყაროსთან მაინც უნდა არსებულიყო, – ვინაიდან შეუძლებელია ამ მიმართების უარყოფა, თუ საერთოდ გსურს, წარმოდგენა შეიქმნა იმაზე, რომ ცხოვრობ სამყაროსთან, თუმცა ახლა უკვე აღარ არსებობს ადამიანის სივრცობრივი და დროითი მიმართებების ერთობლივი განცდა სამყაროსთან, – მაშინ მაინც წარმოიქმნა კანტისეული აზრი: თუ ახლა ადამიანმა სამყაროსთან მიმართებაში მაინც უნდა გამოიყენოს, მაგ., მათემატიკა, მაშინ მას მართებს თავიდან თავად სამყარო აქციოს მათემატიკურად, რომ მთელი მათემატიკური მან გააგრძელოს „საგნის თავისთავადის“ იქით, რომლებიც თავად რჩებიან მთლიანად გამო-

უცნობნი. მაშინ ამ პრობლემას ხომ XIX საუკუნის ბუნებისმეტყველებაც ყველგან ებდაუჭებოდა. შემეცნებისას თუ ყურადღებას მივაპყრობთ ადამიანის ახლახან წარმოდგენილი ქცევის მხოლოდ ძირითად ხასიათს, მაშინ ეს არის ის, რომ სამყაროსთან მის კავშირში შემოვიდა არადამაჯერებლობა. მან არ იცის, არსებითად, როგორ უნდა შეხედოს სამყაროში თავის მიერ განცდილს. ეს არადამაჯერებლობა თანდათანობით სულ უფრო მეტად შედის მთელ ამ თანამედროვე აზროვნებაში. ჩვენ ვხედავთ, თანდათანობით როგორ შეაბიჯებს ეს არადამაჯერებლობა ამ ახალ სულიერ ცხოვრებაში.

საინტერესოა, როცა ჯონ ლოკის აზროვნების ამ უძველეს ფაზებს მიაკუთვნებენ ერთ მაგალითს ახალი დროიდან. XIX საუკუნის ბიოლოგმა *ვაისმანმა** განიზრახა, რომ სინამდვილეში, თუ ბიოლოგიურად ჩაწვდები რომელიმე ცოცხალი არსების ორგანიზმს, მაშინ მნიშვნელოვნად უნდა მიიჩნიო ორგანოების ურთიერთქმედება ან ნაწილების ურთიერთქმედება დაბალ ორგანიზმებში, რომ ამის წყალობით იგებ იმას, თუ როგორ ცხოვრობს ორგანიზმი, და რომ, თავად ორგანიზმის კვლევისას, ორგანიზმის გაცნობიერებისას მისი ნაწილების ურთიერთქმედებაში არ ვლინდება არანაირი დახასიათება იმისა, რომ ორგანიზმი უნდა მოკვდეს. XIV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ვაისმანი თავის თავს ეუბნებოდა, რომ, თუ მხოლოდ ჩაიხედავ ორგანიზმში, მაშინ ვერ იპოვი ვერაფერს, რაც კვდომას თვალსაჩინოს გახდის. ამიტომ, ამბობდა იგი, ცოცხალი ორგანიზმის შიგნით საერთოდ არაფერია ისეთი, რასაც ორგანიზმის არსიდან შეეძლო მიეყვანა იმ იდეის წვდომამდე, რასაც ჰქვია ორგანიზმის მოკვდაობა. ვაისმანისთვის გვამი წარმოადგენს ერთადერთ მითითებას იმაზე, რომ ორგანიზმი უნდა მოკვდეს. ანუ, კვდომის ცნება ცოცხალ ორგანიზმში არ წარმოიქმნება. ცოცხალ ორგანიზმში ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერანაირ ნიშანს, დახასიათებას, რომელთაგან გამომდინარე შესაძლებელი იქნებოდა გაცნობიერება იმისა, რომ მომაკვდავი განეკუთვნება ორგანიზმს, მაგრამ თავდაპირველად აუცილებელია გვქონდეს გვამი. შემდეგ, თუ ეს განხორციელდება და რომელიმე ცოცხალი ორგანიზმისთვის იარსებებს გვამი, მაშინ ეს გვამი არის

ის, რაც აჩვენებს: ორგანიზმს თავის თავში გააჩნია ასევე *კვდომის შესაძლებლობაც*.

ახლა ვაისმანი ამბობს, რომ არის ორგანიზმების სამყარო, რომლებთანაც შეუძლებელია ოდესმე გვამის აღმოჩენა. ეს არის ერთუჯრედიანი ცოცხალი არსებები. ისინი მხოლოდ იყოფიან, აქ შეუძლებელია რაიმე გვამების აღმოჩენა. დააკვირდით ერთუჯრედიან ცოცხალ ორგანიზმს მისი გამრავლებისას. სქემა წარმოგვიდგება შემდეგი სახით. ასეთი ერთუჯრედიანი არსება იყოფა ორად, თითოეული კვლავ ორად და ა. შ. ასე მიდის განვითარება წინ – არ არსებობს არანაირი გვამი. ამდენად, ვაისმანი საკუთარ თავს ეუბნება, რომ უკვდავია მხოლოდ ერთუჯრედიანი არსებები. ეს არის ერთუჯრედიანების ცნობილი უკვდავება XIX საუკუნის ბიოლოგიისთვის.



ნახ. 4

მაინც რატომ განიხილება ისინი, როგორც უკვდავი? სწორედ იმიტომ, რომ ისინი არსად არ ავლენენ გვამს და იმიტომაც, რომ ბიოლოგიას არ აწყობს ორგანულში სიკვდილის ცნება, თუ არაა აღმოჩენილი გვამი. ამდენად, როცა არაა აღმოჩენილი მკვდარი სხეული, მაშინ არ აწყობთ სიკვდილის ცნება. შესაბამისად ის ცოცხალი არსებები, რომლებიც არ ავლენენ მკვდარ სხეულს, არიან უკვდავნი.

შეხედეთ, სწორედ ასეთ მაგალითზე ვლინდება, ახალ დროში რამდენად შორს წავიდნენ საკუთარი წარმოდგენებისა და საერთოდ საკუთარი შინაგანი განცდების ერთობლივი თანაცხოვრებისაგან სამყაროსთან. ორგანიზმის ცნება უკვე აღარ არის ისეთი, რომ ამის მიხედვით შეიძლებოდეს შემჩნევა იმისა, რომ ის, ამავე დროს, უნდა მოკვდეს. ის, რომ ორგანიზმი შეიძლება მოკვდეს, ამის დანახვა საჭიროა მკვდრის გარეგნული მდგომარეობიდან. ცხადია,

როცა ცოცხალ ორგანიზმს განიხილავ მისი მხოლოდ გარეთ გამოვლენისას, თუ არ შეგიძლია მასში არსებულის თანაგანცდა, თუკი ასეთი სახით არ შეგიძლია მასთან შერწყმა, მაშინ ორგანიზმში სიკვდილსაც ვერ აღმოაჩენ და ამისთვის სარგებლობ გარეგნული ნიშნით. მაგრამ ეს ადასტურებს, რომ საკუთარი წარმოდგენით საკუთარ თავს საერთოდ საგნებისგან განცალკევებულად განიცდი.

ახლა კი შევხედოთ არადამაჯერებლობას, რომელიც სხეულებრივი სამყაროს გავლით მთელ აზროვნებაში შევიდა თვითგანცდისაგან, ცნებათა ამ სამყაროს გამოყოფის წყალობით და შევხედოთ იმ დროს, რომელშიც ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, არსებობდა ეს თვითგანცდა. მაშინ ეს ნამდვილად მოცემული იყო ისევე, როგორც იყო მოცემული არა მარტო სამკუთხედის ან ოთხკუთხედის, ანდა პენტაგრამის გარეგნულად წარმოდგენილი ცნება, არამედ შინაგანად განცდილი ცნებაც, ასევე მოცემული იყო წარმოქმნისა და გაქრობის, შობილის ჩამოყალიბებისა და კვდომის შინაგანად განცდილი ცნებაც. შობილის ჩამოყალიბებისა და კვდომის ამ შინაგან განცდას თავის თავში გააჩნდა გრადაციები. როცა ბავშვს ნახულობდნენ შიგნიდან გარეთ გამოცოცხლებულს, როცა თავიდან მის გაურკვეველ ფიზიოგნომიკურ მოძრაობებს იღებდნენ შინაგანად აღფრთოვანებით და ესისხლხორცებოდნენ სრულიად პატარა ბავშვის ამ განვითარებად სიცოცხლეს, მაშინ ეს ვლინდებოდა, როგორც შობილის ჩამოყალიბების გაგრძელება, გარკვეულწილად, როგორც უფრო სუსტი, ნაკლებად ინტენსიური, შობილის გაგრძელებული ჩამოყალიბება. წარმოქნის განცდაში არსებობდა გრადაციები. თუ ადამიანს უჩნდება ნაოჭები, ჭაღარავდება და ის ცახცახებს, მაშინ სახეზე იყო ნაკლებმნიშვნელოვანი ხარისხის კვდომა, ნაკლებად ინტენსიური, ნაწილობრივი კვდომა. სიკვდილი იყო მხოლოდ კვდომის უამრავი ნაკლებ ინტენსიური განცდის შერწყმა, თუ ამ პარადოქსულ სიტყვას გამოვიყენებთ. სამშვინველში გამოცოცხლდა ცნება, – წარმოქმნის ცნება, ისევე, როგორც შეწყვეტის, შობისა და კვდომის ცნებები.

ამ ცნების ამგვარი განცდით, მას სხეულებრივ სამყაროსთან ერთად განიცდიდნენ, ასე რომ, სინამდვილეში არანაირი საზღვარი არ არსებობდა თვითგანცდასა და ბუნების

მოვლენას შორის, როცა გარკვეული სახით შინაგანი ადამიანური მხარე სანაპიროს გარეშე გადადიოდა სამყაროს უდიდეს ზღვაში. ამის ამგვარად განცდით ერწყმოდნენ კიდეც თავად სხეულებრივ სამყაროს. ამ დროს ადრინდელი პერიოდის იმ პიროვნებებს, რომელთა ყველაზე დამახასიათებელ აზრებსა და წარმოდგენებს გარეგნულ მეცნიერებაში, არსებითად, საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას, ამიტომაც ჩაწერენ კიდეც სრულიად არასწორად, უნდა განეხორციელებინათ სრულიად სხვა იდეები იმასთან დაკავშირებით, რაც ვაისმანმა ჩამოაყალიბა, როგორც თავისი, – ახლა ამას ვამბობ ბრჭყალებში, – „ერთუჯრედიანების უკვდავება“. ვინაიდან რას გააკეთებდა ასეთი უძველესი მოაზროვნე, თუ იგი მიკროსკოპის წყალობით, რომელიც, დავუშვათ, მაშინ უკვე იქნებოდა გამოგონილი, გაიგებდა რაღაცას ერთუჯრედიანების დაყოფაზე, რა წარმოდგენას შეიქმნიდა იგი სამყაროსთან თანაცხოვრებისაგან? იგი იტყოდა: თავიდან მე მაქვს ერთუჯრედიანი არსება. ის იყოფა ორად. არასწორი მანერით საუბრისას იგი, ალბათ, იტყოდა: ეს იშლება ატომებამდე, იყოფა და გარკვეულ დროში ორივე ნაწილი, როგორც ორგანიზმი კვლავ მთლიანდება, შემდეგ ისინი აგრძელებენ დაყოფას. როცა იწყება დაყოფა, თვით ატომებამდე, მაშინ დგება კვდომის ჟამი. ამდენად, კვდომაზე დასკვნას იგი აკეთებს არა გვამისგან, არამედ ატომების დაშლისგან, ნაწილებად დაშლის წარმოქმნისაგან. ვინაიდან მას დაახლოებით წარმოუდგენია, რომ სიცოცხლისუნარიანი არსებობს უფრო მეტად წარმოქმნად ჩამოყალიბებაში, რომ ეს არ წარმოადგენს დაყოფას ატომებად და როცა დგება ატომებად დაყოფის ტენდენცია, მაშინ ხსენებული კვდება. ერთუჯრედიანებთან ის იფიქრებდა მხოლოდ, რომ ორი არსებისთვის, რომლებიც თავიდან გამოემიჯნენ ერთუჯრედიან ორგანიზმს წამიერად, როგორც მკვდრები, არსებობს პირობები, რომელთა წყალობითაც ისინი კვლავ ხდებიან ცოცხლები და ა. შ. ასეთი იყო მისი აზრთა მსვლელობა. ატომებამდე დაყოფით, გახლეჩის წარმოქმნით იგი ხაზს უსვამდა კვდომაზე აზრს და ამ შემთხვევისთვის ფიქრობდა, რომ არის ერთუჯრედიანი ორგანიზმი, რომელიც იყოფა და ამის წყალობით წარმოიქმნება უკვე არა ორი ერთუჯრედიანი ორგანიზმი, არამედ ცხოვრების პირო-

ბების უკმარისობის გამო ეს ერთუჯრედიანი ორგანიზმი იმ წამსვე გადადის არაორგანულ ნაწილებში და მაშინ იტყოდა: ცოცხალი მონადებისგან წარმოიქმნა ორი ატომი. შემდეგ იგი იტყოდა: აქ, ყველგან, სადაც გაქვს სიცოცხლე, სადაც ჭვრეტ სიცოცხლეს, საქმე არა გაქვს ატომებთან. თუ სადმე ცოცხალში პოულობ ატომებს, მაშინ შიგნით მკვდარი იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს ატომები. და ყველგან, სადაც არის ატომები, არის სიკვდილი, არის არაორგანული. ასე იმსჯელებდნენ უძველეს დროებში სამყაროს შეგრძნების, სამყაროს აღქმისა და სამყაროზე წარმოდგენის ცოცხალი შინაგანი გამოცდილებიდან.

ის, რომ ეს ისე მკაფიოდ არ წარმოჩნდება ადრინდელი დროების სულიერი ცხოვრების ჩვენეულ წარმოსახვებში, – თუმცა იმისათვის, ვისაც შეუძლია სწორად კითხვა, ამას არსებითად, არ შეუძლია ეჭვები გამოიწვიოს, – რომ ეს, უმთავრესად, ასე არ წარმოჩნდება ძველი ნატურფილოსოფოსების ან ადრინდელი ფილოსოფიის თანამედროვე გადმოცემებში, ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ამ უძველესი ფილოსოფიის, ამ ნატურფილოსოფიის აზრობრივი ფორმები უკვე იმდენად არ ჰგავს თანამედროვე აზროვნებას, რომ თითოეული, ვინც, მაგ, წერს ისტორიას, თავისი ფანტაზიორობით ადრინდელ ტვინებში სწორედ *„ბატონებისთვის ნიშანდობლივი სული“** შეაქვს. მაგრამ ასე არ შეიძლება დაიწეროს თუნდაც *სპინოზაზე*, რამდენადაც სპინოზა თავის წიგნში, რომელსაც იგი სამართლიანად უწოდებს ეთიკას, იდეებს გადმოსცემს მათემატიკური მეთოდის შესაბამისად, როცა არაა დაკავებული მათემატიკით, თანამედროვე სულისკვეთებით, მაგრამ თავისი ფილოსოფიისთვის იყენებს მათემატიკურ მეთოდს, უშუალოდ მისდიოს იდეას იდეაზე. ამით იგი ადასტურებს, რომ მასში ჯერ კიდევ არის რაღაც რაოდენობრივი მათემატიკური ცნებების ადრინდელი ხარისხობრივი განცდისგან. ასე რომ, მათემატიკურზე საუბარი შეიძლება ადამიანის შინაგანი განცდის ხარისხობრივზე განხილვის გავრცელებისას. წმინდა წყლის უაზრობა იქნებოდა, დღეს ჩვენი ცნებებით ვესწრაფოთ მათემატიკურის გამოყენებას ფსიქოლოგიურთან ან კიდევ ეთიკურთან დაკავშირებით.

ამდენად, თქვენ ხედავთ, რომ, თუ გვსურს თანამედროვე აზროვნებაში მნიშვნელოვანი მომენტის გაგება, მაშინ უნდა მივუთითოთ ამ არასაიმედოობაზე ადრე არსებულთან შედარებით, რომელიც ცხადია, უფრო მეტად საიმედო იყო, თუმცა ის ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისით უკვე გამოუსადეგარია. ამ არასაიმედოობამ კი ბოლოს და ბოლოს გამოიწვია ის, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების თანამედროვე ფაზაში უკვე გამოჩდა, მე ვიტყოდი, ამ არასაიმედოობის თეორიული გამართლება. ამ მიმართებით უაღრესად საინტერესოა მოხსენება, რომელიც წაიკითხა ფრანგმა მოაზროვნემ და მკვლევარმა *ანრი პუანკარემ** მატერიაზე უახლეს აზრებთან დაკავშირებით, სადაც ის საუბრობს იმაზე, რომ გაბატონებულია კამათი თუ დისკუსია იმის შესახებ, მართებთ თუ არა მატერიალური წარმოიდგინონ უფრო უწყვეტად, ან უფრო წყვეტილად, ანდა მართებთ იგი წარმოიდგინონ ისე, რომ სივრცის გავლით განსაზღვრული სახით მოქმედებს აღმვსები სუბსტანციური რეალობა, რომელიც სინამდვილეში არსად არაა გაყოფილი, ანდა ეს სუბსტანციურობა, ეს მატერიალურობა საჭიროა გაიაზრონ ატომისტიკურად, ანუ ესაა მეტ-ნაკლებად ცარიელი სივრცე ასევე უმცირესი ნაწილაკების შიგნით, რომლებიც თავისი განსაკუთრებული განლაგების წყალობით ერთმანეთთან წარმოქმნიან ატომებს, მოლეკულებს და ა. შ. თუ თვალს დახუჭავენ ზოგიერთ, მე ვიტყოდი, არასაიმედოობის გამართლების დეკორატიულობაზე, მაშინ თავის მოხსენებაში პუანკარე სინამდვილეში ამბობს შემდეგს: კვლევა, მეცნიერება განვლევს სწორედ სხვადასხვა ეპოქას. ერთ ეპოქაში არსებობენ მოვლენები, რომლებიც მოაზროვნეს უბიძგებენ მატერია წარმოიდგინოს უწყვეტად. სწორედ იმ ეპოქის მოვლენებთან მიმართებაშია ხელსაყრელი, მატერია გაიაზრო უწყვეტად და შეჩერდე იმაზე, მაინც რა ვლინდება ახლა უწყვეტობაში გრძნობადად-მოცემულის გარეგნული კავშირის დროს. სხვა ეპოქაში უფრო ვლინდება კვლევის შედეგი, რომელთან მიმართებაშიც ხელსაყრელია მატერიის დაშლა ატომებად, მათი კვლავ დალაგება გვერდიგვერდ, ანუ წარმოიდგინო საკუთარი თავი არა უწყვეტი, არამედ წყვეტილი, ატომისტური. და აი, პუანკარე ფიქრობს, რომ სწორედ ასე იქნება ყოველთვის, რომ გამომდინარე იქიდან, ერთი თუ მე-

ორე მიმართულებისკენ უბიძგებს კვლევის შედეგები, და იარსებებს ეპოქა, რომელიც იაზრებს უწყვეტს და ეპოქა, რომელიც იაზრებს წყვეტილს. მეტიც, ის საუბრობს რაღაც რყევაზე მეცნიერული განვითარების მსვლელობაში უწყვეტობასა და ატომისტიკას შორის. ასე იქნება ყოველთვის, ვინაიდან, ამბობს იგი, ადამიანის სულს აქვს მოთხოვნილება, შეიქმნას თეორიები მოვლენებთან დაკავშირებით ყველაზე ხელსაყრელი მეთოდით თავისი თავისთვის. როდესაც მან თავისი თავისთვის შექმნა გარკვეული დროით უწყვეტობის თეორია, მაშინ იგი იღლება ამისგან და ახლა ეს არაა მისი სიტყვები, მაგრამ, არსებითად, რასაც ის გულისხმობდა, შეიძლება ამ სიტყვებით დავახასიათოთ. კვლევის მეორე შედეგი მის წინაშე წარმოჩნდება, შეიძლება ითქვას, არაცნობიერი მეთოდით და ის იწყებს ფიქრს ატომისტურად, ზუსტად ისე, როგორც ჩასუნთქვის შემდეგ კვლავ ამოისუნთქავ. ამდენად, უნდა არსებობდეს მუდმივი რყევა, უნდა იყოს მონაცვლეობით უწყვეტობა – ატომისტიკა, უწყვეტობა-ატომისტიკა და ა. შ. ეს გამომდინარეობს თავად ადამიანის სულის მოთხოვნილებიდან და, არსებითად, ამ მოვლენებთან დაკავშირებით არაფერს ვიტყოდით, ვინაიდან არაფერს წყვეტს, ვაზროვნებთ თუ არა ჩვენ უწყვეტად ან ატომისტურად, მხოლოდ საჭიროა ადამიანური სულის გამოცდილება გაუმკლავდეს გარედან სხეულებრივ სამყაროს.

სულაც არაა გასაკვირი, რომ ეპოქა, რომელიც სამყაროს მოვლენებთან უკვე აღარ აკავშირებს სწორედ თვითგანცდას, არამედ განიხილავს ამ თვითგანცდას, როგორც მხოლოდ რაღაც არსებულს თავად ადამიანის შიგნით, ახლა არასაიმედოობისკენ მიდის. თუ საკუთარ ერთობლივ ცხოვრებას არ განიცდი სამყაროსთან ერთად, მაშინ შეგიძლია არც განიცადო უწყვეტობა და ატომისტიკა, არამედ მხოლოდ დაატრიალო სწორედ მოვლენების მეშვეობით ადრე მოფიქრებული უწყვეტობა ან ადრე მოფიქრებული ატომისტიკა. ასე რომ, ამ მეთოდით სინამდვილეში შეიძლებოდა თანდათანობით მისვლა წარმოდგენამდე, რომ ადამიანი წარმოქმნის საკუთარ თეორიებს მხოლოდ თავისი ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად. ისევე, როგორც უნდა ჩაისუნთქოს და შემდეგ ამოისუნთქოს, მან გარკვეული დროის განმავლობაში უნდა იაზროვნოს უწყვეტად და შემ-

დეგ გარკვეული დროით – ატომისტურად. და მას, არსებითად, არ შეეძლო სულიერად ჩაჭიდებოდა ჰაერს, თუ ყოველთვის იაზროვნებდა უწყვეტად; მას კვლავ უნდა ეაზროვნა ატომისტურად, რომ მოეპოვებინა ჰაერი სულიერად. ამდენად, მარტოოდენ ამის წყალობით დადგენილია და გამართლებულია არასაიმედოობა, რომელსაც თითქმის თვითნებურად ეძლევა სხვა განმარტება. სამყაროსთან ერთად უკვე საერთოდ არ ცხოვრობენ, მაგრამ ამბობენ, რომ მასთან ერთად ცხოვრება ასე თუ ისე შესაძლებელია, მაგრამ საკუთარ სუბიექტურ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით.

მაინც რას იტყოდა ამ შემთხვევაში აზრთა უძველესი სახე, სწორედ ის, რომელიც მე უკვე არაერთხელ მოვიყვანე? ის იტყოდა: იმ ეპოქაში, რომელშიც ტონის მიმცემი მოაზროვნეები უწყვეტად აზროვნებენ, ისინი ფიქრობენ ცხოვრებაზე; იმ ეპოქაში, რომელშიც ტონის მიმცემი მოაზროვნეები ატომისტურად აზროვნებენ, ისინი, ასე ვთქვათ, ფიქრობენ მკვდარზე, არაორგანულ ბუნებაზე და მეტიც არაორგანულს ასევე აყალიბებენ ორგანულში.

თქვენ ხედავთ, რომ ეს უკვე აღარ არის გაუმართლებელი თვითნებობა, არამედ ეფუძნება ობიექტურ კავშირს საგნებთან. ცხადია, ერთხელ მე შემიძლია გამოვიკვლიო რაღაც ცოცხალი, მეორე შემთხვევაში – რაღაც მკვდარი და ვთქვა: ცოცხლის შინაგანი არსებიდან გამოდის, რომ მე უნდა ვიაზროვნო უწყვეტად, ხოლო მკვდრის შინაგანი არსებიდან მმართებს ვთქვა: მე უნდა ვიაზროვნო ატომისტურად. თუმცა მე ვერ ვიტყვი, რომ ეს შეესაბამება მხოლოდ ადამიანური სულის თვითნებობას. სინამდვილეში ეს შეესაბამება ობიექტურ მდგომარეობას სამყაროსთან მიმართებაში და არა მარტოოდენ ადამიანური სულის სუბიექტურ მოთხოვნილებას. ამასთან, შემეცნებისთვის სუბიექტურს, არსებითად, სრულიად არ ითვალისწინებენ. ვინაიდან ცოცხალს ბუნებაში შეიმეცნებ უწყვეტი, მკვდარს კი – ატომისტური მეთოდით. როდესაც ნამდვილად აუცილებელია, რიგრიგობით შეენაცვლოს სწორედ ატომისტური და უწყვეტი აზროვნება, ეს უნდა გამოყენებულიყო ობიექტურში, მაშინ აუცილებელია ითქვას: აქ შენ საჭიროა ერთხელ იაზროვნო ცოცხალში, მეორე შემთხვევაში – მკვდარში. მაგრამ არ არსებობს არანაირი საფუძველი,

რომ შეხედულების ისეთი მეთოდის მეშვეობით, როგორიცაა მაგ. პუანკარესთან, ეს შევაგდოთ სუბიექტურში და რომ, რაღაც სახის აზროვნებისთვის, როგორც ის ახლა გადმოვეცი კაცობრიობის განვითარების უძველესი ფაზისთვის, სუბიექტურს ასეთივე სახით ჰქონდეს ღირებულება.

ამდენად, საქმე ის არის, რომ ფაქტობრივად აქ საკითხი ვლინდება შინაგანად, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენს უკან არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების ფაზაში მოხდა შემობრუნება ცოცხლიდან მკვდარისკენ, აქედან კი – უწყვეტობიდან ატომისტიკისკენ, რომელიც არაორგანულთან მიმართებაში, მკვდართან მიმართებაში, თუ ის მართებულად გესმის, თავისთავად ცხადია, გამართლებულია. მაგრამ, როცა ადამიანი ერთხელაც მოისურვებს თავად ობიექტურად და რეალურად იპოვოს საკუთარი თავი სამყაროში, მან უნდა ეძიოს დაბრუნების გზა ატომისტურად მოაზროვნე შესანიშნავად განვითარებული, მაგრამ მაინც მკვდარი სამყაროდან თავისი საკუთარი არსებისკენ და მაშინ, ის უკვე შეძლებს საკუთარი თავის, როგორც ორგანიზმის ცოცხლად დაუფლებას. ვინაიდან, აქამდე უმთავრესი განვითარება დაიყვანებოდა იმაზე, რომ გეზი აეღოთ მკვდრის მიმართულებით, ანუ ატომისტიკისკენ. და როცა XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდა ეს სრულიად ნაყოფიერი უჯრედოვანი თეორია *შლაიდენისა** და *შვანისა**, მაშინ ის იქცა გზად არა უწყვეტობისკენ, არამედ ატომისტიკისკენ, ამავე დროს სინამდვილეში არ აღიარებს და აქამდე არ უშვებს იმას, რომ ამის აღიარება აუცილებელია, რომ ეს შეესაბამება შეხედულების მთელ მეთოდოლოგიურ მსვლელობას. და ვერც ამჩნევენ, რომ ორგანიზმის ასე უჯრედებად დანაწევრებულად და დაშლილად წარმოდგენით, მას არსებითად აზრობრივად ალპობენ ატომებამდე, ანუ, სინამდვილეში, კლავენ და საკითხი რეალურად დგას ისე, რომ განხილვის ატომისტური მეთოდისთვის საერთოდ დაიკარგა ორგანიზმის ცნება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იმ ხატ-სახეში, რომელსაც იღებ, როცა გოეთეს ორგანულ ქიმიას უპირისპირებ შლაიდენს ან უფრო გვიანდელ ბოტანიკოსებს, მაშინ გოეთესთან ყველგან სახეზეა ცოცხალი, უკვე განცდილი იდეა, როცა მეორე მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ უჯრე-

დი არის ცოცხალი და, შესაბამისად, მინიშნება კეთდება რაღაც ცოცხალზე, სინამდვილეში მეთოდი, როგორითაც აზროვნებენ, წარმოადგენს ისეთს, თითქოსდა უჯრედი საერთოდ არც ცოცხლობდეს, არამედ იყოს მხოლოდ ატომი. ცხადია, ემპირიული კვლევა ყოველთვის ფეხდაფეხ არ მისდევს საკითხის რაციონალურობას, ვინაიდან ეს საერთოდ შეუძლებელია ცოცხალთან მიმართებაში. მაგრამ, მეორე მხრივ, ორგანულის გაგებაც არ ეთანხმება იმას, რას იძლევა ჭეშმარიტი დაკვირვება უჯრედზე მოძღვრებასთან დაკავშირებით. შესაძლებელია დაერთოს მხოლოდ არაატომისტური, რამდენადაც, როცა სწავლობ რეალურ უჯრედს, უკვე აღარ შეგიძლია სხვა რამე, თუ არა მხოლოდ დაახასიათო ის, როგორც რაღაც ცოცხალი. მაგრამ ეს ხომ სწორედ დამახასიათებელია მრავალი თანამედროვე გადმოცემისთვის, როცა მოვლენებს ერთმანეთში ურევენ და სიცხადე კი არ უყვართ.

ამაზე მე ხვალინდელ ლექციაში ვისაუბრებ.

მეექვსე ლექცია*

დორნახი, 1923 წლის 1 იანვარი

ლექციების ბოლო კურსის ერთ-ერთ ნაწილში მე ვისაუბრე იმაზე, რომ საბუნებისმეტყველო მსოფლმხედველობას თავისი ფესვები გადგმული აქვს იმ დროიდან, როცა საბუნებისმეტყველო სახის აზროვნება დაიბადა XV საუკუნეში, როცა ჯონ ლოკი და მისი მსგავსი მოაზროვნეები ე. წ. საგანთა პირველად თვისებებს მეორადი თვისებებისგან განასხვავებდნენ იმაში, რაც გრძნობადად მოგვიცავს ჩვენ სხეულებრივ სამყაროში. პირველად თვისებებს ლოკი უწოდებდა იმას, რაც განეკუთვნება სხეულის ფორმებს, მათ გეომეტრიულ თავისებურებას, რიცხობრივს, რაც განეკუთვნება მოძრაობას, სიდიდეს და ა. შ. და მას განასხვავებდა ყოველივე იმისგან, რასაც უწოდებდა მეორად თვისებებს: ფერს, ტონს, სითბოს აღქმას და ა.შ. იგი პირველად თვისებებს მიაკუთვნებდა თავად საგნებს, ამიტომ თვლიდა, რომ არსებობს სივრცობრივი სხეულებრივი საგნები, რომლებსაც აქვთ ფორმა, გეომეტრიული თვისებები, მოძრაობა, ხოლო ყველაფერ იმასთან დაკავშირებით, რასაც წარმოადგენს მეორადი თვისებები – ფერები, ტონები და ა. შ., – მას მიაჩნდა, რომ ეს არის მხოლოდ ზემოქმედება ადამიანზე. თითქოსდა გარეთ სამყაროში სხეულებში არსებობს მხოლოდ პირველადი თვისებები. ხოლო რაღაც, რაც დამატებულია სიდიდეს, ფორმას და მოძრაობას, მაგრამ, წარმოადგენს ბნელს, უტყვს და ცივს – ახორციელებს გარკვეულ ზემოქმედებას და ეს ზემოქმედება ვლინდება სწორედ ადამიანის შიგნით ისე, რომ ის განიცდის ტონს, ფერს, სითბურ თვისებებს და ა. შ.



ნახ. 5. weiss – თეთრი

გარდა ამისა, მოხსენებებში მე მივუთითე, როგორ იქცა ამ საბუნებისმეტყველო ეპოქაში სივრცობრივი აბსტრაქტულად უკვე განზომილებასთან მიმართებით. ადამიანმა უკვე არაფერი იცოდა იმაზე, რომ სამი განზომილება თავად მასში კონკრეტულად განიცდებოდა, როგორც ზევით-ქვევით, მარჯვნივ-მარცხნივ, წინ-უკან (იხ. ნახ. 5). საბუნებისმეტყველო მეცნიერების ამ ეპოქაში იგი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას სამი განზომილების ამ კონკრეტულობას. მისთვის ისინი წარმოიქმნებოდნენ სრულ აბსტრაქტულობაში. იგი სამი განზომილების გადაკვეთის წერტილს იქ კი არ ეძებდა, სადაც ის რეალურად განიცდებოდა ადამიანურ შინაგანში, არამედ სადღაც, – და იქვე მას შეეძლო არსებობაც ყოველთვის, სადღაც სივრცეში, – და ასე ახდენდა თავისი სამი განზომილების კონსტრუირებას. ახლა ამ სამი განზომილების სივრცობრივმა სქემამ შეიძინა დამოუკიდებელი, ოღონდ გამოგონილი, აბსტრაქტული ყოფიერება და შესაბამისად ის არ განიცდება, როგორც გარე სამყაროსთვის და ადამიანისთვის კუთვნილი, მაშინ, როცა წარსულ დროებში, როგორც უკვე ვთქვი, სამი სივრცობრივი განზომილება განიცდებოდა ისე, რომ ადამიანმა იცოდა, იგი განიცდის მათ საკუთარ თავში ფიზიკურ სხეულებრივ ბუნებასთან ერთად.

ამდენად, სამი განზომილება გარკვეულწილად უკვე გამომიჯნულია ადამიანისგან და გასროლილია გარეთ, ამის წყალობით კი მათ მიიღეს მთლიანად აბსტრაქტული, არაცოცხალი ხასიათი. ადამიანმა უკვე აღარ იცოდა, რომ იგი სივრცობრივ განზომილებებს, – ასეთი კი შეიძლება ასევე ითქვას ყველა დანარჩენზე, რომლებიც წარმოადგენს სივრცობრივს, რიცხობრივს, წონის შესატყვისს და ა. შ., – განიცდის საკუთარ შინაგანში გარე სამყაროსთან ერთად, მაგრამ რაც, სინამდვილეში, საკუთარ კონკრეტულობაში, საკუთარ სრულ ცოცხალ რეალობაში რომ განეცადა, უნდა განეჭვრიტა საკუთარ შინაგანში, რათა ეს აქ დასაბუთებულად ეპოვა. არსებითად, მოხდა ისე, რომ ისეთმა პიროვნებამ, როგორიცაა ჯონ ლოკი, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ თვისებების კავშირი ადამიანურ შინაგანთან ჯერ არ იყო ცნობილი, გარე სამყაროში გადაიტანა პირველადი თვისებე-

ბი, რომლებიც განეკუთვნება იმავე სახეს, რასაც სივრცის სამი განზომილება, – ვინაიდან სივრცის სამი განზომილება წარმოადგენს ფორმაქმნადობის რაღაც სახეს.

სხვა, მეორადი თვისებები, გრძნობათა შინაარსის სახით ხარისხობრივად განიცდება, მაგ., ფერი, ტონი, სითბოს დონე, სუნი, გემო – ამიერიდან განიცდება მხოლოდ, როგორც საგნების ზემოქმედება ადამიანზე, როგორც შინაგანი განცდები. მე ხომ უკვე მივუთითე იმაზე, რომ უკვე შეუძლებელია ამ მეორადი თვისებების პოვნა ფიზიკური ადამიანის შინაგანში, თვით ეთერული ადამიანის შინაგანში, რომ ამიტომაც, გარკვეული თვალსაზრისით, ისინი განიდევნენ ამ შინაგანი ადამიანისთვისაც. გარე სამყაროში მათ უკვე აღარ ეძებდნენ, ისინი გადაიტანეს ადამიანის შინაგანში. თქვეს: თუ ადამიანი არ უსმენს სამყაროს, თუკი იგი არ უყურებს სამყაროს და ვერ ავლენს სამყაროში საკუთარი სითბოს გრძნობას, ასეთ შემთხვევაში სამყარო მდუმარეა და ა. შ. მას აქვს პირველადი თვისებები, განსაზღვრულად გაფორმებული ჰაეროვანი ტალღები, მაგრამ არა აქვს ტონები; მას აქვს რაღაც პროცესები ეთერში, მაგრამ არა აქვს ფერები; მას აქვს რაღაც პროცესები წონით მატერიაში, რომელსაც აქვს წონა, მაგრამ მას არა აქვს სითბოს დონე და ა. შ. სინამდვილეში ამ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ეპოქაში ამგვარად განცდილი გრძნობადი თვისებებისთვის ამით ითქვა მხოლოდ შემდეგი: მათი განთავსება ნამდვილად არ იციან. სამყაროში მათი მოძიება არ სურთ. აღიარებენ, რომ არა აქვთ სამყაროში მათი პოვნის ძალა. თუმცა, მათ შინაგანში ეძებდნენ, ოღონდ ჯერჯერობით ეს კეთდებოდა და კეთდება მექანიკურად. მექანიკურად იმ თვალსაზრისით, რომ ყურადღებას საერთოდ არ აქცევენ იმას, ნამდვილად იკვლევ თუ არა ადამიანის ამ შინაგანს, რამდენადაც შესაძლებელია ახლა მისი შეფასება, ანუ, თუ მას იკვლევ შეძლებისდაგვარად, – ეს კი ხორციელდება მხოლოდ, როგორც იდეალი, ასე რომ, სინამდვილეში საუბარი არ შეიძლება დასრულებული კვლევის ფაქტზე, – მაშინ ვერსად იპოვი ამ მეორად თვისებებს. ამიტომ, არსებითად, არ იციან, სამყაროში სად მოათავსონ ისინი. რის გამო ხდება ეს?

ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: თუ გვსურს, სწორად განვიხილოთ რაიმე, რაც განეკუთვნება გაფორმებულს, სივრცობრივს, გეომეტრიულს ან თუნდაც არითმეტიკულს, თუ-კი ეს ნამდვილად გვსურს, აუცილებელია, ყურადღებით განვიხილოთ შინაგანი მოქმედება, ეს სიცოცხლით სავსე მოქმედება, რომლის წყალობითაც ადამიანი თავის საკუთარ ორგანიზმში იქმნის სივრცობრივს, როგორიცაა, მაგ., ზევით და ქვევით, წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ. ანუ, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ითქვას: თუ გსურს, გაიგო გეომეტრიულ-სივრცობრივის არსი, – ან სრულიად ლოგიკური იქნებოდა გვეთქვა: თუ გსურს, იპოვო სხეულებრივი მოვლენების პირველადი თვისებების ნიუანსები, მაშინ თავად უნდა ჩაიხედო საკუთარ თავში, სხვაგვარად მიხვალ მხოლოდ აბსტრაქციამდე. ახლა კი მეორეხარისხოვან თვისებებთან, ტონთან, ფერთან, სითბოს თვისებასთან, სუნთან, გემოსთან ხდება ისე, რომ ადამიანმა ამაზე უნდა იცოდეს, – ეს ცოდნა კი შეიძლება იყოს მხოლოდ საკმაოდ ინსტინქტური, მაგრამ მან ამაზე რაღაცა მაინც უნდა იცოდეს, – რომ თავისი სულიერ-მშვინვიერი არსებით იგი ცხოვრობს არა მარტო საკუთარ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში, არამედ, მას საკუთარი „მე“ და ასტრალური სხეულით ასევე შეუძლია იმყოფებოდეს *ამ სხეულების** გარეთ – კერძოდ ძილის მდგომარეობაში. როგორც ინტენსიურად აღქმული სრული ღვიძილის მდგომარეობის დროს, – არა საკუთარი თავის გარეთ, არამედ საკუთარ თავში, – ადამიანი განიცდის პირველად თვისებებს, მაგ, ხშირ შემთხვევაში სამ განზომილებას, მას ასევე შეუძლია, თუ ამას მოახერხებს ინსტინქტების, ან ინსტინქტური თვითშემეცნებისა თუ სულიერ-მეცნიერული შემეცნების მეშვეობით, რეალურად განიცადოს შიგნით ის, რაც არსებობს ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ დაძინებიდან გამოღვიძებამდე, მაშინ მან ასევე იცის, რომ საკუთარი სხეულის გარეთ იგი ნამდვილად განიცდის გარე სამყაროში ტონის, ფერის, სუნის, გემოს, სითბოს დონის ჭეშმარიტ არსს. მაგრამ ეს ხატები შეესაბამება სულიერ-მშვინვიერ რეალობებს და არა ფიზიკურ-ეთერულ რეალობებს. მიუხედავად იმისა, რომ ტონის სახით ჩვენ მიერ განცდილი გვეჩვენება ასე ძლიერად დაკავშირებული, – ეს ცხადია ხდება, მაგრამ სრულიად სხვა მიმარ-

თებით, – განსაზღვრულად გაფორმებულ ჰაეროვან ტალღებთან, რომ ფერი გვეჩვენება დაკავშირებული განსაზღვრულ პროცესებთან ფერადოვან გარე სამყაროში, მაინც აუცილებელია, ვაღიაროთ, რომ ტონი, ფერი და ა. შ., წარმოადგენენ არა სხეულებრივის სურათ-ხატებს, არამედ გარე სამყაროში არსებული სულიერის, სულიერ-მშვინვიერის სურათ-ხატებს.

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია საკუთარ თავს ვუთხრათ: როცა განვიცდით ტონს, ფერს, სითბოს დონეს, მაშინ მათ განვიცდით ხატოვნად. თუმცა, როცა ჩვენ ვარსებობთ საკუთარი სხეულის გარეთ, მაშინ მათ რეალურად განვიცდით. ამდენად, ეს ხატი შეგვიძლია გამოვხატოთ რამდენადმე სქემატურად, შემდეგი სახით (იხ. ნახ. 6): პირველად თვისებებს ადამიანი განიცდის საკუთარ თავში, ღვიძილისას, სრული ღვიძილისას და მათ ჭვრეტს სურათ-ხატებად გარე სამყაროში; თუ მან ისინი იცის მხოლოდ გარე სამყაროში, მაშინ მას ეს პირველადი თვისებები გააჩნია მხოლოდ სურათ-ხატებში (ისარი). ეს სურათ-ხატები არსებითად მათემატიკური, გეომეტრიული, არითმეტიკულია საგნებში.



ნახ. 6

მეორად თვისებებთან ეს სხვაგვარადაა. მათ ადამიანი, – თუ მე დავხატავ ადამიანის ფიზიკურსა და ეთერულ სხე-

ულებს ამ ჰორიზონტალური შტრიხებით, ხოლო სულიერ-მშვინვიერს, „მე“-სა და ასტრალურს წითელი ფერით, – განიცდის საკუთარი ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ, ხოლო თავის თავის შიგნით პროეცირებს მხოლოდ სურათ-ხატებს. რამდენადაც ბუნებისმეტყველების ეპოქაში ამას უკვე ვეღარ ხედავენ, ამიტომ მათემატიკური ფორმულები, რიცხვებიც, გარკვეულწილად, გარდაიქმნა რაღაცად, რასაც ადამიანი აბსტრაქტულად ეძიებს მხოლოდ გარე სამყაროში. მეორადი თვისებები გადაიქცა რაღაცად, რასაც ადამიანი ეძიებდა მხოლოდ საკუთარ თავში. მაგრამ რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მარტოოდენ სურათ-ხატებს, მან სწორედ რეალობისთვის დაკარგა ისინი საბოლოოდ.

ხდებოდა ისე, რომ ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ჯერ კიდევ ფლობდნენ ტრადიციებს გარე სამყაროზე უძველესი შეხედულებებიდან, იბრძოდნენ იმისთვის, რომ შეექმნათ წარმოდგენები, რომლებიც უფრო მეტად იქნებოდა შესაბამისობაში რეალობასთან, ვიდრე ისინი, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერული ეპოქის განმავლობაში, მე ვიტყოდი, თანდათანობით გამოჩნდა, როგორც ოფიციალური. *პარაცელსის** გარდა ასეთია, მაგ., ასევე *ვან ჰელმონტი**, რომელიც სრულად აცნობიერებდა, რომ ფერის, ტონის და ა.შ. განცდისას, მუშაობს ადამიანის სულიერი. მაგრამ რამდენადაც ღვიძილის მდგომარეობაში ეს სულიერი მოქმედებს მხოლოდ ფიზიკური სხეულის დახმარებით, ამიტომ ეს ფიზიკური სხეული იქმნის მხოლოდ იმის ხატს, რაც არსის სახით ძევს ტონში, ფერში და ა. შ., შემდეგ კი მიდიხარ გარეგნული სინამდვილის რაღაც არასათანადო აღწერამდე, კერძოდ მოძრაობის, მოძრაობის გამოხატვის წმინდა მათემატიკურ-მექანიკურ ფორმამდე იმისათვის, რაც ადამიანის შინაგანში უნდა განიცდებოდეს, როგორც მეორადი თვისებები. მაშინ, როცა ეს შეიძლება ჭეშმარიტად განიცდებოდეს მისი რეალობის, მისი სინამდვილის შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური სხეულის გარეთ. ადამიანს არ შეიძლება უთხრათ: თუ შენ გსურს, შეიმეცნო, მაგ., ტონის ჭეშმარიტი არსი, მაშინ რაღაც ბგერის მოსმენისას უნდა გააკეთო ფიზიკური ექსპერიმენტი იმასთან დაკავშირებით, რა ხდება შიგნით ჰაერში, რომელსაც შენთვის მოაქვს ბგერა, მაგრამ ასეთ შემ-

თხვევაში ადამიანს უნდა უთხრა: შენ თუ გსურს, გაეცნო ტონის ჭეშმარიტ არსს, მაშინ საჭიროა წარმოდგენა შეიქმნა იმაზე, სინამდვილეში როგორ განიცდი ტონს საკუთარი ფიზიკური და ეთერული სხეულების გარეთ. მაგრამ ეს ის აზრებია, რაზეც საბუნებისმეტყველო მეცნიერული ეპოქის ადამიანები საერთოდ არც ფიქრობდნენ, ვინაიდან ამ ადამიანებს არ სურდათ მთლიანი ადამიანური ბუნების დეტალებში შესვლა, რამდენადაც მათ განავითარეს მიდრეკილება, გაცნობოდნენ ადამიანის ჭეშმარიტ არსებას. ამდენად, სწორედ უცნობ ადამიანურ ბუნებაში ვერ პოულობდნენ ისინი მათემატიკას ან თვით პირველად თვისებებსაც; და ასევე ვერ პოულობდნენ ისინი მეორად თვისებებს გარე სამყაროშიც, რამდენადაც მათ ხომ არ იცოდნენ, რომ ადამიანი გარე სამყაროსაც ეკუთვნის.

მე არ ვამბობ, რომ აუცილებელია იყო ნათელმხილველი, რათა ეს მოვლენები სწორად გაიგო, არამედ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ სწორედ სამყაროს ნათელმხილველურ განმარტებებს შეუძლიათ, მოგვცენ ღრმა ინტენსიური შემეცნებები სწორედ ამ სფეროში, და რომ, ჯანსაღი თვითშემეცნება აუცილებლად მიიყვანს იქამდე, რომ მათემატიკურიც, პირველადი თვისებებიც, მათემატიკურ-მექანიკურიც ასევე გადავიტანოთ ადამიანის შინაგანში, რათა მეორადი თვისებებიც ასევე გადავიტანოთ ადამიანის გარე სამყაროში. ადამიანის ბუნებას უკვე აღარ იცნობდნენ. სინამდვილეში არ იცოდნენ, როგორ არის სულიერებით აღვსილი ადამიანის სხეულებრივი; არის რა ადამიანში მღვიძარე, როგორ უნდა დაივიწყოს სულიერებამ საკუთარი თავი და მთლიანად მიეცეს სხეულს, რათა ესმოდეს მათემატიკური. ამასთან, არ იცოდნენ სხვა რამ, რომ სულიერებამ მთლიანად თავად უნდა მოიცვას საკუთარი თავი თავის თავში და იცხოვროს დამოუკიდებლად სხეულისაგან, ანუ სხეულის გარეთ, რომ მივიდეს მეორად თვისებებთან. ყველა ამ მოვლენაზე, მე ვიტყოდი, ნათელმხილველურ ჭვრეტას შეუძლია უფრო მკაფიო შედეგების მოცემა, მაგრამ ეს არაა საჭირო. რაღაც თვითჭვრეტას, ჭეშმარიტად ჯანსაღ თვითჭვრეტას შეუძლია იგრძნოს, გააცნობიეროს სწორი გრძნობით, რომ მათემატიკაც ასევე წარმოადგენს რა-

ღაც შინაგანად ადამიანურს, ხოლო ბგერა, ფერი და ამის მსგავსი – რაღაც გარეგნულს.

ოთხმოციან წლებში „გოეთეს საბუნებისმეტყველო თხზულებები“-ს წინასიტყვაობაში *მე გამოვხატე** ის, რა შეიძლება ამ მიმართულებით მიიღოს ჯანსაღმა შეგრძნებამ, რომელსაც მიჰყავს კიდეც ჭეშმარიტი შემეცნებისკენ. აქ არ ყოფილა მიღებული არანაირი ნათელმხილველური ცნობიერება, მაგრამ ნაჩვენებია, რა ზომით შეუძლია ადამიანს ნათელმხილველური ცნობიერების გარეშე მივიდეს ფერის, ხმის და ა.შ., რეალობის აღიარებამდე. ეს ჯერჯერობით ვერ გაიგეს. საბუნებისმეტყველო მეცნიერული ეპოქა აზროვნების წყობის ნიუანსებში ჯერ კიდევ მორიდებულია. ამის გაგება ვერ შეძლეს, ეს ასევე ვერ გაიგეს, როცა მე, შეიძლება ითქვას, დავაკავშირე რა ფილოსოფიურად, ეს ყოველივე მკაფიოდ გადმოვეცი 1911 წელს *ბოლონიის ფილოსოფიურ კონგრესზე**. იქ მე შევეცადე, მეჩვენებინა ღვიძილის მდგომარეობისას, მაინც როგორ რჩება შინაგანად დამოუკიდებელი ადამიანის სულიერ-მშვინვიერი, თუმცა იმყოფება ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში, როცა გარკვეული სახით აღვსილია ფიზიკური და ეთერული სხეულებით. როდესაც გრძნობ ადამიანის სულიერ-მშვინვიერის ამ შინაგან დამოუკიდებლობას, მაშინ გაქვს სწორედ რაღაც აღქმა იმისა, რაც განიცადა სულიერ-მშვინვიერმა ძილში მწვანე და ყვითელი ფერების, სოლ-ისა და დო დიეზის ნოტების, სითბოსა და სიცივის და ა.შ., რეალობასთან დაკავშირებით. მაგრამ ჯერჯერობით საბუნებისმეტყველო მეცნიერული ეპოქა არ ესწრაფვის, დეტალურად შეჩერდეს სწორედ ადამიანის ჭეშმარიტ შემეცნებაზე.

სამყაროსთან ადამიანის მიმართების ამ დახასიათებისას პირველადი და მეორადი თვისებების შესაბამისად, ჩვენ სრულიად მკაფიოდ ვხედავთ, როგორ ამბობს ადამიანი უარს საკუთარ თავთან და სამყაროსთან თავის მიმართებასთან დაკავშირებით სწორი შეგრძნების მიღებაზე. იგივე არის ჩადებული ადამიანთან დაკავშირებით მიღებულ სხვა წარმოდგენებშიც. რამდენადაც ვერ შეძლეს, მიეღოთ შეხედულება იმაზე, როგორ ცხოვრობს ადამიანის შინაგანში მათემატიკური მის სამ განზომილებაში, ასევე ვერ შეძლეს, დაენახათ ადამიანის არსებითი მის სულიერებასთან მიმარ-

თებით. ვინაიდან ეს სულიერი მდგომარეობდა იმაში, რასაც ეტყოდნენ საკუთარ თავს: ადამიანს ხელეწიფება გაიაზროს მარჯვენა-მარცხენა თავისი თითებისა და ხელების სიმეტრიული მოძრაობის მეშვეობით, მის მიერ განხორციელებული სხვა სიმეტრიული მოძრაობების მეშვეობით. მაგალითად, საკუთარი საკვების მოძრაობის შეგრძნებით მას შეუძლია განიცადოს წინ და უკან. იგი განიცდის ზევით და ქვევით, იმიტომ, რომ თავისი ცხოვრების დროს იგი სწორედაც მოერგება ამ ზევითსა და ქვევითს.



ნახ. 7

weiss – თეორი, gelb – ყვითელი.

ცხადია, ამის განხილვით ხედავენ, შინაგანად როგორ ავითარებს ადამიანი მოღვაწეობას სამი სივრცობრივი განზომილების გამომუშავებისას და, ადამიანზე საუბრისას მის მიმართებაზე ცხოველთა სამყაროსთან, მიუთითებენ იმ დამახასიათებელზე, ცხოველს რომ არა აქვს ისეთივე სახით, როგორც ადამიანს, მაგ, ზევით და ქვევით, ვინაიდან თავისი სხეულის ძირითადი ღერძი მას აქვს ჰორიზონტალურად, ანუ იმ მიმართულებით, რომლის შეგრძნებაც ადამიანს შეუძლია წინ და უკან. სივრცის აბსტრაქტული სქემა უკვე არ აკმაყოფილებდათ, რათა არაორგანულ ბუნებაში გამოეკვლიათ რამდენადმე სხვაგვარად, ვიდრე მათემატიკურ-მექანიკური აბსტრაქტული დამოკიდებულებით. არ აკმაყოფილებდათ, მაგ., სივრცის შინაგან განცდასთან დაკავშირებით შეხედულების განვითარებისას, ერთი მხრივ ცხოველთან, მეორე მხრივ – ადამიანთან.

ამდენად, ამ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ეპოქაში თავდაპირველად შეუძლებელი იყო სწორი აზრის წარმოქმნა შემდეგ კითხვასთან დაკავშირებით: არსებითად, როგორ ეკიდება ადამიანი ცხოველს, ცხოველი – ადამიანს?

რითი განსხვავდებიან ისინი? მაგრამ აქ მაინც ჯერ კიდევ გარკვეულად გრძნობდნენ: ცხოველსა და ადამიანს შორის არის განსხვავება; ასე ეძებდნენ მას ყველანაირ ნიშნებში, რომლებიც არ შეიძლებოდა რადიკალურად დამახასიათებელი ყოფილიყო, როგორც ადამიანისთვის, ისე ცხოველისთვის. ამის საკმაოდ მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს გამონათქვამი ადამიანის ზედა ყბასთან დაკავშირებით, რომელზეც განლაგებულია ზედა კბილები – ადამიანის ზედა ყბის ეს ძვალი არის ერთადერთი; ცხოველთან ის წარმოადგენს ისეთს, რომ წინა მჭრელები განლაგებულია შიგნით განსაკუთრებულ ყბებს შორის ძვალში და მხოლოდ ამ ყბებს შორის ძვლის ორივე მხარეს არსებობს ნამდვილი ზედა ყბა. ადამიანს არა აქვს ეს ყბებს შორისი ძვალი. მას შემდეგ, რაც უკვე აღარ ჰქონდათ უნარი, შინაგანი სულიერ-მშვინვიერის მეშვეობით ეპოვათ ადამიანის კავშირი ცხოველთან, მას ხედავდნენ რაღაც ისეთ გარეგნულში, რომ ამბობდნენ: ცხოველს აქვს ყბებს შორისი ძვალი, ხოლო ადამიანს ის არა აქვს.

გოეთე იყო ის, ვისაც ისეთი შემეცნებები, რომლებზეც მე დღეს ვისაუბრე პირველად და მეორად თვისებებთან დაკავშირებით, მართალია, არ შეეძლო სიტყვებით გამოეხატა, არ შეეძლო, ასევე სრული სიცხადით მიეღწია რაიმე გარეგნულ აზრამდე, მაგრამ გოეთეს ჰქონდა ჯანსაღი გრძნობა ყველა ამ მოვლენასთან მიმართებით. უპირველეს ყოვლისა, გოეთემ ინსტინქტურად იცოდა, რომ ადამიანის განსხვავება ცხოველისგან საჭიროა ვიპოვოთ ადამიანის მთლიან ფორმირებაში – და არა რომელიმე ცალკეულში. ამიტომ გოეთე იქცა ადამიანის ყბებს შორისი ძვლის არარსებობის წინააღმდეგ მებრძოლად. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას გოეთემ დაწერა მრავლისმეტყველი სტატია, რომელიც ადამიანს, ისევე, როგორც ცხოველს მიაწერდა ყბებს შორის ძვალს *ზედა ყბაში**. მან მოახერხა, ეპოვა ფაქტი ამ მტკიცების უტყუარი დასაბუთებისთვის, სწორედ მაშინ, როცა მან აჩვენა, ჯერ კიდევ მთლიანად როგორ შეიძლება ყბებს შორის ძვლის დანახვა ადამიანთან ემბრიონის მდგომარეობაში და როგორ შეეზრდება ის, – იმ დროს როცა ადამიანი ვითარდება, ანუ უკვე პატარა ბავშვთან, – ზედა ყბას, მაშინ, როცა ცხოველთან ის რჩება

განცალკევებული. გოეთე ამ ყველაფერს განიხილავდა გამომდინარე გარკვეული მართებული შემეცნებითი ინსტინქტიდან და ამ ინსტინქტიდან გამომდინარე იგი, უპირველეს ყოვლისა, მივიდა დასკვნამდე, რომ თქვა: არ შეიძლება ასე ცალკეულიდან შეეცადო იპოვო ადამიანის განსხვავება ცხოველისაგან, აუცილებელია, იგი ვეძიოთ მისი გეშტალტის, მისი სამშვინველის, მისი სულის მთლიან მიმართებაში სამყაროსთან. ამიტომ გოეთეს ბრძოლა ბუნებისმეტყველებთან, რომლებიც უარყოფდნენ ყბებს შორის ძვალს ადამიანში, აჩვენებს, რომ მან, ერთი მხრივ არარსებითთან დაკავშირებით ადამიანი მიაახლოვა ცხოველს, რათა, მეორე მხრივ, შეძლებოდა, იგი წარმოედგინა მის ჭეშმარიტ განსხვავებაში სწორედ მისივე ნამდვილ არსებასთან დაკავშირებით. დაკვირვების ამ მეთოდს, რომელიც გოეთემ განსაზღვრული შემეცნებითი ინსტინქტიდან დაუპირისპირა ბუნებისმეტყველების იმ ფორმას, რომელსაც ეს ბუნებისმეტყველება გოეთემდე იზიარებდა და რომელიც მას ჯერ კიდევ დღესაც აქვს, არსებითად არ გამოუჩნდა არც ერთი მიმდევარი საბუნებისმეტყველო წრეების შიგნით. სამაგიეროდ, სწორედ XIX საუკუნეში, როგორც შედეგი იმ ყველაფრისა, რაც ჩამოყალიბდა XV საუკუნიდან საბუნებისმეტყველო სარბიელზე, სულ უფრო მეტად იკვეთება ტენდენცია, ადამიანი მიაახლოონ ცხოველს, რომ არ ეძიონ ცხოველისგან მისი განსხვავება არაარსებითში, არამედ რაც შეიძლება მიაახლოონ მისი არსება ცხოველს. შემდეგ ეს ტენდენცია შენარჩუნდა იმაში, რაც გამოვლინდა, როგორც ევოლუციის დარვინისტული იდეა და ა. შ. ამას გამოუჩნდა მიმდევრები. გოეთეს შეხედულებას მიმდევრები არ გამოუჩნდა. მართალია, ზოგიერთები გოეთეს ახასიათებდნენ, როგორც რაღაც ტიპის დარვინისტს, ვინაიდან ისინი გოეთეში ხედავდნენ სწორედ მხოლოდ იმას, რომ მან ადამიანი მიაახლოვა ცხოველურს რაღაც ისეთის მეშვეობით, რასაც წარმოადგენს ყბებს შორისი ძვალი. მაგრამ ისინი ვერ ხედავდნენ, რომ მან ეს გააკეთა, რათა გარკვეული სახით მიეთითებინა, რომ ადამიანის განსხვავება ცხოველისგან საჭიროა ვეძებოთ სრულიად სხვა რამეში, ვიდრე ამ არაარსებით ნიშნებში. თავად მან აღარ

მიუთითა ამაზე ორაზროვანი სიტყვებით, მაგრამ ეს ძევს მის მსოფლმხედველობაში.

რამდენადაც ადამიანზე მეტი არაფერი იცოდნენ, ამიტომ მის საკუთარ არსებით ნიშნებს ეძებდნენ ცხოველთან და საკუთარ თავს ეუბნებოდნენ: აქ სახეზეა ცხოველური ნიშნები, ოღონდ ადამიანთან ისინი რამდენადმე უფრო განვითარებულია. ის, რომ მხედველობითი აღქმისას ადამიანმა უკვე წმინდა სივრცობრივად უნდა შეინარჩუნოს სამყაროში სრულიად სხვა მდგომარეობა, ამაზე სულ უფრო ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალის განვითარებაზე ყველა შეხედულება წარმოიქმნა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ეპოქაში სწორედ ისე, რომ მათ შექმნეს სისტემები, ადამიანის ჭეშმარიტი შემეცნების გამორიცხვით. უკვე აღარ იცოდნენ, რა სურთ ადამიანის არსებაზე, ამიტომაც წარმოედგინათ იგი მხოლოდ, როგორც ცხოველთა რიგის დაგვირგვინებად. გარკვეულწილად ითქვა: აქ სახეზეა ცხოველები; შემდეგ ცხოველები აღწევენ სრულყოფილების კიდევ ერთ, ბოლო საფეხურს, ყველაზე სრულყოფილ ცხოველს და ეს ყველაზე სრულყოფილი ცხოველი ახლა არის სწორედ ადამიანი.

ჩემო ძვირფასო მსმენელებო, მე მსურს, ამ განმარტებებით თქვენი ყურადღება მივაპყრო, როგორ მოქმედებდა ეს გარკვეული თანმიმდევრობით ასევე საბუნებისმეტყველო აზროვნების სხვადასხვა სფეროში ამ აზროვნების პირველი ფაზიდან, XV საუკუნიდან ჩვენს დრომდე, როგორ გამოხატავდა ადამიანი საკუთარ დამოკიდებულებას სამყაროსთან ფიზიკის, ფიზიოლოგიის სფეროში, როცა ამბობდა: იქ, გარეთ არსებობს მდუმარე, რაღაც უფერო სამყარო, ის შენზე მოქმედებს. შენ შენში წარმოქმნი ფერებს, ხმებს, როგორც გარე სამყაროს ზემოქმედების განცდას. – როგორც ეს უთხრა ადამიანმა საკუთარ თავს ერთი მხრივ, ასევე, მეორე მხრივ, როგორ თქვა: გარე სამყაროში შენ გარეთ არის სივრცის სამი განზომილება, – რამდენადაც ადამიანმა დაკარგა უნარი მთელი თავისი სისავსით ჩაღრმავებოდა ადამიანს დეტალებში და სწორედ ასე წარმოქმნა საკუთარ შეხედულებებში ცხოველურ და ადამიანურ ფორმაქმნადობაზე ისეთი წარმოდგენები, რომლებიც არ უღრმავდება ადამიანის ჭეშმარიტი არსების დეტალებს. ამდენად, ამ უმძლავრესი

პროგრესის მიუხედავად, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით სამართლიანად გამოისახება, როგორც ადამიანური პროგრესის უმაღლესი საფეხური, არსებითად, შეიძლება ითქვას: საბუნებისმეტყველო მსოფლმხედველობა სწორედ იმიტომ გახდა დიადი, რომ იგი მთლიანად არ იღებდა მხედველობაში ადამიანს და მის არსებას. ცხადია, სინამდვილეში ამაზე ვერანაირ ჭეშმარიტ ცნებას ვერ იღებ, რამდენადაც უარს ამბობ ადამიანზე ბუნებისმეტყველების მეშვეობით მისი განხილვისას. განსაკუთრებით XIX საუკუნის ენთუზიაზმით აღსავსე მატერიალისტურად მოაზროვნეებთან შეიძლება, მაგ., წავიკითხოთ, რომ ადამიანს საერთოდ არ შეუძლია მიმართოს რაიმეს, განსაკუთრებით მშვინვიერ-სულიერს საკუთარ თავში, ვინაიდან ის, რაც ჩანს სულიერ-მშვინვიერი, ეს ხომ მხოლოდ იმის ზემოქმედებაა, რაც გარეგნულად ხორციელდება სივრცობრივ-დროითი სახით. აქ კი ბუნების ასეთი აღფრთოვანებული მოაზროვნეები აღწერდნენ, მათი თვალსაზრისით – როგორ მოქმედებს ადამიანზე სინათლე, ანუ ეთერული; როგორ გრძელდება ეს ვიბრაციით შიგნით მის ნერვებში, ასევე როგორ გრძელდება მასში გარეგანი ჰაერი სუნთქვისას და ა. შ. შემდეგ, რამდენადმე განვრცობით, ისინი ამბობდნენ: ადამიანი ხომ დამოკიდებულია ტემპერატურის ყოველ აწევასა და დაწევაზე,. ყველაფერზე, რაც ვლინდება, მაგ., მისი ნერვული სისტემის დეფორმაციის სახით. ყურადღებას ამახვილებდნენ ასეთ განსჯაზე, როცა ამბობდნენ: ადამიანი – ესაა ქმნილება, რომელიც დამოკიდებულია ჰაერის მსუბუქ ქროლვაზე, წნევაზე და ა. შ.

ვინც მიუკერძოებლად მოეკიდება ასეთ აღწერებს, მას შეუძლია შეამჩნიოს, რომ აქ სინამდვილეში მოცემულია არა ადამიანის ნამდვილი აღწერა, არამედ ის, რისი წყალობითაც ეს ადამიანური არსება ხდება ნევრასთენიკი. ვინაიდან, თუ ვსაუბრობთ, მაგ., ადამიანის განხილვებზე, რომლებიც მოგვცეს XIX საუკუნის მატერიალისტურად მოაზროვნეებმა, სრულიად შესაძლებელია ვთქვათ: დიახ, ესენი იქნებოდნენ არა ადამიანები, არამედ სპეციფიკური ნევრასთენიკები, თუ ადამიანი დამოკიდებული იქნებოდა ჰაერის ყოველ მოძრაობაზე, როგორც მას აღწერენ აქ ეს მატერიალისტურად მოაზროვნენი. ამ ნევრასთენიკზე საუბრობდნენ,

როგორც ადამიანზე, უარს ამბობდნენ იმაზე, რასაც წარმოადგენს ჭეშმარიტი არსება და კიდევ იცოდნენ მხოლოდ ის, რისი წყალობითაც ეს უცნობად დარჩენილი ჭეშმარიტი არსება ხდება ნევრასთენიკი. თანდათანობით ყველგან ამ აზროვნებიდან ამოვარდება ადამიანის ჭეშმარიტი არსება იმ განსაკუთრებული ხასიათის გამო, რომელიც აზროვნებამ აღიქვა ბუნების მეშვეობით. ადამიანის ჭეშმარიტ არსებას კარგავენ ჭვრეტისთვის. არსებითად, სწორედ ამის წინააღმდეგ იბრძოდა გოეთე, მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ შეძლო მკაფიოდ ფორმირებული დებულებების მეშვეობით გამოეხატა ის, რაც მან საკუთარი შეხედულებების შესაბამისად შეიმეცნა, როგორც ჭეშმარიტება.

იმას, რაც ახლა გაჩვენეთ, აკვირდები შინაგან გარდატეხამდე საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების განვითარებისას XV საუკუნიდან და აღმოაჩენ, რომ მართებულ ჭრილში განიხილავ სწორედ იმის წყალობით, რითაც ეს არის განპირობებული ამ განვითარებაში. მე ვიტყოდი: გოეთე თავისი ახალგაზრდობისას ძალზე ინტერესდებოდა იმით, რაც ბუნებისმეტყველებამ სხვადასხვა სფეროში წარმოშვა. ბუნებისმეტყველების იმპულსირებით იგი ცოდნას იღრმავებდა, თუმცა ბევრ რამეს, რასაც მაშინ ეხებოდა, არ ეთანხმებოდა, ვინაიდან ყველაფერში ის გრძნობდა, რომ ადამიანის არსება ამოგდებულია ამ შეხედულებებიდან. მაგრამ გოეთე ძალიან ძლიერად გრძნობდა ადამიანს მთელი თავისი სისავსით. სრულიად სხვადასხვა სფეროში იგი იბრძოდა იმ საბუნებისმეტყველო მეცნიერული შეხედულებების წინააღმდეგ, რომელთაც იგი თავის გარემოცვაში ხედავდა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ XV საუკუნიდან დაწყებულ ამ საბუნებისმეტყველო განვითარებას, ასევე ჩასწვდები იმის წყალობით, რომ მას განიხილავ გოეთეს მსოფლმხედველობის სისტემების ფონზე. მაშინ, თუ გსურს წმინდა ისტორიული თვალსაზრისით წინსვლა, უპირველეს ყოვლისა, დარწმუნდები, რომ ამ განხილვაში ადამიანის ნამდვილი არსება არ არსებობს, არ არსებობს უკვე ფიზიკურ მეცნიერებებში, არ არსებობს თვით ბიოლოგიურ მეცნიერებებში.

ეს არ არის საბუნებისმეტყველო მეცნიერული მსოფლმხედველობის კრიტიკა, არამედ მხოლოდ დახასიათებაა,

ვინაიდან, დავუშვათ, რომ მავანი ამბობს: აქ მე მაქვს წყალი. მე ის ასე არ მჭირდება. მე გამოვყოფ ჟანგბადს წყალბადისაგან, ვინაიდან მე მჭირდება წყალბადი. – იგი გამოყოფს ჟანგბადს წყალბადისაგან. შემდგომში თუ მე მოვახდენ შედეგის კონსტატაციას, მაშინ ეს არ არის მისი მოქმედების მეთოდის კრიტიკა. მე მას არ უნდა ვუთხრა: შენ აკეთებ რაღაც არასწორს, ვინაიდან შენ უნდა დატოვო წყალი. – წყალი არ არის წყალბადი. მე ასევე არ ვაკრიტიკებ, როცა ვამბობ: საბუნებისმეტყველო მეცნიერულმა განვითარებამ, დაწყებული XV საუკუნიდან, დაიწყო ცოცხალი არსებების სამყაროს კვლევა და, როგორც ქიმიკოსი, გამოყოფს ჟანგბადს წყლისაგან, ადამიანი გამოყო თავის ნამდვილ არსებაში, მოისროლა იგი და თავისთვის დაიტოვა ის, რაც სჭირდებოდა იმ დროს, ისევე, როგორც მავანს სჭირდება წყალბადი, და ადამიანთან დაუკავშირებელი ბუნებისმეტყველება მიიყვანა ტრიუმფამდე, რომლისკენაც იგი წარმართავდა კიდეც. – როცა გამოთქვამ რაღაც ამდაგვარს, საუბარია არა კრიტიკაზე, არამედ დახასიათებაზე. თანამედროვე ბუნებისმეტყველს, გარკვეულწილად, სჭირდებოდა ბუნება, რომელიც მოკლებული იყო ადამიანს, ისევე, როგორც რომელიღაცა ქიმიკოსს სჭირდებოდა წყალბადი, რომელიც მოკლებული იყო ჟანგბადს, ამიტომაც იგი იძულებული იყო გაეყო წყალი წყალბადად და ჟანგბადად. მაგრამ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ კვლავ არ ჩავვარდეთ ცდუნებაში და არ შევცდეთ და ბუნებისმეტყველების მეშვეობით მაინც ვისწრაფოთ იმისკენ, რომ სადღაც მაინც ვეძიოთ ადამიანის არსება. ეს იქნებოდა ისეთივე შეუძლებელი, როგორც ვინმეს მიერ აქ მოტანილ წყალბადში თუ დავიწყებდით წყლისაგან გამოყოფილი ჟანგბადის ძიებას.

ამდენად, აუცილებელია, ეს მოვლენები განვიხილოთ სწორედ მაშინ, როცა სურთ, მათგან მიიღონ სწორი ისტორიული შეხედულებები.

ხვალ მე გავაგრძელებ დაბადებისა და ახალ დროში ბუნებისმეტყველების განვითარების შემდგომ აღწერას.

მეშვიდე ლექცია
დორნახი, 1923 წლის 2 იანვარი

ჩემო ძვირფასო, ღრმად პატივცემულო დამსწრე საზოგადოებავ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სხვადასხვა მხრიდან ჩვენი მეგობრებისა და ჩვენი საქმის თანამოაზრეებისგან შემოვიდა წერილები მათი თანამონაწილეობისა და ერთიანობისა ჩვენს ტკივილთან დაკავშირებით *გოეთეანუმის დაკარგვის გამო**. ამ შემთხვევაში მე თავს უფლებას მივცემ, ხვალ ან ზეგ მოგაწოდოთ ინფორმაცია ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით.

დღეს, გუშინ მოყვანილ განხილვებთან დაკავშირებით მსურს გავაგრძელო და, – ასე ვთქვათ, XV საუკუნიდან წარმოქმნილი საბუნებისმეტყველო მსოფლმხედველობის უუნარობის გამო, რომ შემეცნებით ჩასწვდომოდნენ ადამიანს თავის არსში, – გითხრათ: სწორედ ამ მსოფლმხედველობის ყველა სფეროში არ ჰყოფნით ის, რაც არ ჰყოფნით უკვე მათემატიკურ-მექანიკურში, რომელიც გამოყვეს ადამიანისაგან. მას ისე განიხილავენ, თითქოს მათემატიკურის განცდისას ადამიანი უკვე აღარ არსებობდეს. მათემატიკურისთვის ადამიანური წარმოსახვის ასეთი მსვლელობის შედეგს წარმოადგენს, ერთი მხრივ, წარმოქმნა მისწრაფებისა, ადამიანისგან გამოიყოს მსოფლიოს სფეროში მომხდარი სხვა მოვლენაც და უკვე აღარ დააკავშირონ ის ადამიანის არსებასთან. მეორე მხრივ, შეუძლებელი ხდება, შემეცნებით აიგოს რეალური ხიდი ადამიანსა და სამყაროს შორის.

ამ უუნარობის მეორე შედეგზე მე მოგვიანებით კიდევ ვისაუბრებ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ, მე ვიტყოდი, ძირითადი მიზეზი, რატომ მიიღო საბუნებისმეტყველო მეცნიერულმა განვითარებამ ასეთი მსვლელობა. მან დაკარგა შესაძლებლობა, შინაგანად განეცადა ის, რაზეც დღეს არის საუბარი ანთროპოსოფიაში და რაც კაცობრიობის განვითარების უძველეს დროებში იყო ინსტინქტური ჭვრეტის საგანი ან, თუ სიტყვას უკუღმართად არ გავიგებთ, ინსტინქტური ნათელხილვის საგანი. ადამიანის შიგნით ჩახედვა და სხვადასხვა ელემენტთან მისი კავშირის დანახვა – აი, ეს დაიკარგა საბუნებისმეტყველო ჭვრეტით.

გაიხსენეთ, როგორ ვყოფთ ჩვენ ანთოპოსოფიული მსოფლმხედველობის შიგნით ადამიანს, რომ მივუახლოვდეთ მის ნამდვილ არსებას. ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანის ფიზიკურ სხეულზე, ეთერულ სხეულზე, ასტრალურ სხეულსა და „მე“ ორგანიზაციაზე. მოდით, დღეს, საბუნებისმეტყველო მსოფლმხედველობის განვითარების გაგებისთვის, მართებულად წარმოვიდგინოთ: ფიზიკური, ეთერული, ასტრალური სხეულები და „მე“ ორგანიზაცია. დღეს მე არ მჭირდება ადამიანის ამ დაყოფის ახსნა, რამდენადაც ამის შესახებ ნებისმიერს შეუძლია იპოვოს, მაგ., *ჩემს წიგნში** „სულისმცოდნეობა“ (იგივე „თეოსოფია“). და მაინც, ახლა ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ადამიანის ამ დაყოფაზე. თავიდან, თუ შევხედავთ ადამიანის ფიზიკურ სხეულს და ყურადღებით დავაკვირდებით შინაგანი ორიენტირების შესაძლებლობას, ანუ საკუთარი ფიზიკური სხეულის შინაგანად განცდის შესაძლებლობას, მაშინ საკუთარ თავს ვკითხოთ: მაინც რას განიცდი შენ ასეთ შემთხვევაში ამ ფიზიკურ სხეულში?. სწორედ ფიზიკურ სხეულში განიცდი იმას, რაზეც მე უკვე ვისაუბრე, ესაა – მარჯვნივ-მარცხნივ, ზევით-ქვევით, წინ-უკან. ფიზიკურ სხეულში განიცდი მოძრაობის ჭვრეტას, როგორც ამ საკუთარი ფიზიკური სხეულის ადგილსამყოფლის ცვლილებას. მაგრამ ამ ფიზიკურ სხეულშიც განიცდი, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ დონეზე, როგორ იცვლება, მაგ., წონა. ოღონდ წონას განიცდი რაღაც სრულიად მოდიფიცირებული სახით. როცა ამ საგნებს ჯერ კიდევ განიცდიდნენ ადამიანური ორგანიზაციის სხვადასხვა წევრში, სწორედ მაშინ მსჯელობდნენ მოვლენებზე, რომლებზეც უკვე აღარ ჰქონდათ მიდრეკილება, დაფიქრებულიყვნენ ბუნებისმეტყველების ეპოქაში. მთლიანად ყურადღების გარეშე დარჩა ფაქტები, რომლებსაც სამყაროს გაგებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვთ. აიღეთ შემდეგი ფაქტი: დაუშვით, რომ თქვენ ეზიდებით ადამიანს, რომელიც თქვენი წონისაა. თქვენ ეზიდებით მას და ამ ადამიანთან ერთად მიდიხართ გარკვეული მანძილი, რომელზეც მას ეზიდებით. თქვენ გექნებათ საკუთარი წონის განცდა. თავად სივრცის იმავე მონაკვეთის გავლისას, თქვენ ასევე ეზიდებით საკუთარ თავს. მაგრამ თქვენ ამას ისეთივე სახით არ განიცდით.

ფაქტობრივად ისე ხდება, რომ თქვენ ეზიდებით სივრცის გავლით საკუთარ წონას, მაგრამ მას არ განიცდით. საკუთარი წონა სრულიად სხვაგვარად შედის განცდაში. როცა ბერდები, მაშინ გარკვეული აზრით საკუთარ წევრებს გრძნობ ისე, რომ ამბობ: მე შევიგრძნობ საკუთარ სიმძიმეს. გარკვეული თვალსაზრისით ესეც დაკავშირებულია სიმძიმესთან, წონასთან, იმიტომ, რომ სიბერე ნიშნავს სწორედ ორგანიზმის განსაზღვრულ ნგრევას, რისი წყალობითაც მისი ცალკეული ნაწილები უფრო მეტად ამოვარდებიან შინაგანი განცდიდან, ხდებიან ავტონომიურები, მე ვიტყოდი, ატომიზირდებიან და კარგავენ ძალებს სიმძიმის ამ ატომიზაციაში. თუმცა ჩვენი ცხოვრების არც ერთ მომენტში ჩვენ ვერ შევძლებდით ამის მიყვანას სინამდვილემდე. ჩვენ შესაძლოა, ვთქვათ კიდეც, რომ ეს შთაბეჭდილება, რასაც შევიგრძნობთ საკუთარი ორგანოების სიმძიმის სახით, შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ შედარებისთვის. ზუსტი მეცნიერება, ცხადია, აჩვენებს, რომ ეს არა მარტო შედარებაა, არამედ ამას თავის თავში აქვს რაღაც მნიშვნელოვანი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საკუთარი წონის განცდა ჩვენი ცნობიერებისთვის სინამდვილეში ვლინდება, როგორც ჩვენი საკუთარი წონის რაღაც სახის გაქრობა.

ამდენად, აქ ჩვენ გვაქვს ადამიანის არსებაში არსებული აუცილებლობა, ჩაახშოს ადამიანში ზემოქმედებები, რომლებიც უდავოდ არსებობენ შიგნით ადამიანის ამ არსებაში, ჩაახშოს საპირისპირო ზემოქმედებების მეშვეობით, საპირისპიროსი ისეთი სახით, როგორც მე ეს გადმოვეცი ადამიანის მთლიანობისთვის, როცა სხვა მოხსენებებში, *ანთროპოსოფიულ მოხსენებებში**, წარმოვადგინე ანალოგია ადამიანსა და წლის მიმდინარეობას შორის. მიუხედავად იმისა, გადავიტანთ თუ არა ახლა უფრო მკაფიოდ განცდილ პროცესებს, როგორიცაა სამი სივრცობრივი მიმართულება, მოძრაობა ან ნაკლებად მკაფიო პროცესები წონისა, ჩვენ გვაქვს პროცესები, რომლებიც შეიძლება განიცდებოდეს ადამიანის ფიზიკურ სხეულში.

ის, რაც ოდესღაც განიცდებოდა აქ, უფრო ადრინდელ დროებში, შემდგომში მთლიანად გამოიყო ადამიანისგან. გარკვეულწილად ეს მისგან გამოაგდეს. ჩვენთვის ეს სრულიად თვალსაჩინო გახდა მათემატიკაში. ფიზიკური სხეუ-

ლის სხვა განცდებისას ეს სწორედ ნაკლებად მკაფიო ხდება იმ მიზეზით, რომ შესაბამისი პროცესები სხეულში, ისეთები, როგორიცაა წონა, სიმძიმე, სრულიად ჩახშობილია სწორედ ცნობიერებისთვის, როგორადაც ის ვლინდება დღეს, როგორადაც ის განვითარდა. დღეს, იმის ზეგავლენით, რაც ძევს საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენის საფუძველში ადამიანის მშივნვიერი განწყობის სახით, უკვე არანაირი ცნება არ გააჩნიათ იმაზე, რომ ადამიანის შინაგანი განცდა მაინც სრულიად სხვა იყო. შეიძლება ითქვას, ადრინდელ დროებში ადამიანს თავისი საკუთარი წონა სივრცის გავლით გაცნობიერებულად არ მიჰქონდა. მაგრამ ამის შესახებ ის გრძნობდა, რომ ეს წონა, მართალია, არსებობს კიდევ, მაგრამ ასევე არსებობს საპირწონეც. როდესაც იგი რაიმეს სწავლობდა, როგორც, მაგალითად, ეს ხდებოდა მისტერიათა მოწაფეებისთვის, მაშინ ის სწავლობდა იმის შემეცნებას, რომ, მართალია, ის ატარებს, და ყოველთვის თავისთან, საკუთარ წონას, მაგრამ სამყაროშიც მუდმივად მუშაობს საპირისპირო ქმედება. ასე რომ, გარკვეული მიმართებით, – ეს უკვე შეიძლება ასე გამოიხატოს, – ადამიანი გრძნობდა, რომ ის მადლიერი უნდა იყოს იმ სულიერების, რომელიც არსებობს სამყაროში, იმისთვის, რომ ის მასში წინააღმდეგობას უწევს იმ სულიერებას და მშვინვიერებას, რომელიც მოქმედებს სიმძიმეში. მოკლედ, ყველგან შეიძლებოდა დასაბუთება, რომ სინამდვილეში უძველეს დროებში არ ჰქონდათ მიცემული განეჭვრიტათ რაიმე, რაც მთლიანის სახით გამოიყოფოდა ადამიანისგან. ადამიანი თავის თავში განიცდიდა პროცესებს იმასთან ერთად, რასაც წარმოადგენს ბუნებაში ამგვარი პროცესები. ადამიანი განიცდიდა, მაგ., მოძრაობის არსს, როცა იგი, სინამდვილესთან შესაბამისობაში საკუთარი თავის გამოყოფით, ბუნებაში ხედავდა ქვის ვარდნას. იგი განიცდიდა ამას იმასთან შესაბამისობაში, რაც თავად მასში იქნებოდა ასეთი მოძრაობა. ამდენად, როცა იგი ხედავდა ვარდნილ ქვას, მაშინ განიცდიდა დაახლოებით შემდეგს: თუ მე მოვისურვებდი, მემოძრავა ასეთივე სახით, მაშინ საკუთარი თავისთვის უნდა მიმეცა განსაზღვრული სიჩქარე, ვარდნილი ქვის ეს სიჩქარე კი წარმოადგენს სხვა რამეს, ვიდრე მე ვხედავ ჩემ წინაშე,

მაგ., ძალზე ნელა მხოხავ არსებას. ადამიანი განიცდიდა ვარდნილი ქვის სიჩქარეს იმის წყალობით, რომ იგი მოძრაობის საკუთარ განცდას უსადაგებდა ვარდნილ ქვას. ამდენად, გარე სამყაროს იმ პროცესებს, რომელთაც დღეს ფიზიკას მივაკუთვნებთ, ის უძველესი ადამიანები განიხილავდნენ ფაქტობრივად ასევე ობიექტურად, მაგრამ მათი შემეცნება უდავოდ მიედინებოდა ისე, რომ ამ შემეცნებაში დახმარებისთვის მიმართავდნენ საკუთრივ განცდას, რათა მასში მომხდარი კვლავ განეჭვრიტათ სამყაროში გარეთ მომხდარში.

ნახ. 8 rot – წითელი

ამდენად, განხილვის ყველანაირ ფიზიკურ მეთოდში XVსაუკუნის დასაწყისამდე ძევს რაღაც, რაზეც შეიძლება ითქვას: განხილვის ეს ფიზიკური მეთოდი თავად ბუნების ობიექტებს მათ ფიზიკურ მოვლენაში ადამიანის შინაგან განცდასთან მიაახლოებდა. მაშინ ადამიანი ნამდვილად განიცდიდა ბუნებასთან ერთად. მაგრამ XV საუკუნიდან იწყება ასეთი პროცესების ჭვრეტის გამოყოფა ადამიანისაგან. ამასთან ერთად გამოყოფა მათემატიკურის, აზრთა ხატის, რომელიც შემდეგ უერთდება მის მიერ შექმნილ ბუნებისმეტყველებას. არსებითად მხოლოდ ახლა დაიკარგა ფიზიკური სხეულის შინაგანი განცდა. ახლა მთლიანად დაიკარგა ადამიანის შინაგანი ფიზიკა. გარეგნული ფიზიკაც ზუსტად ისე გამოიყო ადამიანისგან, როგორც თავად მათემატიკა. ამის წყალობით მომხდარი პროგრესი მდგომარეობს, მე ვიტყოდი, გაობიექტივებულ ფიზიკურში. შეხედეთ, მნიშვნელოვანი ფიზიკური შეიძლება ორგვარად განიხილო. შევჩერდეთ ვარდნილ ქვაზე. ამ ვარდნილ ქვას შეიძლება თვალი მივადევნოთ (იხ. ნახ. 9. ისარი) გარეგნული ჭვრეტით და შევადაროთ იმ სიჩქარის განცდას, რომელშიც უნდა გადაგეყვანა საკუთარი თავი, თუ თავად

გსურდა სირბილი ისე სწრაფად, როგორი სისწრაფითაც ვარდება ქვა. ასე მომდინარეობს გაგება მთელი ადამიანის გავლით და არა უბრალოდ გაგება, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ მხედველობით აღქმასთან.

ახლა განვიხილოთ ის, რაც XV საუკუნიდან დაწყებული წარმოიქმნება ასეთი უძველესი მსოფლმხედველობიდან. ამ ამოსავალი წერტილიდან გადავიდეთ იმ პიროვნებაზე, და მის მაგალითზეც შესაძლებელია სრულიად განსაკუთრებულად დავინახოთ ეს გადასვლა, რომელიც მე ასეთი სახით დავახასიათე. შევეხოთ *გალილეის**. მან ხომ, არსებითად, პირველმა აღმოაჩინა *მიზიდულობის კანონი**, როგორც მას უწოდებენ. გალილეის მიერ გახსნილ ამ უმნიშვნელოვანეს კანონში ყველაზე მთავარია ის, რომ მან დაადგინა, როგორ გზას გადის ვარდნილი სხეული პირველ წამს. ასე რომ, უძველეს ჭვრეტას, ვარდნილი ქვის დაკვირვებისას, წარმოუდგებოდა სიჩქარის შინაგანი განცდა, რომელშიც გადაადგილებაც აუცილებელია, თუ გსურს, ეს გააკეთო ვარდნილ ქვასთან ერთდროულად. ვარდნილი ქვის გვერდით ათავსებდნენ შინაგან განცდას (ნახ. 8, წითელი). გალილეი ჭვრეტდა ვარდნილ ქვას. მაგრამ ის ამატებდა არა შინაგან განცდას, არამედ ზომავდა გზის სიგრძეს გარეგნულად წარმოქმნილ სივრცეში, რომელსაც ვარდნის დაწყებისას გადის ქვა პირველი წამის დასრულებამდე. რამდენადაც ქვა ვარდება ზრდადი სიჩქარით, ამიტომ იგი ასევე ზომავს გზის სხვა მონაკვეთებსაც. ამდენად, ამის გვერდით იგი ათავსებს არა შინაგან განცდას, არამედ რაღაც ისეთს, რასაც ზომავ გარეგნულად, პროცესს, რომელსაც არანაირი მიმართება არა აქვს ადამიანთან; შესაბამისად იგი მთლიანად გამოეყოფა ადამიანს. ჭვრეტის დროს შემეცნებაში ფიზიკურის გამოსროლა ადამიანისგან ხდება ისე, რომ უკვე საერთოდ ვერ აცნობიერებ იმას, რომ სინამდვილეში ეს გაქვს შიგნითაც.

სწორედ ამ პერიოდში XVII საუკუნის დასაწყისიდან იწყება *მტრობა არისტოტელესთან მიმართებაში**, რომელსაც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში განიხილავდნენ, როგორც მეცნიერების უდიდეს ავტორიტეტს, – რომელიც ამავე დროს აფერხებდა კიდეც ამ მეცნიერებას, – ეს მტრობა წარმოიქმნებოდა იმ მოაზროვნეებში, რომლებ-

საც სურდათ პროგრესი. თუ არისტოტელეს განმარტებებს რაღაც ვარდნილ ქვასთან დაკავშირებით, რომელიც დღეს არაერთხელ მცდარად არის გაგებული, შესატყვისად განვიხილავთ, მაშინ ისინი გამომდინარეობენ სწორედ იქიდან, რასაც ის ყველგან გვაუწყებს, რომ – როგორ მოხდებოდა ის, რასაც სამყაროში ჭვრეტ, თუ ამას თავად განახორციელებდი. ანუ, მისთვის საუბარია არა იმაზე, დაადგინოს სიჩქარე გაზომვის გზით, არამედ – სიჩქარე წარმოადგინოს ისე, რომ პროცესი მოიყვანოს კავშირში ადამიანის განცდასთან. ცხადია, თუ ადამიანი ეუბნება საკუთარ თავს, რომ ის უნდა გადაერთოს ამ სიჩქარეში, მაშინ იგი, გარკვეულწილად, გრძნობს სიჩქარეში ამ გადართვის მიღმა რაღაც ცოცხალს, თავის თავში სავსე ძალას, რომლის წყალობითაც იგი გადაერთვება ამ სიჩქარეში. იგი გარკვეული მიმართებით გრძნობს საკუთარ შინაგან იმპულსს, – და ეს, ცხადია, მასში იმყოფება ძალზე შორს, – იფიქროს, რომ აქ რაღაცა ითრევს მას იმ მიმართულებით, რომლითაც ის მიდის. იგი უფრო მეტად ფიქრობს იმაზე, როგორ უბიძგებს, ვიდრე იმაზე, რომ მას რაღაც ექაჩება. სინამდვილეში აქედან ხდება მიზიდულობის, გრავიტაციის ძალა ისეთი რამ, რასაც მნიშვნელობა აქვს ადამიანური შეხედულებისთვის, მხოლოდ ამ ეპოქაში XVII საუკუნეში.

ძირეულად იცვლებიან წარმოდგენები, რომელსაც ადამიანი იქმნის ბუნებაზე. და როგორც ეს გაჩვენეთ ვარდნის კანონზე, ასევე ხდება ყველა ფიზიკური წარმოდგენისთვის. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენაა, მაგ., ის, რასაც დღეს ფიზიკაში უწოდებენ ინერციას. თუმცა ინერციის კანონი ხომ რაღაც ძალზე საერთოს აღნიშნავს. ინერციის ეს კანონი, ამავე დროს, ავლენს თავის წარმოშობას ადამიანისაგან. მე არ მჭირდება თქვენთვის იმის აღწერა, რას ნიშნავს ინერტულობა ადამიანთან, ვინაიდან ამაში თითოეულ თქვენგანს აქვს გარკვეული გამოცდილება. ყოველ შემთხვევაში, ეს არის რაღაც ისეთი, რისი განცდაც შინაგანად შეიძლება. ფიზიკაში რა იქცა ინერციის კანონად გალილეიზმის ზეგავლენით? ფიზიკაში ამბობენ: რაღაც სხეული, ან რაღაც პუნქტი, სწორად რომ ვთქვათ, რაღაც წერტილი, რომელზეც არ ხდება გარეგნული ზეგავლენა და რომელიც გადაადგილდება თავისთავად, მოძრაობს

მუდმივი სიჩქარით სივრცეში, ანუ ის ყოველ წამს მუდმივად გადის სივრცის თანაბარ მონაკვეთს. ამდენად, თუ არ არსებობს გარეგნული ზეგავლენა და სხეულს აქვს სიჩქარე და გადაადგილდება წამში ამ მანძილზე, მაშინ ყოველ მომდევნო წამს ის გადაადგილდება იმავე მანძილით. (იხ. ნახ. 9).



ნახ. 9

ის ინერტულია. მას არ გააჩნია მისწრაფება, შეიცვალოს ამ მიმართებით, თუ მასზე არ ხდება არანაირი გარეგნული ზეგავლენა. ის ყოველთვის გადაადგილდება ისე, რომ ყოველ წამს გაივლის გზის ერთნაირ მონაკვეთს. ამის შეფასება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გაიზომება ერთ წამში გზის მონაკვეთი. დიახ, სხეულს ინერტულს უწოდებენ იმ შემთხვევაში, თუ ის აღმოჩნდება ისეთი, რომ ყოველ წამს გაივლის გზის ერთსა და იმავე მონაკვეთს.

ოდესღაც ამას სხვაგვარად შეიგრძნობდნენ. ოდესღაც კითხულობდნენ: როგორ განიცდი ასეთ მოძრავ სხეულს, რომელიც ყოველ წამს გაივლის გზის ერთსა და იმავე მონაკვეთს? მას ისე განიცდი, რომ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ერთხელ იმყოფები, არ იცვლები, რომ საერთოდ არასდროს ერევი შენი საკუთარი მოქმედების სახეში. ადამიანის მიერ ეს შეიძლება განიხილებოდეს, ცხადია, უკიდურეს შემთხვევაში, როგორც იდეალი. ადამიანი ინერციის ამ იდეალს მხოლოდ ძალზე მცირე ზომით აღწევს. თუმცა, თუ გაქვს ის, რასაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში უწოდებენ ინერციას, მაშინ შეამჩნევ, რომ ეს მაინც წარმოადგენს მიახლოებას იმასთან, რომ მუდმივად ცხოვრების ყოველ წამს აკეთო იგივე.

ადამიანის წარმოდგენების მთელი ორიენტაცია, დაწყებული XV საუკუნიდან, მიმართულია იქითკენ, რაც შეიძლება აღინიშნოს ასე: ადამიანს ავიწყდება თავისი შინაგანი განცდა. თავიდან აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფიზიკური ორგანიზმის შინაგან განცდასთან. ადამიანს ის ავიწყდება. ის, რაც გალილეიმ მოიფიქრა ადამიანისთვის ბუნებრივი ისეთი მოვლენებისთვის, როგორიცაა ვარდნის კანონი, ინერციის კანონი, – ვინაიდან ეს არის რაღაც გამონაგონი, რომელიც

ეხება იმას, რასაც შეიძლება დააკვირდე ბუნებაში, – ის, რაც გალილეიმ გამოიყენა ბუნებრივისთვის, მისი გამოყენება დაიწყეს მთელი გარემოცვისთვის (Umfange).

ჩვენ ვიცით, რომ კოპერნიკმა ფიზიკური თვალსაზრისით ახალი მსოფლიო სისტემა გამოიყვანა იმის წყალობით, რომ ცენტრში მან გადააადგილა მზე და უკვე არა დედამიწა, რომ მან აიძულა პლანეტები, ეტრიალათ ამ მზის გარშემო და შემდეგ ამის შესაბამისად მსჯელობდა ცის თაღზე რომელიმე პლანეტარული სხეულის ადგილმდებარეობაზე. ეს იყო რაღაც ხატი, რომელიც *კოპერნიკმა* შეადგინა ჩვენს პლანეტარულ სისტემასთან, მზის სისტემასთან დაკავშირებით, ის ხატი, რომლის დახაზვაც შეიძლებოდა. დიახ, ეს ხატი ჯერ კიდევ არ ისწრაფოდა სრულიად რადიკალურად აზრთა იმ მათემატიკური ხატისკენ, რომელიც მთლიანად გამიჯნავს გარე სამყაროს ადამიანისგან. ვინც კითხულობს კოპერნიკის თხზულებებს, მას უდავოდ ექმნება თვალსაჩინო წარმოდგენა იმაზე, რომ კოპერნიკი ჯერ კიდევ გრძნობს უძველეს ასტრონომიას, რადგან რთულ ხაზებს, რომელთა მეშვეობითაც ის ესწრაფოდა, მაგ., ჩასწვდომოდა მზის სისტემას, აკავშირებდა არა მარტო ერთმანეთის მომდევნო პლანეტების ოპტიკურ ადგილებს, არამედ ამ უძველეს ასტრონომიას გააჩნია შეგრძნება იმისა, რაც შეიძლებოდა განცდილიყო, თუ ადამიანს ჩააყენებდნენ პლანეტათა სისტემის ამ მოძრაობაში. შეიძლება ითქვას: უძველეს დროებში ადამიანებს საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდათ ეპიციკლებსა და ამის მსგავსებზე, რომლებზეც ვარაუდობდნენ, რომ მათ გარკვეული ვარსკვლავები შემოწერენ. აქ კი ყველგან, მე ვიტყოდი, ჯერ კიდევ სახეზეა, როგორც მინიმუმ, ადამიანური შეგრძნების რაღაც ჩრდილი. ვთქვათ, მავანი ადამიანს ხატავს ხელის განსაზღვრული მდებარეობით და ისევე, როგორც სწვდები ხელის ამ მდგომარეობას, რამდენადაც თავად შეგიძლია განიცადო, ეს როგორ ხდება, როცა გაქვს ხელის ასეთი მდებარეობა, ასევე რაღაც ცოცხალი იყო ასეთივე მოძრაობის შემდგომი განცდისას, როცა რაღაც პლანეტა თავისი უძრავი ვარსკვლავის გარშემო მოძრაობდა. დიახ, თვით *კეპლერთანაც**, – ვინაიდან, მასთან ეს განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება, – ორბიტების გამოთვლაში ჯერ კიდევ სახეზეა რაღაც სრულიად ადამიანური.



ნახ. 10

*გალილეის ცალკეულ პრინციპს** ახლა ნიუტონი იყენებს ციურ სხეულებზე, როცა მხედველობაში აქვს რაღაც ისეთი, როგორიცაა კოპერნიკის სისტემა და ქმნის ისეთ წარმოდგენებს, როგორიცაა, დავუშვათ, ასეთი: რაღაც ცენტრალური სხეული, ანუ რაღაც მზე, იზიდავს რაღაც პლანეტას ისე, რომ ამ მიზიდულობის ძალა მცირდება დაშორების კვადრატით და ხდება სულ უფრო ნაკლები, მაგრამ ნაკლები კვადრატში და დიდდება სხეულის მასით. ამდენად, თუ მიმზიდავ სხეულს აქვს დიდი მასა, მაშინ მიზიდულობის ძალა მეტია. თუ დაშორება იზრდება, მიზიდულობის ძალა კლებულობს, მაგრამ ისე, რომ ორჯერ დაშორებისას ის მცირდება ოთხჯერ, თუ დაშორება იზრდება სამჯერ, მაშინ ის მცირდება ცხრაჯერ და ა. შ. ხატ-სახეში კვლავ ჩაიდება წმინდა განზომილება, რომელიც კვლავ გაიაზრება, როგორც მთლიანად მოცილებული ადამიანისაგან. კეპლერთან და ნიუტონთან ეს ჯერ კიდევ ასე არაა; ნიუტონთან იქმნება ე. წ. ობიექტური რაღაც, ამასთან რომელიღაც განცდა უკვე საერთოდ არ მიიღება მხედველობაში, მაგრამ ხდება მისი *მხოლოდ კონსტრუირება**. ხაზების კონსტრუირება ხდება იმ მიმართულებით, საითაც იმზირება და აქ გარკვეული სახით გვესიზმრება ძალები, ვინაიდან ის, რასაც ხედავ, არც წარმოადგენს ძალას, რომელიც ამასთან მიმართებით უნდა გვესიზმროს. ცხადია, სანამ ასეთი მოვლენების სჯერათ, ამბობენ: ამასთან მიმართებით გვესიზმრება. ასე რომ, შეიძლება ითქვას: ნიუტონის წყალობით ცალკეული მიდგომა განზოგადდება იმდენად, რომ გამოიყენება მთელი სამყაროსეული სივრცისადმი. მოკლედ, სახეზეა სწრაფვა, მთლიანად დაივიწყონ განცდა ადამიანის ფიზიკური სხეულის შიგნით და ის, რა-

საც ადრე იაზრებდნენ მჭიდრო კავშირში ფიზიკური სხეულის განცდასთან, დაენახათ მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი ამ ფიზიკური სხეულისაგან სივრცეში, რომელიც თავიდან თავად ამოგლიჯეს ფიზიკური სხეულიდან, შემდეგ კი იპოვონ საშუალებები და გზები, რომ ისაუბრონ ამაზე, მეტიც, საერთოდ არც იფიქრონ ადამიანზე. ამიტომ, შეიძლება ითქვას: ფიზიკური სხეულის გამოყოფის, ბუნებაში ნანახის გამოყოფის მეშვეობით ადამიანის ფიზიკურ სხეულში განცდილისაგან წარმოიქმნება ახალი ფიზიკა, რომელიც აქ არსებითად, არსებობს მხოლოდ გარკვეული ბუნებრივი პროცესების ამ გამოყოფით თვითგანცდისაგან ადამიანის ფიზიკურ სხეულში (იხ. ნახ. 11, ყვითელი).

ნახ. 11. gelb – ყვითელი

ამდენად, ერთი მხრივ დაავიწყდათ თვითგანცდა ფიზიკურ სხეულში (იხ. ნახ. 8, წითელი). ახლა კი, გაიჟღინთა რა აქ ყველაფერი (ნახ. 11, ყვითელი) გარედან გამოყოფილი მათემატიზირებით, განხილვის გამოყოფილი მეთოდით, უკვე აღარ შეუძლიათ ამ ფიზიკით კვლავ უკან შემობრუნება ადამიანში. ის, რაც თავიდან გამოიყო, არ შეიძლებოდა კვლავ მიესადაგებინათ ადამიანისთვის. მოკლედ, წარმოიქმნა მოვლენის სხვა მხარე, შეუძლებლობა იმისა, რომ კვლავ მიბრუნებოდნენ ადამიანს მეცნიერულით.

ამდენად, ფიზიკურთან ამას არც ისე ძლიერ ამჩნევენ; მაგრამ ძალიან ძლიერ ამჩნევენ, როცა საკუთარ თავს ეკითხებიან: როგორ ხდება ეს ეთერულ სხეულში, ამ ნატიფ ორგანიზმში ადამიანის თვითგანცდასთან? აქაც ხომ ასევე ბევრ რამეს განიცდის ადამიანი. მაგრამ ეს განცდა ბევრად ადრე გამოიყო ადამიანისგან და გაცილებით ძლიერი რადიკალიზმით. ოღონდ აქ გამოყოფისას არც ისე მშვიდობიანად წარიმართა, როგორც ეს იყო ფიზიკაში. მოდით, მივუბრუნდეთ პირველი ქრისტიანული ასწლეულის საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენელ ერთ

ადამიანს, ექიმ *გალენს**, რომელთანაც ვხედავთ, რომ იგი, ყურადღებით განიხილავდა რა იმას, რაც ცხოვრობს გარე ბუნებაში, თავისი ეპოქის სულისკვეთებით განასხვავებდა: მიწას, წყალს, ჰაერს და ცეცხლს (მე ვიტყოდი: სითბოს). ამას აღიქვამ, როცა მზერას მიაპყრობ გარეთ. მაგრამ, როცა მზერას მიაპყრობ შიგნით, *ეთერული სხეულის საკუთარ განცდაზე** და ეკითხები საკუთარ თავს: როგორ განიცდი საკუთარ თავში ამ ელემენტებს, მტკიცე მიწიერს, წყლოვანს, ჰაეროვანს, გამათბობელს, ცეცხლოვანს? – აი, მხოლოდ მაშინ პასუხობ საკუთარ თავს: ამას განიცდი ეთერული სხეულით. მაშინ ამას განიცდი, როგორც წვენების შინაგანად საგრძნობ მოძრაობას, კერძოდ: მიწას, როგორც „შავ ნაღველს“, წყალს, როგორც „ლორწოს“, ჰაერს სწორედ, როგორც „პნევმას“, როგორც იმას, რაც აღიქმება სუნთქვის პროცესის მეშვეობით, სითბოს, როგორც „სისხლს“. ამდენად, წვენებში, ანუ რაც საერთოდ ცირკულირებს ადამიანის ორგანიზმში, შინაგანად განიცდი იმავეს, რასაც ჭვრეტ გარეგნულად. როგორც თანაგანიცდი ფიზიკურ სხეულში ვარდნილი ქვის მოძრაობას, ასევე თანაგანიცდი შინაგან პროცესებთან ელემენტებსაც; როგორც ნივთიერებათა ცვლის პროცესში, რასაც წარმოიდგენდნენ, ნაღველის, ლორწოს და სისხლის ურთიერთქმედების სახით, ამას შეიგრძნობდნენ, როგორც საკუთარი სხეულის შინაგან განცდას, მაგრამ შინაგანი განცდის იმ ფორმის სახით, რომელსაც შეესაბამება გარეგნული პროცესები, რომლებიც თამაშდება ჰაერს, წყალს, ცეცხლსა და მიწას შორის.

სითბო-სისხლი	„მე“ ორგანიზაცია
ჰაერი - პნევმა	ასტრალური სხეული
წყალი - ლორწო	ეთერული სხეული - ქიმია
მიწა - შავი ნაღველი	ფიზიკური სხეული - ფიზიკა

ასე ხერხდება აქ არც ისე მტკიცედ და რადიკალურად, რომ დაივიწყონ შინაგანი ცხოვრება და კიდევ საკმარისად გადმოიღონ გარეგნული თვალსაზრისისთვის. დავარდნისას შეიძლებოდა დაახლოებით გაეზომათ დავარდნის სივრცე პირველ წამებში. იღებ ინერციის კანონს, როცა მიგაჩნია, რომ მას შეუძლია მოგცეს მხოლოდ მოძრავი წერტილები, რომლებიც არ ცვლიან თავიანთი მოძრაობის მდგომარეო-

ბას, მაგრამ ინარჩუნებენ საკუთარ სიჩქარეს. როცა მოისურვეს შინაგანი განცდიდან ამოეგდოთ ის, რაც ასე სპეციფიკურად თავისებურად შეიგრძნობოდა უძველეს დროებში შინაგანი განცდების სახით, სტიქიები, მართალია მოახერხეს კიდეც დაევიწყებინათ შინაგანი, მაგრამ თან ვერ მოიტანეს გარე სამყაროში რაღაც იმის მსგავსი, რაც იყო ან არის გაზომვა და ა. შ. ამდენად, ვერ მოხერხდა ამისთვის მიკუთვნებულის ობიექტირება ისეთივე სახით, როგორც – ფიზიკურის. აი, ასე დარჩა ეს ჯერ კიდევ თითქმის დღევანდელ დღემდე. ამიტომაც არსებობს დღემდე ქიმია, რომელიც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო იმის წყალობით, რომ ასეთივე სახით გამოიტანდა თავისი თავიდან გარე სამყაროში იმდენივეს ეთერული სხეულისთვის, როგორც ეს მოხერხდა ფიზიკურისთვის და რომელიც ამის წყალობით შეიძლებოდა გამხდარიყო რაღაც ისეთი, რაც დადგებოდა ფიზიკის გვერდით, რადაც ეს ქიმია ვერ იქცა, მაგრამ დღეს ჯერ კიდევ ისეთია, რომ თავის შინაგან კანონებზე საუბრის სურვილით, საუბრობს რაღაც *საკმაოდ გაურკვეველსა და ბუნდოვანზე*.* სინამდვილეში ეთერულ სხეულთან მიმართებით ქიმიას იგივე სურს, რაც გაუკეთეს ფიზიკას ფიზიკურ სხეულთან მიმართებით. თუმცა ქიმია ამბობს: როცა სხეული შეერთებულია ქიმიურად, ამასთან მას ხომ შეუძლია მუდმივად შეცვალოს თავისი თვისებები თვით აგრეგატის მდგომარეობამდე, მაშინ ცხადია, რაღაც ხდება. მაგრამ, როცა ესწრაფვი, გაიგო არა მარტო წარმოდგენა, რომელიც ყველაზე მარტივი და ხელსაყრელია, მაშინ ამ მომხდარზე ცოტა რამ იცი. წყალი შედგება წყალბადისა და ჟანგბადისაგან – დიახ, აუცილებელია, ორივე წარმოვიდგინოთ წყალში, როგორღაც ერთიმეორეში (ნახ. 12. ყვითელი, წითელი);

ნახ. 12

gelb – ყვითელი, rot – წითელი

მაგრამ როგორ უნდა წარმოიდგინო ერთი მეორეში, ამაზე არ იქმნება არანაირი შინაგანი ცოცხალი წარმოდგენა. მაშინ ამას ხსნიან რაღაც გარეგნულით, მაგრამ

ძალზე გარეგნულით: წყალბადი შედგება ატომებისა და მოლეკულებისაგან, ასევე – ჟანგბადიც. ისინი სწრაფად მოძრაობენ უწესრიგოდ, ეჯახებიან და ეწებებიან ერთმანეთს და ა. შ. ანუ, დაივიწყეს რა შინაგანი განცდა, ახლა



ნახ. 13

აღარ იმყოფებოდნენ იმავე მდგომარეობაში, როგორც ფიზიკაში, როცა შეეძლოთ გაზომვა, – ფიზიკაში ხომ ყველაფერი სულ უფრო მეტად განისაზღვრებოდა გაზომვით, გამოთვლით და აწონვით, – მაგრამ აუცილებელი იყო, მოეფიქრებინათ წმინდა შინაგანი პროცესი. გარკვეული მიმართებით ქიმიასთან დღემდე ასეთი მდგომარეობა შენარჩუნდა. ვინაიდან ამ პროცესებისთვის, არსებითად, რაღაც აზრობრივად მოფიქრებულს წარმოადგენს ის, რაც დღეს ასეთი ქიმიური პროცესებისთვის ჯერ კიდევ შინაგანად წარმოუდგენიათ.

ქიმიას, რომელიც ტოლს არ დაუდებს ფიზიკას, მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დღევანდელი წარმოდგენის სრული გააზრებით, – თუნდაც უკვე არ ჰქონდეთ ადამიანის უშუალო განცდა, როგორც ადრინდელი ინსტინქტური ნათელხილვა, – მაინც დაიწყებენ ქიმიის კვლავ შეერთებას ადამიანთან. ცხადია, ეს მოხერხდება არა უადრეს, ვიდრე გაიგებ იმას, რომ, არსებითად, ფიზიკურთან მიმართებაშიც, – ყოველ შემთხვევაში, პირადი სრულყოფილი ცოდნით მსოფლმხედველობაში, – აზრები ცალკეულ მოვლენებზე უნდა შეერთდეს ადამიანთან. ის, რაც ხდება, ერთი მხრივ, იმის წყალობით, რომ გავიწყდება შინაგანი განცდა და ასეთ შემთხვევაში მიეახლები გარეგნულს და გსურს გარეგნულის გაზომვა, – გსურს, შეჩერდე გარეგნულზე, ე. წ. ობიექტურზე, – მეორე მხრივ, ეს სამაგიეროს უხდის. ვინაიდან, შეიძლება მარტივად ითქვას: ინერცია გამოიხატება წერტილის მოძრაობაში, რომელიც დროის ყოველ წამს ერთსა და იმავე გზას გაივლის. მაგრამ ასეთი წერტილი არ არსებობს. ეს თანაბარი მოძრაო-

ბა არსად გვხვდება იქ, სადაც ადამიანური მეთოდით აკვირდები. ის არსად ხდება, ვინაიდან მოძრავი ყოველთვის რაიმესთან არის დაკავშირებული. ხოლო აქ თუ იქ წარმოიქმნება მისი სიჩქარის შემაფერხებელი. მოკლედ, არ არსებობს ის, რაც შეიძლება გამოხატულიყო, როგორც ინერტული მასა, ან რაც შეიძლება დაუკავშირო *ინერციის კანონს**. მაგრამ, როცა საუბრობ მოძრაობაზე და არ შეგიძლია მიუბრუნდე მოძრაობის შინაგან თანაგანცდას, შესაბამისად, ბუნებასთან თანაცხოვრებას, ვარდნის სიჩქარის წვდომას მეთოდით, როგორითაც თავად შეიძლება განგეცადა ამგვარი სიჩქარისას, მაშინ აუცილებელია, ითქვას კიდეც, რომ აქ მე სრულებითაც არ ვიმყოფები მოძრაობის მიღმა. მე ორიენტირებული უნდა ვიყო გარე სამყაროზე. ამდენად, თუ ვხედავ, რომ აქ მოძრაობს რაღაც სხეული (ნახ. 14) და ეს არის ამ სხეულის ერთმანეთის მომდევნო ადგილი, მაშინ გარკვეული აზრით მე უნდა აღვიქვა, რომ ეს სხეული მოძრაობს. თუ აქ უკან (აჩვენებს) არსებობს კედელი, მაშინ მე ვუმზერ ამ მიმართულებით, შემდეგ ამ მიმართულებით და ა. შ. თუ უკანა კედელს წარმოვიდგენ



ნახ. 14

წყნარს, მაშინ მე ვამბობ: სითბო გადაადგილდება ამ მიმართულებით. ამისთვის ასევე აუცილებელია, რომ მე მზერა მივაპყრო აქედან (ნახ. 14, მუქი წრე), შესაბამისად, ჯერ კიდევ გამოვავლენდი შინაგან განცდას.

აქ, როცა მე ორიენტირებული ვარ მხოლოდ გარეთ, მთლიანად უარს ვამბობ ადამიანზე და იზოლაციაში ვამყოფებ მას, მაშინ სულერთია, მოძრაობს თუ არა აქ საგა-

ნი წინ თუ ისვენებს სტატიკაში და კედელი მოძრაობს ასეთი სახით (ნახ. 14). მე უბრალოდ არ შემიძლია განვასხვაო, მოძრაობს თუ არა სხეული ერთი მიმართულებით, თუ – საპირისპირო მიმართულებით, არსებული კედლის უკან. არსებითად, მე შემიძლია ყველაფრის გამოთვლა, როგორც ერთი, ისე მეორე გარემოებისას.

ამდენად, თანაგანცდის გარეშე მე მერთმევა შესაძლებლობა, შინაგანად გავიგო მოძრაობა. ეს ნამდვილად ასეა სხვა ფიზიკური ინგრედიენტებისთვისაც, თუ შეიძლება ასე ითქვას. თანაგანცდის ამოგდებით, მე წამერთვა შესაძლებლობა, ჯერ კიდევ როგორღაც ამეგო ხიდი იმ მხარეს ობიექტური მოვლენისკენ. როცა მე მივრბივარ, ვერ ვიტყვი, თითქოს სულერთი იყოს, მე მივრბივარ თუ ნიადაგი მოძრაობს საპირისპირო მიმართულებით; როცა მე ფორმალურად განვიხილავ სხვა ადამიანს, რომელიც მიწაზე დადის, მაშინ სრულიად უმნიშვნელოა ამ გარეგნული ჭვრეტისთვის, ადამიანი მირბის თუ ნიადაგი მოძრაობს მის ფეხქვეშ სხვა მიმართულებით. ამან ფაქტობრივად თანამედროვეობა მიიყვანა იქამდე, რომ ის, მე ვიტყოდი, განიცდის მსოფლიო სულის შურისძიებას ფიზიკურის ამ გამოყოფისთვის.

იმ დროს, როცა ნიუტონი ჯერ კიდევ მთლიანად დარწმუნებული იყო, რომ მას შეეძლო აღექვა აბსოლუტური მოძრაობები, დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობს უამრავი ადამიანი კონსტატირებას, რომ შინაგან განცდასთან ერთდროულად როგორ დაიკარგა მოძრაობა, მოძრაობის გააზრება. ეს ხომ *ფარდობითობის თეორიის** არსია, რომელსაც დღეს სურს ნიუტონიზმის გადატრიალება. ფარდობითობის ეს თეორია მთლიანად ისტორიული სახით მიმდინარეობს. ის დღეს აქ უნდა იყოს, ვინაიდან ის ვერ იქნება ამოსავალი, თუ დარჩები მხოლოდ იმ წარმოდგენების ფარგლებში, რომლებიც ადამიანის მიერ მთლიანად გამოყოფილია. ვინაიდან, თუ გსურს, გააცნობიერო სიმშვიდე ან მოძრაობა, მაშინ ისინი უნდა განიცადო. თუ მათ არ განიცდი, მაშინ თვით სიმშვიდე და მოძრაობაც ერთმანეთთან მიმართებით მხოლოდ ფარდობითია.

ამდენად, ხვალ ჩვენ გავაგრძელებთ ამ თემებზე საუბარს.

მერვე მოხსენება
დორნახი, 1923 წლის 3 იანვარი

ჩემო ღრმადპატივცემულო მსმენელებო, ძვირფასო მეგობრებო, გრძელდება *ერთიანობისა და თანაგრძნობის** განცხადებების შემოსვლა. მე თავს უფლებას მივცემ ხვალ ან ზეგ გაგაცნოთ თანაგრძნობის ეს ხსენებული განცხადებები.

მე ვცდილობდი, მეჩვენებინა, როგორ წარმოიქმნება ახალ დროში საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების ცალკეული დარგები. მე ვისურვებდი, ჩამერთო გამონათქვამი, რომელსაც შეუძლია რამდენადმე ნათელი მოჰფინოს იმას, რა ხდებოდა აქ საბუნებისმეტყველო შეხედულებების წარმოქმნისას, ვინაიდან, თუ ამ მოვლენებს გარკვეული თვალსაზრისით სინათლეს მოჰფენ, მაშინ უკეთ გაიგებ, კაცობრიობის განვითარების საერთო მსვლელობისას, არსებითად, რაზეა აქ საუბარი. აუცილებელია, გავარკვიოთ, რომ გარეგნულ კულტურასა და საკაცობრიო ცივილიზაციის დროს წარმოქმნილმა, მე ვიტყოდი, განვლო შინაგანად, გაასხივოსნა რაღაც მაჯისცემის მსგავსად მაჯისცემაში ის, რაც მომდინარეობდა უფრო ღრმა შემეცნებებიდან, რასაც არასდროს უნდა ემოქმედა პირდაპირ, მსგავსად შესწავლილი შემეცნებებისა, არამედ, რომლებიც განვითარების საფუძველში, ფაქტობრივად, ძევს სხვაგვარად, იმ მეთოდით, რომელსაც მე ახლა და მომდევნო დღეებშიც შევეხები. ახლა მე ვისურვებდი, მხოლოდ მეთქვა, რომ უკეთ გესმის, რაზეა ამ მიმართულებით საუბარი, თუ დახმარებისთვის მოუხმობ იმას, რაც გარკვეულ დროებში იყო ინიციაციის (ხელდასხმის) ხელოვნება, ხელოვნება ცხოვრების უღრმეს საფუძვლებსა და მსოფლიო მოვლენებზე.

ჩვენ ვიცით, რომ *კაცობრიობის განვითარების მსვლელობისა** რაც უფრო მივუბრუნდებით წარსულს, მით უფრო შეეჯახებით ინსტინქტურ სულისმეცნიერულ შემეცნებას, ინსტინქტურ ნათელმხილველურ ჭვრეტას იმისა, რა ხდება გარკვეულწილად ყოფიერების კულისებს მიღმა. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ დღეს შესაძლებელია მიხვიდე უფრო ღრმა ცოდნამდე, ვინაიდან, თუ პოპულარულად გამოვხატავთ, XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან დაწყებული მატერიალისტური

შეხედულებებისა და მატერიალისტური შეგრძნებების ბობოქარი განვითარების შემდეგ, რომელიც დაიწყო XIX საუკუნეში, გაჩნდა შესაძლებლობა, უბრალოდ სულიერი სამყაროს ფიზიკურ სამყაროსთან მიმართების მეშვეობით კვლავ მოეპოვებინათ სულიერი შემეცნებები უშუალოდ ზეგრძნობადი სამყაროდან. XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან დაწყებული, ადამიანური შემეცნება შეიძლება ისე გაღრმავდეს, რომ ეს მიიყვანს იმის სულიერ ჭვრეტამდე, რაც ხდება გარე ბუნებრივ მოვლენაში, მის საფუძვლებში.

ამდენად, შეიძლება დაახლოებით ითქვას შემდეგი: ინიციაციის უძველესი, ინსტინქტური ხელოვნება განუდგა კაცობრიობის ეგზოთერულ ცივილიზაციას, რომელშიც მცირედით უნდა იგრძნობოდეს სამყაროში ის, რაც მოდის უშუალო სულიერი ცოდნიდან. ახლა კი კვლავ დგება სულიერი ცოდნის ახალი ცისკარი, რომელიც მთლიანად გააცნობიერებს, ოღონდ არა ინსტინქტურ სულიერ ცოდნას.

ჩვენ ვიმყოფებით ამ ახალი სულიერი ცოდნის განვითარების გარიჟრაჟზე. მომავალში კი ის სულ უფრო მეტად განვითარდება. ახლა თუ წარმოდგენა გაქვს იმაზე, რას განიხილავდა ადამიანი საკუთარი შემეცნების სახით ინიციაციის უძველესი ინსტინქტური მეცნიერების დროებში, მაშინ ამ შემეცნებების ფონზე ვლინდება, რომ XIV საუკუნის დასაწყისამდე ცივილიზებულ სამყაროში არსებობდა შეხედულებები, რომლებიც შეუძლებელია უშუალოდ შედარდეს ბუნების ჩვენს დღევანდელ შემეცნებებთან, ვინაიდან ისინი სრულიად სხვა სახის იყო, და რომლებიც, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ნაკლებად შეიძლება შევადაროთ იმას, რასაც თანამედროვე მეცნიერება დაახლოებით უწოდებს სამშვინველის კვლევას ან ფსიქოლოგიას. მოკლედ, აქ შეიძლება ითქვას, რომ ისინი სხვა სახის იყო. ადამიანის სულიერ-მშვინვიერსა და ფიზიკურ-ბუნებრივს გარკვეული სახით სწვდებოდნენ წარმოდგენებში, რომლებიც დღეს უკვე საერთოდ აღარ ესმის ადამიანს, თუ საგანგებოდ არაა დაკავებული ინიციაციის მეცნიერებით. ამის გააზრება და შეგრძნება სრულიად სხვა სახით იყო საჭირო.

ჩვენ თუ ახლა იმას, რაც იყო ინიციაციის ხელოვნება, შევადარებთ ადრინდელი ეპოქების ამ შემეცნებებს, რომლებიც ნაწილობრივ ცნობილია თავად ისტორიის წყალობით,

მაშინ არასრულყოფილი გადმოცემის მიუხედავად ვხედავთ, რომ არსებობდა ღრმა შემეცნებები, ღრმა წარმოდგენები ადამიანზე, ადამიანის მიმართებაზე სამყაროსთან და ა. შ. დღეს არც ისე ხალისით ეკიდებიან იმას, რომ სანიმუშოდ შეაფასონ რაღაც ისეთი, როგორიცაა IX საუკუნეში ბუნების კლასიფიკაციაზე *იოჰანეს სკოტ ერიგენას** დაწერილი ნაწარმოები, ვინაიდან ასეთ ნაწარმოებს ისტორიულ ძეგლად არ მიიჩნევდნენ იმ პერიოდიდან, რომელშიც აზროვნებდნენ სწორედ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე დღეს და რომ ასეთი ნაწარმოები თანამედროვეებს უკვე საერთოდ აღარ ესმით. თუ ჩვეულებრივი ფილოსოფოსები თავიანთ ისტორიოგრაფიაში ასახავენ ასეთ მოვლენებს, ეს მხოლოდ სიტყვებია. არსებითად, უკვე აღარ გააჩნიათ მიდგომა ისეთი ნაწარმოების ჭეშმარიტი სულისკვეთებისადმი, როგორიცაა იოჰანეს სკოტ ერიგენას ნაწარმოები ბუნების კლასიფიკაციაზე, ამასთან ბუნება აქ სრულიად სხვა რამეს ნიშნავს, ვიდრე სიტყვა ბუნება გვიანდელ ბუნებისმეტყველებაში. თუმცა, მასში სულისმეცნიერული ჩაღრმავებისას მართებული იქნებოდა გვეთქვა: სკოტ ერიგენამ განავითარა იდები, რომლებიც შთაბეჭდილებას ახდენს ზოგიერთებზე, ვინც ძალზე უღრმავდება სამყაროს არსს, მაგრამ მან საკუთარ ნაწარმოებში ეს იდეები, უდავოდ, არასათანადო, არადამაჯერებელი ფორმით ასახა. საშიშროება რომ არ იყოს იმისა, რომ უპატივცემულოდ ისაუბრონ კაცობრიობის განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე პირველხარისხოვან ნაწარმოებზე, მაშინ არსებითად, უნდა ეთქვათ, რომ თავად იოჰანეს სკოტ ერიგენამ, როგორც ჩანს, უკვე სრულიად არ იცოდა, რაზე წერდა იგი. ეს ჩანს მისი გადმოცემით. თავად მისთვის სიტყვები, რომლებსაც ტრადიციებიდან იღებდა, მაინც მეტად თუ ნაკლებად მხოლოდ სიტყვები იყო, რომელთა ღრმა შინაარსსაც თავად უკვე ვერ აცნობიერებდა, თუნდაც არა ისეთი ხარისხით, როგორც ამას ადგილი აქვს დღევანდელი ფილოსოფიის ისტორიკოსებში. სინამდვილეში, როცა კითხულობ ამ მოვლენებზე, აუცილებელია ისტორიის სულ უფრო შორეული წარსულებისკენ მიბრუნება. ცხადია, სკოტ ერიგენას, – ამის დანახვა იოლად შეიძლება მის ნაწარმოებებში, – უშუალოდ მიჰყავს ე. წ. *ფსევდო დიონისე არეოპაგიტელის თხზულებებისკენ*.* ახლა მე არ ჩავუღრმავდები განვითარების ამ პრობლემას, როდის

ცხოვრობდა იგი და ა. შ. თავის მხრივ დიონისე არეოპაგიტელს კიდევ უფრო შორეულ წარსულში მიჰყავს. აქვე უკვე ნამდვილად საჭიროა, სულისმეცნიერებით შეიარაღებულებმა, ვიკვლიოთ კიდევ უფრო შორეულ წარსულში და თუ მიუბრუნდებით ქრისტიანობამდელი პერიოდის II-III ათასწლეულებს, მივეახლებით ღრმა შემეცნებებს, რომლებიც კაცობრიობამ სწორედაც რომ დაკარგა და მხოლოდ სუსტი გამოძახილების სახით არსებობს თხზულებებში, მსგავსი იოჰანეს სკოტ ერიგენას თხზულებისა.

ჩვენ თუ სწორად ჩავუღრმავდებით თავად სქოლასტიკოსების ნაწარმოებებს, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ წარმოუდგენლად პედანტურ-თავშეკავებული გადმოცემის მიღმა ძევს ღრმა იდეები ადამიანის მიერ გარე სამყაროს გაგების მეთოდზე, რომელიც მის წინაშე ამოიზიდება; ამ გაგებაში, ერთი მხრივ, ცხოვრობს ზეგრძნობადი, მეორე მხრივ კი – გრძნობადი და ა. შ. თუ აიღებ ხანგრძლივ ტრადიციას, რომელიც კვლავ და კვლავ ეფუძნება არისტოტელეს, რომელმაც თავად კვლავ გააერთიანა ლოგიკურ-პედანტურად მისთვის გადაცემული უძველესი ცოდნა, მაშინ ეჯახები იმავეს, უძველეს დროებში კარგად გაგებული შემეცნების სიღრმეებს, რომლებიც ადიან შუა საუკუნეებისკენ და მეორდებიან ერთმანეთის მომდევნო დროით ეპოქებში და ისინი სულ უფრო ნაკლებად ესმით. ამ შემთხვევაში ეს ტიპურს წარმოადგენს. შემდეგ XIII-XIV საუკუნეებში ამის გაგება თითქმის მთლიანად ქრება და შემოდის სრულიად სხვა სულისკვეთება, სწორედ კოპერნიკისა და გალილეის სულისკვეთება, რომელთა დახასიათებასაც მე, არსებითად, შევეცადე ბოლო ლექციებში.

ყველგან, სადაც ახორციელებ ასეთ კვლევებს, რომელთა სულისკვეთებაც ახლახან აღვნიშნე, დაინახავ, რომ ეს უძველესი ცოდნა, რომელიც ეპოქიდან ეპოქისკენ სულ უფრო ნაკლებად ესმით, ვრცელდება XIV საუკუნემდე, რომ ეს ძველი ცოდნა, არსებითად, მდგომარეობდა იმის შინაგან განცდაში, რაც ხდება თავად ადამიანში, ანუ ადამიანის მოძრაობის დროს – უკანასკნელი ლექციების მიხედვით ეს სრულიად გასაგები იქნება, – მათემატიკურ-მექანიკურის განცდაში, განსაზღვრული ქიმიურის განცდაში, როგორც დღეს ვიტყოდით, წვენების შინაგანი

მოძრაობისას ადამიანთან, რომელიც განმსჭვალულია ეთერული სხეულით. ამდენად, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ისტორიულადაც განვიხილოთ სქემა, რომელიც გუშინ დავხაზე დაფაზე (ნახ. 13). ანუ ჩვენ შეგვიძლია მისი გარკვევა ასე: თუ დღეს კვლავ განვიხილავთ ადამიანის არსებას ჩვენი ინიციაციის მეცნიერების დახმარებით, მაშინ აღმოვაჩენთ ფიზიკურ სხეულს, ეთერულ სხეულს ანუ ფორმაქმნად სხეულს, ასტრალურ სხეულს – შინაგან მშვინვიერს და „მე“-ორგანიზაციას. გუშინ მე უკვე ვისაუბრე, რომ ფიზიკური სხეულის შინაგანი განცდა იმისა, რაც წარმოადგენს მოძრაობას, შინაგანი განცდა სივრცის განფენილობისა, ასევე სხვა ფიზიკურ-მექანიკური პროცესების განცდა არსებობდა სწორედ, როგორც გამომდინარე ინიციაციის უძველესი მეცნიერებიდან და შეგვიძლია ამ შინაგან განცდას ვუწოდოთ ადამიანში ფიზიკურის განცდა. ამავე დროს, ადამიანში ფიზიკურის ეს განცდა წარმოადგენს სწორედ ფიზიკურ-მექანიკური კანონების შემეცნებას: ეს იყო ადამიანური არსების ფიზიკა ფიზიკური სხეულის მიმართულებით. მაშინ არავის მოუვიდოდა აზრად, ფიზიკა ეძია სხვაგვარად, თუ არა ადამიანში განცდის მეშვეობით. გალილეისა და კოპერნიკის ეპოქაში მათემატიკასთან ერთად, რომელიც იმ დროს განეკუთვნებოდა ფიზიკას, ის, რაც განიცდება ასეთი სახით შიგნით, გამოიტყორცნება ადამიანისგან და გაგებულია მარტოოდენ აბსტრაქტულად. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ: ფიზიკა, ასე ვთქვათ, გამოჩოჩდება ადამიანისაგან, მაშინ, როცა ადრე ის მოთავსებული იყო თავად ადამიანში.

რაღაც ძალზე მსგავს პროცესს განიცდიდნენ იმაში, რაც განიცდებოდა ადამიანის შიგნით, როგორიც არის წვენების პროცესი, წყლოვანი პროცესი, ადამიანური ორგანიზმის დენადი ელემენტი. გუშინ მე მივუთითე გალენზე, რომელიც ადამიანს მის შინაგანში აღწერდა შემდეგნაირად: ადამიანში ცხოვრობს „შავი ნაღველი“, რომელიც ცირკულირებს წვენების ნაკადში, „სისხლი“, „ლორწო“ და ჩვეულებრივი ნაღველი, „თეთრი“ ან „ყვითელი ნაღველი“. ერთმანეთში გადაღვრის მეშვეობით, წვენების ამ ნაკადების ურთიერთ ზეგავლენის მეშვეობით ფიზიკურ სამყაროში ვითარდება ადამიანური არსება. ის, რასაც მაშინ გალენი ამ-

ტკიცებდა, იგი იღებდა არა თანამედროვე ფიზიოლოგიური მეთოდების მსგავსად, არამედ ეს, არსებითად, ეფუძნებოდა ჯერ კიდევ შინაგან განცდებს. თუმცა, გალენი ამას იღებდა უკვე ტრადიციითაც. ის, რასაც იგი იღებდა ტრადიციით, რასაც ის უბრალოდ გადმოიღებდა ტრადიციიდან, ამას ოდესღაც განიცდიდნენ შიგნით ადამიანური ორგანიზმის თხევად ნაწილში, რომელიც განმსჭვალულია ეთერული სხეულით ანუ ფორმაქმნადი ძალებით.

ამ ფაქტიდან გამომდინარე, მე აღვწერე კიდეც ჩემი წიგნის – „ფილოსოფიის გამოცანები“, დასაწყისში *ბერძნული ფილოსოფია**, ოღონდ არა ისე, როგორც მას ჩვეულებრივ აღწერენ. თქვენ თუ გადაიკითხავთ ჩვეულებრივი ფილოსოფიის ისტორიას, მაშინ ყველგან აღმოაჩენთ მოვლენებს, რომლებიც გადმოცემულია ასეთი სახით: *თალესი** ფიქრობდა იმის საწყისზე, რაც არსებობს გრძნობად სამყაროში და იგი საწყისს, ყველაფრის ამოსავალ წერტილს ეძებდა წყალში. *ჰერაკლიტე** ამოსავალ წერტილს ეძებდა ცეცხლში, სხვა – ჰაერში, ზოგი – მყარში, მაგ., რაღაც სახის ატომებში და ა. შ. დღეს ხომ ადამიანებს თვალში აღარ ხვდებათ ის, რომ შეიძლება რაღაც ამდაგვარი ითქვას, როცა ანგარიშს უწევ საკუთარ თავს იმაში, რომ, არსებითად, გაურკვეველია, თუ რატომ აღიარებდა საწყისის სახით თალესი წყალს, ხოლო ჰერაკლიტე – ცეცხლს. საკმარისია, კიდევ ერთხელ გადაავლოთ თვალი ჩემს წიგნს „ფილოსოფიის გამოცანები“ და თქვენ დაინახავთ, რომ თალესის შეხედულება, გამოხატული თეზისში: „ყველაფერი წარმოიქმნა წყლიდან“, უბრალოდ ეფუძნება შინაგან განცდას. იგი შეიგრძნობდა იმის მოქმედებას, რასაც ოდესღაც უწოდებდნენ სწორედ წყლოვანს; ამ შინაგანი მოქმედებით იგი გრძნობდა მონათესავედ იმას, რაც ძევს გარეგნული ბუნებრივი პროცესის საფუძველში და შესაბამისად, იგი შინაგანი განცდიდან გამოხატავდა გარეგნულს. ასევეა ჰერაკლიტეც, რომელსაც ჰქონდა, მე ვიტყოდი, სხვა ტემპერამენტი. თალესი, როგორც დღეს ვიტყოდით, იყო სწორედ ფლეგმატიკი, რომელიც ცხოვრობდა შინაგან „წყალში“ ანუ „ლორწოში“. შესაბამისად, იგი სამყაროს აღწერს, როგორც ფლეგმატიკი: ყველაფერი წარმოიქმნა წყლისაგან. – ჰერაკლიტე იყო ქოლერიკი, რომელიც განიცდიდა შინაგან „ცეცხლს“.

იგი სამყაროს აღწერდა ისე, როგორც განიცდიდა მას. ამათ გვერდით ასევე იყვნენ, გარეგნულ ტრადიციაში დღეს უკვე შეუმჩნეველი, უფრო დაჟინებული მოაზროვნეები. მათ ამ მოვლენებზე კიდევ უფრო მეტი იცოდნენ და მათი ეს ცოდნა შემდეგ გადაეცემოდათ და არსებობდა, როგორც ტრადიცია ქრისტიანობის პირველ ასწლეულებში, ასე რომ, გალენს შეეძლო ესაუბრა საკუთარ ოთხ შემადგენელ ნაწილზე – შიგნით არსებულ წვენებზე.

იმას, რაც იცოდნენ მაშინ წვენების შინაგან არსებობაზე, ე. ი. წვენების ეს ოთხი სახე: ყვითელი ნაღველი, შავი ნაღველი, სისხლი და ლორწო როგორ გადაედინებოდა ერთმანეთში და ერთიანდებოდა, – რასაც დღეს რაღაც ბავშვობად მიიჩნევენ, რაც სრულიად გასაგებია, – სინამდვილეში ის წარმოადგენს შინაგან ადამიანურ ქიმიას. მაშინ ხომ სხვა ქიმია არც არსებობდა. ვინაიდან, რასაც დღეს განიხილავენ გარედან, როგორც მოვლენებს, რომლებიც მიეკუთვნება ქიმიის სფეროს, ამაზე იმსჯელებდნენ ამ შინაგანი განცდებით, ასე, რომ, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ შინაგან ქიმიაზე, რომელიც ეფუძნება წვენების განცდას, რომელიც განმსჭვალულია ადამიანის ეთერული სხეულით, თუ შეიძლება გამოვიყენო გამოხატვის ასეთი ფორმა. ასე მივაბით ადამიანს ეს ქიმია უძველეს ეპოქებში. მოგვიანებით ის, ისევე, როგორც მათემატიკა და ფიზიკა, ჩამოშორდა და გადაიქცა გარეგნულ ქიმიად. (იხ. სქემა I).



სქემა I

ზედა – „მე“-ორგანიზაცია: პნევმატოლოგია. (თეთრი)
ადამიანი – ასტრ. სხეული: ფსიქოლოგია. (ნარინჯისფერი)
ქვედა – ეთერული სხეული: ქიმია (ლურჯი)
ადამიანი – ფიზიკური სხეული: ფიზიკა. (წითელი)

უბრალოდ წარმოიდგინეთ, როგორ შეიგრძნობდნენ ადამიანები უძველესი დროის ამ ფიზიკასა და ქიმიას! მათ შეიგრძნობდნენ, როგორც რაღაცას, რომელიც გარკვეულწილად თავად მათივე ნაწილს წარმოადგენდა და არა, როგორც რაღაც ისეთს, რაც წარმოადგენს გარეგნული ბუნებისა და მისი პროცესების მხოლოდ შიშველ აღწერას. ეს იყო არსობრივი. ეს იყო განცდილი ფიზიკა, განცდილი ქიმია. მაშინ, როცა გარეგნულ ბუნებას გრძნობდნენ საკუთარ ფიზიკურსა და ეთერულ სხეულში, ასევე განიცდიდნენ იმას, რაც არსებობს ასტრალურ სხეულსა და „მე“ ორგანიზაციაში, მაგრამ სხვაგვარად, ვიდრე მოგვიანებით. დღეს ჩვენ გვაქვს ფსიქოლოგია. ეს ფსიქოლოგია, – ამის აღიარება უდავოდ მართებდათ, მაგრამ ამას არ აკეთებდნენ, – ფაქტობრივად არის წმინდა აბსტრაქციების საშუალებათა არსენალი. აზროვნებას, გრძნობას, სურვილს თქვენ აქ პოულობთ შიგნით მიყვანილს მხოლოდ, როგორც აბსტრაქციებს, ისევე, როგორც მახსოვრობას, ფანტაზიას და ა. შ. ეს თანდათანობით წარმოიქმნა იმისგან, რასაც აქ ჯერ კიდევ აღიარებენ, როგორც თავის საკუთარ მშვინვიერ შინაარსს. ქიმია და ფიზიკა გამოაგდეს, ხოლო აზროვნება, მგრძნობელობა და სურვილები – არა, ეს დატოვეს, მაგრამ თანდათანობით ისე დაიხვეწა, რომ, არსებითად, იქცა მხოლოდ ყველაზე მოჩვენებითი აბსტრაქციების არსენალად. ყველაზე ადვილია დაასაბუთო ის, რომ წარმოიქმნენ მოჩვენებითი აბსტრაქციები. ავიღოთ, მაგ., ადამიანები, რომლებიც დაახლოებით XV-XVI საუკუნეებში ჯერ კიდევ *საუბრობდნენ აზროვნებასა და სურვილზე**, – თუ შეიძლება, აიღეთ უძველესი თხზულებები ამ მოვლენებზე, – ამას ჯერ კიდევ ჰქონდა კონკრეტულის ხასიათი. როცა მავანი ადამიანი ასეთი სახით საუბრობს აზროვნებაზე, გრძნობ, რომ იგი ჯერაც ისე საუბრობს, თითქოს ეს აზროვნება ნამდვილად იყოს მასში შინაგანი პროცესების რაღაც ჯამის სახით, თითქოსდა აზრები უბიძგებდნენ, ეზიდებოდნენ. ასევე ჯერ კიდევ სახეზეა განცდა აზრებით. მოვლენები ჯერაც არ არის ისეთი აბსტრაქტული, როგორიც მოგ-

ვიანებით გახდა. მოგვიანებით მოვლენები გახდა ისეთი, რომ შემდეგ, როცა დადგა XIX საუკუნე და მისი დასასრული, ფილოსოფოსებისთვის გაადვილდა საერთოდ ყველანაირი რეალობის უარყოფა ამ აბსტრაქციებში და საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რასაც ესოდენ მახვილგონივრულად აკეთებდა სწორედ არაერთხელ ნახსენები რიჰარდ ვაალე, რომელიც ახლა „მე“-ს, აზროვნებას და სურვილს მხოლოდ ილუზიად მიიჩნევდა. აბსტრაქციებიდან ისინი შემდეგ იქცნენ ილუზიებად, სამშვინველის შინაგან შინაარსად.

სწორედ იმ დროს, როცა ადამიანი შეიგრძნობდა თავის სიარულს, როგორც რაღაც პროცესს, რომელიც ერთდროულად თამაშდებოდა მასთან და სამყაროსთან, როცა მისდევდა საკუთარი წვენების მოძრაობას, მან იცოდა, რომ, თუ იგი მოძრაობდა, ვთქვათ, მწველი მზის სინათლეზე, ანუ გარეგნული ზემოქმედებისას, მაშინ სისხლი და ლორწო მასში მოძრაობდა სხვაგვარად, ვიდრე ცივი ზამთრისას. იგი განიცდიდა საკუთარ თავში სისხლისა და ლორწოს მოძრაობას, ამასთან განიცდიდა მათ მზის ციალთან ან მზის ციალის არარსებობასთან ერთად. რამდენადაც იგი ფიზიკურსა და ქიმიურს განიცდიდა სამყაროსთან ერთად, ამიტომ სამყაროსთან ერთად განიცდიდა აზროვნებას, გრძნობასა და სურვილებსაც. მას არა მარტო გადაჰქონდა ისინი შინაგანში უფრო გვიანდელი დროის მსგავსად, როცა ისინი თანდათანობით გაქრა საბოლოო აბსტრაქციებში, არამედ – იმის განცდაში, რაც ადამიანში ხდება აქ, არა წვენების მოძრაობასა და ფიზიკურ მოძრაობებში, ან ძალთა ფიზიკურ გამოვლინებებში, არამედ უშუალოდ იმაში, რაც განეკუთვნება ადამიანის ასტრალურ არსებას, მშვინვიერს და სწორედ ამ განცდაში არსებობდა ის, რაც იმ ეპოქისთვის იყო რაღაც ფსიქოლოგიის ობიექტი (სქემა, 17).

ის მთლიანად მიჯაჭვული იყო ადამიანს. ამდენად, აღმავალი საბუნებისმეტყველო ეპოქით ადამიანს ფიზიკა და ქიმია სამყაროში გადმოჰქონდა; ფსიქოლოგიას იგი თავად ტენიდა საკუთარ თავში. ამ პროცესს, უმთავრესად, შეიძლება თვალი მივადევნოთ ბეკონ ვერულამელთან და ჯონ ლოკთან. ადამიანში ტენიან ყოველივე იმას, რაც განიც-

დება გარე სამყაროში, როგორც მშვინვიერი შინაარსი: ბგერა, ფერი, სითბოს დონე.

ეს პროცესი სულ უფრო მეტად თამაშდება „მე“-ორგანიზაციასთან მიმართებით, რომელიც ნამდვილად ხდება წმინდად ნატიფი განცდა. ამდენად, როცა აქ იხედები საკუთარ თავში, „მე“ თანდათანობით რაღაც წერტილოვანი ხდება. ამიტომ დისკუსიისას ფილოსოფოსებისთვის ძალზე იოლი გახდა მისგან გაქცევა. არა „მე“-ცნობიერება, არამედ „მე“-ს განცდა უძველესი დროებისთვის აღვსილი იყო შინაარსით, შესრულებული რეალობით. „მე“-ს განცდა კი გამოვლინდა უფრო მაღალ მეცნიერებაში, ვიდრე ფსიქოლოგიაა, იმ მეცნიერებაში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პნევმატოლოგია. ადამიანმა ეს მეცნიერებაც ასევე შეიწოვა უფრო გვიანდელ დროებში და დახვეწა ის საკუთარი „მე“-ს ნამდვილ, ძალზე ნატიფ შეგრძნებამდე (იხ. სქემა. I).

როცა ადამიანს გააჩნდა საკუთარი ფიზიკური სხეულის შინაგანი განცდა, მას ამავდროულად გააჩნდა ფიზიკური განცდა იმისა, რაც ხდება გარეგნულ ბუნებაში მისივე ფიზიკურ სხეულში მიმდინარე პროცესების ანალოგიურად. ამის მსგავსად ხდება ეთერულ სხეულშიც. ამ ეთერული სხეულის შიგნით განიცდება არა მარტო ეთერული, არამედ წვენების ფიზიკური სამყაროც, რომელიც ამავე დროს მოცულია ეთერულით. მაინც რა ხდება შიგნით, როცა ადამიანი აღიქვამს ფსიქოლოგიას, როცა ის განიცდის საკუთარი ასტრალური სხეულის პროცესებს? ასეთ შემთხვევაში შინაგანად განიცდება ის, თუ შეიძლება ეს ასე გამოვხატო, რაც ჰაეროვან ადამიანს წარმოადგენს. ჩვენ ხომ წარმოვადგენთ არა მარტო მყარ ორგანულ წარმონაქმნს და შევდგებით წვენებისაგან ორგანული წარმონაქმნით, ანუ წყლოვანი წარმონაქმნით, არამედ შიგნითაც მუდმივად გაზისებრ-ჰაეროვანს წარმოვადგენთ. ჩვენ ჩავისუნთქავთ ჰაერს და კვლავ ამოვისუნთქავთ. ფსიქოლოგიის შინაარსს ადამიანი განიცდიდა მჭიდრო ერთიანობაში ჰაერის შინაგან გადამუშავებასთან. ამიტომ ის იყო კონკრეტული. როცა აზროვნების შინაარსიდან ამოშალეს ჰაერის განცდა, რომლისთვისაც თვალის მიდევნება გარედანაც შეიძლებოდა, მაშინ აზ-

როვნების შინაარსი ხდებოდა სწორედ სულ უფრო აბსტრაქტული – შიშველი აზრები. წარმოიდგინეთ, როგორ ისწრაფოდა ინდოელი ფილოსოფოსი თავისი სავარჯიშოებით იმდენად გამხდარიყო შემმეცნებელი, რომ მის სუნთქვაში, სუნთქვის პროცესში ხდებოდა რაღაც მონათესავე აზრობრივი პროცესისა. იგი ახორციელებდა მოწესრიგებულ სუნთქვით პროცესს საკუთარი აზროვნების განვითარებისთვის. მან იცოდა, რომ აზროვნება, მგრძნობელობა და სურვილი არც ისე ჰაეროვანი მასალაა, როგორც დღეს მას განვიხილავთ, არამედ ისეთია, რომელიც მაინც დაკავშირებულია გარეგნულ ბუნებასთან და განსაკუთრებით შინაგან ბუნებასთან ჩასუნთქვის შემდეგ, რაც, შესაბამისად, დაკავშირებულია ჰაერთან. თუ შეიძლება ითქვას, რომ *ფიზიკურსა და ქიმიურს** ადამიანი ჩამოაცილებს საკუთარი ორგანიზაციიდან, – ასევე შეიძლება ითქვას, რომ იგი შეიწოვს ფსიქოლოგიურს, მაგრამ მოიშორებს გარეგნულ ელემენტს, კერძოდ სუნთქვის, ჰაერის განცდას. ფიზიკური და ქიმიურიდან იგი თავად ამოაგდებს თავის თავს და გარე სამყაროს უფრო მეტად განიხილავს, როგორც ფიზიკას და ქიმიას; ფსიქოლოგიიდან იგი ამოაგდებს გარე სამყაროს, ჰაერს და ზუსტად ასე *ამოაგდებს იგი სითბურს** პნევმატოლოგიისაგან. ამან შეცვალა და დახვეწა „მე“.

ამდენად, თუ მე ფიზიკურ სხეულსა და ეთერულ სხეულს ვუწოდებ ქვედა ადამიანს (სქემა I), ასტრალურ სხეულსა და „მე“-ორგანიზაციას – ზედა ადამიანს, მაშინ შემიძლია ვთქვა: უძველესი ეპოქიდან ბუნებისმეტყველებისკენ გადასვლისას ისტორიული განვითარება აჩვენებს, რომ ადამიანმა თავისი თავისგან გამოაგდო ფიზიკური და ქიმიური და საკუთარ ფიზიკურ და ქიმიურ ცნებებში მხოლოდ გარეგნული ბუნება აღიქვა. ფსიქოლოგიასა და პნევმატოლოგიაში ადამიანმა განავითარა წარმოდგენები, რომელთაგანაც მან ამოაგდო გარეგნული ბუნება და განიცადა მხოლოდ ის, რაც მის წარმოდგენებში ჯერ კიდევ დარჩა ამისგან შინაგანში. ფსიქოლოგიაში მას დარჩა იმდენად ბევრი, რომ სამშვინველის შინაარსისთვის, ყოველ შემთხვევაში, მას ჯერ კიდევ გააჩნდა სიტყვები. „მე“-სთვის იმდენად ცოტა დარჩა, რომ თითქმის მთლიანად გაქრა

პნევმატოლოგია, ნაწილობრივ დოგმატიკის მიერ მომზადებული. ყველაფერი შეიკუმშა „მე“ წერტილამდე.

ამან დაიკავა ადგილი იმისა, რაც ოდესღაც აბსოლუტურად ერთგვაროვნად განიცდებოდა, როცა ამბობდნენ: გვაქვს ოთხი ელემენტი – მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი; დედამიწას განიცდი საკუთარ თავში, როცა განიცდი ფიზიკურ სხეულს; წყალს განიცდი საკუთარ თავში, როცა ეთერულ სხეულს განიცდი წვენების მამოძრავებლის, შემრევის და დამშლელის სახით; ჰაერს განიცდი, როცა აზროვნებაში, მგრძნობელობასა და სურვილში განიცდი ასტრალურ სხეულს, ვინაიდან აზროვნებას, მგრძნობელობასა და სურვილს განიცდიდნენ, როგორც სუნთქვის მღელვარე შინაგან პროცესს; ხოლო სითბოს ან ცეცხლს, როგორც ამას მაშინ უწოდებდნენ, განიცდიდნენ „მე“-ს შეგრძნებაში.

ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ადამიანის საკუთარ თავთან მთელი მიმართების გარდაქმნით განვითარდა ახალი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერული მსოფლმხედველობა. როდესაც ამ შემეცნებებით აკვირდები სწორედ ისტორიულ განვითარებას, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, აღმოაჩენ იმას, რაზეც მე ადრე გითხარით: ყოველ ახალ ეპოქას მოაქვს უძველესი ტრადიციების ახლებური გადმოცემა, თუმცა სულ უფრო ნაკლებად გასაგები. მსგავსი უძველესი ტრადიციების გასაოცარ მოწმობას წარმოადგენს ამ შემთხვევაში პარაცელსის, ვან ჰელმონტისა და იაკობ ბიომეს დაახლოებით ერთნაირი შეხედულებები.

ვინც აღწევს ასეთი მოვლენების გაგებას, ის *იაკობ ბიომესთან** უშუალოდ აღიქვამს, რომ აქ საუბრობს უაღრესად ჩვეულებრივი ადამიანი, რადგან თავისი შემეცნება მიიღო წყაროებიდან, რომელთა განხილვაც ხომ დღეს შეუძლებელია, რომლებიც ძალზე შორს წაგვიყვანდა, და რომ, იაკობ ბიომემ მის მიერ დაწერილი უხეირო მეთოდით ამ გადმოცემაში, რომელნიც ამის გამო ნამდვილად ძნელად გასაგებია, მოიცვა უძველესი ღრმა შემეცნებები, თუმცა ისინი უბრალოდ გადმოცემული იყო პოპულარულად. მაინც თუ იმყოფებოდა ვინმე ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც იაკობ ბიომე? მაშინ, როცა ჯორდანო ბრუნო, რომელიც მიეკუთვნებოდა იმავე ეპოქას და იდგა კაცობრიობის განვითარების მისთვის უახლესი ფაზის შიგნით,

როგორც ეს გადმოვეცი ამ კურსის ერთ-ერთ წინა ლექციაში, იაკობ ბიომესთან ჩვენ ვხედავთ, რომ მან სრულიად აშკარად მოგვცა ხელთ ყველანაირი ნაწარმოები, რომლებიც დღეს, ცხადია, დავიწყებულია. თხზულებები გარეგნული გადმოცემით სრულიად ჭრელ მასალას წარმოადგენს, თუმცა მას შინაგანი ნიჭის მეშვეობით ეხსნება ის, რომ ეს ადის რაღაც უძველესი გრძნობისკენ (Ursinn). იგი, მე ვიტყოდი, კვლავ იმყოფებოდა შემზარავ შინაგან დაბრკოლებებს შორის, რის გამოც საგნები ხდებოდა სწორედ მოუხერხებელი, ამ უძველეს სიბრძნეში, რომელიც მან გადმოიღო ჯერ კიდევ უხეირო, ნაკლოვანი თქმულებებისგან. თუმცა მას შეეძლო ამაღლებულიყო ერთ-ერთი წინა საფეხურისკენ საკუთარი შინაგანი განსხვოსნების შედეგად.

ახლა თუ მზერას მიაპყრობ XV-XVI საუკუნეებს და განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებს და თვალებს დახუჭავ ისეთ ცალკეულ მოვლენებზე, როგორიცაა პარაცელსი და იაკობ ბიომე, რომლებიც არსებითად, აქ გვევლინებიან, როგორც მხოლოდ უძველესი დროის ძეგლები და იღებ იმას, რაც არსებობს კაცობრიობის განვითარების მიმდინარე ეგზოთერულ ნაკადში, მაშინ ინიციაციის მეცნიერების კრიტერიუმების დართვით და მოვლენების მისი სინათლით გაშუქებით გექმნება შთაბეჭდილება: გარკვეული აზრით აქ უკვე არავინ არაფერი იცის სამყაროს არსების ღრმა საფუძვლებზე. აქ უკვე მოხდა ის, რომ ფიზიკა და ქიმია ამოღებულია ადამიანისაგან, აქ უკვე გაჩნდა ირონია ალქიმიასთან დაკავშირებით. ცხადია, ამ ირონიასთან დაკავშირებით მართალი იყვნენ, ვინაიდან დაცინვის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რაც ჯერ კიდევ შემონახულია უძველესი ტრადიციიდან, როგორც შუა საუკუნეების ალქიმია. მათ ჰქონდათ ადამიანის შინაგანში მიღებული ფსიქოლოგია და ძალზე ნატიფი პნევმატოლოგია. ამდენად, არასაკმარისი ცოდნა ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რაც ადამიანზე იცოდნენ ადრე და, ერთი მხრივ, განიცდიდნენ ადამიანისგან გამოყოფილს, მეორე მხრივ, ადამიანში ქაოტურად ჩაყრილს. შეიძლება ითქვას, რომ იმაში, რასაც აღწევენ, როგორც ადამიანის შემეცნებებს, ყველგან სწორედ ახლახან დახასიათებული ფაქტები ვლინდება.

აი, მაგ., XVII საუკუნეში გაჩნდა შეხედულება, რომელიც, თუ მას განიხილავენ, როგორც ცალკე შეხედულებას, არსებითად რჩება საკმაოდ გაუგებარი, მაგრამ ისტორიაში ჩასმით, ხდება სრულიად გასაგები; აქ ამოტივტივდება მოსაზრება, რომ პროცესების მთელი ჯამი, რომელიც ადამიანს აქვს საკუთარ შინაგანში, როგორც კვების პროცესები, ეფუძნება რაღაც სახის დუღილს. იმას, რასაც ადამიანი იღებს კვების პროდუქტების სახით, იგი ჟღენთს ნერწყვით, მსჭვალავს წვენებით, მაგ., პანკრეასი, და მაშინ მიმდინარეობს რაღაც სახის დუღილის პროცესი, როგორც ამას დაახლოებით უწოდებდნენ. როდესაც ამ მოვლენებს განიხილავ თანამედროვე ჭვრეტიდან, რომელიც, ცხადია, ასევე არის მხოლოდ წარმავალი, მაშინ ამაზეც ხომ შეიძლება ასევე ვიცინოთ. მაგრამ მაშინ ისწრაფოდნენ არა შემეცნებისკენ, არამედ პროფესორივით მაღალ დონეზე გადმოცემისკენ. თუმცა, როცა ამას უღრმავდები, მაშინ, ცხადია, ხედავ საიდან მოდის ასეთი უცნაური შეხედულებები ადამიანზე. მთლიანად იფერფლება უძველესი ტრადიციები, რომლებიც ჯერ კიდევ გალენის დროს და კიდევ უფრო ადრე ეფუძნებოდა შინაგან განცდებს და ჰქონდათ კარგი გრძნობა. და ის, რაც ახლა უნდა არსებულიყო გარეგნულად, როგორც დამუშავებული ქიმია, არსებობს მხოლოდ თავდაპირველ ელემენტებში. შინაგანი უკვე აღარ გაქვს; გარეგნული კი ჯერაც არ განვითარებულა. ამდენად, იმყოფები იმ მდგომარეობაში, რომ შეგიძლია კვების შინაგან პროცესებზე ისაუბრო მხოლოდ ძალზე სუსტ, კვლავ გამოვლენილ ქიმიურ წარმოდგენებში, დაახლოებით, როგორც გაურკვეველი ზემოხსენებული დუღილი. იყვნენ გალენის მოძღვრების უკანასკნელი მიმდევრები, რომლებიც, მართალია, რაღაც დოზით კიდევ გრძნობდნენ, რომ ადამიანის გაგება თუ გსურს, აუცილებელია გაითვალისწინო მისი წვენების მოძრაობა, ანუ მასში თხევადი, მაგრამ რომლებმაც ერთდროულად უკვე დაიწყეს ქიმიურის განხილვა მხოლოდ გარეგნულ პროცესებში და, შესაძლოა, ახლა ადამიანს მიაკუთვნებდნენ დუღილის გარეგნულად განხილვად პროცესებს. ადამიანი იქცა ცარიელ ტომარად, ვინაიდან იგი უკვე აღარაფერს განიცდიდა საკუთარ თავში. ახლა ეს ცარიელი ტომარა ამოავსეს იმით, რადაც იქ-

ცა გარეგნული მეცნიერება. ამდენად, XVII საუკუნეში ეს ჯერ კიდევ ცოტა იყო. იმ დროს დუღილსა და მსგავს პროცესებზე გაურკვეველი წარმოდგენები ჰქონდათ. ახლა ისინი ადამიანში შეაჩოჩეს. XVII საუკუნეში ეს იყო ე. წ. *იატროქიმიური** (Jatrochemishce) სკოლა.

იატროქიმიკოსებთან მიმართებაში ნათქვამია, რომ მათ ჯერ კიდევ აქვთ თავიანთ წარმოდგენებში რაღაც პატარა ჩრდილების მსგავსი წვენებზე უძველესი სწავლებისა, რომელიც ეფუძნება შინაგან განცდას. თუმცა სხვებს, რომლებიც ამ იატროქიმიკოსების მეტ-ნაკლებად თანამედროვენი იყვნენ, უკვე საერთოდ არ ჰქონდათ ასეთი ჩრდილოვანი წარმოდგენებიც და ისინი ადამიანის განხილვას იწყებდნენ ისე, როგორც ის გამოიყურება დაახლოებით, როცა ჩვენ გადავშლით თანამედროვე ანატომიის წიგნს. ასეთ წიგნში ადამიანი წარმოდგენილია შემდეგი სახით: ჩემ წინაშეა ძვლის სისტემა, ღვიძლი, გული, თირკმელი და შემდეგ ის, ვინც ამას უყურებს, უნებლიედ იღებს შთაბეჭდილებას, თითქოს ეს არის მთლიანი ადამიანი და ის შედგება მეტად და ნაკლებად მყარი ორგანოებისაგან მკაფიო კონტურებით. გარკვეული მიმართებით აქ კონტურები ნამდვილად არსებობს. მაგრამ მყარი, – უძველესი თვალსაზრისით ამბობდნენ – მიწიერი, – ხომ ადამიანის მხოლოდ მეათედ ნაწილს წარმოადგენს და არა უმეტეს. დანარჩენში ადამიანი – ეს არის სითხის სვეტი. ნამდვილად არა უწყებაში, არამედ განხილვის მეთოდებში თანდათანობით მთლიანად დაივიწყეს ის, რომ ადამიანი წარმოადგენს სითხის სვეტს და სითხის ამ სვეტში წარმოიქმნებიან ეს ორგანოები მყარი კონტურებით, რომლებიც უბრალოდ დაცურავენ შიგნით და რომლებსაც დღეს უბრალოდ ხატავენ, რომლის წყალობითაც ეს, უპირველეს ყოვლისა, დილეტანტებში იწვევს წარმოდგენას, თითქოს ამათ ესმოდეთ ადამიანი. ამას თქვენ დაინახავთ, როცა დაათვალიერებთ ანატომიური ატლასის დღევანდელ გამოსახულებას, მაგრამ ეს მცდარი გამოსახულებაა. ეს ადამიანის მხოლოდ მეათედი ნაწილია. საჭირო იყო, გამოეხატათ სხვა ადამიანი, როცა სხვადასხვა სახით დახატავდნენ ამ წარმონაქმნებში, ღვიძლში, თირკმელში და ა. შ., წვენების უწყვეტ ნაკადს, წვენების რაღაც ურთიერთქმედებას, რაღაც ქმედებას ერთიმეორეში. სრულიად მცდარ წარმოდგენას იქმნიან

ნახ. 15.

იმაზე, არსებითად ეს როგორ ხდება, ვინაიდან განსაზღვრული სახით უფრო მეტად განიხილავენ მხოლოდ ადამიანის მყარად შემოსაზღვრულ ორგანოებს. (იხ. ნახ. 15) და მოხდა ისე, რომ XIX საუკუნეში ადამიანები უაღრესად გაკვირვებულები იყვნენ, რომ, თუ ადამიანი სვამს, მაგ., პირველ ჭიქა წყალს, – ახლა მე ვისაუბრებ წყალზე, – მაშინ ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის მთლიანად გაივლის ადამიანს და ყველგან გადამუშავდება მისი ორგანოებით ისე, როგორც აღიქმება. მაგრამ თუ ის სვამს მეორე, მესამე ჭიქა წყალს, მაშინ ეს სრულებითაც არ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ესეც იმავე მეთოდით გადამუშავდება. ამ მოვლენებს მაშინაც ამჩნევდნენ, მაგრამ მათი ახსნა არ შეეძლოთ, ვინაიდან მიიღეს სრულიად მცდარი წარმოდგენა, თუ შეიძლება ასე გამოვხატო, თხევად ადამიანზე, რომელშიც ეთერული სხეული იყო მოძრაობაში მომყვანი არსება, რომელიც ურევს და ყოფს სითხეებს და წარმოადგენს ადამიანში ორგანული ქიმიის არსებობის მიზეზს.

ამდენად, XVII საუკუნეში თანდათანობით ნამდვილად დაიწყეს ამ თხევადი ადამიანის სრული იგნორირება და იწყება მხოლოდ მყარად შემოსაზღვრული ნაწილების განხილვა. ამის წყალობით თანდათანობით მოხდა ისე, რომ ადამიანს უყურებდნენ, როგორც მყარი ნაწილების რაღაც კავშირს. აქ, მყარით შემოსაზღვრული ნაწილების ამ სამყაროს ფარგლებში ყველაფერი მიმდინარეობს მექანიკური წესრიგით. აქ ერთი ურტყამს მეორეს; ეს მოძრაობს; აქ საგ-

ნები გადაიქაჩება, ისინი მოქმედებენ შემწოვი ან საქაჩი ტუმბოებივით. ამდენად, ადამიანის სხეულს განიხილავენ მექანიკურად, როგორც რაღაც სხეულს, რომელიც არსებობს მხოლოდ თავისი მკაცრად შემოსაზღვრული მყარი ორგანოების კავშირის წყალობით. შემდეგ იატროქიმიური შეხედულებიდან, არსებითად უკვე მასთან ერთდროულად, წარმოიქმნა *იატრომექანიკური* და *იატრომათემატიკური** შეხედულებები. მაშინ განსაკუთრებით ყვაოდა, ცხადია, ისეთი შეხედულება, რომლის მიხედვით გული თითქოსდა ნამდვილად წარმოადგენს ტუმბოს, რომელიც ტუმბავს სისხლს სხეულში, – სწორედაც რომ მექანიკურად, – ვინაიდან უკვე არ იცოდნენ, რომ ადამიანის შინაგან წვენებს აქვთ შინაგანი ცხოვრება, რომ წვენები, შესაბამისად, მოძრაობენ თავისთავად, რომ გული წარმოადგენს მხოლოდ გრძნობის ორგანოს, რათა წვენების ეს მოძრაობა თავის არსში აღიქვას. ამდენად, გადააბრუნეს ყველა მოვლენა და უკვე აღარ უყურებდნენ წვენების მოძრაობას, ამ მოძრაობის შინაგან სიცოცხლისუნარიანობას, ეთერულ სხეულს, რომელიც აქ შიგნით მოქმედებს, გული კი იქცა მექანიკურ აპარატად, რაც, არსებითად, დღეს ჯერ კიდევ არსებობს ე. წ. ფიზიოლოგებისა და ექიმების უმრავლესობისთვის.

Iatrochemische Schule - იატროქმიური სკოლა
Iatromechanishe Schule - იატრომექანიკური სკოლა
Stahl: Lebenskraft - შტაალი: სასიცოცხლო ძალა
Dynamische Schule - დინამიკური სკოლა

ამდენად, იატროქიმიკოსებს ჯერ კიდევ ჰქონდათ რაღაც ცოდნისმაგვარი ეთერულ სხეულზე. გალენის მიერ გამოთქმულში ჯერ კიდევ მთლიანად არსებობდა ეთერული სხეულის სრული გაცნობიერება. ხოლო იმაში, რასაც ამბობდნენ, მაგ., ჰელმონტი ან პარაცელსი, სახეზეა ეთერული სხეულის ჩრდილოვანი გაცნობიერება; კიდევ უფრო ჩრდილოვანია ეს ოფიციალურ იატროქიმიკოსებთან, რომლებიც აარსებდნენ სკოლებს. ხოლო იატრომექანიკოსებთან უკვე საერთოდ არანაირი გაგება არ არსებობდა ამ ეთერულ სხეულზე. აქ გაქრა ყველანაირი წარმოდგენა ეთერულ სხეულზე და ადამიანი წარმოედგინათ, როგორც მხოლოდ ფიზიკური სხეული, მაგრამ მის მხოლოდ მყარ შემადგენელ ნაწილებთან შესაბამისობაში, რომელთაც ახლა უკვე განიხილავდნენ ფიზიკის

დახმარებით, რომელიც ასევე ამოაგდეს ადამიანისგან და შესაბამისად, იყენებდნენ გარეგნულად უკვე ვერ ამოხსნილი ადამიანის მიმართ. თავიდან ადამიანი გადააქციეს ცარიელ ტომრად, – მინდა, კიდევ ერთხელ გამოვიყენო ეს მაგალითი, – და აბსტრაქტული სახით დააფუძნეს გარედან ფიზიკა, ახლა კი ამ ფიზიკას უკანვე ისვრიან ადამიანში. ამდენად, ადამიანი მიიღეს არა ცოცხალ არსებად, არამედ – თეორიებით ავსებულ ცარიელ ტომარად.

ასეა ეს ჯერ კიდევ დღესაც. ვინაიდან ის, რასაც დღეს გვიყვება ადამიანის შესახებ ფიზიოლოგია ან ანატომია, ეს ხომ ადამიანი არ არის, ეს არის ადამიანისგან ჩამოშორებული ფიზიკა – ხელახლა გადაკეთებული და კვლავ ჩატენილი ადამიანში. როდესაც ასე შინაგანად და სწორად განიხილავ განვითარებას, მაშინ დაინახავ, როგორ მოქმედებს აქ ბედისწერა. როგორც ზემოთ ითქვა, იატროქიმიკოსებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ჩრდილოვანი ცნობიერება ეთერულ სხეულზე, იატრომექანიკოსებს კი ამაზე – საერთოდ არაფერი. აქ საჭიროა ვისაუბროთ – *შტაალზე**. სინამდვილეში, ის იყო ძალზე გონიერი ადამიანი, თუ მხედველობაში მიიღებ მის ეპოქას. როგორც ჩანს, იგი იხედებოდა იატროქიმიკოსებისკენ. დღეილის ეს შინაგანი პროცესები მას არასაკმარისი მოეჩვენა, ვინაიდან მათ ხომ ასევე მხოლოდ ხელახლა გადააქვთ ადამიანურ ტომარაში გარეთ გამოგდებული ქიმია. მით უმეტეს იატრომექანიკოსები, ვინაიდან მათ ადამიანურ ტომარაში გადააქვთ მხოლოდ გარეგნული მექანიკური ფიზიკა. ეთერულ სხეულთან, როგორც წვენების მამოძრავებელ ძალასთან მიმართებით მეტად აღარაფერი არსებობდა, არანაირი ტრადიცია. ამაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არ არსებობდა. რა გააკეთა შტაალმა XVII-XVIII საუკუნეებში? ვინაიდან ტრადიციაში უკვე აღარაფერი არსებობდა, მან რაღაც მოიფიქრა, რაღაცა გამოიგონა. მან საკუთარ თავს უთხრა: ის, რაც ხდება ადამიანში ფიზიკური და ქიმიური პროცესების სახით, რეალურად მაინც შეუძლებელია აიგოს ამ ფიზიკასა და ქიმიაზე, რომლებსაც ახლა აღიარებენ აქ გარეგნული სამყაროსთვის. მაგრამ მას არ ჰქონდა რაიმე სხვა, რასაც ადამიანში შეიყვანდა. ასე მოიფიქრა მან ის, რასაც უწოდა „სასიცოცხლო ძალა“. ამის შედეგად მან ჩამოაყალიბა დინამიკური სკოლა. ამდენად, ეს იყო მომდევნო გა-

მოგონება უკვე დაკარგულის სანაცვლოდ. შტაალი ფაქ-ტობრივად ჯერ კიდევ აღვსილი იყო გარკვეული ინსტინ-ქტით. მას რაღაც აკლდა. რამდენადაც მას ეს არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში მან გამოიგონა ეს: სასიცოცხლო ძალა. XIX საუკუნე შეეცადა, კვლავ მოეპოვებინა ეს სასიცოცხლო ძალა. ის ხომ სინამდვილეში სულაც არ იყო რაღაც გამონა-გონი და, ამდენად, კვლავ მოუხმეს მთელ ძალისხმევას, რომ ჩასწვდომოდნენ ამ სასიცოცხლო ძალას.

ამდენად, ფაქტობრივად ხდება ისეთი რამ, რომ ამ ცარი-ელ ტომარაში, „ადამიანში“, კვლავ ცდილობენ, შეიტანონ რაღაც, რაც როგორღაც მოერგება. ასე მივიდნენ იქამდე, რომ საკუთარ თავს უთხრან: ჩვენ გვაქვს მექანიკური. მანქა-ნა კი როგორ მოძრაობს და რეაგირებს, ეს ცნობილია. ამ-დენად, ადამიანის ცარიელ ტომარაში დგამდნენ მანქანას: იხ. *ლა მეტრიეს** „ადამიანი მანქანა“. ადამიანი არის მანქა-ნა. XVIII საუკუნის მატერიალიზმი ან უშუალოდ მექანი-ციზმი დაახლოებით ისეთია, როგორც *ჰოლბახის** „ბუნების სისტემა“-ში, რომელსაც გოეთე თავისი ახალგაზრდობის წლებში ასე ძალიან ვერ იტანდა; ჰოლბახი უძლურია, მიე-ახლოს ადამიანის არსს იმით, რაც გარეგნულ ბუნებაში უკვე იმ დროს და მოგვიანებით ასეთ ეფექტს ახდენდა. XIX საუკუნე კი ჯერ კიდევ შეპყრობილი იყო ამ უღონობით: ადამიანთან მიახლოება არ შეეძლოთ.

და მაინც, მოუნდათ, როგორღაც რაიმეთი წარმოედგინათ ადამიანი. ასეთი მიგნებით მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამია-ნი წარმოედგინათ, როგორც მაღალგანვითარებული ცხოვე-ლი. თუმცა, ცხოველიც ასევე არ ესმოდათ, ვინაიდან პნევმა-ტოლოგიის გამორიცხვით, ახლა ცხოველის გასაგებად იყე-ნებდნენ ასევე ძველი აზრით ფიზიკას, ქიმიას და ფსიქოლო-გიას. ის, რაც ასევე საჭიროა ცხოველისთვის, თუ გსურს მი-სი გაგება, ამას ჯერჯერობით ვერ ამჩნევდნენ. რაღაცას მა-ინც ხომ ითვალისწინებ, განა ასე არაა? ასეთი სახით მიიყვა-ნეს ადამიანი ადრე, XVIII საუკუნეში, მანქანასთან, ხოლო XIX საუკუნეში – ცხოველთან. ამ ყველაფრის წვდომა ისტო-რიულად შესაძლებელია. კაცობრიობის მთელი განვითარების მსვლელობისას ამას აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა, ვინაი-დან ადამიანის არსების ამ უცოდინრობის გავლენით წარმო-იქმნენ თანამედროვე შეგრძნებები ადამიანთან დაკავშირებით.

თუ დარჩებოდა უძველესი შეხედულებები შინაგან ფიზიკაზე, შინაგან ქიმიაზე, ფსიქოლოგიასა და პნევმატოლოგიაზე, რომლებიც ადამიანის მიერ განიცდება თავად მის გარეთ, მაშინ კაცობრიობის განვითარებაში არასდროს გამოიღვიძებდა, მაგ, თავისუფლების განცდა. ადამიანს თავისი თავი უნდა დაეკარგა ელემენტარული არსების სახით, რომ ეპოვა საკუთარი თავი თავისუფალი არსების სახით. იგი ამას შეძლებდა, თუ რაღაც დროით გარკვეულ დონეზე უარს იტყოდა საკუთარ თავზე და თუკი უკვე აღარ იქნებოდა დაკავებული საკუთარი თავით, არამედ საქმე ექნებოდა გარეგნულთან, როცა დაამტკიცებდა თეორიას საკუთარ თავზე და შეიტანდა საკუთარ თავს იმაში, რაც ასე კარგად მიესადაგა გარე სამყაროს გაგებას. ამ შუალედურ დროში, რომელშიც ადამიანი მთლიანად თავის თავს არის მინდობილი, რომ განავითაროს რაღაც ისეთი, როგორიცაა თავისუფლების შეგრძნება, სწორედ ამ შუალედურ დროში განავითარა ადამიანმა საბუნებისმეტყველო წარმოდგენები; ის წარმოდგენები, შეიძლება ითქვას, ისეთი ძლიერი და საიმედოა, რომ შეუძლიათ გარეგნული ბუნების წვდომა, მაგრამ ამავე დროს უხეშები ადამიანის არსებისთვის, ვინაიდან მან ძალისხმევა არ მოახმარა მათ სრულყოფილებას ისე, რომ მათი დახმარებით ადამიანსაც ჩასწვდომოდა. წარმოიქმნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენები, რომლებიც კარგად მიესადაგა ბუნებას და ზეიმობენ თავიანთ უდიდეს ტრიუმფს, მაგრამ გამოუსადეგარია საკუთარ თავში ადამიანის არსის მიღებისთვის.

აქედან თქვენ ასევე ხედავთ, რომ მე არ ვაკრიტიკებ ბუნებისმეტყველებას, არამედ მსურს, მხოლოდ დავახასიათო. ვინაიდან ადამიანი საკუთარი თავისუფლების სრულ გაცნობიერებამდე მიდის სწორედ იმის წყალობით, რომ იგი უკვე აღარ არის დამძიმებული იმ ყველაფრით, რითაც იგი იქნებოდა დამძიმებული, თუ არსებითად, ჯერ კიდევ იქნებოდა თავის თავში ყველა ამ თვისების მატარებელი. თავისუფლების ეს განცდა ადამიანთან მოვიდა, როცა იგი აგებდა რაღაც მეცნიერებას, რომელიც თავისი ძალით გამოსადეგი იყო მხოლოდ გარეგნული ბუნებისთვის და მაინც ის ახლა უკვე აღარ წარმოადგენს ტოტალურს, – ახლა თქვენ, ცხადია, კვლავ შეიძლება მოისმინოთ კრიტიკა, – და არაა გამოსადეგი ადამიანისთვის, ის უფრო მეტად

გამოსადეგია, არსებითად, მხოლოდ ფიზიკისთვის, ხოლო ქიმიაში ეს უკვე ძნელია, საკუთრივ ფსიქოლოგია კი მთლიანად აბსტრაქტული ხდება. ადამიანს უნდა ევლო ამ-გვარად მიმდინარე ეპოქების გავლით, რომ მისულიყო სწორედ სრულიად სხვა მხარეს, თავისუფლების გაცნობი-ერების მხარეს, სამყაროს ინდივიდუალურად გამოკვეთილი მორალური აღქმისკენ. ახალ ეპოქაში შესაძლოა ვერ გაი-გო ბუნებისმეტყველების წარმოქმნა, თუ განიხილავ მხო-ლოდ ცალმხრივად, თუკი მას განიხილავ არა როგორც პა-რალელურ მოვლენას იმ ეპოქაში, როცა უკვე თავი იჩინა ადამიანის თავისუფლების გაცნობიერების პროცესმა და ყოველივე იმან, რაც მორალურად და რელიგიურად უკავ-შირდება თავისუფლების ამ გაცნობიერებას.

აქედან ჩვენ ვხედავთ, როგორ გახდა ისეთი ადამიანე-ბის, როგორიცაა, *ჰობსი** ან ბეკონი, რომლებსაც თავში მოუვიდათ ბუნებისმეტყველების იდეა, ხვედრი იმის შესაძ-ლებლობა, – წაიკითხეთ ამის შესახებ ჰობსთან, – რომ ადამიანი ჩაერთოთ იმაში, რასაც წარმოადგენს სული და სამშვინველი სამყაროში. ჰობსთან ხდება ისე, რომ იგი, ერთი მხრივ, მე ვიტყოდი, ყველაზე რადიკალური სახით უკვე ჩანასახში ქმნის საბუნებისმეტყველო წარმოდგენებს და, მეორე მხრივ, ასევე ადამიანის სოციალური ცხოვრები-დან ამოაგდებს მთელ სულიერს, გეგმავს ომს ყველას წი-ნააღმდეგ, ანუ არ აღიარებს რაიმე სავალდებულოს, რაც სოციალურ ცხოვრებაში რომელიმე ზეგრძნობადისგან მო-მდინარეობს, ამიტომ იგი რამდენადმე კარიკატურული ფორმით, არსებითად, პირველად თეორიულად საუბრობს თავისუფლების გაცნობიერებაზე.

დიახ, კაცობრიობის განვითარება სრულებითაც არ არის სწორხაზოვანი. აუცილებელია ერთმანეთის გვერდი-გვერდ მიმდინარე ნაკადების განხილვა და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ადამიანის ისტორიული განვითარების არსისა და მნიშვნელობის წვდომა.

მეცხრე მოხსენება
დორნახი, 1923 წლის 6 იანვარი

თავად საკითხის ბუნებაში ძევს, რომ ამ ციკლის მოხსენებების თემა სინამდვილეში ამოუწურავია და ისინი შეიძლება გაფართოვდეს და, უპირველეს ყოვლისა, გაღრმავდეს. სამწუხაროდ, რამდენადაც საჭიროა ოდესმე მაინც დასრულდეს, ამიტომ აუცილებელია, შემოვიფარგლოთ სახელმძღვანელო მითითებებითა და მინიშნებებით. ამიტომ მე დღესაც, ცხადია, შემიძლია მხოლოდ შევავსო უკვე მოცემული ზეპირი სახელმძღვანელო მითითებები და მინიშნებები, რომ გარკვეული თვალსაზრისით დავასრულო სურათი.

ჩვენ თუ ერთხელ კიდევ თვალს შევავლებთ ადამიანის არსებას, როგორადაც ის შეიძლება წარმოჩნდეს ჩვენ წინაშე სულისმეცნიერული კვლევით, მაშინ უნდა ვთქვათ: ჩვენ ვანაწევრებთ ადამიანს მის ფიზიკურ სხეულად, ეთერულ ანუ ფორმაქმნად ძალთა სხეულად, ასტრალურ სხეულად, რომელიც წარმოადგენს, არსებითად, შინაგან-მშვინვიერს და „მე“-ორგანიზაციად. ამის შესახებ გავარკვიოთ, რომ ფიზიკური სხეული, არსებითად, ცხოვრობს მხოლოდ ადამიანური ორგანიზაციის იმ უმცირეს ნაწილში, რომელიც შეიძლება აღინიშნოს, როგორც მყარი, მკაფიოდ შემოსაზღვრული, და პირიქით, ყოველივე ის, რაც წარმოადგენს წვენს, წვენის მაგვარს, რაც წარმოადგენს თხევადს ადამიანურ ორგანიზმში, უკვე ისეა მოცემული ეთერული ანუ ფორმაქმნად ძალთა სხეულით, რომ ის არის მუდმივ შერევაში, შრეებად დაშლაში, ქიმიურ შეერთებაში, ქიმიურ გახსნაში, მუდმივ დინებაში, მაგრამ დინებებში, რომლებიც ასევე გამოწვეულია სწორედ შერევის, შრეებად დაშლის, გახსნისა და შეერთების წყალობით. გარდა ამისა, გავარკვიოთ, რომ ამ ადამიანური ორგანიზაციის შიგნით არსებობს გაზისებრი, ჰაერისმაგვარი რამ, როგორც ის, რაც ძევს, მაგ., ჟანგბადისა და უშუალოდ სხვა გაზისებრი სხეულების მოქმედებაში. თუმცა შიგნით მოქმედებს ასტრალური ორგანიზაცია. და ბოლოს, იმ ყველაფერში, რაც ადამიანში წარმოადგენს სითბურს, მოქმედებს „მე“-ორგანიზაცია. მაგრამ ეს არ არის ისეთი რამ, რომ ახლა ჩემ მიერ ნათქვამი განვიხილოთ სქემატურად, არამედ აუცილებელია, გავარკვიოთ

იმის წყალობით, რომ, მაგ., მთელი წვენისმაგვარი ან თხევადი ავსებულია ფორმაქმნად ძალთა სხეულით, იგი ასევე მოიცავს მყარს და რომ ადამიანურ ორგანიზაციაში ყველაფერი არსებობს შინაგან ურთიერთქმედებაში, ურთიერთგანმსჭვალავ თამაშში. ყოველთვის აუცილებელია ამის გაცნობიერება. შემდეგ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ეს ადამიანური ორგანიზაცია კაცობრიობის განვითარების მსვლელობისას სხვადასხვა სახით განიცდებოდა. უმთავრესად სწორედ ეს წარმოვადგინეთ ჩვენი მზერის წინაშე ამ მოხსენებების დროს.

დღეს რაც დავახასიათეთ, მაგ., გარეგნული ფიზიკისა თუ მექანიკის სახით, ამას, თავდაპირველად მიაღწეს ფიზიკური სხეულის შინაგანი განცდის მეშვეობით, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი თანამედროვე ფიზიკა შეიცავს გამონათქვამებს, რომლებიც წარმოიქმნენ იმის გამო, რომ თავდაპირველად ეს იყო შინაგანი, ფიზიკური სხეულის ფიზიკით განცდილი და რაც ადამიანისგან, როგორც უკვე არაერთხელ ვთქვით, გამოაგდეს და ამიერიდან ფიგურირებს მხოლოდ გარეგნული ბუნების დამკვირვებელი ფიზიკის სახით. ზუსტად ასევე ოდესღაც, თვით დეკადანსისას, ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ალქიმიკოსების დროს, ეს იყო იმაში, რაც ადამიანის შიგნით ეთერული სხეულის წყალობით ცხოვრობს. სადაც ადამიანში მოქმედებას იწყებს ეთერული სხეული, იქ ადგილი აქვს წვენების იმ პროცესს, იმ თხევად პროცესს, რომელსაც ოდესღაც განიცდიდნენ, ახლა კი ჯერ კიდევ მხოლოდ გამოანათებს ყველანაირი შესაძლო ფანტასტიკურ-ალქიმიური ცოდნის მეშვეობით, რომელსაც ადამიანები პოულობენ უძველეს თხზულებებში – თავდაპირველ გასულიერებულად დამუშავებულ მეცნიერებაში და რომლებიც შინაგანად განიცდებოდნენ ადამიანის ეთერული ორგანიზაციის შიგნით. ეს მხოლოდ ჩამოშორების გზის დასაწყისია, ვინაიდან ჩვენ, არსებითად, ჯერ კიდევ არა გვაქვს მთლიანად განვითარებული ქიმია. მაგრამ გვაქვს სამყაროში უამრავი ქიმიური პროცესი, რომელთა გაგებასაც ვცდილობთ, ან რომელთა გაგებასაც ცდილობს მეცნიერება, თუმცა ფიზიკურ-მექანიკური მეთოდით.

ამით ჩვენ ამოვწურეთ ის, რომ ადამიანი საკუთარი ორგანიზაციის მეშვეობით ჯერ განიცდიდა შიგნით, ხოლო

შემდეგ გამოაგდებდა გარეთ. არსებითად, გარეთ გამოგდების ამ პროცესში განვითარდა ყველაფერი – ასტრონომიიდან თანამედროვე ქიმიის მწირ საფუძვლებამდე. სამაგიეროდ, უძველეს დროებში ის, რასაც ჩვენ გამოვხატავთ აბსტრაქტული ფსიქოლოგიის შინაარსის სახით, რაც, არსებითად, უკვე არ წარმოადგენს ადამიანებისთვის რაიმე რეალობას, – აზროვნება, მგრძნობელობა და სურვილები, – ამას ოდესღაც განიცდიდნენ ისე, რომ განიცდიდნენ არა უშუალოდ ადამიანში, არამედ მშვინვიერის განცდისას ადამიანი თავს გრძნობდა გარემოში საკუთარი თავის გარეთ სამყაროსთან ერთად. ამდენად, სწორედ სხეულებრივს განიცდიდნენ ოდესღაც შინაგანში; მშვინვიერს განიცდიდნენ, როცა გამოდიოდნენ საკუთარი თავიდან, განიცდიდნენ რა გარედან სამყაროსთან ერთად. ასე რომ, ფსიქოლოგია ოდესღაც იყო მეცნიერება იმაზე სამყაროში, რაც ადამიანზე მოქმედებს ისე, რომ იგი თავად წარმოჩნდება საკუთარი თავის წინაშე მშვინვიერ არსებად. იმის შედეგად, რომ ეს მშვინვიერი არსება ადამიანში შევიდა გარე სამყაროს განცდასთან ერთად, მაშინ, როცა ფიზიკა და ქიმია ჩამოაცილეს, ადამიანში შეიტანეს ფსიქოლოგია და პნევმატოლოგია, რაზეც ახლა ვისაუბრებ, დაკარგეს თავიანთი რეალობა, გადაიქცნენ შიშველ სუბიექტურ აღქმებად და ამის მსგავსი, რომელთაგანაც უკვე ვეღარ გათავისუფლდები. ამდენად, ის, რასაც ადამიანი განიცდის სამყაროსთან ერთად თავისივე ასტრალური სხეულის მეშვეობით, რომელიც ასევე *გამოდის მისგან ძილში*,* ახლა ეს ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს. ის, რასაც ადამიანი ოდესღაც სულის სახით განიცდიდა სამყაროსთან ერთად მის სრულ გარემოცვაში, ეს მაშინ იყო პნევმატოლოგია. დღეს ეს, როგორც უკვე ვთქვი, დაიყვანეს „მე“-ს ცარიელ წარმოდგენამდე და ან, არსებითად, მხოლოდ „მე“-ს შეგრძნებამდე. ამიტომ, დღეს ჩვენ გვაქვს, ერთი მხრივ, გარეგნულ ბუნებაზე მეცნიერების სახით ის, რაც ოდესღაც იყო შინაგანი განცდა, ხოლო ადამიანის შინაგან განცდაზე მეცნიერების სახით ჩვენ გვაქვს ის, რაც იყო გარეგნული განცდა. ანუ ის, რაც დღეს არის გარეგნული მეცნიერება, ოდესღაც იყო შინაგანი განცდა, თუნდაც სხეულებრივი, განცდილი სხეულში, მაგ., განცდილი საკუთარ მოძრაობაში, მაშინ, როცა დღეს მოძრაობას

მხოლოდ გარეგნულად აღწერენ. სამაგიეროდ ის, რასაც დღეს განიხილავენ მხოლოდ, როგორც შინაგანს: შეგრძნებებს, აზრებს, აღქმებს – ამას ოდესღაც *განიცდიდნენ გარედან სამყაროსთან** ერთიანობაში. სწორედ ეს არის *ფსიქოლოგია და პნევმატოლოგია**.

ახლა ჩვენი მზერის წინაშე უნდა დავაყენოთ ის, რაც არსებითად აუცილებელია, ერთი მხრივ, ფიზიკასა და ქიმიაში, მეორე მხრივ კი, ფსიქოლოგიასა და პნევმატოლოგიაში, რამდენადაც გვმართებს მათი წარმართვა წინ გაცნობიერებულად – ვინაიდან დღეს ადამიანი არსებობს ცნობიერი სამშვინველის განვითარების ეპოქაში. ავიღოთ, მაგ., ფიზიკა, რომელიც ჩვენს დროში მეტწილად იქცა აბსტრაქტულ-მექანიკურად. ამდენად, ჩემ მიერ შემოთავაზებული განხილვიდან გამომდინარეობს, რომ ახალ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ეპოქაში განხილვის მეთოდი, სინამდვილეში, თავს გრძნობდა სულ უფრო მეტად და მეტად შეზღუდულად, თავის შინაარსად ექცია ფიზიკურად წმინდა, სივრცეში განჭვრეტილი მექანიკა. გაიხსენეთ, რასაც ვამბობდი ბოლო მოხსენებაში: მოძრაობას ოდესღაც განიცდიდნენ შიგნით და მოძრაობაზე მსჯელობდნენ იმით, რაც განიცადეს შინაგანად მოძრაობის სახით, განიხილავდნენ ვარდნილ ქვას და მოძრაობის საკუთარ შინაგან იმპულსს განიცდიდნენ საკუთარ ადამიანურ შინაგანში, კერძოდ, ფიზიკურ სხეულში. აქედან წარმოიქმნა იდეა, გამოგდებისას პირველ წამში გაეზომათ ვარდნის სივრცე. ეს არის ის, რისი ჩადებაც ხდება ჩვენს ყველა წარმოდგენაში ბუნებაზე: უბრალოდ საჭიროა ჭვრეტის მეშვეობით წარმოვიდგინოთ ის, რაც არის რეალური.



ნახ. 16

მაინც რისი განჭვრეტა შეიძლება გარე სამყაროში? შეიძლება მოძრაობის, ადგილის ცვლილების ჭვრეტა. როგორც წესი, სიჩქარე ხომ ქრება რაღაც წარმოებულში, იქ, სადაც შეგვიძლია მას საშუალება მივცეთ საკმაოდ სასიამოვნოდ გაქრეს. ის, რისი დაკვირვებაც შეგვიძლია – ეს

არის მოძრაობა, სიჩქარეს კი გამოვხატავთ ამ მოძრაობის მეშვეობით ერთ წამში, ანუ სივრცობრივის მეშვეობით. თუმცა ასეთი სახით ჩვენ საკუთარი განცდით მთლიანად ვტოვებთ ბუნებრივ სხეულს. ჩვენ არაფერი გვაქვს შიგნით, როცა *განვიხილავთ* მხოლოდ მის მოძრაობას, ანუ მისი ადგილის ცვლილებას *სივრცეში**. ჩვენ კვლავ შევალთ, თუ, ცხადია, ვიპოვით საშუალებას და გზებს შინაგანად ასევე ჩავწვდეთ სივრცობრივ სხეულს, ფიზიკურ სხეულს, იმავე მეთოდის გაგრძელებით, რომლის წყალობითაც დავტოვეთ. შემდეგ ჩვენ ცარიელი მოძრაობის, სივრცეში ადგილის შეცვლის მაგივრად საჭიროა სიჩქარე განვიხილოთ სხეულის შიგნით, როგორც ის, რაც დამახასიათებელია სხეულებისთვის ისე, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, როგორია სხეული შინაგანად, ვინაიდან ჩვენ სიჩქარეს აღმოვაჩენთ ჩვენშიც, როცა კვლავ გადავავლებთ თვალს საკუთარ თავს.

შესაბამისად, აუცილებელია ბუნებისმეტყველების განვითარების მიმართულება გარეგნული ფიზიკური სამყაროსთვის გავაგრძელოთ იმ სულისკვეთებით, რომ მოძრაობის ცვლილებიდან, სივრცეში ადგილის ცვლილებიდან გადავიდეთ სიჩქარის დახასიათებისკენ, რომელსაც აქვს ცალკე სხეული. ანუ ჩვენ მოძრაობიდან უნდა გადავიდეთ სიჩქარისკენ. ამის წყალობით ჩვენ შევალთ რეალობაში, სინამდვილეში. როცა ვხედავთ როგორ იცვლება სხეულის ადგილი სივრცეში, ჩვენ არ შევდივართ რეალობაში, სინამდვილეში. როდესაც ვიცით, რომ სხეული ფლობს სიჩქარის შინაგან იმპულსს, მაშინ ეს არის რაღაც ისეთი, რაც ძევს ამ სხეულის ან სხეულის ნაწილის არსში და ა. შ. ჩვენ საერთოდ არაფერს ვამბობთ სხეულის შესახებ, როცა ვსაუბრობთ მისი ადგილის ცვლილებაზე, მაგრამ რაღაცას გამოვთქვამთ სხეულზე, როცა ვამბობთ: მას აქვს თავის თავში საკუთარი სიჩქარის იმპულსი. ასეთ შემთხვევაში ეს მის თვისებას წარმოადგენს და მისსავე არსს ეკუთვნის. ამის გარკვევა თქვენ შეგიძლიათ ტრივიალური სახით. როცა მე ვხედავ მოსიარულე ადამიანს, მაშინ მე მასზე არაფერი ვიცი. მაგრამ, როცა მე ვიცი, რომ მას აქვს ძლიერი განზრახვა იმოძრაოს სწრაფად, მაშინ მის შესახებ რაღაცა ვიცი. ზუსტად ასევე მე მის შესახებ რაღაცა ვიცი, თუ ჩემთვის ცნობილია, რომ მას აქვს განზრახვა იმოძრაოს ნელა.

ამდენად, მე უნდა მქონდეს შესაძლებლობა საკუთარ წარმოდგენებში აღვიქვა რაიმე, რასაც მნიშვნელობა აქვს სხეულის შინაგანში. არც ისე მნიშვნელოვანია, მაგ., საუბრობს თუ არა თანამედროვე ფიზიკა ატომებზე, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ატომებზე საუბრისას მან დაინახოს ეს ატომები, როგორც აჩქარების დასაწყისი. ეს არსებითია.

ახლა კი იბადება კითხვა: როგორ მიდიხარ ასეთ ჭვრეტამდე? ყველაზე უკეთ ამის განხილვა შესაძლებელია ფიზიკაში, ქიმია კი დღეს არც ისე შორსაა ამისგან. როგორ მიდიხარ ასეთ ჭვრეტამდე? დიახ, თქვენ ხედავთ, რომ ახლა აქ აუცილებელია გაერკვე, არსებითად, რას ახორციელებ, როცა ფიქრობ შინაგანად განცდილი მექანიკისა და ფიზიკის გამოგდებაზე გარეგნულ სივრცეში. ამას აკეთებ, რათა საკუთარ თავს უთხრა: სულერთია, თავისი არსით რა არსებობს გარეთ სივრცეში, ამიტომ მე ეს არ მაინტერესებს. მე ხომ ყოველთვის მხოლოდ იმას განვიხილავ, რაც გაზომვადია და შეიძლება გამოვიყენოთ მექანიკურ ფორმულებში, ანუ, მე უარს ვამბობ ყველა დანარჩენზე, რაც არ წარმოადგენს სწორედ მექანიკურს. – მაშინ რა გადაწყვეტილებას იღებ? შენ ცდილობ, შემეცნებაში განახორციელო იგივე პროცესი, რასაც ახორციელებს ადამიანი, როცა იგი კვდება, – ახლა მე ვგულისხმობ ფიზიკურ ადამიანს. გარდაცვალებისას მისგან გამოდის სიცოცხლე და რჩება მკვდარი ორგანიზმი. როდესაც ვიწყებ მექანიკურად ფიქრს, სიცოცხლე გამოდის ჩემი შემეცნებიდან. ასეთ შემთხვევაში მე მაქვს მეცნიერება მკვდარზე. აუცილებელია ამის ძირეულად და მკაფიოდ გაცნობიერება: მე მივდივარ სიკვდილზე. დიახ, უნდა შეგეძლოს კიდეც უთხრა საკუთარ თავს: თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში ეს არის უდიდესი რამ, რომ მან არაცნობიერად გადაწყვიტა, არ დაინახოს გარეგნულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ დარჩენილი რაღაც სიცოცხლე, როგორც ძველმა ალქიმიკოსებმა, არამედ უთხრას საკუთარ თავს: რასაც არ უნდა ეარსება აქ ყოველთვის მინერალებში, მცენარეებში, ცხოველებსა და ამის მსგავსში, უმთავრესად, მხოლოდ იმას განვიხილავ, რაც არის მკვდარი, ვინაიდან ვითვალისწინებ მხოლოდ წარმოდგენებსა და ცნე-

ბებს, რომლებიც გამოყენებადია მკვდართან. ამიტომ ჩვენი ფიზიკის ბუნება არის მკვდარი.

თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ბუნებისმეტყველება მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება მყარ საფუძველზე, თუ თავისთვის მთლიანად მკაფიოს გახდის იმას, რომ აზროვნების ამ მეთოდით იგი ჩასწვდება მკვდარს. ქიმიასთანაც ეს ამგვარადაა. დროის უკმარისობის გამო დღეს ამას დეტალურად ვერ შევეხები. მაგრამ იმის შედეგად, რომ ჩვენ ასეთი სახით განვიხილავთ მოძრაობას, ამასთან, უპირველეს ყოვლისა, ვკარგავთ სიჩქარეს და ამაზე ვაგებთ ფიზიკას, ჩვენ განვიხილავთ მკვდარს, ანუ არსებულის საბოლოო მდგომარეობას, რომელზეც ვავრცელებთ საკუთარ დაკვირვებას. ვინაიდან სიკვდილი, ბოლოს და ბოლოს, მოვა. ანუ, თუ ბუნებას განვიხილავთ თანამედროვე მექანიკისა და ფიზიკის დახმარებით, მაშინ უდავოდ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ განვიხილავთ გვამს.

ბუნება ყოველთვის არ იყო ასეთი. ოდესღაც ის სხვაგვარი იყო. თუ მე განვიხილავ გვამს, მაშინ სისულელეა ვარაუდი იმისა, რომ ის ყოველთვის ასეთი იყო. სწორედ ის, რომ მე ვაღიარებ მას, როგორც გვამს, მიდასტურებს იმას, რომ იგი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ოდესღაც არსებობდა. იმ მომენტში, როცა თქვენთვის ნათელი გახდება, რომ თქვენ *თანამედროვე მექანიკისა და ფიზიკის დახმარებით განიხილავთ** ბუნებას ისეთს, როგორიც ის არის, – ეს კი მისაღებია და კიდევ უფრო მეტად იქნება მისაღები, – შეძლებთ სულ უფრო მეტად გაერკვეთ: თანამედროვე ბუნება არის გვამი, რამდენადაც ეს დევს თანამედროვე ფიზიკის ცნებებსა და იდეებში. ამდენად, აქ განიხილება გვამი.

მაინც როგორ უნდა მიხვიდე არსების ამოსავალ მდგომარეობამდე? გვამი – ეს არის არსების საბოლოო მდგომარეობა. და მაინც – სად არის არსების ამოსავალ მდგომარეობამდე მისვლის შესაძლებლობა? დიახ, ჩემო ღრმად პატივცემულო მსმენელებო, არ არსებობს არანაირი შესაძლებლობა, მოძრაობის განხილვის მეშვეობით კვლავ იპოვოთ სიჩქარე. რაოდენ ყურადღებით არ უნდა დააკვირდეთ აქ წარმოქმნილს, თქვენ მას ვერ იპოვით, მაგრამ საჭიროა კვლავ მიუბრუნდეთ ადამიანს და იმ დროს, როცა ადრე იგი თავის თავს განიცდიდა შიგნიდან, ახლა განვიხილოთ

ადამიანი მის ფიზიკურ ორგანიზმთან მიმართებით გარედან და მივიდეთ იმ დასკვნამდენ, რომ არსების ამოსავალი საწყისი თქვენ გაქვთ ადამიანში და უპირატესად ქვედა ადამიანში. ანუ, ბუნების ამოსავალი მდგომარეობა თქვენ უნდა ეძიოთ აქ ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებში, ფიზიკურსა და ეთერულ ორგანიზაციებში.

ფიზიკა და ქიმია სხვაგვარად ვერანაირად დასრულდება, თუ არა ჭეშმარიტი ანთროპოლოგიის მეშვეობით. მაგრამ მე დაჟინებით მივაპყრობ თქვენს ყურადღებას იმას, რომ თქვენ ვერ მიაღწევთ ჭეშმარიტ ანთროპოლოგიას თანამედროვე ფიზიკური და ქიმიური მეთოდებით, რომელსაც ახლა ადამიანის მიმართ იყენებთ. ამის წყალობით თქვენ კვლავ გულისხმობთ ადამიანში მკვდარს და კვლავ მკვდრად აქცევთ ადამიანის ფიზიკურ სხეულს, შესაბამისად მის შინაგან ორგანიზაციას. ასეთ შემთხვევაში ადამიანში განიხილავთ მხოლოდ მკვდარს. აუცილებელია, გაიცნობიეროთ, რომ ადამიანში საჭიროა განიხილოთ ცოცხალი, ანუ არ გამოიყენოთ ადამიანური ბუნებისადმი სხვა მხრივ უკუ მიმართულებით ფიზიკური და ქიმიური მეთოდები. სწორედ ამისთვის არის საჭირო მეთოდები, რომელთა პოვნაც შეიძლება უშუალოდ სულისმეცნიერული კვლევის გზაზე. ანუ სულისმეცნიერული კვლევა ახორციელებს ბუნებისმეტყველების ისტორიულ მოთხოვნილებას.

ბუნებისმეტყველების ისტორიული მოთხოვნილება გამოიხატება სიტყვებში: ბუნებისმეტყველებამ მიზნად დაისახა, რომ ბუნებაში განიხილოს მკვდარი. გარდა ამისა, ანთროპოსოფიულმა სულისმეცნიერებამ ამ მკვდრისთვის უნდა იპოვოს საწყისი მდგომარეობა, რომელიც შენახულია მხოლოდ თავად ადამიანში და ოდესღაც სამყაროსა და დედამიწის განვითარების უძველეს ეპოქებში გარედანაც რეალური იყო. ოდესღაც არსებობდა სრულიად სხვა პროცესები, ბუნებრივი პროცესები, რომლებსაც ასევე ჰქონდათ თავის თავში საკუთარი საწყისი. მაგრამ ქვედა ადამიანში ჩვენ შენარჩუნებული გვაქვს საწყისი მდგომარეობები. თვით სატურნის მდგომარეობის ჩათვლით, აქ შეგვიძლია ვიპოვოთ ის, რაც არსებობდა დასაწყისში. ხედავთ, აქ უკვე ჩანს, რომ განხილვის ისტორიული მეთოდის გამოყენებას უბრალოდ გავყავართ თანამედროვე

ბუნებისმეტყველების მდგომარეობის ფარგლებს მიღმა. რატომ? ეს ხომ სრულიად ცხადია. ჩვენ ხომ განვითარების ეპოქის უშუალოდ შუაში ვიმყოფებით. ძალიან ბევრის მსგავსად ჩვენ თუ უბრალოდ განვიხილავთ დღევანდელ მეთოდს, როგორც უმაღლესს და არ ვიცით, რომ მოვლენათა ჭეშმარიტი მსვლელობა ითხოვს სრულიად სხვა რამეს, მაშინ ისტორიულადაც არასწორად გავერკვევით, ვინაიდან შეიძლება, მაგ., ოცდახუთი წლის ასაკს მიღწეული ადამიანი განიხილო არამხოლოდ ისე, როგორც მის მიერ განვლილი ოცდახუთი წელი, არამედ აუცილებელია, მასში დავინახოთ ისიც, რომ მას აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს ცხოვრება. ეს ერთი.

მოძრაობა: სიჩქარე: მკვდარი (რეალურის საბოლოო მდგომარეობა)
გამოცხადება: არსება: იერ-სახე (რეალურის საწყისი მდოგმარეობა)
Bewegung: Geschwindigkeit: Totes (Endzustand des Wesenhaften)
Erscheinung: Wesen: Schein (Anfangszustand d. Wesenhaften)

მეორეა ის, რომ ჩვენი ფსიქოლოგია გახდა ძალზე ნატიფი, ხოლო პნევმატოლოგია – ნატიფი თითქმის გაქრობამდე. მეორე მხრივ კი, პნევმატოლოგიისთვის საჭიროა ცოდნა, რას მიაღწია თანამედროვე ეპოქაში. ამდენად, თუ დღეს მავანი საუბრობს ლურჯსა და წითელზე, დო დიეზსა და სოლზე, სითბოს დონეზე, მაშინ ის ამბობს: ეს სუბიექტური შეგრძნებებია. დღეს ხომ ეს უკვე პოპულარული ცნობიერებაა. მაგრამ რას წარმოადგენს შიშველი სუბიექტური შეგრძნება? ის არის გამოცხადება, გარკვეული აზრით, იერ-სახე, და მაინც ვამბობთ – გამოცხადება. ისევე, როგორც გარეგნულ ბუნებაში ვსაუბრობთ მხოლოდ მოძრაობაზე, ასევე ვსაუბრობთ მხოლოდ გამოცხადებაზე ფსიქოლოგიასა და პნევმატოლოგიაში. როგორც ჩვენთვის, გარეგნული დაკვირვებისას, მოძრაობისთვის არ არსებობს სიჩქარე, ასევე შინაგანი მშვინვიერი ცხოვრების დღევანდელი დაკვირვებისთვის არ არსებობს არსობრივი – არსება. ამის წყალობით, რამდენადაც ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ გამოცხადებას და უკვე აღარ განვიცდით არსებას, ჩვენ საკუთარი შინაგანის განცდით ვიღებთ უკვე არა ყოფიერებას (Sein), არამედ იერ-სახეს(Schein). ისე, როგორც

განიცდება დღეს აზროვნება, მგრძნობელობა და ნებელობა (Wollen), ისინი წარმოადგენენ იერ-სახეს. შემეცნების ჩვენი თეორეტიკოსები ხომ ამას საშინლად ებყრობიან. ის ხომ ნამდვილად გამოიყურება, როგორც ცნობილი გმირი, რომელსაც სურს, საკუთარი თავი ამოათრიოს ჭაობიდან თავისივე თმებით, ან როგორც ადამიანი, რომელიც დგას ვაგონის შიგნით და მუდმივად უბიძგებს შიგნიდან, ამასთან ვერ ამჩნევს, რომ ასე, ცხადია, ვერ იმოძრავებს, თუ მარტო შიგნიდან უბიძგებს. ასე გამოიყურებიან შემეცნების დღევანდელი თეორეტიკოსები. ისინი საუბრობენ, მაგრამ მათ სიტყვაში საერთოდ არაა ძალა, ვინაიდან ისინი მოძრაობენ მხოლოდ გარეგნობის შიგნით.

ხედავთ, მე ორჯერ შევეცადე ეს გამონათქვამი განსაზღვრულ *დასასრულამდე მიმყვანა*,* პირველად ჩემს წიგნში „თავისუფლების ფილოსოფია“, სადაც ვაჩვენე, რომ სწორედ ახლა თავისუფლებისკენ იმპულსს წარმოადგენს ეს გარეგნობა, ხილულობა, რომელიც ძევს წმინდა აზროვნებაში, თუ მას ადამიანი აზროვნებაში შინაგანად დაეუფლება. ხოლო იმაში, რასაც განიცდი სუბიექტურად, თუ იქნებოდა სხვა რამ, ვიდრე გარეგნობა, მაშინ ვერასდროს გახდებოდი თავისუფალი. მაგრამ, როცა წმინდა აზროვნებაში წარმოიქმნება იერ-სახე, მაშინ შეგიძლია იყო თავისუფალი, ვინაიდან ის, რაც არ წარმოადგენს ყოფიერებას, სწორედ რომ არაა განმსაზღვრელი, მაშინ, როცა ყოველგვარი ყოფიერება ჩვენ უნდა განგვისაზღვრავდეს. ეს იყო პირველად. მეორედ იყო, როცა ბოლონიაში ფილოსოფიურ კონგრესზე მე ფსიქოლოგიურად გავაანალიზე მოვლენები. იქ შევეცადე, მეჩვენებინა, რომ სინამდვილეში შეგრძნებები და აზრები ადამიანის მიერ შიგნით კი არ განიცდება, არამედ გარეთ, რომ ამის მიღება ასევე შეიძლება განხილვის მეთოდიდან, რომელიც ჩვენს დროში თანამედროვეობის სულისკვეთებიდან გამომდინარეობს.

ახლა ეს მცდელობები უნდა გაიგონ. მაშინ მიხვდებიან, რომ საქმე ის არის, რომ იერ-სახეში კვლავ იპოვონ ყოფიერება, ისევე, როგორც მოძრაობაში – სიჩქარე. მაშინ მივლენ შიგნით განცდილ იერ-სახესთან, რომელიც გაიხსნება იმ სახით, რასაც წარმოადგენს რეალურის ამოსავალი მდგომარეობა, ვინაიდან ადამიანი განიცდის

ამ იერ-სახეს. თავად კი, როგორც გარეგნობა შეესისხლხორცება გარეგნობას და ამის წყალობით მას გარდაქმნის მომავალი სამყაროების ჩანასახად. ფიზიკური სამყაროდან წარმოშობილი ჩვენი ეთიკისა და მორალის სახით, ამას მე ხშირად ვამბობდი, წარმოქმნება მომავალი ფიზიკური სამყაროები, როგორც მცენარე წარმოიქმნება დღეს მცენარის ჩანასახიდან. ამდენად, აქ საქმე გაქვს რეალურის ამოსავალ მდგომარეობასთან. მხოლოდ იმის გაგების წყალობით, რომ ფსიქოლოგიას და პნევმატოლოგიას, – ჩვენ რომ გვქონდეს რაღაც მოწესრიგებული ბუნებისმეტყველება, – უნდა ჰქონდეს ტენდენცია იმისკენ, რომ განიხილავენ იმას, რასაც ისინი იღებენ დაკვირვების წყალობით, როგორც რაღაც ამოსავალ მდგომარეობას; მეორე მხრივ, ისინი ფაქტობრივად ასხივებენ იმ სინათლეს, რომელიც ეკუთვნის ბუნებისმეტყველებს. მაგრამ მაინც რა არის ეს ამოსავალი მდგომარეობა?

ეს არის ის ამოსავალი მდგომარეობა გარეგნულში, – უკვე არა შინაგანში, რომელიც გამომდინარეობს განხილვის მთელი ჩემი მეთოდიდან, – როცა ვიყურები გარეთ და იქ არსებობს მწვანე მცენარეული საფარი, ფერადი სამყარო, წითელი, მწვანე, ლურჯი და როცა აქ გარეთ არსებობს ხმები, ბგერები. მაინც რას წარმოადგენენ ეს მყისიერი წარმონაქმნები, რომელთა განხილვაც თანამედროვე ფიზიკას, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიას სურს, როგორც რაღაც სუბიექტურს? ისინი წარმოადგენენ იმას, რისგანაც გარედან იქმნებიან მომავლის სამყაროები. წითელიც არ წარმოადგენს მატერიის ასეთ წარმონაშობს თვალში ან ტვინში, მაგრამ წითელი წარმოადგენს მომავალი სამყაროების პირველ, ჯერ კიდევ ილუზორულ, ჯერაც იერ-სახის კუთვნილ ჩანასახს.

თქვენ თუ ამას გაიგებთ, მაშინ მოგინდებათ ასევე ოდნავ მაინც შეხედოთ, რა იქნება გარეთ გვამის სახით ამ მომავალი სამყაროების შესაბამისი. იქნება არა გვამი, რომელიც ადრე აღმოვაჩინეთ ჩვენი ფიზიკისა და ქიმიის წყალობით, არამედ იარსებებს მომავლის რაღაც გვამი. მას გამოიცნობ, თუ იმას, რაც ერთხელაც წარმოიქმნება აქ გარეთ, როგორც მომავლის გვამი, უკვე დღეს აღმოაჩენ ზედა ადამიანში, იმ ადამიანში, რომელშიც უპირატესად ქმედითია ასტრალური სხეული და „მე“. აქ ამ ამოსავალი მდგომარე-

ობისთვის საბოლოო მდგომარეობის განცდით, ბოლოს და ბოლოს ნამდვილად გაიგებ ნერვულ სისტემასა და თავის ტვინს, ისინი მკვდარია და არა იმიტომ, რომ ისინი ცოცხალია, არამედ იმიტომ, რომ გარკვეული აზრით ისინი შეიძლება უფრო მეტადაც იყოს მკვდარი, ვიდრე გვამი, ამავე დროს გადალახავს რა მკვდრის ნულოვან წერტილს, განსაკუთრებით სწორედ ნერვული სისტემისთვის და გადაიქცევა რა უფრო მკვდრად, ვიდრე მკვდარი. თუმცა სწორედ ისინი იქცევიან სულიერების მატარებლად იმის წყალობით, რომ მათში ცხოვრობს მკვდარი, რომ მათში ცხოვრობს საბოლოო მდგომარეობა, რომლისთვისაც გარეგნულ ბუნებას ჯერ კიდევ არასდროს მიუღწევია და რომ ისინი ჯერაც აღემატებიან ამ საბოლოო მდგომარეობას.



საბოლოო	– „მე“	პნევმატოლოგია
მდგომარეობა	– ასტრ. სხ.	ფსიქოლოგია
	----------	| ფსიქოლოგია
ბუნების ამოსავალი	– ეთერ. სხ.	ქიმია
მდგომარეობა	– ფიზიკ. სხ.	ფიზიკა

ამგვარად, სამყაროში გარეთ ფსიქოლოგიისა და პნევმატოლოგიის აღმოსაჩენად საჭიროა ამოხსნათ, როგორი შეიძლება იყოს მკვდარი ადამიანურ ორგანიზმში, კერძოდ, თავის სფეროში და რიტმული ორგანიზაციის ნახევარში, უპირატესად სუნთქვის ორგანიზაციაში. ჩვენ უნდა ჩავიხედოთ ჩვენს თავში და ვუთხრათ საკუთარ თავს მის შესახებ: იგი განუწყვეტლივ კვდება. ვინაიდან ის თუ იცოცხლებდა, მაშინ ამომავალი და აღმოცენებადი სასიცოცხლო მატერია ვერ შეძლებდა აზროვნებას. მაგრამ რამდენადაც იგი სპობს საკუთარ თავს და განუწყვეტლივ კვდება, ამიტომ არსებულ მშვინვიერ-სულიერ აზრებს მასში ეძლევათ შესაძლებლობა, გავრცელდნენ მკვდარზე, როგორც ახალი ცოცხალი იერ-სახე.

შეხედეთ, აქ დევს უდიდესი გამოცანები, რომლებიც უბრალოდ განხილვის ისტორიული მეთოდის მეშვეობით მომდინარეობენ თავად ბუნებისმეტყველებიდან. ჩვენ თუ მათ არ დავეუფლებით, მაშინ თანამედროვე ბუნებისმეტ-ყველების განვითარების გავლით ვივლით, როგორც მოჩვენებები და არა – ადამიანის ცნობიერებით, რომელმაც მაშინ იცის, რომ თავის მხრივ დაწყებულმა ეპოქამაც უნდა განიცადოს საკუთარი გაგრძელება. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ დღეს ბევრ რამეს უკვე ვერ აცნობიერებენ ბუნებისმეტყველების მიერ გამოვლენილში, ვინაიდან ლიტერატურა ყველგან იძლევა საყრდენ წერტილებს. თუმცა ადამიანებს ჯერაც არ შეუძლიათ ამოცნობა. ამიტომ, ახლანდელ დროში გარკვეულ ადამიანებს ყველაზე მეტად უყვართ ის, რაც არის უფრო ქაოტური და მერყევი. ადამიანებს არ მოსწონთ, მტკიცედ მისდიონ, ერთი მხრივ, ფიზიკასა და ქიმიას, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიასა და პნევმატოლოგიას, ვინაიდან მათ აქ, პირიქით, სერიოზულად უნდა მიეღოთ შინაგანი და გარეგანი. ეს ადამიანებს არ მოსწონთ. ამიტომაც ისურვებდნენ, უვიცობაში ეფართხალათ ფსიქოლოგიასა და ქიმიას შორის. ამის წყალობით წარმოიქმნება ერთგვარი გაორებული მეცნიერება, ფიზიოლოგია, რომელიც დღეს ბუნების მკვლევარებისთვის და თვით ფილოსოფოსებისთვისაც გამორჩეულად საყვარელი გახდა. ოდნავ მიეახლები თუ არა რეალობას, ფიზიოლოგია იშლება, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიად, რომელიც წარმოადგენს სამყაროს შემეცნებას, მეორე მხრივ კი, ქიმიად, რომელიც ასევე წარმოადგენს ადამიანის შემეცნებას.

როცა მიიღებ ორივე ამ სტრუქტურას, მაშინ გაქრება შუალედური სტრუქტურა – ფიზიოლოგია. რამდენადაც დღეს არსებობს ნამდვილი ჭაობი, თქვენ შეგიძლიათ იქ იპოვოთ ყველაფერი და რამდენადაც თითოეულს, გამომდინარე მარჯვნივ თუ მარცხნივ მისი ჟონგლიორობიდან, შესაძლებლობა აქვს, ცოტაოდენი იფიქროს მშვინვიერზე ან სხეულებრივზე, იგი ამის წყალობით იოლად გამოძვრება. ეს არის ის, რაც უნდა გაქრეს, უპირველეს ყოვლისა, როგორც უძველესი წარმოდგენების ბუნდოვანი წარმონაქმნის უკანასკნელი ნარჩენი – ფიზიოლოგია თანამედროვე აზრით. ვინაიდან ფიზიოლოგიური ცნებები ძალზე ბუნდო-

ვანია იმ მიზეზით, რომ მათში ყოველთვის ჩადებულია ცოტაოდენი მშვინვიერი და სხეულებრივი, რასაც ვერ განასხვავებენ. მოსწონთ სწორედ ის, რომ არაა საჭირო განასხვაო, ვინაიდან, მაშინ შესაძლებელია თვალში ნაცრის შეყრა სიტყვების დახმარებით ან თვით ფაქტებითაც. როგორც ითქვა, მნიშვნელოვანია ის, რომ იმისთვის, ვისაც სურს მკაფიოდ განხილვა და მკაფიოდ აზროვნება, ფიზიოლოგია სრულდება თვალში ნაცრის შეყრით სიტყვებისა და ფაქტების დახმარებით. სანამ ამას არ აღიარებ, ვერ დაეუფლები ბუნებისმეტყველების ისტორიას სერიოზულად. ვინაიდან იგი მოდის არამარტო გაურკვეველი დროიდან თანამედროვეობამდე, არამედ თანამედროვეობიდან გრძელდება უფრო შორს და ისტორია გესმის მხოლოდ მაშინ, როცა ასევე გესმის მოვლენათა შემდგომი მსვლელობა, ოღონდ უკვე არა ცრურწმენითი-წინასწარმეტყველური აზრით, არამედ ისე, რომ ამიერიდან შეიძლებოდეს დაიწყო იმის კეთება, რაც საჭიროა. უსასრულოდ ბევრი მართებული შეიძლება ბუნებისმეტყველების სფეროში გაკეთდეს. ვინაიდან ბუნებისმეტყველება გაძლიერდა. შეიძლება ითქვას, ის იქცა კარგ ჭაბუკად, რომელიც დღეს იმყოფება სწორედ გარდამავალ ასაკში, მაგრამ ახლა აუცილებელია ზრუნვა მომავლისთვის, რომ ის გაიზარდოს. და ის გაიზრდება, თუ ისეთი გაურკვეველი წარმონაქმნები, როგორიცაა ფიზიოლოგია, გაქრება და მითითებული სახით კვლავ წარმოიქმნება ფიზიკა და პნევმატოლოგია, რომელთა ფორმირებაც მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ამ მეცნიერებებისთვის სერიოზულად გამოიყენებენ აზრთა ანთროპოსოფიულ სახეს; როცა ადამიანები კვლავ მოიპოვებენ მოსაზრებას, რომ ისინი რაღაცას ისწავლიან, თუ მათ ვინმე მოუყვება ჭეშმარიტ ფიზიკაზე, ქიმიაზე, ფსიქოლოგიასა და პნევმატოლოგიაზე; ცხადია, თუ მათ უკვე არ ექნებათ სამყაროსა და ადამიანის მხრიდან სწრაფვა ყველაფერს ჩასწვდნენ ისეთი შუალედური მოვლენისა და ქაოტური მეცნიერების მეშვეობით, როგორიცაა ფიზიოლოგია. მაშინ ჩვენ კვლავ დავდგებით ადამიანური შემეცნების განვითარების ჯანსაღ ნიადაგზე.

ცხადია, თანამედროვე ფიზიოლოგიისაგან ყველაზე მეტად ზარალდება თერაპია. ამის წარმოდგენა შესაძლებე-

ლია, ვინაიდან ის მუშაობს მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებებით, რომელიც ნათელი აზროვნებისას ზოგს საერთოდ ხელიდან უსხლტება. მცირედი ანთროპოსოფიული გამონათქვამებით ეპოქის უდიდეს ამოცანებთან მიმართებით ფონს ვერ გახვალ. იმით, რომ ფიზიოლოგიურად ძალზე ცოტას და საკმაოდ ცუდად მუშაობ, იოლად ვერ გახვალ, არამედ აუცილებელია, სერიოზულად მიუყენო ფიზიკასა და ქიმიას მეთოდები, რომლებიც გამომდინარეობენ სულისმეცნიერული ანთროპოსოფიიდან. შენ თუ ზარმაცი ხარ, – მაპატიეთ მკვეთრი გამოთქმა, ის ხომ ამ შემთხვევაში გამოხატავს არც ისე რადიკალურს, – მაშინ ამბობ: ამ მოვლენებზე შენ შეგიძლია შესაბამისი სახით მსჯელობა მხოლოდ მაშინ, როცა ხარ ნათელმხილველი. ამდენად, სანამ მე არ ვარ ნათელმხილველი, მე არ ვჩქარობ, მაშინ მე არ ვეშვები იქამდე, რომ როგორღაც განვსაჯო ფიზიკა და ქიმია, ან მეტიც – თვით ფიზიოლოგია.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, პატივცემულო მსმენელებო, როცა განიხილავენ გვამს, ნამდვილად არ არის საჭირო ცოდნა, რომელიც აღემატება წმინდა თვალსაჩინოს, რომ იცოდე: ის მკვდარია და ის უნდა იყოს სიცოცხლის შედეგი. ასევე არ არის საჭირო იყო ნათელმხილველი, რომ კანონზომიერად გააანალიზო დღევანდელი ფიზიკისა და ქიმიის რეალური ფაქტები და ახსნა ისინი იმით, რაც მათ საფუძველში ძევს, როგორც ცოცხალი, როცა მითითებულია: შენ ეძიებ ცოცხალს, შენ არ გმართებს მხოლოდ ქვედა ადამიანის განხილვა, შენ შეგიძლია კანონზომიერად, თანამედროვე ფიზიოლოგიის აბდაუბდის გარეშე, განიხილო მხოლოდ ამჟამინდელი ადამიანი, მაშინ შენ გაქვს აუცილებელი დამატებითი წევრები, რგოლები ფიზიკისა და ქიმიისათვის. იმის ნაცვლად, რომ მუდმივად დაიხაზოს კოორდინატთა ღერძები, იქ შიგნით, უკვე არაფერს ვამბობთ ადამიანზე, შეეცადე მაინც, ნამდვილად შეისწავლო ადამიანში მოძრაობის მექანიზმი. ნაცვლად იმისა, რომ განუწყვეტლივ ამრავლო დიფერენციალური მიმართებები და ინტეგრირება, შეეცადე მაინც, შეისწავლო ადამიანზე *მოძრაობის მექანიზმი გარედან**, როგორც მას განიცდიდნენ ოდესღაც გარედან, მაშინ შენ მიიღებ იმას, რაც შენთვის

აუცილებელია ფიზიკასა და ქიმიაში ბუნების გარეგნული დაკვირვებისთვის.

გარეგნული ბუნების სფეროში მათ, ვინც ამტკიცებს ატომიზმს, შენთან მიმართებით ჯერ კიდევ ექნებათ უფლება, დაგცინონ კიდეც ძალზე სპირიტუალურ მტკიცებაზე: თუ თანამედროვე ფიზიკოსის თვალსაზრისით საუბრობ მატერიაზე, მაშინ მისთვის ხომ მატერია, გარკვეულწილად, არაა მატერიალური. *ამას უკვე დღესაც ამბობენ ფიზიკოსები**, ამას ამბობენ ჩვენი ოპონენტები. მოცემულ შემთხვევაში ისინი სიმართლეს ამბობენ. თუ ამ სიმართლეს ვუპასუხებთ მხოლოდ ისე, რომ კვლავ დავრჩებით იქ, სადაც გვაქვს ნაწილობრივი ჭეშმარიტება, კერძოდ, მხოლოდ რეალურის საბოლოო პროცესი, მაშინ ვერასდროს ვიქნებით იმ სიმაღლეზე, რომ გაუთანაბრდეთ ოპონენტებს, რაც აუცილებელია თანამედროვეობაში.

აქ სახეზეა სპეციალისტების ამოცანები. აქ სახეზეა იმათი ამოცანები, ვისაც აქვს აუცილებელი მომზადება მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ფიზიკურ ანთროპოსოფიას, ქიმიურ ანთროპოსოფიას კი არ ვქმნით, არამედ ნამდვილად ჩავუყრით საფუძველს ანთროპოსოფიულ ქიმიასა და ანთროპოსოფიულ ფიზიკას. მაშინ საფუძველს ჩავუყრით არა ახალ მედიცინას, უძველესი მედიცინის თვალსაზრისით ცოტათი გადაკეთებულს, არამედ – ანთროპოსოფიულ მედიცინას. ამოცანები აუცილებლად აქ დევს და ისინი ყველგან მონიშნულია. საქმე ის არის, რომ ისევე, როგორც ყველგან მოხსენებებსა და ციკლებში უბრალო ხასიათით შეიძლება აღიქვათ მიმოფანტული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაც ადამიანს შეუძლია, ასევე შეიძლება ყველგან აღიქვათ ცალკეული მინიშნებებიც, რომლებმაც უნდა წარმართონ აუცილებელი წინსვლისკენ ცალკეულ მეცნიერებებში.

მაგრამ მომავალში გადასვლას ვერ შეძლებ, თუ ადამიანი და ბუნება არ გახდება ერთიანი, თუკი ის, რასაც იკვლევს ფიზიკა და ქიმია ბუნებაში, როგორც ყოფიერების საბოლოო მდგომარეობას, არ იქნება შევსებული ქვედა ადამიანში, ფიზიკასა და ქიმიასთან დაკავშირებული ყოფიერებით ადამიანში, რომელიც დამოკიდებულია ფიზიკურ სხეულსა და ეთერულ სხეულზე. მთავარია ეს ეძიონ და

არა ის, რომ წამოაყენონ, როგორც ვალენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სისტემა ქიმიაში, სტრუქტურული ფორმულები და პერიოდული სისტემა, რამდენადაც ეს ხომ ასევე მხოლოდ სქემაა. მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ეს, – ეს მოვლენები ძალზე სასარგებლოა გამოთვლის მოდელის სახით ან, როგორც *გამოთვლის ყველა ხერხი**, – არამედ ის, რომ საკუთარ თავს უთხრან: თუ მე ვიკვლევ ქიმიურ პროცესებს გარედან, მაშინ შიგნით არ არსებობს ქიმიური კანონები, ვინაიდან ისინი ძევს ქიმიური პროცესების წარმოქმნის დროს და მათ ვპოულობ მხოლოდ მაშინ, როცა ხელს ვკიდებ სერიოზულ სამუშაოს, ვეძიო ადამიანში პროცესები, რომელსაც ადგილი აქვს მისი წვენების ცირკულაციისას, რომელიც ეთერული სხეულის მოქმედების მეშვეობით ხორციელდება მისი წვენების მოქმედებაში. ბუნებაში ქიმიური პროცესების ახსნა ძევს ეთერული სხეულის პროცესებში. მეორე მხრივ ეს ასახულია წვენების მოქმედებით ადამიანის ორგანიზმში, რომელიც ზუსტი კვლევისთვის ხელმისაწვდომია.

ძვირფასო მეგობრებო და დამსწრე საზოგადოებავ, ანთროპოსოფია უცილობლად ატარებს თავის თავში ამ მიმართულებით სერიოზულ ამოცანას; სწორედ ეს არის მიზეზი, რატომაც დავაფუძნეთ *კვლევითი ინსტიტუტი**, რომელშიც აუცილებელია ინტენსიური მუშაობის დაწყება, რათა ასევე რეალურად ვიზრუნოთ იმ მეთოდებზე, რომლებიც ანთროპოსოფიიდან მომდინარეობს. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი ჩვენს თერაპიაშიც, რომ მისგან საბოლოოდ გაქრეს ძველი დახლართული ფიზიოლოგია, ხოლო მისი ადგილი დაიკავოს რეალურმა ქიმიამ და რეალურმა ფსიქოლოგიამ. ამ რეალური ქიმიისა და ფსიქოლოგიის გარეშე, რომლებადაც უნდა დაიშალოს ფიზიოლოგია, ასევე ვერაფერს ვიტყვით დაავადებისა და განკურნების პროცესზე ადამიანის ბუნებაში, უბრალოდ იმიტომ, რომ ავადმყოფობის ყოველი პროცესი წარმოადგენს არანორმალურ ფსიქოლოგიურ პროცესს და გაჯანსაღების ყოველი პროცესი – არანორმალურ ქიმიურ პროცესს. ანუ, თუ შეგიძლია დაინახო, რამდენად ზემოქმედებს განკურნების ქიმიური პროცესი და რა ზომით შეიძლება ავადმყოფობის წარმოქმნის ფსიქოლოგიურ პროცესს ჩასწვდე სწო-

რედ ჭეშმარიტ ფსიქოლოგიაში, მაშინ გექნება ასევე პათოლოგია და თერაპია. ეს გამოვლინდება განხილვის ანთროპოსოფიული მეთოდის სულისკვეთებიდან.

როცა არ გსურს ამის დანახვა შიგნით, მაშინ უბრალოდ გინდა მხოლოდ ცოტაოდენი რაღაც, რაც სხვა რამეს წარმოადგენს, ვიდრე დანარჩენი მოვლენები, მაგრამ არ გსურს, ამავე დროს, სერიოზულად მოეკიდო სამუშაოს. ვინაიდან ყველაფერი, რაც აქ მოვნიშნე, არსებითად, წარმოადგენს მხოლოდ იმის აღწერას, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ, რამდენადაც ამ თვალსაზრისით ჭეშმარიტი ფსიქოლოგია და ჭეშმარიტი ქიმია განხორციელდება მუშაობის წყალობით. შეიძლება ითქვას, რომ პირობები ასეთი მუშაობისათვის არსებობს, რამდენადაც ლიტერატურაში არსებობს ძალზე ბევრი ფაქტი, რომლებსაც ადამიანები პოულობენ ისევე, როგორც ბრმა ქათამი – მარცვალს, მაგრამ არ ესმის. თუ ისინი, ვინც მუშაობს ჩვენი ანთრპოსოფიული სულისკვეთებით, აიტაცებდნენ ამ ფაქტებს და რაიმეს მოიმოქმედებდნენ, რათა ის ნამდვილად გაეგოთ, მაგ., მნიშვნელოვანია, რომ ელენთა, – *გუშინ მე ხაზი გავუსვი** ვიწრო წრეში, – სინამდვილეში გამოყოფის ორგანოა, რომ ის თავად არის გამოყოფა იმისა, რაზეც არის დამოკიდებული, კერძოდ, ეთერულ სხეულში ფუნქციონირებაზე, – და აქ განუზომლად ბევრი ფაქტი არსებობს სამედიცინო ლიტერატურაში, რომლებიც საკმარისია მხოლოდ განვავრცოთ, მაგრამ ასევე საჭიროა გადამუშავებაც, – მაშინ ეს მოვლენები და ფაქტები შეიკრიბება და ამისგან წარმოიქმნება ის, რაც უნდა წარმოიქმნას.

მარტო ცალკეულ ფიზიკურ ცხოვრებაში ამის გაკეთება შესაძლებელი იქნებოდა, თუ ეს ფიზიკური ცხოვრება გაგრძელდებოდა ექვსასი წელი. მაშინ კვლავ წარმოიქმნებოდა სხვა ამოცანები და ამავე დროს დიდი ხნის მოძველებული იქნებოდა უკვე გამომუშავებული. კაცობრიობისთვის განსახორციელებელი უნდა შესრულდეს კიდეც ადამიანთა ერთობლივ მუშაობასა და ურთიერთქმედებაში. ეს არის სწორედ მეორე ამოცანა. მე მიმაჩნია, რომ ანთროპოსოფიული საზოგადოების ეს ამოცანები ყველაზე მკაფიო და რადიკალური სახით ვლინდება სწორედ ახა-

ლი დროის ბუნებისმეტყველების განვითარების ჭეშმარიტი და რეალური განხილვიდან.

ახალი დროის ბუნებისმეტყველების განვითარება ჟურნალის ყოველ გვერდზე გვაჩვენებს, რომ ამით ამოიზარდა რაღაც გრანდიოზული, ვინაიდან ადრე არასდროს შეეძლოთ ჭეშმარიტად მკვდრის განხილვა, ამიტომ მკვდარს არც ანიჭებდნენ რაიმე მნიშვნელობას. ადრე არასდროს შეეძლოთ შინაგანი იერ-სახის რეალური განხილვა, ამიტომაც არასდროს შეეძლოთ შინაგანი იერ-სახის გაცოცხლება ადამიანური ძალის მეშვეობით, ანუ არ შეეძლოთ თავისუფლების მიღწევა. დღეს ჩვენ ვდგავართ გრანდიოზული სამყაროს წინაშე, რომელიც შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ ბუნებისმეტყველება განიხილავს მკვდარს, წარმოადგენს რა ტექნიკის სამყაროს, რომელიც გამოვლინდა თავისი განსაკუთრებული სახით უკვე იმის წყალობით, რომ სიტყვა აიღო ბერძნულისგან, სადაც ის ჯერ კიდევ აღნიშნავდა „ხელოვნებას“, ამიტომ ხელოვნება ვლინდება იქ, სადაც ტექნიკა ჯერ კიდევ შეიცავს სულს. დღეს ის წარმოადგენს სულის გადამუშავებას მხოლოდ აბსტრაქტული, უსულო აზრების თვალსაზრისით და სწორედ ტექნიკურის წინაშე ვდგავართ ჩვენ დღეს ისე, რომ საკუთარ თავს ვუთხრათ: ამის მიღწევა შეგვეძლო მხოლოდ იმის წყალობით, რომ მივაღწიეთ მკვდრის ჭეშმარიტ შემეცნებას. ეს იყო აუცილებელი, რომ კაცობრიობის განვითარებას ერთხელაც ნამდვილად ჩაეხედა სიკვდილის სამეფოში. ამის შედეგად მან შეაბიჯა ტექნიკის სამეფოში. ახლა კი ადამიანი დგას ტექნიკის ამ სამეფოს შიგნით, რომელიც მას მოიცავს ყველგან გარშემო, ახლა ის დგას აქ და უყურებს ტექნიკის ამ სამეფოს: ბოლოს და ბოლოს, ეს არის სფერო, სადაც ჭეშმარიტი აზრით არანაირი სული, არსებითად, არ არის. ასე რომ, ტექნიკაში, სულიერ ტექნიკასთან მიმართებით, თითოეულ სფეროში იღებ იმ შინაგან შეგრძნებას, რომელიც შეესაბამება თითქმის მწუხარების შეგრძნებას ადამიანის გაქრობასთან დაკავშირებით. ვინაიდან შემეცნებისას თუ შეიძლება ასევე განვითარდეს შეგრძნება და გრძნობა, მაშინ მიიღებ გრძნობას, თუნდაც ის სხვა სახის იყოს, რომელიც მსგავსია გრძნობისა ადამიანის ჩაქრობის დროს, როცა ცოცხალი ორგა-

ნიზმისგან წარმოიქმნება გვამი, – გვამის ჭვრეტისას წარ-მოქმნილი გრძნობის მსგავსი. ჭეშმარიტი შემეცნებისას აბ-სტრაქტული, გულგრილი, ცივი შემეცნების გვერდით გექ-მნება ისეთი გრძნობა, რომ ტექნიკა არის მკვდრის გადა-მუშავება. მაშინ ამ გრძნობას ექნება ძლიერი იმპულსი, ეძიოს სული ახალ გზაზე.

მე შემეძლო მომავლის ხატი, არსებითად, წარმომედგი-ნა ისეთი, რომ ადამიანი დგას კვამლის ყველა მილზე მაღლა, ყველა ფაბრიკაზე, ყველა ტელეფონზე, იმ ყველა-ფერზე მაღლა, რაც გასაოცარი სახით აწარმოვა ახალ დროში ტექნიკამ, როგორც რაღაც უდიდეს წმინდა მექანი-კურ დედამიწაზე მაღლა, რომ ის დგას მთელი სულიერის ამ სამარხზე მაღლა და სამყაროში ჟღერს მისი სევდით აღსავსე მოწოდება – მისი სევდა შესაძლოა მას აავსებდა. ვინაიდან ისევე, როგორც მკვდარი ქვიდან, რომელიც უეჭ-ველად მკვდარია, სწორი მოპყრობის წყალობით დააკვესე-ბენ ცეცხლს, ასევე გამოვლინდება მკვდარი ტექნიკიდან ცოცხალი სული, თუ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სწორად გრძნობენ ტექნიკას.

მეორე მხრივ, აუცილებელია, მხოლოდ გავარკვიოთ ის, რაც წარმოადგენს წმინდა აზროვნებას, ანუ იმ გა-რეგნულს, რომლისგანაც შეიძლება, მოვიპოვოთ მძლავრი მორალური იმპულსები, ინდივიდუალური მორალური იმ-პულსები, როგორც ისინი აღვწერე ჩემს წიგნში „თავი-სუფლების ფილოსოფია“ და მაშინ ადამიანი ახლებურად დადგება იმ შეგრძნების წინაშე, რომლის წინაშეც ოდეს-ღაც იდგნენ ნიკოლაუს კუზანელი და მაისტერ ეკხარტი. ისინი ამბობდნენ: როცა მე ვმაღლდები იმ ყველაფერზე, რის დაკვირვებასაც ამჟამინდელ მომენტში მივეჩვიე, მა-შინ იმ ყველაფრით, რაც შევისწავლე, მე მივდივარ „არასკენ“. მაგრამ „არაში“ ჩემთვის აღდგება „მე“-ს ერ-თობლიობა, „მე“. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი სრუ-ლიად მართებულად მიდის წმინდა აზროვნებისკენ, იგი ამ წმინდა აზროვნებაში პოულობს „არას“, რომელიც გარდაიქმნება „მე“-ს ერთობლიობაში, გარდაიქმნება „მე“-დ, რომლისგანაც გამომდინარეობს სამყაროს ახალი შე-მოქმედებითი ეთიკური ქცევების მთელი სისავსე. მე შე-მეძლო წარმომედგინა ადამიანი, რომელიც, – საკუთარ

თავზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს რა თანამედროვეობის მთელ შემეცნებას, როგორც ის იყო შეტანილი სწორედ ბუნებისმეტყველების მეშვეობით და ასევე ახალ დროში, ასწლეულების დაშორებით მაისტერ ეკხარტისა და ნიკოლაუს კუზანელის მიერ, – მზერას მიაპყრობს შინაგანს და აზროვნების დღევანდელი მეთოდით მიდის შინაგანის ამ უარყოფისკენ და ამ უარყოფაში როგორ აღმოაჩენს, რომ ახლა მასში უფრო მეტად საუბრობს სული. მე შემეძლო წარმომედგინა, რომ ეს ორი მოვლენა ერთიანდება, რომ ადამიანი, ერთი მხრივ, მიდის ადგილამდე, სადაც ტექნიკა გულგრილად ტოვებს ნებისმიერ სულს და მაშინ იგი მოწოდებას მიმართავს გარეთ სამყაროთა შორეთში სულისკენ; დაე, ის ახლა გონს მოეგოს და, შესაბამისად, ჩაიხედოს საკუთარ შინაგანში, როგორც მე ეს ახლახან დავახასიათე, რათა შემდეგ შინაგანიდან აღვიქვათ ღვთაებრივი პასუხი სამყაროს სივრცეებში გაგზავნილ საკუთარ ძახილზე (მოწოდებაზე). ანთროპოსოფიულად განმსჭვალული ახალი ბუნებისმეტყველების მეშვეობით ჩვენ თუ ვსწავლობთ, საკუთარი შინაგანიდან ძახილი მივმართოთ გარეთ სამყაროში, სულისკენ უსასრულო სწრაფვაში, მაშინ ეს იქნება ზუსტი ამოსავალი წერტილი, რომ ანთროპოსოფიული შინაგანი შემეცნების მეშვეობით ვიპოვოთ პასუხი, გარეთ სამყაროებისკენ მიმართულ, ამ სევდით აღსავსე ძახილზე სულიერისკენ.

მე მსურდა, არა მარტო დოკუმენტურად მეჩვენებინა ბუნებისმეტყველების განვითარება ახალ დროში, არამედ თქვენ წინაშე წარმომედგინა, რა მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი, რომელიც ჩასწვდება ამ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ განვითარებას და რომელსაც დღეს კაცობრიობის განვითარების ურთულეს მომენტში შეუძლია საკუთარ თავს უთხრას ის, რაც საჭიროა კაცობრიობის პროგრესისთვის.

შენიშვნები

მოცემული კურსის გამოცემაზე მუშაობის პროცესში (საუბარია გერმანულ გამოცემაზე) გამოვლინდა, რომ არსებობდა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სტენოგრამა, რომელთაგანაც, ცხადია, სრული მხოლოდ ერთი იყო. მეორე აღმოჩნდა დაკარგული და მისგან დარჩა მხოლოდ მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი კორექტურა, რომლებიც შეიტანეს 1948 წელს კურსის მეორე გამოცემაში. თუ შევადარებთ ამ კორექტურებს არსებულ სტენოგრამას, მაშინ შესაძლებელია უამრავ ადგილას უკანა რიცხვით აღმოვაჩინოთ, რომ ისინი მეტ-ნაკლებად მკაფიოდ არის დადასტურებული ამ სტენოგრამაშიც. თუ შემოთავაზებული ტექსტი სტილისტურად განსხვავდება ადრინდელი გამოცემებისგან, ამის საფუძველია ორიგინალებიდან ერთ-ერთი. ზოგიერთ ადგილას, სადაც არის სინამდვილესთან შეუსაბამობა, მითითებულია ცვლილება.

რუდოლფ შტაინერის შრომები შესულია კატალოგში (GA), შესაბამისად მითითებულია ბიბლიოგრაფიის ნომერი.

გვ...

11. *ჩემს წიგნში:* რუდოლფ შტაინერი, „მისტიკა. . . .“, ბერლინი 1901. GA7.

ახალი სულიერების: იხ. იქვე („მისტიკა. . .“) თავი - „შესავალი“ და „დასკვნა“.

12 *საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების. . . .* სხვასთან ერთად იგულისხმება შტუტგარტის სამი საბუნებისმეტყველო კურსი: „სულისმეცნიერული იმპულსები ფიზიკის განვითარებისთვის“. „პირველი საბუნებისმეტყველო კურსი“, GA320. „მეორე საბუნებისმეტყველო კურსი. . .“, GA321. „სხვადასხვა საბუნებისმეტყველო სფეროს მიმართება ასტრონომიასთან“, GA323. ამავე კურსებს შეიძლება მივაკუთვნოთ: „საბუნებისმეტყველო შემეცნების საზღვრები“, GA322, და „ბუნების დაკვირვება, მათემატიკა, მეცნიერული ექსპერიმენტი და შემეცნების შედეგები ანთროპოსოფიის თვალსაზრისით“. GA324.

ნიკოლაუს კუზანელი: კუეზი (მოზელი) 1401-1464, ტოტი, უმბრია. იურისტი, ეკლესიის მასწავლებელი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, მღვდელი 1436-1440 წლებს შორის,

კარდინალი 1448. ეპისკოპოსი ბრიკსენში, 1450. იხ. თავი ნიკოლაუს კუზანელზე „მისტიკა. . .“ (შენიშვნა გვ. 11).

12 *ეკლესიის დევნილ მოღვაწეს*: ნიკოლაუს კუზანელი თანმიმდევრობით დაინიშნა კარდინალად და ეპისკოპოსად ბრიკსენში. საეპისკოპოსოში ის მივიდა, როგორც უცხო, უშუალოდ პაპის მიერ დანიშნულ ეპისკოპოსად, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი კონფლიქტი მრევლთან, რომელთა მხარეზეც სულ უფრო მეტად გამოდიოდა ტიროლელი ჰერცოგი. როცა კონფლიქტმა მიაღწია პიკს, ჰერცოგმა შეუტია კუზანელს, დაიკავა ის და აიძულა უღირსი ხელშეკრულების დადება. თანამებრძოლებთან ერთად მეომარი ჰერცოგი პაპმა შერისხა, მაგრამ გერმანელი თავადების მხარდაჭერით, შერიგებას არ ესწრაფოდა და სანამ გაუბედავი მეფე კონფლიქტს გადაწყვეტდა ნიკოლაუს კუზანელი გარდაიცვალა. თუმცა ბრძოლას ხელი არ შეუშლია კუზანელის სულიერი სიმშვიდისთვის, რომლის წყალობითაც მან შეძლო განევითარებინა ფილოსოფიური, მათემატიკური და თეოლოგიური შემეცნებანი. ბრიკსენის პერიოდში შეიქმნა მისი 15 ნაწარმოები.

13 *თანაზიარად ცხოვრების ძმები*: ასევე ერქვა – „კეთილი ნების ძმები“. საძმო მეურნეობები ნიდერლანდებში და ჩრდილოეთ გერმანიაში, იტალიასა და პორტუგალიაში, დაფუძნებული გერჰარდ გროტის მიერ დაახ. 1376 წ. XV საუკუნეში ისინი შეუერთეს კათოლიკურ ეკლესიას. თემის სკოლებში სწავლება მიდიოდა დოგმატიკის მკაცრი წესებით. ლიტერატურა: „თანაზიარად მცხოვრები ძმების ისტორიის კვლევა“, ფონ ე. ბარნიკოლი (1917).

14. *ბაზელის კრებაზე*: 1431-1449, მოწვეული იყო პაპ მარტინ V-ის მიერ (1417-1431) 1431 წლის 23 ივლისს. ეს იყო ოთხი რეფორმატორული კრებიდან უკანასკნელი, რომლის მთავარი ამოცანაც იყო ეკლესიის განხეთქილების დასრულება. მართალია, ამას გარკვეული პერიოდი მიჰყავდა ახალი განხეთქილებისკენ, რომელსაც სერიოზულად არ ითვალისწინებდნენ. გვერდიგვერდ დე ფაქტო მმართველი რომის პაპების პერიოდი შეწყდა მარტინ V-ს დროიდან.

14. . . . *უმცირესობის სათავეში*: 1437 წელს. სიტყვებმა განავრცეს მთელი განვითარების შედეგი: კუზანელი შევიდა კრებაზე ტრირის ტაძრის მეთაურის დავალებით, დაეცვა იგი როგორც არქიეპისკოპოსი, რომელიც აირჩიეს პაპის საპი-

რისპიროდ. თხზულების „De concordantia catholica“ (კათოლიკურ ერთსულოვნებაზე) მეშვეობით, რომელიც მან წარუდგინა კრებას 1433 წელს და ეფუძნებოდა უშუალოდ კრებებისა და ეკლესიის დეკრეტების განხილვას, მან მოიყვანა, გამომდინარე კრების უმრავლესობიდან, ძალზე სასურველი დასაბუთება იმისა, რომ საყოველთაო კრება პაპზე მაღლა იდგა. ამის წყალობით ის მაშინვე იქცა კრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერსონად. მოგვიანებით კრების უმრავლესობით, ასევე არაერთხელ ისტორიოგრაფების მიერ გამოითქვა საყვედური, რომ კუზანელმა შეიცვალა თავისი აზრთა წესი. თუმცა ამით არ ითვალისწინებდნენ იმ გაგების სიღრმეს, რომელშიც განფესვილი იყო კუზანელის პოზიცია და გამოიხატებოდა დაახლოებით ასეთი სიტყვებით: თუ გადაწყვეტილება გამომდინარეობს თანხმობიდან, მაშინ შეგვიძლია გვჯეროდეს, რომ ის მომდინარეობს სულიწმიდისგან. ის, რომ რომელიღაც ადგილას იკრიბებიან სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანები და მსჯელობენ სრულიად ერთხმად სიტყვის სრული თავისუფლების პირობებში, განპირობებულია არა ადამიანების შრომით, არამედ ასეთი შრომა არის ღმერთის შრომა“. (J. M. Dux-ის მიხედვით, გერმანელი კარდინალი ნიკოლაუსი კუზადან, რეგენსბურგი 1847 წ.). კრების დასკვნებს კუზანელისთვის უნდა ეჩვენებინა, რომ კრება არ პასუხობდა იმას, რაც მან აღწერა, როგორც კრების არსი და მან გააცნობიერა საკუთარი თავი იძულებულად, რომ მიეღო გადაწყვეტილება. იმაზე, როგორ მოხდა ეს, საუბარია მომდევო მოხსენებაში.

15 . . . *ხდებიან პაპის მოწინააღმდეგეები.* პაპი ევგენი IV გადმოაგდეს და ჰერცოგი ამადეუს ფონ სავოიელი გახდა პაპი, როგორც ფელიქს V. მის გადადგომას 1449 წელს შედეგად მოყვა კრების გაუქმება.

პაპის ეკლესიის. . . . : 1438-1448 წწ. კუზანელი პაპის დავალებით მოქმედებდა, როგორც „ევგენიანელი ჰერკულესი“, როგორც მას უწოდებდნენ იმდროინდელი მოწინააღმდეგეები, გერმანიაში საეკლესიო და საერო მმართველობაში და რაიხსტაგში, რომ გადაელახა გერმანიის ნეიტრალიტეტი განხეთქილებასთან დაკავშირებით და წარმატებასაც მიაღწია ამაში.

15 . . . *იმ დროის თურქულ შემოჭრასთან* . . . 1454 წელს თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ კუზანელი გავლენას ახდენდა ნიურნბერგის, რეგენსბურგისა და ფრანკფურტის რაიხსტაგზე, რომ გერმანელი თავადები დაეყოლიებინა ჯვაროსნულ ლაშქრობაზე. 1456 წელს ბელგრადთან იოანეს ჰუნიადისის მიერ თურქულ ჯარზე გამარჯვების შემდეგ კუზანელმა იმავე დღეს, როგორც კი მიიღო უწყება, მოაწყო მადლიერების ზეიმი, რომელზეც თქვა ასეთი სიტყვები: „რამდენადაც ცხოველური ადამიანი იძენს ასეთ სასიხარულო სიცოცხლეს მხოლოდ ცხოველურად და გრძნობადად, ამიტომ სატანა, რომელსაც სურდა ეშმაკურად დაეღუპა სახარება, ავალებს ყალბ წინასწარმეტყველ მუჰამედს, რომელმაც იცოდა სახარება და წმინდა წერილი, მისულიყო განზრახვამდე, მიეწერა მათთვის ასეთივე ცხოველური, ცხოველური ადამიანისთვის ნიშანდობლივი აზრით. . . . ასე ვლინდება სატანა, ჩაუნერგოს ადამიანებს მუხამედის მოძღვრება, რომ აქციოს ისინი ბოროტების განსხეულებად, სიკვდილის შვილებად, რათა გამოვიდნენ მათგან, როგორც ქრისტეს ჯვრის მტრები. . .“ (ქადაგებიდან „Laudans iuvocabo Dominum“). ცნობილია ვრცელი ლოცვითი ღვთისმსახურება თურქების წინააღმდეგ იმავე წლის 28 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე (ე. ვანშტეენბერგი, კარდინალი ნიკოლაუს კუზანელი, პარიზი 1920 წ.). თუმცა ეს ქადაგებები არსებობს მხოლოდ ლათინური ხელნაწერების სახით.

15 . . . *დანიშნულმა კარდინალმა*: თავად კუზანელმა კარდინალად თავისი დანიშვნის შესახებ (ნიკოლაუს V მეშვეობით) აუწყა მოკლე ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში, რომელშიც აღნიშნულია: „ამ ბატონს ნიკოლაუსს პაპის ევგენის მიერ საიდუმლოდ ებოძა კარდინალობა“.

ნიკოლაუს კუზანელის ერთ თხზულებას: „De pace fidei“, (რწმენა მშვიდობის), შეთხზული 1453 წლის სექტემბერში. „კონსტანტინოპოლზე დატეხილი გოდების დღეები, . . . იყო ღვთიური თავგამოდებით ანთებულ გულში კაცისა, რომელიც ოდესღაც მოგზაურობდა იმ ადგილებში (ეს კაცი იყო თავად კუზანელი), აღგზნებული ტკივილის ისეთი ღრმა გრძნობით, რომ იგი მთლიანად ჩაეფლო ღრმა ჭვრეტაში და ეს მოხდა მასში, როგორც რაღაც ხედვა. ასეთ ამაღლებულ მდგომარეობაში იგი განსაკუთრებით იხსენებს შესაძლებ-

ლობას, რომ სამყაროში რელიგიათა უდიდესი განსხვავების მიუხედავად, მაინც უნდა ჟღერდეს გარკვეული მშვიდობა, თანხმობა; მისი აზრით ეს მშვიდობა საჭიროა განხილონ, როგორც მარადიული რელიგიური მშვიდობის საფუძველი". („De pace fidei"-ს შესავალი სიტყვა, დუქსის მიხედვით).

17 *მისიიდან . . . კონსტანტინოპოლში*: 1437 წლის მაისში კუზანელმა უმცირესობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დატოვა ბაზელი და შემოდგომით ამ უმცირესობის დავალებით პაპის წარმოგზავნილთან ერთად გაეშურა კონსტანტინოპოლში, რომ თანხლება გაეწია ბერძენი იმპერატორისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა მამებისთვის გაერთიანებულ კრებაზე ფერარაში. იტალიაში ისინი ჩავიდნენ 1438 წლის თებერვალში.

„*De Docta ignorautia*": განათლებულ უცოდინარობაზე. სამი წიგნი, დასრულებული 1440 წლის თებერვალში.

18 *იხსნება სქოლასტიკაში*: იხ. რუდოლფ შტაინერი, „თომა აქვინელის ფილოსოფია", GA74, დორნახი 1967.

19 *მაისტერ ეკხარტი*, ჰოხჰაიმი გოთასთან, დაახ. 1260-1328-მდე, კიოლნი. გერმანელი მისტიკოსი, დომინიკანელი, მაგისტრი. ქადაგებდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ორდენსა და ეკლესიაში. ასწავლიდა პარიზში, სტრასბურგსა და კიოლნში. ძირითადი ნაწარმოები: „Opus tripartitus" (სულიერი ქადაგებანი და მსჯელობანი), ეფუძნებოდა სქოლასტიკასა და დიონისე არეოპაგიტელის თხზულებებს. მისი ქადაგებების, დარიგებებისა და ტრაქტატების ჩანაწერები ხშირად თავად ორატორის კონტროლის გარეშე ვრცელდებოდა. იხ. შენ. 1.

20 *მე ვეფლობი ღვთაების ამ არარაში**: სიტყვასიტყვით: „მისთვის მე უნდა მოვკვდე სათნო ადამიანებისთვის და გადავეშვა ღვთაების უარყოფისკენ, რომ მე სამარადისოდ ჩავეფლო არადან „მე"-სკენ. (შუა გერმანული ტრაქტატიდან „Von dem Anefluzze des Vater", დაბეჭდილი ფრანც ფაიფერის დროს, მაისტერ ეკხარტი, 1857).

20 *თომა აქვინელი*: Thomas Aquinas, ციხე-დარბაზი როკასეკა ნეაპოლის მახლობლად, დაახ. 1225-1274, ფოსსანუოვას მონასტერი. დომინიკანელი, სქოლასტიკოსი, ეკლესიის მამა, კიოლნში ალბერტ მაგნუსის მოწაფე და მეგობარი. სულიერ რეალობას წარმოადგენდა ზოგადი ცნებით, 1261-1264 წლებში ხელმძღვანელობდა პაპის თეოლოგიურ სკოლას რომში და

1265-1267 წლებში იქვე ახორციელებდა დომინიკანელთა მომზადებას. 1268 წლიდან ასწავლიდა ნეაპოლში და საფრანგეთში. იხ. რუდოლფ შტაინერის „თომა აქვინელის ფილოსოფია“, GA74 და „ფილოსოფიის გამოცანები“, GA18, დორნახი 1968.

23 *ნიკოლაუს კოპერნიკი*: თორნი, 1473-1543, ფრაუენბურგი. ჰუმანისტი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ექიმი, იურისტი. არანაირი პუბლიკაცია სიცოცხლის პერიოდში, ერთი თარგმანის გამოკლებით. თავის ნაშრომს პლანეტათა ჰელიოცენტრულ სისტემაზე ძირითადად ასრულებს 1507 წელს. კოპერნიკი უკვე მომაკვდავი იწვა, როცა გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ციურ სფეროთა მოძრაობაზე“. მან ეს ნაშრომი მიუძღვნა პაპს – პავლე III. მისმა მეგობარმა წინასიტყვაობაში ისე წარმოადგინა, თითქოს ეს იყო გამოთვლის წმინდა ჰიპოთეტური სპეციალური მეცნიერული მეთოდი. ასე გაუსხლტა ის ცენზურას, სანამ მესამე გამოცემით 1616/1617 წწ. არ აიკრძალა. მხოლოდ 1822 წელს მიიღო კათოლიკურმა ეკლესიამ მისი შინაარსი. იხ. რუდოლფ შტაინერის „ადამიანისა და კაცობრიობის სულიერი წინამძღოლობა“, GA15.

28 . . . *ატლანტიდის შემდგომი*: იხ. რუდოლფ შტაინერის „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, GA13 (II ქართული გამოცემა – 2009 წ.).

30 . . . *სულის ანასახს*: კონსპექტში აღნიშნულია „როგორც სხეული და როგორც სხეული სულის ანასახის სახით“.

32 . . . *მე მივაყურადებ*: იხ. ჭეშმარიტი გამონათქვამი: „მე მესმის სამყაროში მდუმარე შორეთები“ („Wahrspruchworte“), GA40.

35 *დემოკრიტე*, დაახ. 460-360 ქრისტემდე. მისი მრავალრიცხოვანი თხზულებიდან, რომლებიც ეხებოდა ფილოსოფიას, მათემატიკას, ფიზიკას, მედიცინას, ფსიქოლოგიასა და ტექნიკას, შემორჩა მხოლოდ ფრაგმენტები და ჩამონათვალი. მოყვანილი ადგილი არის ცნობა არისტოტელეს მეტაფიზიკიდან I, 4: „..ამიტომ ისინი (ლევკიპი და დემოკრიტე) ასევე ამტკიცებდნენ, რომ არმყოფადი ისევე არსებობს, როგორც მყოფადი, ისევე, როგორც არის სიცარიელე და სისავსე, ეს კი დგინდება, როგორც მატერიალური მიზეზები“ (ბონიტცის მეტაფიზიკის თარგმანის მიხედვით, ჰამბურგი 1966).

37 *ფრენსის ბეკონი.* ასევე ბეკონ ვერულამელი, ლონდონი 1561-1625 ჰიგჰატე (Highgate). ადვოკატი, ექიმი, პოლიტიკოსი, დიპლომატი, ესეისტი, ფილოსოფოსი და ჰუმანისტი. ლიბერალურად და წარმატებით ხელმძღვანელობდა ინგლისის მთავრობას 1603-1621 წწ. ამ წლებში შეიქმნა მისი მთავარი ნაწარმოები. თავისი ეპოქის ფილოსოფიას იგი განიხილავდა, როგორც ჩიხში შესულს უპერსპექტივო მცდელობებში, არისტოტელეს ლოგიკის დახმარებით გადაეწყვიტა გადაუჭრელი პრობლემები. ცოდნის მთავარი წყარო მისთვის გახდა ბუნების კვლევა. მასში იგი ხედავდა სულიერი და სამეურნეო ცხოვრების საყოველთაო განახლების ერის დადგომას. ძირითადი ნაშრომები: 1. ახალი ორგანონი. 2. De dignitate et augmentis..... 3. Sylva Sylvarum, განზრახვისა და მეთოდის თავდაპირველი უწყება. თუმცა ის მომზადების სტადიაში დარჩა. სამაგიეროდ იყო გასაოცარი ლიტერატურული წარმატება და ინტენსიური სტიმული იქნა მიცემული მატერიალისტური მსოფლმხედველობისთვის. იხ. რუდოლფ შტაინერის „ფილოსოფიის გამოცანები“, GA18, დორნახი 1968.

39 . . . *იმ მომენტში,* დოკუმენტებში წერია „წარმოიქმნება“, ნაცვლად „შესაძლებელი ხდება“.

42 *სპინოზა,* დე ბენედიქტუს, ამსტერდამი 1632-1677 ჰააგა. ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, მიიღო ჰუმანიტარული და თალმუდისტური განათლება. მისი მთავარი ნაწარმოებია „ეთიკა“, ძალზე დამახასიათებელი სრული სათაურით: ეთიკა, გადმოცემული გეომეტრიულ მეთოდთან შესაბამისობაში. წიგნი გამოიცა სპინოზას მეგობრების მიერ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ (1677). იხ. რუდოლფ შტაინერის „მისტიკა...“ და „ფილოსოფიის გამოცანები“.

43 *არაევკლიდური გეომეტრია*: ის წარმოადგენს მთავარ მაგალითს „აზროვნების თავისთავად საკმარის შინაგან შესაძლებლობას“. კარლ ფრიდრიხ გაუსმა (1777-1855) პირველმა გახსნა, რომ დასაშვებია სისტემა, რომელიც აღემატება გეომეტრიის სისტემას. მაგრამ რამდენადაც ვერავინ გაიგო გაუგონარი, ამიტომ მან გადაწყვიტა, არ გამოექვეყნებინა თავისი შედეგები, რომ უაზრო და უსარგებლო კამათს გაქცეოდა. გაუსისგან და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად პირველად გამოაქვეყნეს მსგავსი პრობლემის თავიანთი გადაწყვეტები ლობაჩევსკიმ, 1828-29 წწ. და ი. ბოლიაიმ, 1832

წ. ამ შედეგის მნიშვნელობაზე რუდოლფ შტაინერი არაერთხელ საუბრობდა, მაგ. 1910 წლის 26 აგვისტოს ლექციაში, ციკლიდან: „სულიერი ადამიანის გზები და მიზნები“, GA125, და ა. შ. იხ. ასევე: კარლ უნგერი: „ფიზიკა გზაგასაყარზე“, დორნახი, 1948, და „ფიზიკური ცნებების წარმოქმნაზე“, შტუტგარტი, 1967.

47 *...სხეულის წინ-უკან:* კონსპექტში არსებული „სხეულების“ ნაცვლად აქ ჩასმულია „სხეული“.

რენე დეკარტი, ლათინურად რენატუს კარტეზიუსი, La Haye (Touranie) 1596-1650 სტოკჰოლმი. მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი. აღიზარდა ლა ფლეშის იეზუიტურ სკოლაში, თავიდან ჯარისკაცობა უნდოდა და მონაწილეობდა რამდენიმე ლაშქრობაში, მაგრამ მალე განუდგა გარეგნულ ცხოვრებას იმ ცხოვრების გამო, რომელიც ეძღვნებოდა შემეცნებას სასურველ მარტოობაში, ჯერ პარიზში, შემდეგ ჰოლანდიაში. გარდაიცვალა სტოკჰოლმში, სადაც იგი მიიწვია დედოფალმა კრისტინამ. ეჭვი შეჰქონდა ყოველგვარ ტრადიციაში, ასევე გრძნობად გამოცდილებაში, ფილოსოფიის ამოსავალ წერტილში და ყოველგვარი ყოფიერებისთვის გარანტიას ხედავდა თვითცნობიერებაში (cogito, ergo sum, ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ). აფუძნებს ანალიტიკური გეომეტრიის მეთოდებს, იძლევა ცისარტყელის ახსნას. მთავარი ნაწარმოებები: . . . იხ. „ფილოსოფიის გამოცანები“.

იოანე ტაულერი: დაახ. 1300-1361, სტრასბურგი. მქადაგებელი და მოძღვარი. დომინიკანელი, მისტიკოსი, მაისტერ ეკხარტის მოწაფე. ქადაგებები და თხზულებები გამოცემულია ვ. ლემანის მიერ (1923). იხ. „მისტიკა...“, თავი – „ღვთის მეგობრები“.

48 „*სამშვინველის გამოცანები*“ – (1917), GA 21. დორნახი 1976.

48 . . .*საუნივერსიტეტო მხრიდან:* გოტინგენში ანატომიის პროფესორის დოქტორ ჰუგო ფუქსის რეპლიკასთან დაკავშირებით, რომელიც გამოითქვა დოქტორ ვ. ი. შტაინისა და დოქ. ე. კოლისკოს მიერ წაკითხულ ორ მოხსენებასთან მიმართებით. მასში აისახა თავდასხმა ორ სტატიაზე „ანთროპოსოფია, როგორც მეცნიერება“ ყოველდღიურ გაზეთში ნოტინგენში. ფუქსი საუბრობდა, ამასთან კარიკატურულად,

ადამიანის სისტემებზე – თავის, მკერდისა და ნივთიერებათა ცვლის. იხ. რუდოლფ შტაინერი, GA24, დორნახი 1961.

54 *„სისხლი არის სრულიად განსაკუთრებული წვენი“*: გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვით, ნაწ. I, კაბინეტი, ფაუსტი და მეფისტოფელი. იხ. მოხსენება „სისხლი სრულიად განსაკუთრებული წვენი“, ტომში „ზეგრძნობადის შემეცნება ჩვენს დროში“, GA55.

56 *ვილიამ ჰარვეი,* ფოლკესტონი 1578-1658 ჰარმშტადტი. ფიზიოლოგი და ანატომიის პროფესორი, ლონდონი. დიდი სისხლის მიმოქცევის პირველი აღმომჩენი. (1628).

58 . . . *მათემატიკურს:* სტენოგრამაში აღნიშნულია „თავად საკუთარ თავზე, რომ . . . პოულობ კავშირში საკუთარ ღვთაებრივთან, როგორც მათემატიკურს“.

60 *ჯორდანო ბრუნო,* ნოლა 1548-1600 რომი. დომინიკანელი 1568-1576 წწ. ცხოვრებას ატარებდა მოგზაურობებში. ძირითადი ნაწარმოებები გამოჩნდა ინგლისის სამეფო კარზე ელიზაბეტ I დროს. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ბრალი დასდეს ერეტიკოსობაში, ციხეში ჩააგდეს და რვაწლიანი პატიმრობის შემდეგ რომში კოცონზე დაწვეს. იხ. რუდოლფ შტაინერის „ფილოსოფიის გამოცანები“, ასევე „ადამიანისა და კაცობრიობის სულიერი წინამძღოლობა“, GA15.

62 *ისაკ ნიუტონი,* სერ, ლინკოლნშირი 1642-1727 ლონდონი. უმცროსი ოჯახში, დაიბადა, როგორც ჯუჯა. პროფესორი კემბრიჯში 1669-1701 წწ. სამეფო საზოგადოების წევრი, ლონდონი, 1672 და 1703 წლიდან სიკვდილამდე მისი პრეზიდენტი. 1704 წლის შემდეგ, როცა გამოსცა თავისი „ოპტიკა“, მან დაკარგა ყოველგვარი ინტერესი ფიზიკისა და მათემატიკისადმი, ასევე საკუთარი შრომების ბედისა და შედეგებისადმი. იგი მიუბრუნდა ქიმიურ და ალქიმიურ ექსპერიმენტებს და ამ სფეროში ძველი ტრადიციების შესწავლას. სიბერეში დაკავებული იყო რელიგიურ-სპეკულაციური კვლევებით. სიკვდილის წინ მან საკუთარი ცხოვრება შეადარა, დღისით ზღვის ნაპირას ქვიშითა და ნიჟარებით მოთამაშე ბავშვს, რომელიც თავის ზურგს უკან უკვე ვეღარ ამჩნევს ოკეანეს.

63 *. . . .მე არ ვთვლი საჭიროდ*: ნიუტონის წიგნში „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“ სქოლიოში VIII დეფინიციაზე წერია: „დროს, სივრცეს, ად-

გილს და მოძრაობას მე არ განვსაზღვრავ, რამდენადაც ისინი კარგადაა ცნობილი“.

64 *ბერკლი*, (George Berkeley), ჯორჯ, დაისარტ კასტლი, ირლანდია 1685-1753 ოქსფორდი. ინგლისელი ფილოსოფოსი და ანგლიკანელი მისიონერი, 1734 წლიდან ეპისკოპოსი. ძირითადი ნაწარმოებები: „Treatise....“, 1710, „Alciphron“, ეთიკასა და თავისუფლად მოაზროვნის შეხედულებებზე, 1732; „Siris“ 1744, სადაც საუბარია მეტაფიზიკურ საკითხებზე. იხ. „ფილოსოფიის გამოცანები“.

ბერკლიმ თქვა: – მაგ. თხზულებაში „De Motr“ (მოძრაობაზე). 43 თავში წერია: მოძრაობა, გრძნობების მიერ მკაფიოდ აღქმული, ბუნდოვანი ხდება, მაგრამ არა თავისი საკუთარი არსის გამო, არამედ გაცილებით უფრო მეტად ფილოსოფოსების სწავლული კომენტარების მეშვეობით.

67 *. . . ღვთაებათა გრძნობის ორგანო*: 1704 წლის ნიუტონის „ოპტიკის“ გამოცემის, სამუელ კლერკის მიერ 1706 წელს შესრულებულ თარგმანში, რომელიც ნიუტონმა მოიწონა და შეავსო დამატებებით, პირველად გამოჩნდა ეს ფორმულა, კერძოდ ნაწარმოების ბოლოს მოყვანილ 28 დასკვნაში. ეს ადგილი ჟღერს ასე: „თუ კითხვებს პასუხობ სწორად, მაშინ არ შეიძლება ფენომენებიდან დაადგინო, რა არის მაინც არსი, უსხეულო, ცოცხალი, სულიერი არსებით შემოსილი, რომელიც უსაზღვრო სივრცეში მოვლენებს აღიქვამს გარკვეულწილად, როგორც თავის გრძნობის ორგანოს, ხედავს მათ თვით უშინაგანესამდე და მოიცავს თავისი ყველაფრის მომცველი მყოფობით, მაშინ როცა ის, ვინც ჩვენში შეიგრძნობს და ფიქრობს, ჩვეულებრივ იღებს მხოლოდ მოვლენათა ხატებს, რომლებიც გადმოცემულია გრძნობის ორგანოებით და თავისი ამ პატარა ორგანოებით აღიქვამს და განიხილავს?“. ეს აზრი, როგორც ჩანს, ეკუთვნის არა მარტო ნიუტონს, არამედ ის უკვე განვითარებული იყო ამგვარი სახით ჰენრი მოროს, კემბრიჯელი პლატონიკოსის მიერ, რომელიც ნიუტონს კარგად იცნობდა და ასევე სხვების მიერ.

. . . გოეთეს . . . ნიუტონთან ერთად წინსვლა: ფერზე ნიუტონის ხსენებულ მოძღვრებასთან დაკავშირებით მის პოლემიკაზე იხ. რუდოლფ შტაინერის „გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომებზე“, GA1a-e (ხუთ ტომად, დორნახი 1975).

69 *ლაიბნიცი*, გოტფრიდ ვილჰელმი, ლაიპციგი 1646-1716 ჰანოვერი; ფილოლოგი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, იურისტი, სახელმწიფო მოღვაწე, ექიმი, თეოლოგი, მეტწილად ცხოვრობდა თავადების კარზე, ბევრს მოგზაურობდა. უსასრულოდ მცირე სიდიდეების გამოთვლის ავტორი (1686 წელს) – დამოუკიდებლად ნიუტონისგან.

ბერკლი ხდება მოწინააღმდეგე . . .: მაგ. თხზულებაში „The Analyst“ (ანალიტიკოსი, 1734, შესულია თხზულებაში „მათემატიკისა და ფიზიკის საფუძვლებზე“). დასათაურება შესრულებულია 50 თეზისის ფორმაში. ზოგიერთი მათგანი, მაგ., ჟღერს შემდეგნაირად: (7): რწმენაში საიდუმლოების წინააღმდეგ უსამართლოდ გამოდიან ისინი, ვინც მათ მეცნიერებაში უშვებს; (13): წარმოებულის ხარისხებისთვის წესებს არაკეთილსინდისიერი არგუმენტაციებით იღებენ; (22): ორმაგი ცოდვის დახმარებით ანალიტიკოსები აღწევენ ჭეშმარიტებას, ამასთან მათ არ იციან, როგორ მიდიან ისინი თავის საკუთარ დასკვნამდე. თანდართულ პოლემიკაში, მაგ., კითხულობ: დედამიწის ზურგზე ვერც ერთი უდიდესი სახელი ვერ მაიძულებს, გაურკვეველი საგანი ან მოვლენა ჩავთვალო გარკვეულად. . . როცა შესაძლებლად მიგაჩნია „გააგრძელო ხედვა ისე, როგორც სერ ისააკ ნიუტონი ან აღემატები მას“, ისინი საუბრობენ ამაზე, როგორც დანაშაულზე. ცხადია, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამით თქვენ გამოთქვამთ გრძნობებს და ბევრ სხვა რამესაც. თუმცა არის კიდევ სხვები. . „ რომლებიც შეიგრძნობენ, რამდენად უსინდისობაა მიბაძო უდიდესი ადამიანის ნაკლოვანებებს და რომლებიც დანაშაულს ვერ ხედავენ სურვილში, გამოიტანონ განაჩენი არა მარტო სერ ისააკ ნიუტონზე, არამედ მთელ კაცობრიობაზეც“.

72 *ფარდობითობის თეორია*: მომზადდა ბახისა და ლორენცის მიერ, დაამუშავა აინშტაინმა. სპეციალური ფარდობითობის თეორია 1905 წელს, საყოველთაო ფარდობითობის თეორია 1916 წელს. იხ. ასევე ამავე ციკლის 7 მოხსენება. „ფილოსოფიის გამოცანები“, გვ. 590 და მომდ. გეორგ უნგერის „ფიზიკური ცნებების წარმოქმნაზე“, შტუტგარტი 1967.

73 *ლესინგი*, გოტჰოლდ ეფრაიმ, კამენცი/ლაუზიტცი 1729-1781 ბრაუნშვაიგი. დრამატურგი, ესეისტი, კრიტიკოსი. გერმანულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გახსნა ახა-

ლი ეპოქა. 1780 წელს გამოცემულ მის თხზულებას „საკაცობრიო მიდგომის აღზრდა“, უნდა განევითარებინა განმეორებითი მიწიერი ცხოვრებების პოსტულირება საკაცობრიო მოდგმის განვითარებისთვის. იხ. რუდოლფ შტაინერის „ფილოსოფიის გამოცანები“.

74 . . .*პირადული შენიშვნა*: ამის მიზეზი გახლდათ პოლემიკა ატომის რეალობასთან დაკავშირებით ჟურნალში „Die Drei“, 1921-1922 წწ. გამოცემა. იხ. შენიშვნა გვ 11.

76 *ჯონ ლოკი*, ვრინგტონი, ბრისტოლის მახლობლად 1632-1704 ოტესი ესექსი; ინგლისელი თეოლოგი, ფილოსოფოსი და ექიმი. პურიტანიზმის გამო ინგლისში იდევნებოდა და იმალებოდა ჰოლანდიაში 1689 წლის ინგლისის რევოლუციამდე. მისი ძირითადი ნაშრომია „An Essay. . .“, 1690. იხ. „ფილოსოფიის გამოცანები“, ასევე „თავისუფლების ფილოსოფია“, GA4.

. . .*ჯონ ლოკი ორ ნაწილად ყოფს*: მის ნაშრომში „მონაცემი ადამიანურ გონებაზე“, წიგ. II.

80 *რიჰარდ ვაალე*, 1857-1935, ვენა, ფილოსოფიის პროფესორი, აღიარებს მხოლოდ აღქმებს, წარმოდგენებსა და შეგრძნებებს, უარყოფს მანამდე არსებულ ყოველგვარ ფილოსოფიას შემეცნების მეცნიერების სახით. მისი ნაშრომებია: „სულის ფილოსოფია და მისი დასასრული“, 1894; „სულიერი ცხოვრების მექანიზმებზე“, 1906; „ხასიათის წარმოქმნა“, 1915, და სხვ.

. . . *ისინი ამოვარდება:* იხ. „თავისუფლების ფილოსოფია“, IV თავი; „ფილოსოფიის გამოცანები“, ტ. 2.

ემანუელ კანტი, 1724-1804. ცხოვრობდა კენიგსბერგში, რომელსაც იშვიათად ტოვებდა. ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი, მათემატიკოსი. პროფესორი კენიგსბერგში 1770-1794. იხ. რუდოლფ შტაინერი „ჭეშმარიტება და მეცნიერება“, „თავისუფლების ფილოსოფია“, „ფილოსოფიის გამოცანები“ და „ჩემი ცხოვრების გზა“, GA28.

. . .*კანტმა* თქვა: მაგ., ზოგად შენიშვნებში „ტრანსცენდენტალურ ესთეტიკაში“ და „წინდა გიონების კრიტიკაში“.

81 *აუგუსტ ვაისმანი*: მაინის ფრანკფურტი 1834-1914 ფრაიბურგი. ბიოლოგი, მემკვიდრეობის მკვლევარი, ორგანიზმის უჯრედებსა და ჩანასახოვან პლაზმას შორის პოლარულობის თეორია. – დეტერმინანტები, როგორც მემ-

კვიდრეობის მატარებელნი. თხზულება: „კვლევები კვლევის თეორიაზე“. 1875/76.

82 . . *.კვდომის შესაძლებლობაც*: „კვდომის შესაძლებლობა“, ნაცვლად „კვდომისა“.

85 „*ბატონებისთვის ნიშანდობლივი სული*“: ციტატა გოეთეს ფაუსტიდან, პირველი ნაწილი „ღამე“, გოთური ოთახი, სცენა 2: „ფაუსტი და ვაგნერი“:

„Mein Freund, die Zeiten der Vergangenheit
Sind uns ein Buch mit sieben Siegeln.
Was Ihr den Geist der Zeiten heißt,
Das ist im Grund der Herren eigner Geist,
In dem die Zeiten sich bespiegeln.“

86 *ანრი პუანკარე*, ნანსი 1854-1912 პარიზი. მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი. მისი ნაშრომებია: „მეცნიერება და ჰიპოთეზები“, (1902), „მეცნიერების მნიშვნელობა“, (1905), „მეცნიერება და მეთოდები“, (1909), „უკანასკნელი აზრები“, (1912).

89 *შლაიდენი*, მათიას იაკობი, ჰამბურგი 1804-1881 მაინის ფრანკფურტი. იურისტი, მედიკოსი და ბოტანიკოსი. განავითარა უჯრედების წარმოქმნის თეორია, 1938, ნაშრომში „მცენარეთა წარმოშობის საკითხები“.

შვანი, თეოდორი, ნოისი 1810-1882 კიოლნი. ბიოლოგი. დააფუძნა უჯრედების თეორია, 1839.

91 *მეექვსე ლექცია,* 1923 წლის ახალი წლის ღამეს დაიწვა გოეთეანუმი. ეს იყო ხის შენობა, რომელსაც ათი წლის მანძილზე აფორმებდა უამრავი მხატვარი და არქიტექტორი სხვადასხვა ქვეყნიდან. მასში ყოველი ზედაპირი და თითოეული კუთხე გაფორმებული იყო, ასე ვთქვათ, მხატვრულად. (იხ. ასევე „გოეთეანუმის არქიტექტურული ჩანაფიქრი“, GA290, შტუტგარტი 1958). შენობა მთლიანად დააპროექტა რუდოლფ შტაინერმა და თავად ხელმძღვანელობდა მშენებლობას. 1 იანვრიდან გოეთეანუმის მოღვაწეობა კვლავ გადაიტანეს ე. წ. სახელოსნოში, დამხმარე ნაგებობაში, რომელიც გამოიყენებოდა შენობის აგებისა და ანთროპოსოფიული მუშაობისთვის. თავად ამ მუშაობისთვის რუდოლფ შტაინერს არ დაუშვია არანაირი შესვენება: 1 იანვრის დღის მეორე ნახევარში, ხანძრის შემდეგ, შესრულდა პიესა სამ მოგვ-მეფეზე, როგორც ეს იყო განსაზღვრული აღნიშნული კურსის

მოსაწვევ ბილეთში. რუდოლფ შტაინერმა დაიწყო მოკლე მიმართვით, სადაც სხვასთან ერთად თქვა ასეთი სიტყვები: „უდიდეს მწუხარებას შეუძლია იყუჩოს იმაზე, რასაც ის განიცდის; . . . ქმნილება, რომელიც ათი წლის მანძილზე თავდადებული სიყვარულით და ერთგულებით იქნებოდა ჩვენი მოძრაობით შთაგონებული ურიცხვი მეგობრის მიერ, ერთ ღამეში განადგურდა. ცხადია, სწორედ დღეს მდუმარე მწუხარებაში უნდა იგრძნობოდეს, რაოდენ უსაზღვრო სიყვარული და ზრუნვა იყო ჩადებული ამ შრომაში. . ; რამდენადაც ჩვენ ამოვდივართ იმ გრძნობიდან, რომ ყველაფერი ჩვენ მიერ განხორციელებული ჩვენი მოძრაობის ფარგლებში წარმოადგენს აუცილებელს თანამედროვე საკაცობრიო ცივილიზაციის შიგნით, ამიტომაც გვსურს ჩაფიქრებული შეძლებისდაგვარად გავაგრძელოთ ჩვენთან ჯერ კიდევ დარჩენილის ფარგლებში და თვით ამ საათს, როცა გარეთ ჯერ კიდევ ბრიალებს ცეცხლის ენები, რომლებიც ჩვენში აღძრავს ესოდენ დიდ ტკივილს, გვსურს შევასრულოთ ის პიესა, რომელიც დაპირებული იყო ამ კურსის ბოლოს და ჩვენ კურსის მონაწილეთა დიდი იმედი გვაქვს. დღეს ასევე საღამოს 8 საათზე მე აქ წავიკითხავ დანიშნულ ლექციას. (შესულია ციკლში „მიმართვები საშობაო ქმედებებისკენ უძველესი ხალხებიდან“, GA274, ასევე GA253).

94 . . . *ამ სხეულების:* ამ ძირითად ფაქტს იპოვით წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, GA13, თავებში „ძილი და სიკვდილი“ და „ზეგრძნობადი სამყაროების შემეცნება“.

96 *პარაცელსი,* თეოფრასტუს ფონ ჰოჰენჰაიმი, შვეიცარიის კანტონი აინზიდელნი 1493-1541 ზალცბურგი. მედიცინის დოქტორი, ფერარა; პროფესორი ბაზელში. გამოჩენილი ექიმი, ბუნებისმეტყველი და ნატურფილოსოფოსი. შრომები ქიმიის, მედიცინის, ბიოლოგიის, ასტრონომიის, ასტროლოგიისა და თეოლოგიის სფეროში. მითები პარაცელსის, როგორც ალქიმიკოსის, მაგისა და შარლატანის შესახებ, გამოგონილია მისი სიკვდილის შემდეგ და ამან დაამახინჯა მისი რეალური სახე. ყველაზე სრული შრომები გამოცემულია კარლ ზუდჰოფის მიერ (14 ტომად). იხ.: „ფილოსოფიის გამოცანები“, (ასევე შენიშვნა 136, იატროქიმიაზე).

ვან ჰელმონტი, იოჰან ბაპტისტ, ბრიუსელი 1577-1644 იქვე. მან მოახერხა გამოეცნო და დაეშალა გაზები (წყალ-

ბადი და ნახშირორჟანგი). მან შექმნა სრული „გაზი“ საჰაერო აგრეგატული მდგომარეობისთვის. (იხ. ასევე შენიშვნა 136 იატროქიმიაზე).

98 . . . *მე გამოვხატე*: იხ. რუდოლფ შტაინერის „გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომები“, I.

. . .*ბოლონიის ფილოსოფიურ კონგრესზე*: 1911 წლის 8 აპრილის მოხსენება IX ინტერნაციონალურ ფილოსოფიურ კონგრესზე. შესულია გამოცემაში GA35, დორნახი 1965.

100 . . .*ზედა ყბაში*: იხ. „გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომები“, I ა-ე (5 ტომად, დორნახი 1975) და GA1, დორნახი 1973.

106 . . . *გოეთეანუმის დაკარგვის გამო*: იხ. შენიშვნა 85/91.

107 . . . *ჩემს წიგნში*: „სულისმცოდნეობა. სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების შესავალი და ადამიანის დანიშნულება“. GA9.

108 . . . *ანთროპოსოფიულ მოხსენებებში*: მოცემული კურსის მონაწილეები ასევე მოწვეულნი იყვნენ წევრებისთვის განკუთვნილ მოხსენებებზეც, რომელსაც რუდოლფ შტაინერი კითხულობდა 1922 წლის 23, 24, 29, 30, 31 დეკემბერს და 1923 წლის 5, 6 და 7 იანვარს. ეს მოხსენებები შესულია ტომებში: GA 219 და GA220.

111 *გალილეო გალილეი*, პიზა 1564-1642 არცეტრი ფლორენციასთან. აღმოაჩინა ქანქარას მოძრაობის იზოქრონიზმი (Isochronismus), თავისუფალი ვარდნის, იგივე მიზიდულობის კანონი, ინერციის კანონი. ასტრონომიული აღმოჩენები თავისივე შექმნილი ტელესკოპით. ინკვიზიციის პროცესი მის წინააღმდეგ (1633) დასრულდა კოპერნიკის მსოფლიო სისტემის გავრცელების აკრძალვით. იხ. „ფილოსოფიის გამოცანები“ და „ადამიანისა და კაცობრიობის სულიერი წინამძღოლობა“.

. . . *მიზიდულობის კანონი*: მისი ნაშრომი „თეზისები სიმძიმის ძალის მოქმედებაზე“ – პირველი პუბლიკაცია 1854 წ. საბოლოო ვარიანტი გამოჩნდა 1638 წელს ლეიდენში.

. . . *მტრობა არისტოტელესთან მიმართებაში*: ასეთ მოწინააღმდეგეებს შორის, სხვებთან ერთად, იყვნენ: ჯორდანო ბრუნო, გალილეი და ბეკონი. იხ. „ფილოსოფიის გამოცანები“.

114 *იოანეს კეპლერი,* ვიურტენბერგი 1571-1630 რეგენსბურგი. მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ასტრონომი, ასტრონომიული ჭოგრის გამომგონებელი; კარის ასტრონომი და მათემატიკოსი სამი იმპერატორის, თავადისა და ქვეყნის. პროტესტანტობისას დევნიდნენ და იმალებოდა. მთლიანად გამოფიტული ცხოვრებისეული სიდუხჭირისგან, იგი ნაადრევად გარდაიცვალა რაიხსტაგში რეგენსბურგში, სადაც იმედოვნებდა სიცოცხლისთვის აუცილებელი მინიმუმის მოპოვებას. პლანეტათა მოძრაობის სამი კანონის გამოთვლისთვის მან შეძლო გამოეყენებინა ტიხო დე ბრაგეს დაკვირვების მონაცემები, რომლის მიმდევარიც გახდა პრაღის სამეფო კარზე. მეორე მხრივ, სამი პლანეტარული კანონის ამოსავალი წერტილი იყო კოპერნიკის პლანეტარული სისტემა. კეპლერზე იხ. GA 323.

115 *გალილეის ცალკეულ პრინციპს:* კონსპექტში წერია გალილეის „აბსოლუტური“ პრინციპი. შესწორებულია რამდენიმე წინადადების შემდეგ.

. . . *მხოლოდ კონსტრუირება:* ამასთან მას საკმარისად მიაჩნია მის მიერვე დადგენილი მიწიერი სხეულების მექანიკა – გალილეის მექანიკის შემდგომი განვითარება – და კეპლერის სამი პლანეტარული კანონი, რომ გაითვალისწინოს გრავიტაციის კანონი და ეს გამოთვლები გამოაქვეყნა თავის ნაშრომში „Philosofiae . . .“. იხ. რუდოლფ შტაინერის GA 323.

117 *გალენი.* პერგამო, მცირე აზია 129-199 რომი. ექიმი და ფილოსოფოსი. მარკუს ავრელიუსის პირადი ექიმი. 150 ნაშრომი მედიცინაზე. 125 თხზულება ფილოსოფიაზე, მათემატიკასა და იურისპრუდენციაზე.

. . . *ეთერული სხეულის საკუთარ განცდაზე:* იხ. შენიშვნა 94/129. ასევე რუდოლფ შტაინერის „ადამიანის გზა თვითშემეცნებისკენ რვა მედიტაციაში“, GA16. (*ქართული თარგმანი, 2000 წ.*).

118 . . . *საკმაოდ გაურკვეველსა და ბუნდოვანზე:* ეს დადასტურებულია ქიმიის სახელმძღვანელოებში. ისინი საუბრობენ ქიმიაზე „როგორც უპირატესად ემპირიულ მეცნიერებაზე“. ამიტომ ქიმიის კანონების ავტორები იძულებულნი არიან ტექსტში შეიტანონ შენიშვნები შემზღუდავი სახით: „ჩვეულებრივ ითვლება“, „ზოგადად შეიძლება ითქვას“. ქიმიური კანონები უმეტესწილად ითვლება დასკვნებად ფიზიკუ-

რი კანონებიდან, მაგ., თერმოდინამიკის კანონებიდან. არამეცნიერულ აზროვნებად ითვლება თუ არ აზროვნებენ მექანისტურად. ლიტერატურა: ჰ. რემის „არაორგანული ქიმია“, ლაიპციგი 1954.

120 . . . *ინერციის კანონს*: იხ. ასევე კარლ უნგერის „ფიზიკური ცნებების წარმოქმნაზე“, ტ. 1. შტუტგარტი 1959.

121 . . . *ფარდობითობის თეორიის*: იხ. შენიშვნა გვ. 98.

122 . . . *ერთიანობისა და თანაგრძნობის*: იხ. შენიშვნა გვ. 91.

. . . *კაცობრიობის განვითარების მსვლელობისას*: იხ. ასევე „ბუნებრივი შემეცნების საზღვრები“, GA 322, V-VIII ლექციები.

124 *იოანეს სკოტ ერიგენა*, (Erigena)ასევე ერიუგენა, ირლანდია 810-877 საფრანგეთი. სქოლასტიკამდელი ფილოსოფოსი, თეოლოგი ენების დიდი ცოდნით. ბრიტანეთიდან ჩამოვიდა საფრანგეთში. 845-877 წწ. ხელმძღვანელობდა საიმპერატორო უმაღლეს სკოლას პარიზში. თარგმნა დიონისე არეოპაგიტელის თხზულებები, 858 წ. მისი მთავარი ნაშრომია „De divisione naturae“ (ბუნების დაყოფა). ასწავლიდა პლატონის თვალსაზრისიდან. დიონისეს იერარქიული წესრიგის შემოტანისთვის შევიდა მსოფლიო საეკლესიო მმართველობაში. იხ. „მისტიკა . . .“, ასევე „ფილოსოფიის გამოცანები“.

124 *ფსევდო დიონისე არეოპაგიტელის თხზულებებისკენ*: ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულება მიდის მეხუთე საუკუნემდე. დიონისე იყო ათენის არეოპაგის წევრი და პავლე მოციქულის მოწაფე (მოციქულთა საქმენი 17, 34). კათოლიკურმა ეკლესიამ მიიღო დიონისეს მიერ დადგენილი სამჯერ სამი იერარქია დოგმად. მისი თხზულებების ლათინური თარგმანი ენთუზიაზმით მიიღეს და ჯერ კიდევ XVII საუკუნეში უტყუარად ითვლებოდა. იხ. „ფილოსოფიის გამოცანები“, შემდეგ „თომა აქვინელის ფილოსოფია“ და „სულისმეცნიერების ამოსავალი იმპულსები“ GA 96, დორნახი 1974. ასევე ოტო ვილმანის „იდეალიზმის ისტორია“, ტ. II.

127 . . . *ბერძნული ფილოსოფია*, „ფილოსოფიის გამოცანები“, გვ. 35-65.

თალესი მილეტიდან, დაახ. 650-560 ქრისტემდე.

ჰერაკლიტე ეფესელი, დაახ. 550-480 ქრისტემდე.

129 . . .*საუბრობდნენ აზროვნებასა და სურვილზე*, აღნიშნულ პიროვნებებზე იხ. წიგნში „მისტიკა. . .“.

132 . . . *ფიზიკურსა და ქიმიურს*: „Physikalische“-ს (ფიზიკური, რომელიც ფიზიკას განეკუთვნება) ნაცვლად წერია „Physische“, (ფიზიკური, სხეულებრივი, საგნობრივი).

. . . *ამოაგდებს იგი სითბურს*: *Wärmehafte*-ს ნაცვლად სტენოგრამაში წერია „ Wärmehältige “ ან „ Wärmehäftige “.

133 . . . *იაკობ ბიომე*, ალტზეიდენბერგი – გიორლიტცი 1575-1624 გიორლიტცი; მისტიკოსი. პროფესიით მეწაღე. პირველი ნაწარმოები „ავრორა“, 1612 წ. მომდევნო ნაწარმოებები 1616 წლიდან, მიუხედავად აკრძალვისა. იხ. „ფილოსოფიის გამოცანები“.

136 . . . *იატროქიმიური*, სახელწოდება ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან „iatros“, მკურნალი, ექიმი. მოქმედებდა ბუნებისგან გადმოღებული სამკურნალო საშუალებების დახმარებით, პარაცელსის (1493-1541) მკურნალობის მეთოდების შემდგომი განვითარებით, თავიდან გოგირდზე, ვერცხლისწყალზე (Merkur) და მარილზე მისი შეხედულებების შენარჩუნებით. იატროქიმიური სკოლა წარმოიქმნა ჯერ კიდევ პარაცელსის სიცოცხლის ბოლო წლებში და გადაგვარდა დაახ. XVII საუკუნის შუა პერიოდში. მის ადგილას შემოვიდა რობერტ ბიოლის (1627-1691) მეცნიერული ქიმია, რომლისთვისაც იატროქიმიამ შეასრულა კარგი მოსამზადებელი სამუშაო. ვან ჰელმონტი (1577-1644) იყო იატროქიმიის მთავარი მამოძრავებელი. ლიტერატურა: პაგელი, „ჰელმონტი, ფილოსოფიური მედიცინის შესავალი ბაროკოს ეპოქაში“, 1930.

138 . . . *იატრომექანიკური და იატრომათემატიკური:* XVI-XVII საუკუნეებში ამ მოძღვრების მატარებელი იყო უნივერსიტეტების თითქმის ყველა პროფესორი, მაშინ, როცა პრაქტიკოსი ექიმების კავშირი წარმოადგენდა იატროქიმიას. მაგრამ ეს ქმედითი იყო მხოლოდ რომაული ქვეყნებისთვის და ინგლისისთვის. იტალიაში ძირითადი ცენტრები იყო უნივერსიტეტები პადუაში, პიზასა და რომში. განსაკუთრებული ადგილი ეკავა გერმანიას, სადაც, ზრუნავდნენ პრაქტიკოსი ექიმების ორივე შტოს თანაარსებობაზე.

139 *გეორგ ერნსტ შტაალი*, ანსბახი 1660-1734 ბერლინი. ექიმი და ქიმიკოსი, მედიცინის პროფესორი. იცავდა ვიტალიზმს ან ანიმიზმს და „სასიცოცხლო ძალის“ ჰიპოთეზას თავის ძირითად ნაწარმოებში „Theoria medica vera“, 1707.

140 *ლა მეტრიე*, ოფრეი დე, სენ-მალო 1709-1751 ბერლინი. სამხედრო ექიმი, მწერალი. მთავარი ნაწარმოები „ადამიანი მანქანა“, ლეიდენი 1748. 1746 წლიდან იდევნებოდა, როგორც უღმერთო, თავშესაფარი იპოვა ბერლინში მეფე ფრიდრიხ II-ის კარზე, რომელმაც იგი აკადემიის წევრად დანიშნა.

ჰოლბახი, ბარონ ფონ დიტრიხი, ჰაიდესჰაიმი რაინ-პფალცი 1723-1789 პარიზი. მისი მთავარი ნაშრომი „ბუნების სისტემა ანუ ბუნების სამყაროსა და სულის სამყაროს კანონებზე“, გამოქვეყნდა 1770 წ. ფსევდონიმით Mirabaud. იგი აღიარებდა სინამდვილედ მხოლოდ მოძრავ ნივთიერ ატომებს, მათ შორის აზროვნებისთვისაც და ასევე ეგოიზმზე დაფუძნებულ მორალს.

142 *ჰობსი*, თომასი, მალსერი 1588-1679 ჰარდვიკი. ინგლისელი ნატურფილოსოფოსი და ჰუმანისტი. „Opera Philosophica“, 1688. ყველა მოვლენა ბუნებაში და ადამიანში, თვით ფსიქოლოგიურიც, წარმოადგენს სხეულთა მოძრაობის შედეგს. სოციალური პროცესები აიხსნება მექანიკური პროცესებით. მათში მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ცალკეული ადამიანის ეგოიზმი. სახელმწიფოს, რომელიც „ყველას თელავს“, მან უწოდა „შემზარავი“ და თქვა: „ბუნებრივი სოციალური მდგომარეობა – ბრძოლა ყველას წინააღმდეგ“.

145 . . . *გამოდის მისგან ძილში*: იხ. შენიშვნა გვ. 94.

146 . . . *განიცდიდნენ გარედან სამყაროსთან:* კონსპექტის მიხედვით, ნაცვლად „გარე სამყაროსთან“.

. . . *ფსიქოლოგია და პნევმატოლოგია*: იხ. ასევე „ანთროპოსოფია, ფსიქოსოფია, პნევმატოსოფია, GA 115.

147 . . . *განვიხილავთ . . . სივრცეში*: იხ. ნახაზები მოხსენებებში 7 და 9. ნახ. 8, ნახ. 11, ნახ. 16. (ეს უკანასკნელი წინა გამოცემებში არაა შესული).

149 . . . *თანამედროვე მექანიკისა და ფიზიკის დახმარებით განიხილავთ* – ეს წინადადება შევსებულია.

152 . . . *დასასრულამდე მიმეყვანა*: იხ. შენიშვნა გვ. 98.

157 . . . *მოძრაობის მექანიზმი გარედან*: ლიტერატურა: ადოლფ ფიკი (1829-1901). მან შექმნა სამეცნიერო ტრაქტატი ადამიანზე, რომელიც ეხებოდა მექანიკურ მოვლენებსა და კუნთების მუშაობისას სითბოს გამოყოფას, რომელიც გამოქვეყნდა 1857, 1869 და 1882 წლებში.

158 *ამას უკვე დღესაც ამბობენ ფიზიკოსები*: საუკუნის დასაწყისში რუდოლფ შტაინერმა ყურადღება მიაქცია ფილოსოფოსისა და პრემიერ მინისტრის ა. ჯ. ბალფურის მიერ 1904 წლის 17 აგვისტოს წარმოთქმულ სიტყვას ბრიტანეთის ასოციაციის წინაშე, ამ სიტყვის წაკითხვისთანავე, იხ. „ლუციფერ-გნოზისი. სტატიების კრებული“, 1903-1908 წ.წ.“, GA 34, დორნახი 1960, ან მოხსენება „ბუნებისმეტყველება გზაგასაყარზე“, რომელიც შესულია ტომში „სამშვინველისა და სულის შემეცნება“, GA 56. ასევე არაერთხელ დაასახელა მან მაქს პლანკის მოხსენება, წაკითხული 1910 წელს „თანამედროვე ფიზიკის პოზიცია ბუნებაზე მექანიკური შეხედულების საკითხში“, (ბრაუნშვაიგი, 1958, ტ. 3.) მაგ., „მეორე საბუნებისმეტყველო კურსი“, GA 321, მეთერთმეტე მოხსენებაში.

159 . . . *გამოთვლის ყველა ხერხი*: კონსპექტში „გამოთვლის ხერხების“ ნაცვლად წერია „გამოთვლები“.

. . . *კვლევითი ინსტიტუტი:* 1920 წელს შტუტგარტში სააქციო საზოგადოების „მომავალი დღე“ ფარგლებში დაფუძნდა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ფიზიკური და ქიმიური მიმართულებით, ბიოლოგიური განყოფილებებით, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ გადაიტანეს დორნახში. ინსტიტუტის პირველი შრომები გამოცემულია რვეულში „მომავალი დღე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უწყებანი“. რვეული I (1921 წ) შეიცავს „ელენთის ფუნქცია და თრომბოციტული საკითხი“, ლ. კოლისკო; რვეული II (1923): „Villardsche Versuch“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი რ. ე. მაიერი; რვეული III (1923); „Physiologisher . . .“ (მცირე ერთეულების ფიზიოლოგიური და ფიზიკური დასაბუთება) ლ. კოლისკო. უფრო გვიანდელი შრომები გამოქვეყნდა ტომებში „გეა სოფია, სულისმეცნიერების თავისუფალი უმაღლესი სკოლის ბუნებისმეტყველების სექციის ალმანახი გოეთეანუმში, დორნახი“, ტომი I (1926) და მომდევნო.

160 . . . *გუშინ მე ხაზი გავუსვი*: 5 იანვარის ამ საბუნებისმეტყველო დისკუსიის ჩანაწერი არაა შემონახული.

ასოციაცია „კოგიტო“ გამოსაცემად ამზადებს:

რუდოლფ შტაინერი

„აკაშა-ქრონიკიდან“
GA 13

რუდოლფ შტაინერი

„ანთროპოსოფია. ფრაგმენტი 1910წ.“
GA 45

ამ დაუმთავრებელი თხზულებით რუდოლფ შტაინერს განზრახული ჰქონდა ანთროპოსოფიული კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოედგინა სწავლება ადამიანის გრძნობებზე.

რუდოლფ შტაინერი

„შესაქმის ბიბლიური ისტორიის
საიდუმლოებანი“
GA 122

დაიბეჭდა:

„კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას
რომ საჭიროებენ“ – სტამბაში.

ძმები უბილავების 8

მთავარანგელოზი მრავალი

ISBN 978-9941-0-9093-6